


დიდი როქი ქართულ
ლიტერატურაში

მურმან
თავლიშვილი

მურმან თავლიშვილი

დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში





იაკობ ჴემოქმედელი

მოქანდაკე – ვასილ მჴაგანაძე

მურმან თავდიშვილი

დიდი როქი ქართულ
ლიტერატურაში
მეორე (შეესებული) გამოცემა



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

გამოჩენილმა მკვლევარმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბორის დარჩიამ არაერთი გრძელი წელიწადი შესწირა თავისი ერთი უმთავრესი ნაშრომის „იაკობ შემოქმედელის“ შექმნას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავისი გმირული შრომითა და განუხრელი რუდუნებით მან შეასრულა ერთი კვლევითი ინსტიტუტის საქმე. მაგალითად, შოთა რუსთაველის სახელობის კვლევით ინსტიტუტს ამ ბოლო ათეული წლების განმავლობაში მთლიანად არ გაუკეთებია იმხელა მნიშვნელობის საქმე, რაც ამ ერთმა ადამიანმა შეძლო.

ღიახაც მემამყება, რომ ამ საქმეში მეც ხელი ჩავრთე: გახლავართ პ ი რ ვ ე ლ ი მკვლევარი, იმთავითვე რომ ჩავხვდი დოქტორ ბორის დარჩიას სენსაციური მიგნების არსს, დასაბუთების სისწორეს და მისი პრიორიტეტი ვადიარე, ხოლო ვარ მ ე ო რ ე მკვლევარი, ვინც პრობლემის ირგვლივ პიონერი მეცნიერის შემდეგ სერიოზული გამოკვლევები დავწერე.

მკითხველს საშუალება ეძლევა, შეაფასოს და ჯეროვნად დააფასოს ისინი.

ა ვ ტ ო რ ი
18 ნოემბერი, 2022

რედაქტორი **ქეთევან თავდიშვილი**,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

© მ. თავდიშვილი, 2022
საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2021

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაჰოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-389-7

მწყემსი მოციქულური

საქართველოს მრავალი გამოჩენილი მიტროპოლიტი ჰყოლია, ოღონდ არც ერთ მათგანს ისე დიდი შეფასება არ მიუღია, როგორც ორს. ერთია გიორგი ჭყონდიდელი, მეორე – იაკობ შემოქმედელი. თავის დროზე მათი სახელი მთელ საქართველოში ქუხდა.

XVII საუკუნის მოღვაწე იაკობ დუმბაძე სპეტაკი ქცევით გამოირჩეოდა. თუმცა კი მედგრად ებრძოდა ერეტიკოსებს (პრაქტიკულადაც და კალმითაც), მტერიც რომ ყოფილიყო, თუ სიბრძნით გამოირჩეოდა, ჯეროვან პატივს უსათუოდ მიაგებდა. იყო ყოველმხრივ გაწონასწორებული პიროვნება. ადვილად არ მოტყუვდებოდა. მაშინ, როდესაც ბევრი გამოჩენილი მამა, საკლესიო მოღვაწე, შეცდა და რუსთველის გენია ვერ დაინახა, უფრო მეტიც, გააკიცხა იგი, იაკობი, იმათზე უფრო ენერგიული დამცველი მართლმადიდებლური ქრისტიანობისა, მყისვე მიხვდა „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობას ქართველი ერისა და

თვით სამღვდელოებისათვის, ამ უნიკალურ მოვლენას ფართო თვალსაწიერით შეხედა, რუსთველი ბრძენკაცად მიიჩნია, ხოლო მისი ლექსი უმაღლეს პოეზიად უყოყმანოდ შე-
რაცხა.

ყველაფერი ეს მშვენივრად შეუმჩნევია ანტონ ბაგრატიონს, რომელმაც პოეტსა და მიტროპოლიტს „მწვემსი მოციქულებრი“ უწოდა. ისე ავტორიტეტული პიროვნებისაგან, როგორც გახლდათ ანტონ კათალიკოსი, ეგ უმაღლესი შეფასებაა.

„მწვემსი მოციქულებრი“ გახლდათ მეტად თავმდაბალი ადამიანი. სწორედ ამან გამოიწვია დიდი გაუგებრობა და დავიდარაბა მისი უმთავრესი თხზულების გარშემო.

უნდა შევნიშნო:

ძველად ასე იყო მიჩნეული – ადამიანს სიამაყის რქა არ უნდა აემადლებინა. ბიბლიური წიგნები, მეტადრე კი სახარება, აქცენტს თავმდაბლობასა და უხმაურო მოღვაწეობაზე აკეთებდნენ. საეკლესიო მამები მკაცრად იცავდნენ ამ წესს. მათთვის მთავარი ის კი

არ გახლდათ, ვინ დაწერა თუ შექმნა რაიმე, არამედ ის, თუ რა დაწერა და შექმნა. ამიტომაც იყო: წერდნენ, თარგმნიდნენ, თხზავდნენ, ხატავდნენ, ადგენდნენ წიგნებსა და გულანებს, ოღონდ საკუთარი ვინაობის გამჟღავნებას არ ესწრაფოდნენ. ამის მაგალითი ბევრია. შორს რომ არ გავიჭვრეთ, ჩვენი შინაური ამბავი განგჩხრიკოთ: რუსთავის ეპისკოპოსი წერს უნიკალურ პოემა „ვეფხისტყაოსანს“, საუკეთესოს, რაც კი რამ ქართულად შექმნილა, და საკუთარ ვინაობას არ გვიმხელს. დიახ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელსაც კი არ გვიმჟღავნებს. ახლა უფრო შორეული მაგალითიც განვიხილოთ. დიდი კათოლიკე მოღვაწე და თეოლოგი, სახარება-დავითნის შემდეგ ყველაზე პოპულარული თხზულების „ქრისტეს წაბაძვის“ ავტორი თომას ხამერკენი თავის ნაშრომს სახელს არ აწერდა. ამ თხზულებას, რომელსაც კარდინალები და თვით რომის პაპებიც კი „წიგნად“ მოიხსენიებდნენ (თავიანთ უზარმაზარ ბიბლიოთეკებში და-

ცულ სხვა წიგნებს „წიგნს“ არ უწოდებდნენ!), სხვებმა მიაწერეს ავტორის სახელი და წარმომავლობა კემფელი (სხვათა შორის, სწორედ ამ კემფელს ახსენებს გურამიშვილი ტაეპში – „წაუკითხიან ბრძანება, გამოთარგმნილი კეფისა“). როდესაც წმიდა მამას ეკითხებოდნენ, თუ რად არ აწერდა თავის მრავალ თეოლოგიურ ნაშრომს სახელს, უპასუხებდა: მთავარია არა ის, თუ ვინ დაწერა, არამედ ის, თუ რა დაწერაო.

ამ საპატიო „სენით“ გახლდათ დაავადებული იაკობ მიტროპოლიტიც. როდესაც თავის საყვარელ პატრონ არჩილ ბაგრატიონს, იმერეთის ტახტზე ასულს, სახოტბო პოემა მიართვა, ერთობ მოკრძალებულად მიიღო „ღმრთისა სწორის“ მადლობა და თითიც არ გაუნძრევია, რათა ის გამოეძიებინა, მის მიერ შექმნილი „არჩილ მეფის ქების“ ახლად გადაწერილ ტექსტებს დასაწყისსა და ბოლოში დიდი ასოებით ეწერა თუ არა ავტორის სახელი. ამის ძიება მაშინ, ნამეტნავად ღვთისკაცთა შორის, დიდ მკრეხელობად მიიჩნეოდა.

ღირსი მამის მაღალ პიროვნულ და დიდ გონებრივ შესაძლებლობებს ანტონ კათალიკოსზე ბევრად უფრო ადრე არჩილ მეფე აღნიშნავდა, ოღონდ იქვე საგანგებოდ გვაფრთხილებდა: ჩემდამი მოძღვნილი ხოტბის ავტორი რომ იყო, ს რ უ ლ ა დ, ა ნ უ ბოლომდე, ა მ ი - ს ა თ ვ ი ს ა რ დ ა ვ ა ხ ა ს ი ა თ ე ო .

ეს ნიშნავს:

იაკობის ნაშრომი, სადაც ფრთა გაშალა მისმა დიდმა პოეტურმა და გონებრივმა შესაძლებლობამ, არის „არჩილ მეფის ხოტბა“ (ეს ფაქტობრივად ასეა. მიტროპოლიტის ნაშრომებში ყველაზე მაღლა დგას „არჩილის ქება“). აღნიშნულ ნაშრომზე, რაკი მე მეხება, არას ვიტყვი, ეს უხერხულია, ხოლო დანარჩენის შესახებ ჩემს აზრს მოგახსენებთო. და, აი, არჩილ მეფე, XVII საუკუნეში შექმნილი საკუთარი სკოლის მეთაური, „მართლის თქმის“ პრინციპულად გამტარებელი, თავისი დროის პოეტებში ყველაზე მაღლა იაკობ შემოქმედელს აყენებს.

**აწ სამეგელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი.**

განსაკუთრებით საგულისხმოა მეორე ტაეპის ხაზგასმული სიტყვები. არჩილის აზრით, იმ დროს იაკობ ღუმბაძეს ტოლი და სწორი „მეცნიერი“ არა ჰყოლია, ანუ იგი ყოფილა ღრმად მცოდნე თეოლოგი, ამავე დროს, ბრძნად მოუბარი.

ვიმეორებ, ეს ეხება ოდენ იმ ნაშრომებს, რომლებიც მუხლამდეც ვერ მისწვდება „არჩილ მეფის ქებას“ ვერც სიბრძნით, ვერცა მხატვრული ოსტატობით. რაღას იტყოდა არჩილ მეფე, ის რომ შეადვირებული არ ყოფილიყო ზრდილობისა და ეთიკის წეს-კანონებით?!

აი, ასეთი ბრძენი, „მეცნიერი“ (ანუ მცოდნე ბიბლიისა), ქრისტიანობის აქტიური დამცველი, ნიჭიერთა დამფასებელი, ისე ირჯებოდა, რომ პატივსა და სახელს არ დაეძებდა, საქმეს კი დიდს აკეთებდა. ავი საწუთროს უცნაურობაც ეგ არის – ღვთაებრივ პიროვნებას, უზადო მოღვაწეს, ერის მამას, მოციქულის სწორ თეოლოგს მოგვიანებით ჩირქი მოსცხეს იმის გამო, რომ მოიქცა ზედმი-

წევნით ქრისტიანულად – უხმაუროდ გააკეთა საშვილიშვილო საქმე: ქვეყნის პატრონის ავტორიტეტის განსამტკიცებლად, მისი სახელის განსაღიღებლად, აგრეთვე ერეტიკოსთა სამხილებლად დაწერა „არჩილ მეფის ქება“, რომელსაც თავსა და ბოლოში დიდი ასოებით და მკაფიო ხელრთვით არ მიაწერა თავისი სახელი, რქა არ აღიმადლა, პატივმოყვარეობის ჭიას სძლია. ამიტომაც დასაჯეს იგი, გაათრიეს, პლაგიატობა მოუგონეს, ცილი სწამეს. რამდენადაც იაკობი ძველად დაფასებულ იყო, თანამედროვე მეცნიერებაში იგი იმდენადვე დამცირებული და შეურაცხყოფილი აღმოჩნდა. ჭეშმარიტების გზას აცდენილმა მეცნიერებმა, უნდა სინანულით ითქვას, „ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო“. ის კი თავდადრეკილი, ვითარცა ღვთის კაცს შეჰფერის, მთელი საუკუნე-ნახევარი დუმდა, დუმდა და უთმენდა უნებლიე მწვალებელთ. სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი იაკობის დიდი დამფასებლის გურამიშვილის ეს ოქროვანი სიტყვები:

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიეს!
ურთო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს,
გაგათრიესო,
ერთურთში ვერ განარჩიეს ანგელოზი და იაგო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იაკობ!

და, აჰა, მოვიდა „მოგვი“ აღმოსავლეთით: ფილოლოგიის დოქტორმა ბორის დარჩიამ მრავალწლიანი გმირული შრომითა და რუდუნებით, ათასგვარი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, როგორც იტყვიან, დაბურდულ საქმეს ნათელი მოჰფინა და დაფარული გააცხადა – გაარკვია და დამარწმუნებლად დაასაბუთა, რომ შავთელის „აბდულმესიანი“ დაკარგულია, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული ე. წ. „აბდულმესიანი“, რომელში პერსონაჟი აბდულმესია ნახსენებიც არაა, გახლავთ იაკობ დუმბაძე-შემოქმედელის „არჩილ მეფის ქება“, დაწერილი XVII საუკუნეში.

მაშ, ასე: „განიხსნა გზა და ეშვათ ივერეთს სასოება“.

აწ უკვე, ვინ იცის, მერამდენედ გამართ-
ლდა ძველთაძველი სიბრძნე: „არა არს დაფა-
რული, რომელი არა გამოცხადდეს“, ხოლო,
საჭადრაკო ენით თუ ვიტყვით, გაკეთდა
გრძელი როქი ქართულ ლიტერა-
ტურაში: XVII საუკუნის ქმნილება, მიხნეუ-
ლი XII ასწლეულის ძეგლად, თავის ეპოქასა
და ავტორს დაუბრუნდა, ხოლო ნამდვილი
„აბდულმესიანი“, რომელშიც შექმნილი უნდა
იყოს აბდულ-მესია, კვლავ საძიებელია და
იგი, მისი აღმოჩენის შემთხვევაში, ქართული
ლიტერატურის საჭადრაკო დაფაზე თავის
საპატიო ადგილს დაიკავებს „ოქროს ხანის“
ძეგლთა შორის.

უკუღმართი პარალელები

საკითხთან ახლოს რომ მიხვიდე, საჭიროა შორიდან დაიწყო.

ანტონ კათალიკოსამდე (1760-იან წლებამდე) „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ყველგან და ყველასგან უკლებლივ იწოდებოდა მართებულად – რუსთველი. ანტონის ახირების შემდეგ გაურცელდა მცდარი ფორმა რუსთაველი და მოგვიანებით რასა ვხედავთ: ამ მცდარმა ფორმამ დატუქსა, გაღახა, ასპარეზიდან გააძევა მართებული ზედწოდება. ამიტომაც არის, რომ დღეს გვაქვს რუსთაველის პროსპექტი, რუსთაველის თეატრი, რუსთაველის ინსტიტუტი, რუსთაველის კაბინეტი... მხოლოდ რამდენიმე კაცი – აკაკი შანიძე და ზოგი სხვაც თავგაგლეჯილი გაჰკიოდა, სწორია რუსთველიო, მაგრამ ვინ დაუჯერა?!

ზუსტად ამგვარი რამ დაემართა ცნობილ მწერალსა და თეოლოგს, მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელსა და მის თხზულებას.

გურამიშვილი გვარიგებს: „კარგსა საქმეზედ წაბაძვა არა-რა საძრახისია!“

იაკობმა ჩახრუხადის „თამარიანის“ წაბაძვით შეთხზა „ქება არჩილ მეფისა“ და იმხანად იმერეთის ტახტზე მყოფ ბაგრატონს მიუძღვნა. ამიტომაც უწოდა ამ ავტორს მამუკა ბართაშვილმა იაკობ მ ბ ა ძ ე. ესე იგი, მამუკამ კარგად იცოდა, რომ იაკობ მიტროპოლიტმა ჩახრუხადის „თამარიანის“ წაბაძვით შეთხზა თავისი პატრონის ქება. ამიტომაც არის, ასე თამამად რომ აცხადებს: იაკობ მბაძეს და ჩახრუხადეს ექოთ მეფენი არჩილი და თამარიო.

არავითარი კავშირი იაკობ „მბაძის“ ქმნილებას დაკარგულ „აბდულმესიანთან“ არა აქვს. ეს იცოდნენ ერეკლე მეორის კარზეც. ამიტომაც თუ იყო, სახელოვანი პატარა კახი დაინტერესებულა დაკარგული ქმნილებით და სწავლული კაცებისათვის დაუვალებია, მოე-

ძებნათ და მიეტანათ მისთვის შავთელის თხზულება, ოღონდ სწავლულებმა ვერაფერი მოცა-იპოვეს. თეიმურაზ ბაგრატიონი მიუთითებს: „ჩვენ, უბადრუკ ქართველებს, ის საკვირველი სტიხები შავთელისა, აბღუმესიას წიგნი, დაჰკარგვიათ. პაპას ჩემს, მეფე ერეკლეს, მრავალი უძებნინებია, დიდი სურვილი ჰქონია იმისის ლექსებისა, მაგრამ ის წიგნი ვეღარ უპოვნიათ“.

უკუღმართობას სათავე დაედო 1822 წელს და მისი ავტორია დავით რექტორი.

სურათი რომ ნათელი შეიქმნეს, თვალი მივადევნოთ ხელნაწერული მემკვიდრეობის დინამიკას.

ცნობილმა მკვლევარმა ივანე ლოლაშვილმა გამოწვლილვით გამოიძია ეს მემკვიდრეობა. მის მიერ გაწეული ტექსტოლოგიური შრომა ეჭვს არ იწვევს. მან უთუმცაოდ დაადგინა: ხელნაწერებში უძველესი და ყველაზე სანდოა A, B, C, D ნუსხები. იქვე მითითებულია – ბევრ მათგანს ავტორად აწერია იაკობი, ხოლო ხოტბის საგნად გამოცხადე-

ბულია არჩილ მეფე (ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 23-26).

უფრო გვიან (XIX ს.) გადაწერილი ხელნაწერები ასეთ სურათსა ქმნიან:

E ნუსხა, გადაწერილი დავით რექტორის მიერ. აქაც ჯერ კიდევ იაკობია ავტორი, ქების ობიექტი – არჩილ მეფე.

F ნუსხა, გადაწერა დავით რექტორმა. ქების ობიექტი ისევ არჩილია.

G ნუსხა – ქების ობიექტია ისევ არჩილი.

Q ნუსხა – ქების ობიექტია არჩილი.

არის ამავე ეპოქის სხვა ხელნაწერებიც, სადაც ქების ობიექტად ისევ არჩილია დასახელებული (ივ. ლოლაშვილი, II, 27-30).

უკუღმართობას, როგორც ითქვა, სათავე დაუდო დავით რექტორმა 1822 წელს, როდესაც მოულოდნელად არსებული ტრადიციის წინააღმდეგ ტექსტს პირველად დააწერა, რომ შესხმის ობიექტები არიან თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი (ივ. ლოლაშვილი, 32).

ივ. ლოლაშვილი წერს: „1822 წელს მან ნაწილობრივ ამოიცნო აბდულმესიანის საიდუმლოება“ (32).

მოდით და ნუ გაგეცინება!

კი არ ამოიცნო, ნათელი საქმე დააბნელა. და ისე სერიოზული მეცნიერი, როგორც ივ. ლოლაშვილი გახლდათ, დავით რექტორს ამ ახირებას უქებს.

არადა, არსაიდან ჩანს, საამისოდ დავით რექტორს ხელთ რაიმე წყარო ან დოკუმენტი ჰქონოდა. ამგვარ დოკუმენტს ვერც ივ. ლოლაშვილი და მისი მიმდევრები ასახელებენ (ივ. ლოლაშვილი, 32). „ძველი ქართველი მესოტბენის“ ავტორი ამის თაობაზე მოიარებით წერს: „მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო აღორძინების შესახებ ჩვენამდე არმოდწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ“ (32).

„უნდა ყოფილიყო“ ვერაფერი შვილი მეცნიერებაა!

„უნდა ყოფილიყო“ ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება ჩიხში შეიყვანა, შეარცხვინა.

სწორედ ამის შემდეგ გავრცელდა შერყენილი ხელნაწერები, სადაც ავტორად შავთელია გამოცხადებული, ხოლო ქების ობიექტად – თამარ მეფე და მისი ქმარი. მოგესხენებათ, კატაბარდა და გლერტა უფრო იოლად ხარობს, ვიდრე ჯეჯილი.

როგორც ითქვა, საქმის გაუკუღმართება გვიანდელი ამბავია, 1822 წლის აქეთა დროისა.

მე ჩავუკვირდი ამ უკუღმართი წლის შემდგომ შედგენილი ნუსხების დინამიკას და ერთი საინტერესო კანონი აღმოვაჩინე: დავით რექტორის ზღაპარი სამიოდენ წინადადებისაგან შედგება, ხოლო ყოველი ახალი გადამწერი ამ პატარა ზღაპარს სულ უფრო და უფრო ავრცობს და ავრცობს. თუ დავითის ნუსხის პირველი გადამწერი რამდენიმე სიტყვას ამატებს ქების საგანსა და ავტორზე თქმულს, მომდევნო კალიგრაფი უფრო ავრცობს შენიშვნებს, მესამე კიდევ მეტად და ბოლოს ვღებულობთ სრულმასშტაბიან ზღაპარს. მაგალითად, გ. ავალიშვილის მიერ

1834 წ. გადაწერილ ნუსხაში წერია 50 სიტყვა; ნიკ. ბაღინაშვილის მიერ 1835 წ. გადაწერილში ქების საგანსა და ავტორზე მობილიზებულია 83 სიტყვა. ვხედავთ. ერთი წლის მანძილზე სიტყვათა რაოდენობა 33 ერთეულით გაიზარდა. აქ უკვე „დოკუმენტურად“ არის „დადგენილი“ ავტორის, შავთელის, ვინაობა, მისი სახელის შინაარსი, სად დაწერა ქება, როგორ მიაღწია თამარს; თამარის კარზე რა მოხელედ მუშაობდა, როგორ შემონახუნდა და რა უწოდეს ამის შემდგომ, სად აღესრულა, რას ამბობს მასზე რუსთველი, როგორი ავტორია თვით რუსთველი, რამდენი ენა იცოდა და ა. შ. და ა. შ.

ახლა ერთობ საყვარელი პიროვნებისა და ნამდვილად უმწიკვლო მეცნიერის ივანე ლოლაშვილის უცნაურობასაც გავეკრათ კბილი.

მკვლევარი სავსებით სწორად არკვევს, რომ სანდოა A B C D ნუსხები (გვ. 35); სხვები მხოლოდ საკონტროლოდ თუდა გამოდგებაო, დასძენს, და ამ სანდო ხელნაწერებს ავთენ-

ტიკურად ცნობს, აცხადებს: კრიტიკული ტექსტი მხოლოდ აქედან უნდა ჩამოყალიბდესო; მეორე მხრივ, ამ მის მიერვე მოწონებული ტექსტების ცნობებს არ ენდობა და ამ მხრივ „სანდოდ“ მის მიერვე „უნდოდ“ მიჩნეული ხელნაწერები გამოუცხადებია.

რა არის ეს?

ეს არის, რბილად თუ ვიტყვით, საკითხისადმი არათანამიმდევრული მიდგომა, ხოლო, თუ სიმართლეს გულწრფელად გავუხსწორებთ თვალს – დ ი დ ი ბ ლ ე ფ ი ქ ა რ თ უ ლ ფ ი ლ ო ლ ო გ ი უ რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი .

კაცი ხაზგასმით აცხადებს:

„ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა ნ ი ს კ რ ი ტ ი - კ უ ლ გ ა მ ო ც ე მ ა ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ უ ნ დ ა დ ა ე დ ო ს ო რ ი (A და B) ნ უ ს - ხ ა ; მ ხ ო ლ ო დ მ ა თ ი მ ე ც ნ ი ე რ უ - ლ ი შ ე ს წ ა ვ ლ ი ს შ ე დ ე გ ა დ უ ნ დ ა დ ა დ გ ი ნ დ ე ს თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ დ ე - დ ა ნ თ ა ნ მ ი ა ხ ლ ო ე ბ უ ლ ი ტ ე ქ ს - ტ ი“ (35), მაგრამ იმდენად მოჯადოებულია „ქების“ დაძველებისა და XII საუკუნის ძეგ-

ლად გამოცხადების ურაპატრიოტული, ურამეცნიერული ვნებით, ქმნილებას სწყვეტს მშობლიურ ეპოქას (XVII საუკუნეს) და XII საუკუნის ტექსტად აცხადებს.

არადა ისტორიულად ყველაფერი ცხადი და გარკვეულია.

რომელიდაც ძველი ლიტერატურის ისტორიკოსი „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგს ურთავს ცნობილ სტროფს, სადაც ერთგვარად შეჯამებულია „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის სამწერლო პროცესი:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბღულმესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს
რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას
ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის
ცრემლ-შეუშრომელსა.

აქ კარგად ჩანს დროითი თანამიმდევრობა: ჯერ შეთხზულა „ამირანდარეჯანიანი“, მერმე – „აბღულმესიანი“, „დილარგეთიანი“ და ბოლოს ლიტერატურული პროცესი დაუგ-

ვირგინებია „ვეფხისტყაოსანს“; ჩანს მეორე რამეც: ჩამოთვლილი ქმნილებები ყოფილა არა ხოტბა-ქებანი, არა ლირიკული, არამედ ეპიკური თხზულებები; მესამე: პირველის ცენტრალური პერსონაჟი ყოფილა ამირან დარეჯანისძე, მეორისა – აბდულმესია, მესამისა – დილარგეთი, მეოთხისა – ტარიელი.

ეს ფაქტია.

საგულისხმოა, რომ ამ ოთხი ეპიკური თხზულებიდან ორი შემოგვინახა ვერაგმა სა-წუთრომ, ორიც დაკარგულია. დაკარგულია „დილარგეთიანი“ და „აბდულმესიანი“. აქედან, თუ რა ეწერა „დილარგეთიანში“, არ ვიცით, ამაზე წარმოდგენაც არა გვაქვს, ხოლო, თუ რა წერია „აბდულმესიანში“, ეს შესანიშნავად გაარკვია აკად. კორნელი კეკელიძემ. მან მიუთითა, რომ შავთელს უნდა გაეღექსაო პროზაული ტექსტი „წამებაი წმიდისა აბდულმესიანისი“, რომელსაც, სხვათა შორის, გავლენა მოუხდენია ქართულ ძეგლ „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობაზე“ (ივ. ლოლაშვილი, II, გვ. 48-49).

ივ. ლოლაშვილმა არ მიიღო კ. კეკელიძის ეს დებადი. მისი საამრიგო „საბუთები“ კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ივ. ლოლაშვილს კ. კეკელიძის მართებული თვალსაზრისის დასარღვევად ასეთი „წყაღ-გაუვალი არგუმენტები“ მოჰყავს: „არა გვგონია“, ისევ „არა გვგონია“, „საკითხი შეცდომითაა დასმული“, „ორივე სხვადასხვა შინაარსის ძეგლია“ (საიდან იცის? – მ. თ.), „კითხვა უნდა მოიხსნას!“ (ივ. ლოლაშვილი, II, 50).

როგორცა ვხედავთ, ივ. ლოლაშვილი სრულიად უსაბუთოდ იცავს დავით რექტორის „ბლეფს“, ახირებას, ხოლო კ. კეკელიძის დოკუმენტებით ზუსტ მიგნებას აყურისძირებს. მას ერთი სული აქვს, აღმოაჩინოს XII საუკუნის აქამდე დაკარგული ძეგლი და ამით სახელი მოიხვეჭოს. მკვლევრის მთავარი, მომაკვდინებელი შეცდომა მაინც ის არის, რომ ჩამოაყალიბა არათანამიმდევრული თვალსაზრისი – ტექსტოლოგიურად მოიწონა (სავსებით სამართლიანად) A B ნუსხე-

ბი, ხოლო მათი ცნობები ავტორსა და ხოტბის ობიექტზე უარყო; ტექსტოლოგიურად დაიწუნა (სავსებით სამართლიანად) მომდევნო ხანის ნაწვალევ-ნაჩხირკედელევი ნუსხები, ხოლო მათი ცნობები ავტორსა და ქების საგანზე მიიღო.

დავით რექტორმა და მის კვალზე ჩვენმა გამორჩენილმა მკვლევრებმა ქართული ფილოლოგიური მეცნიერება მცდარ გზაზე შეაყენეს. ჩვენი მეცნიერება დავით რექტორისა და ივანე ლოლაშვილის მტკნარ ზღაპარს თვალდახუჭული გაჰყვა და დღესაც ძილ-ბურანშია, თვალს ზარმაცად იფშენეტს და კარგად ვერც გამორკვეულა.

ამრიგად, ამჟამად გადაჭრით შეიძლება ითქვას: ე. წ. „აბდულმესიანი“, რომელიც მიეწერება იოანე შავთელს, სინამდვილეში მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძისაა; ქმნილების სახელია „არჩილ მეფის ქება“, ხოლო ეპიკური პოემა, ლექსშექებული შავთელის თხზულება, კვლავაც საძიებელია, თუ მუხთაღმა წუთისოფელმა სამიღღემჩიოდ არ დაგვიკარგა.

დავით რექტორის ერთი „იაღლიში“

და

ქართული მეცნიერების ფიასკო

სანამ დავით რექტორი საქმეში ჩაერეოდა (1822 წ.), ე. წ. „აბდულმესიანის“ მანამდე მოღწეულ ყველა ტექსტს (დაახლოებით ათამდე ნუსხას) ზედ ავტორად იაკობ შემოქმედელი ეწერა, ხოლო ხოტბის ობიექტად მიიჩნეოდა არჩილ მეფე. თავდაპირველად თავისი ხელით გადაწერილ ხოტბაში ისიც ამ ვერსიას იზიარებდა, ოღონდ, როცა რამდენიმე ხელნაწერი გადაწერა, ერთხელაც მოხდა და ხელნაწერთა მითითებებს აღარ დასჯერდა, საკუთარი კაპრიზი დაიკმაყოფილა და თხზულება შავთელის „აბდულმესიანად“ გამოაცხადა. ამ ფოციაკალში მას მოუვიდა ერთი უხეში შეცდომა, აშკარა „იაღლიში“, რაც მთლიანად ანგრევს მის აკვიატებულ იდეას და გვიჩვენებს ამ ყალბისმქნელობის მთელ არსს. ეს ყალბისმქნელობა დღემდე საგანგებო მსჯელობისა და ანალიზის საგნად არ

ქცეულა. არადა იგი ააშკარავებს დავით რექტორის მცდელობის ტენდენციურობას; გვიჩვენებს, რომ მის მიერ იაკობ შემოქმედელის „არჩილ მეფის ქების“ დაკარგულ „აბდულმესიანად“ გამოცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს.

ე. წ. „აბდულმესიანის“ მე-ნ სტროფში საუბარია ბიბლიურ პერსონებზე, კერძოდ, იონათანზე, ნათანზე, დავით წინასწარმეტყველზე. აი, ეგ სტროფიც:

არ იონათან, არიო ნათან,
ვინ ქმნა მას ზედა ზეთ-მცხებეულობა;
დაცხრა, დაყუდნა, მისგან განცუდნა
უგლიმთა ბორგით ზარ-მცემელობა.
და ვ ი თ ძ ლ ი ე რ ი, მხნედ საშინელი,
უფლებს და მთავრობს ურჩთ-შემწველობა...

ნათანი დავით წინასწარმეტყველის შვილია, იონათანი – კერპთაყვანისმცემელი, ვერცხლის კერპი რომ ჰქონდა, ხაზგასმული „დავითი“ იგივე ებრაელთა მეფე და წინასწარმეტყველია, ფსალმუნის ავტორი.

რაკილა თავისი აკინჭილებული იდეა უტრიალებდა თავში, დავით რექტორმა შეუგნებლად, ინერციით თვით დავით მეფსალმუნის ადგილასაც თამარი ჩაწერა, ანგარიში ვეღარ გაუწია იმას, თუ რას სჩადიოდა. ასე მოუვიდა დიდი „იაღლიში“. ივ. ლოლაშვილი მიუთითებს: „დავით რექტორისეულ (K) და მისგან გადაწერილ ზოგიერთ ნუსხაში „დავით ძლიერის“ ნაცვლად წერია „თამარ ძლიერი“ (ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, 163).

აქედან კარგად ჩანს: დავით რექტორისე იყო გართული ტრადიციული ხელნაწერების წარყვნით, გაფუჭებით, ფალსიფიკაციით, ქების ობიექტად თამარ მეფის გამოცხადების იდეით, რომ სტროფის შინაარსსაც კი ვეღარ გაუწია ანგარიში და ასე მივიღეთ აბსურდი.

მაგრამ დავით რექტორის კაპრიზზე უფრო გასაოცარი ეგ არის: ქართულმა მეცნიერებამ ეგ „იაღლიში“ ვერ შენიშნა, ხოლო, თუ შენიშნა, სწორი დასკვნა ვერ გააკეთა,

ბრმად ენდო დავით რექტორს და მისი აბსურდული, უკუღმართი მოსაზრება დააკანონა: თხზულების ნამდვილი ავტორი იაკობ შემოქმედელი ყალბისმქნელად გამოაცხადა, ხოლო ყალბისმქმნელი დავით რექტორი – სიმართლის აღმომჩენად და ჭეშმარიტების „გამრკვევად“. ასე გამოცხადდა სავლე პავლედ, ხოლო პავლე – სავლედ; ასე აღიარა „არჩილ მეფის ქება“ აწ დაკარგულ „აბდულმესიანად“, თუმცა ის კი აღნიშნა, რომ ამ „აბდულმესიანში“ თვითონ გმირი, აბდულმესია, არსად ჩანსო (იხ. ქართული მწერლობა, ბიბლიოგრაფია – ცნობარი).

აი, თუ საიდან და როგორ დაიწყო სიმართლის გამრუდება, რომელიც საფუძველად დაედო ქართული ფილოლოგიური მეცნიერების სამარცხვინო ჩავარდნას, თავმოსაჭრელ ფიასკოს.

სად ბაძრა ლაშა-ბიორბი?

ფეოდალური მონარქიის დროს უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭებოდა მემკვიდრის ყოლას. უშიველობისა და მემკვიდრის პრობლემა უწინარეს პრობლემათა რანგში აიყვანებოდა. ეს განწყობილება უდანაკარგოდ ილექებოდა უბრალო ხალხის შეგნებაში და კიდევაც აისახა დაბალი მასის ისეთ კოლექტიურ შემოქმედებაში, როგორც არის ზღაპარი. როგორც მსოფლიოს უამრავი ხალხის, ისე ქართულ ზღაპრებშიც მითითებულ საკითხს უდიდესი ყურადღება ექცევა. ბევრი ამგვარი ფოლკლორული ქმნილება გვახსოვს, სადაც მეფე-დედოფლის ერთადერთი საზრუნავი შვილიერებაა, ამავე დროს, ქვეშევრდომთა საწუხარი პატრონთა უშიველობაა, მასების შავნადვლიანობასა და სამერმისო სადარდებელს მემკვიდრის უყოლობა განაპირობებს. ქართული (და მსოფლიო) ზღაპრის ეგ მომენტი ყველას კარგად გვახსოვს.

„ვეფხისტყაოსანი“ იცნობს ზღაპრულ ელემენტებს. ესენია: მესამე, უმცროსი, ძმის მოტივი, დევ-ქაჯთა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, უფლისწულთან შეუღლებისა და ტახტზე ასვლის ერთმანეთზე გადაბმა და ა. შ. ყველაფერს ვერ გამოვეკიდებით. ამის თაობაზე ჩვენს ფოლკლორისტებს არაერთი გამოკვლევა შეუქმნიათ. ამავე ჭრილში უნდა გავიაზროთ უმემკვიდრეობის ტკივილის ის განცდა, რაც პოემაში გვხვდება. თითქოს ქართული ზღაპრის გაგრძელება იყოს, ისეა აღწერილი, ნაგრძნობი და განცდილი ფარსადან მეფისა და მისი მეუღლის, ასევე მთელი სამეფო კარისა და, შესაბამისად, მთელი ინდოეთის სამეფოს ზარ-ფოციაკალი მემკვიდრის უყოლობის გამო. აი, როგორ არის აღწერილი ეს „ვეფხისტყაოსანში“:

**მე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა
დარსა,
ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი
ზარსა.**

ტაეპების შინაარსია: მეფე-დედოფალს მემკვიდრე არ ესვა, არ უჩნდებოდა, არადა დრო იყო. ამის გამო ჭმუნავდნენ თვითონაც და ასევე ქვეშევრდომებიც („სპანი“) ზარს მისცემოდნენ, შფოთავდნენ, შიშით გული უსკდებოდათო.

აქ, მეტი რომ არ შეიძლება, ისე მკაფიოდ, ბუნებრივად და მძაფრად არის აღწერილი არცთუ სახარბიელო პერსპექტივა.

რუსთველი არაფერს აზვიადებს. ეს იყო სინამდვილის რეალისტური ასახვა. ამას მოწმობს ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც თავის ისტორიულ თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ პირდაპირ წერს: გიორგი რუსთან თამარს შვილი არ გასჩენია და ამიტომო „იწყეს ურვად ყოველთა, რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდ“ (ქართული მწერლობა, 3, 385). კიდევ მეტი. კარგა ხანს არც დავით სოსლანის ხელში გასჩენია დედოფალს მემკვიდრე. მემატთანე ისევ მიუთითებს: „გარნა წუხდეს და იურვოდეს უნაყოფოებისათვის თამარისა“ (იქვე, გვ. 388).

აი, რა მწარედ განიცდიდნენ „სპანი“ და პატრონნი „ღმრთისა სწორი“ ხელმწიფის უშვილობას. სამაგიეროდ, სულ სხვა სურათს ხატავს იგივე ისტორიკოსი ქვემოთქვე, როცა გაჩნდა გიორგი-ლაშა: „მისცეს ღმერთმან შვილი წული... და დაარქვეს სახელი გიორგი. და განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა“ (იქვე).

იგივე ვითარებაა სულხან ორბელიანის ქმნილებაშიც. მეფე ფინეზს მემკვიდრე არა ჰყავდა. ყოველმხრივ ბედნიერი გახლდათ, სწორედ ისე, ვითარცა თამარ მეფე, ოღონდ შეურევბული იყო უძეობისა გამო. „და არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა გინა შეჭირვება უძეობისა კიდე, რომე შვილი არა ესვა“ (ქართული მწერლობა, 7, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 5).

ჩახრუხადის „თამარიანი“, როგორც რუსთველის ეპოქის ქმნილება, მხარს უბამს მემბტიანისა და რუსთველის იდეას, რომ სამეფოს პერსპექტივას განსაზღვრავს უფლისწულის მოვლინება, როგორც ნიშანი ღვთის

წყალობისა. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ამ სახოტბო ნაწარმოებში, მემატიანის ისტორიისაგან განსხვავებით, ერთგზის კი არ არის ნახსენები მემკვიდრის გაჩენის ფაქტი, არამედ **ოთხგზის**.

მაშასადამე, საგანგებოდ არის მითითებული, რომ თამარისა და სოსლანის შეუღლების ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა შვილიერებაა, მემკვიდრის გაჩენაა.

ხოტბაში პირველად ლაშა-გიორგი ასეთ ვითარებაში გამოჩნდება: მეხოტბე აქებს დავით სოსლანს (მე-8 სტროფი), როგორც მებრძოლსა და სარდალს, ხოლო მის ერთ გამორჩეულ ღირსებად იმას მიიჩნევს, რომ არ გამოდგა ბერწი და ქვეყანას მომავალი ხელმწიფე შესძინა. მე-9 სტროფში ვკითხულობთ:

**რომლისა ძემან, უბინდო მზემან,
ლაშა-ყე გიმზო წარმართებულად.**

შინაარსი ასეთია: დავით მეფსალმუნის ძემ, ქრისტემ, რომელიც უბინდო მზეა, შენ,

დავით სოსლანო, ლაშა-გიორგი მზედ წარმო-
გიმართა.

მეორეგან სოსლანის მოისრობა, მოქამან-
დობა, მოქეიფობა, სიუხვეა შექებული და ბო-
ლოს ყველაფერ ამას აგვირგვინებს ის, რომ
მან, თურმე, მორჩ ხედ აღმოაცენა ლაშა-გი-
ორგი:

**ბევრჯელ ნაყოფად არსმცა ნაყოფად
ლაშა თქვენ მიერ ნამორჩებარე.**

მესამეგან თამარს ასე მიმართავს მესობ-
ბე: „გტრფიალობს ღომი აბესალომი“, რომე-
ლიც არისო ეფრემიანი ბაგრატიონი (90-ე
სტროფი) და მისგან შენ, მეფეო თამარ, დიდ
განძად, ანუ მემკვიდრე ძედ, მიიღე ლაშა-გი-
ორგიო (93-ე სტროფი). აქ დავით სოსლანის
ყველაზე დიდ დამსახურებად სწორედ ებ
არის გამოცხადებული:

**დიდად განძებად, თქვენ მისგან ძებად
გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი.**

მეოთხედ გიორგი-ლაშა წოდებულია არა
მამის ძედ, არა ეფრემიან ბაგრატიონად, არა-

მედ დედისა ძედ, იესიან დავითიან ბაგრატიონად:

მოყმე სვიანი, იესიანი

ლაშა აძებნა ლხინად და შვებად.

აი, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს „თამარიანში“ ლაშა-გიორგი, როგორც თამარისა და სოსლანის მემკვიდრე, ხალხისა და დიდებულთა სამერმისო იმედი (საფიქრებელია, ხოტბა შესრულებულია პერიოდში ლაშა-გიორგის დაბადებიდან თამარის მეორე შვილის გაჩენამდე, რაკილა აქ რუსუდანის ხსენებაც არაა).

მაშასადამე, თამარის ეპოქის ყველა ძეგლი მემკვიდრის ყოლა-უყოლობას დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და რელიგიურ (ღვთის კეთილგანწყობის ნიშანი) ფუნქციას აკისრებს. ეჭვი არაა, თუ იმავე ეპოქის ძეგლია ე.წ. „აბდულმესიანი“ (რომელშიც, სხვათა შორის, აბდულ მესიას, როგორც სახელის, ხსენებაც არაა), მაშინ მასში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს დიდმნიშვნელოვანი მოვ-

ლენა, ხოტბის საგნების – თამარისა და მისი მეუღლის – დიდი ბედნიერება, მათი შვილი, ქვეყნის მომავალი პატრონი, ერის ხვალინდელი ბურჯი.

სინამდვილეში ე. წ. „აბდულმესიანი“ კრინტსაც არა ძრავს გიორგი-ლაშაზე, რაც ყოვლად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ჩვენი მეცნიერება „აქამომდე“ ფიქრობდა, აქ შექმნილი არიან თამარი და მისი მეუღლე.

ე. წ. „აბდულმესიანში“ სულ ორ ადგილასაა საუბარი კაციშვილის შობაზე, ოღონდ მკაფიოდ ჩანს: ორივე შემთხვევაში ეს „შვილი“ თვითონ ხოტბის საგანია და არა ხოტბის ობიექტის მემკვიდრე, ძე. პირველად ეს „შვილი“ ჩანს მე-16, მე-17 და მე-18 სტროფებში. ვკითხულობთ:

**ძირით მისისა იესისისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად
ქალწულ-წმიდისა წილხვდომილისა,
საქართველოსა მეფედ წოდებად.**

შინაარსი ასეთია: იესიან-დავითიანთა ძირზე იშვა შვილი მართალი, რომელიც მარიამის წილხვდომილი ქვეყნის, საქართველოს, მეფედ ზის.

მაშასადამე, ლაშა-გიორგი გამორიცხულია, რადგან აქ გამოსახული „შვილი“ უკვე მეფეა, ხნოვანია.

გამორიცხულია დავით სოსლანიც, რადგან იგი არის არა იესიანი, არამედ ეფრემიანი; თანაც საქართველოს მეფედ რომ იჯდეს, არც ეგ შეიძლება, რადგან საქართველოს მეფედ იჯდა თამარი. სოსლანს შეიძლება უწოდონ მეფე, ღმერთიც, გმირი, ოღონდ მ ა რ ი ა მ ი ს წ ი ლ ხ ვ დ ო მ ი ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ე ფ ე დ მ ჯ დ ო მ ს ვერა და ვერ უწოდებდნენ!

გამორიცხულია თამარ მეფეც, ვინაიდან ამ სტროფის წინა, ე. წ. საფანელ, სტროფში მკაფიოდ ჩანს, რომ ეგ „შვილი“ არის უთურთისა და საამის, ზაალის განმაქიქებელი თავისი ფიზიკური ძალით; მეტიც, მას, თურმე,

უფრო მეტი ღონე აქვს, ვიდრე სალიმს, თურს, თვით როსტომ გმირსაც კი!

ამგვარი ვინმე თამარი ვერ იქნება.

მომდევნო, მე-17, სტროფში რომ თაყუმის ჩხრეკაა, რამლის კვრაა, ბედის გამორჩევაა – ყველაფერი ეს ამ „შვილის“ ბედის ძიებაა და სხვა პერსონაჟს (ან თამარს, ან დავით სოსლანს, ან ლაშას) ვერ დაუკავშირდება. მეორეგან (26-ე სტროფი) ზოგადი ლაპარაკია იმაზე, რომ შენ, ჩემი ხოტბის საგანო, „მოყმე, მხნე, უხვი დაიბადენი“. ეს შეიძლება ნებისმიერ მამაკაცზე ითქვას, ლაშაზე კი არა, რადგან აქ ის „მორჩად“ კი აღარ გამოდის, როგორც „თამარიანშია“, არამედ დიდი ხნის დაბადებულადაც, რამეთუ უკვე გამოუჩენია თ ა ვ ი მ ხ ნ ე ო ბ ი თ, უხვობით. ეს კი მოზრდილ ვაჟკაცზე ითქმის.

მაშასადამე, ამ ასპექტით ე. წ. „აბღულმესიანი“ არაფრით გამოდის XII საუკუნის ძეგლი.

მეორეც, „თამარიანში“ არაორაზროვნად, მკაფიოდ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული

და გამოცალკეეებული იესიან-დავითიანი ბაგრატიონები და ეფრემიანი ბაგრატიონები, უკეთ, ვახტანგიან-იესიან-დავითიანი ბაგრატიონები და ვახტანგიან-ეფრემიანი ბაგრატიონები. პირველში იგულისხმებიან თამარი და მისი ძე ლაშა, მეორეში – დავით სოსლანი. გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უწინარეს ყოვლისა, წინ წამოწეულია თამარი, მისი იესიან-დავითიანობა, ხოლო უფრო უკან გადატანილია სოსლანის ეფრემიანობა.

გავსინჯოთ პოემა ამ მხრივ:

ჯერ ერთი, უწინარეს ყოვლისა, სახელდებით არის მოხსენიებული თ ა მ ა რ ი შესავალშივე (პირველი სტროფი); მეორედ ნახსენებია მე-4 სტროფში; მერმედ – მე-5 და მე-6 სტროფებში; ამის შემდეგ თამარი იხსენიება 21-ე სტროფში. ამას მოჰყვება საყოველთაოდ ცნობილი 24-ე სტროფი; „თამარ წყნარი“; 25-ე სტროფში ზმურად არის გამოჩარხული სახელი თ ა მ ა რ: „მან ცათა მარის, მანცა თამარის“; 26-ე სტროფში ასევე ზმით არის გამოხატული თ ა მ ა რ: „სხვა მნათობ თ ა

მ ა რ თ“; 62-ე სტროფშიც თამარი სახელდებით არის ნახსენები; სახელდებითვეა დედოფალი ნახსენები 74-ე სტროფში, ოღონდ აქ განმარტებულია, რომ ის არის იესეს ძირზე აღმოცენებული აბრაჰამის ასული; მე-80 სტროფში თამარი სახელითაა წარმოდგენილი; 88-ე სტროფში თამარი არის ისევ იესიანი; 90-ე სტროფი იმითაა გამოსარჩევი, რომ აქ ცოლ-ქმარი ერთადაა ნახსენები. ავტორი თამარს ეუბნება: „გტრფიალობს ლომი, აბესალომი“, რომელიც ეფრემიანიაო; 96-ე სტროფში ისევ თამარია სახელდებით ნახსენები, ოღონდ აქ თამარი არის „ცხებული“; სხვათა შორის, თვით თამარ მეფე საკუთარ ლექსში „ცასა ცათასა“ საგანგებოდ გახაზავს თავის „ცხებულობას“, რაც დავით სოსლანს არა აქვს, ხოლო იქვე მიუთითებს, რომ მისი ქმარი და სარდალი არის ეფრემიანი: „ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან“ (ქართული მწერლობა, 3, 379).

ახლა შევათვალიეროთ დავით სოსლანის ეპითეტები.

დავით სოსლანი პირველად ნახსენებია მე-8 სტროფში, ოღონდ არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც თამარის მეუღლე. ამასთანავე, საგანგებოდ ხაზგასმულია მისი ეფრემიანობა: „ეფრემის ძირთა აღმორჩებულად“; კიდევ ერთხელაა დავითი ნახსენები უპირობოდ (მე-10 სტროფი); ამის შემდეგ მე-14 სტროფში სოსლანი დავით ებრაელთა მეფის მიმბაძველია; შემდეგ 33-ე სტროფშია ნახსენები, როგორც მეომარი. იგი ისევ ეფრემის ძირის კაცად არის გამოყვანილი 35-ე სტროფში; 36-ე სტროფში მას ორი სიკეთე ერთდროულად მიეწერება – დავითი ყოფილა მარჯვე მოქამანდე და ღაშას მამა; 67-ე სტროფში დავითის სახელი არა ჩანს, ოღონდ ავტორი მას უხსენებს ეფრემის ძირს; 68-ე სტროფში სოსლანი სახელდებით არის ნახსენები; 71-ე სტროფში შექებულია დავითი, ვინც „ბობქარი გოდებად“ დასვა; 90-ე სტროფში, როგორც ითქვა, თამართან ერთადაა მოხსენიებული. თამარს ავტორი ეუბნება: გტრფიალობს ლომი აბესალომი, ვინც ეფრე-

მიანიაო; მე-100 სტროფში ისევ დავითია შექმნილი და განმარტებულია, რომ ის გახლავთ ეფრემიანი.

როგორცა ვნახეთ, თამარი ნახსენებია ან იგულისხმება დაახლოებით 18-ჯერ, სოსლანი – 11-ჯერ, ოღონდ მეორე პლანზე.

ეს არის ფაქტობრივი ვითარების ასახვა: თამარი ითვლება მეფედ, სოსლანი – თანამეფედ, სწორედ ისე, როგორც არაბეთში თინათინ მეფის ქმარი ავთანდილი; თამარი წარმოჩენილია ღვთის მიერ ცხებულად, სოსლანი – კაცთა მიერ ამორჩეულ მეფედ; თამარი და ლაშა-გიორგი პირველწოდების ძირიდან მოდიან: ისინი არიან ვახტანგიან-იესიან-დავითიანები, ხოლო სოსლანი – ვახტანგიან-ეფრემიანი, რაც მეორე წოდების ძირს მოასწავებს.

ახლა ამ ასპექტით გავსინჯოთ ე. წ. „აბდულმესიანი“. არიან კი ამ თხზულებაში თამარი და დავითი ასევე გარჩეულად წარმოდგენილნი?

ხოტბის საგანი არის ძირით იესიანი (სტროფი მე-16); ხოტბის ობიექტი არის გორგასლიანი, დავითიანი (სტროფი 31-ე), რაც გამორიცხავს სოსლანს, რამეთუ იგი ეფრემიანია; შემდეგ საინტერესოა 51-ე სტროფი. აქ ხოტბის ობიექტი არის „ნერგი სვიანი, დავითიანი“.

მაშასადამე, ხოტბის ობიექტი არის ძირით იესიანი, გორგასალ-დავითიანი, ისევე დავითიანი.

ამრიგად, ეფრემიანი დავით სოსლანი არსად არის ნახსენები.

ასე რომ, დგინდება: ხოტბის ობიექტებიდან უნდა გამოირიცხოს ლაშა-გიორგი, რადგან იგი ნახსენებაც არ არის (არც ირიბად, არც პირდაპირ); ასევე უნდა გამოირიცხოს დავით სოსლანი, რომელიც ეფრემიანია. აქ კი ეფრემიანი საერთოდ არავინ არის ნახსენები.

დაგვრჩა ხოტბის ერთადერთი ობიექტი – თამარ მეფე.

ახლა ვნახოთ, რა უშლის ხელს თამარს, რომ იყოს ამ ხოტბის საგანი.

საქმე ისაა, რომ აქ მოხმობილი ზოგი ეპითეტი ისეთია, შეიძლება კაცსაც მიეწეროს და ქალსაც, ოღონდ უმრავლესთ უმრავლესი ისეთია, ვერაფრისდიდებით ვერ მიეწერება მანდილოსანს, მდედრს.

დავიწყოთ თავიდან.

შესავალ სამ სტროფში ისეთი ეპითეტებია, ქალსაც შეეფერება და მამაკაცსაც. პირველ თავში კი არის წყება ეპითეტებისა, რაც გამორიცხავს ხოტბის ობიექტად თამარის ყოფნას. მე-4 სტროფში ეს მეფე და გმირი, თურმე, ყოფილა „მხნე, ღმობიერი, ძლიერი“, „ორგულთ განმგმირი“. მხნე ქალიც შეიძლება იყოს, ასევე იყოს ღმობიერიც, ქველიც, ოღონდ „ძლიერი“ მდედრის ეპითეტი არაა. ასევე მდედრის ეპითეტად არ მიგვაჩნია „ორგულთ განმგმირი“, მაგრამ უფრო უარესი სხვაა. ეს სტროფი ასე სრულდება: „ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი“. რა თქმა უნდა, აქ უეჭველად მამაკაცი იგულისხმება. არვის

უწოდებია თამარისათვის მოედანზე მოასპარეზე მხედარი. ამ მხრივ საგულისხმოა მე-11 სტროფი. დღევანდელ ნაბეჭდ ტექსტშია: „თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა“. მგონია, ნამეტანია ქალისათვის ეპითეტი „სისხლ-მჩქეფე“, მაგრამ მთლად შეუძლებელიც არაა, ოღონდ იქვეა ამგვარი გაგრძელება: „სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა“. ეს კი მხოლოდ მამრის ეპითეტია. შემდეგ იქვეა: „თვით ახოვანსა, მტერთ ესაროსა“. ეჭვი არაა, ეს მამაკაცია.

მაინც შეიძლება, ამ ეპითეტებზეც ვინმემ დაგა დაიწყოს, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ქალის მთასთან შედარება ნაზი და სათუთი არსების ქება კი აღარ გამოდის, არამედ – ძაგება, გინება, ხოლო მამრისათვის ეგ დიდი ხოტბაა: „მთა ვერად სწორავს არარატისა“ (სტროფი მე-13).

მართალია, „მხედარი ღმრთისა“ კაციც შეიძლება იყოს და ქალიც, ოღონდ უხერხულია მდებრმა „განაქიქოს“ თავისი ძლიერებითა უთურთი, საამი, ზაალი, სალიმი და

თური. კიდევ მეტად შეუძლებელია თამარს ავტორმა შეუდაროს „შაჰნამეს“ გმირი როსტომი: „როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა?“

ვერც ის გამოვიდოდა გემოვნებიანი ნათქვამი, რომ ქალი მეფე „არს მიწყივ შვეებით და განცხრომითა“ (მე-18); ასევე შეუსაბამოა თამარს ვჭვრეტდეთ „მხედრად ქველობით, უძლეველობით“ და თითქოსდა მას მუდამ მზად ჰქონდეს „მშვილდთა მაზრაკა“ (მე-19 სტროფი); ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ქალი ძველად შეედარებინათ ლომისათვის, ბერწოვნების სიმბოლოსთვის, მით უფრო თამარი, რომელიც დიდხანს ელოდა შვილს და, როგორც იქნა, ეღირსა კიდევ: „აწ ესე ლომი“ (21-ე სტროფი). ლომთან ხოტბის ობიექტი სხვაგანაც არის შედარებული: „შერისხდა ლომი“ (30-ე სტროფი); მესამეგანაც შესადარებლად ლომია გამოყენებული; „ლომისა მსგავსი“ (მე-100 სტროფი). სინამდვილეში ლომი მხოლოდ მამრის მეტაფორაა მთელს

ქართულ ლიტერატურაში. ქალი შეიძლება შეედაროს ვეფხვს.

27-ე სტროფში ხოტბის საგანი აღჭურვილია „ჩაფხუტ-ჯაჭვ-ჭურით, ოროლითურთით“ და იქვეა განმარტებული, რომ იგი მამაკაცია: „ისაკებრ პირმშობ“. ეგ ნიშნავს: ისაკის მსგავსად პირველი შვილი ხარ მშობლისაო; შეიძლება ქალზეც ითქვას, „შემუსრავს ბა-აღს“ (28-ე სტროფი), ოღონდ არ ივარგებს, ვთქვათ: „მხედრობს ჰუნესა“, არც „მეხებრ ერია“, არცა „რაზმნი შეიქმნეს სულ-დაღეული“ (29-ე სტროფი). ქალმა ტარიელივით როგორ უნდა მიაწვინოს მთელი მეწინავე რაზმი მტრისა? ან კიდევ, ვით უნდა „იხმარნის მკლავნი, ხაფად მომკლავნი“. ხაფი ხმა ხომ როსტომს, ზურაბს, ტარიელსა ჰქონდათ? ქალს, აბა, სად ძაღუძს, ისე მოიქცეს, რომ „მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი“ (30-ე სტროფი); ასევე შეუძლებელია, მდედრს ჰქონდეს „ხმა როსტომითა უმხნე“ (31-ე სტროფი); რანაირად არის, რომ ქალი „გამოსცდიდა ლომისა მკლავთა“ (33-ე სტროფი);

ან კიდევ „აბჯარ-ხმალითა“ (34-ე სტროფი) იბრძოდა განა?!

ყველა სამამაკაცო ეპითეტს ვერ გამოვეკიდები, ოღონდ ზოგიერთი მაინც უნდა ამოვწერო. განა პოეტი ასე შეამკობდა სახოტბო ქალს: „მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი“ გაქვსო (36-ე სტროფი); ან კიდევ განა ქალი მეფე, ისიც „თამარ წყნარი“, ერეკლე კეისარსა ჰგავს, ვინც სპარსელი შაჰი ხოსრო შეიპყრო? (38-ე სტროფი). ისევ მეორდება ნათქვამი, რომ ხოტბის ობიექტი მხედარია, ჰიპოდრომის ხშირი სტუმარიაო: „იპოდრომისა განხმულობანი“ (39-ე სტროფი); ხოტბის საგანი „იოსებს თვალად, დიდ სამფსონს ძალად“ ჰგავსო და „ნებროთსაც სჯობსო“ (46-ე სტროფი); ერთგან იგი შედარებულია შავტაიჭოსან ტარიელთან: „მორბედად შავსა ტაიჭზე ზისა“ (49-ე სტროფი). გარდა იმისა, რომ აქ „ვეფხისტყაოსნის“ სახის დამოწმებაა, საგულისხმოა ფორმა „ტაიჭზე ზისა“. ეს XVII-XVIII საუკუნეების ფორმაა. XII საუკუნეში იტყოდნენ – „ტაიჭსა ზისა“. შევადართო

„გეფხისტყაოსნის“ შესაბამისი სიტუაცია და გრამატიკული ფორმა: „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა“; „ტაიჭსა არაბულსა“; „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“; „ახლო მყოფი სიკვდილსა ჯდა“; „კოშკს ჯდის“; „მთვარე უჯდა კიდობანსა“; „იგი მზე უჯდა კუბოსა“; „გვერდსავე გიჯდეს“; „ტახტსა მჯდომელი“.

გხედავთ: XII საუკუნის ძეგლში სადაობით ბრუნვას ჯერ კიდევ არა სჭირდება „ზე“ თანდებული. სრულიად საკმარისია მიცემითი ბრუნვის ფორმაც. „ზე“ თანდებულის გამოყენება, საერთოდ შეხორცებულ თანდებულიანი ფორმები, გვიანდელია. ამგვარად XVII-XVIII საუკუნეებში მეტყველებდნენ.

ასევე თამარი ვერ იქნებოდა „მძლელ მორკინალი“ (55-ე სტროფი); უკვე ითქვა: კულტურული პოეტი მეფე-ქალს ვერ ეტყვის, „მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა“ – ეტნის მთასა ჰგავხარო. ეს შეურაცხყოფა იქნებოდა. სხვაგან ქების ობიექტი არის „მთა შეუძვრელი, კლდე შემმუსვრელი“ (62-ე სტროფი); „მამა ობოლთა“ (63-ე სტროფი) კაციც შეიძ-

ლება იყოს და ქალიც, რადგან პირობითი ტერმინია, ოღონდ ქალი ვერ შეამკოს „მკლავმან ძლიერმან“ (70-ე სტროფი); კიდევ მეტი, სრული უგემოვნება იქნება, ნაზ ქალბატონს უთხრა, რომ ის არის „ქრისტესთვის მოხვეი თვისთა ოფლისა“ (71-ე სტროფი); ნუთუ მდევრმა ხელთ „დროშა მოიგდო“ და „მტერნი დახოცნის აოხრებითა“, ნუთუ „მედგრად იბრძოდის გამწყაზრებითა“, ასევე „აბჯართ ახდითა გამეხებული? (75-ე სტროფი). ასე აბჯარახდილი ხომ გიორგი სააკაძე იბრძვის ცნობილ ფილმში? კაცისაა ეგ ეპითეტებიც: „გმირო, ქველო-და“ (95-ე სტროფი) და „გალაღებულო, გალომებულო, კვლა გოლიათო“ (97-ე სტროფი); უთუოდ კაცია ის, ვინც „ნესტორებ მძლეობს“, ვინც არ ჰგავს დიმიტრის მიერ ძალაშეზღუდულ ლეოს (98-ე სტროფი).

ამრიგად, სრულიად გამოირიცხა თამარ მეფე, რომელიც, თუმცა კი არის ვახტანგიან-იესიან-დავითიანი, ოღონდ იმის გამო, რომ მისი სახელი სახელდებით არსადა ჩანს, ხო-

ლო ეპითეტები აშკარად მამაკაცს გულისხმობენ, წარმოუდგენელია ხოტბა ამ მეფე-ქალს მიემართებოდეს.

დაგვრჩა ერთადერთი გზა: ქების ობიექტად ვაღიაროთ ვახტანგიან-იესიან-დავითიანი ბაგრატიონი არჩილ მეფე, ხოლო მისი საქვბელი პოემის ავტორად – მისივე თანამედროვე, XVII საუკუნის მოღვაწე მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი. მაშინ გასაგები ხდება ზოგიერთი სხვა რამეც. კერძოდ, ხოტბაში არის რამდენიმე ისეთი ეპითეტი, რომლებიც აშკარად არჩილ მეფის სახეს გვიხატავს.

„სოგრატისებრ სწავლით გებუღსა“ (მე-2 სტროფი) სწორედ რომ ფრიად განსწავლულ არჩილ ბაგრატიონზეა ზედგამოჭრილი. აქ მას ვერც თამარი შეედრება, მით უფრო – ვერც სოსლანი, ხოლო მცირეწლოვანი ლაშა-გიორგი ხომ ვერ შეედრება და ვერა! მით უფრო, რომ არც ერთი ამათგანის სახელიც კი არაა მოხსენიებული ქმნილებაში. ასევე „რიტორი“ (მე-4) ვერ იქნება ვერც თამარი, მით უფრო, ვერც სოსლანი; სწორედ არჩილი

გახლდათ მისი მონებისათვის სჯულმდებელ-
კანონმდებელი, რომელიც „გვამცნებს სრუ-
ლებით ღმრთისა სრულებით ჩვენთვის მარ-
ტივად სჯულისმდებელი“ (45-ე); იობივით
მომთმენი, როგორც ეპითეტი, შეუფერებელია
თამარის ან სოსლანისათვის. არჩილს კი
სწორედ რომ შეეფერება (51-ე); განსაკუთრე-
ბით შეესატყვისება პირველ ქართველ განმა-
ნათლებელსა და დიდაქტიკოსს, ბიბლიურ
წიგნთა ღრმად მცოდნესა და გამომცემელს
ასეთი სიტყვები: „ბანაკად საღმრთოდ, ერ სა-
ზეპუროდ ხარ ღმრთისმეტყველთა მათ ჭურ-
ვილთაგან“ (52-ე); სწორედ არჩილს შეესატყ-
ვისება ეს ტაეპები: „უთქვამთ ებელთა მეძიე-
ბელთა შენთვის პროკლეს და იამვლიხოსა:
„არვეთა ვსებით არ ვეთავსებით სიბრძნისა
ზღვასა არჩილ-პირმშოსა!“ (53-ე).

ყოვლად შეუსაბამოა ეს სიტყვები თამა-
რისათვის, მით უფრო დავით სოსლანისათ-
ვის. ვერც ერთზე ვერ იტყვიან ფილოსოფო-
სები პროკლე დიადოხოსი და იამვლიხოსი,
რომ ჩვენ სიბრძნის ზღვა თამარს (გინდა

სოსლანს) ვერ შევეზომებითო! თანაც ყურადღება მიაქციეთ: აქ ჩამოთვლილია კაცი მოაზროვნენი და მათ შორის კაცი არჩილი უფრო ბუნებრივად ჯდება, ვიდრე დავით რექტორის ხელით არჩილის ნაცვლად ჩაწერილი „თამარ-პირმშოსა“; მით უფრო, რომ მომდევნო სტროფში გრძელდება ამ „სიბრძნის ზღვის“ ქება და ახლა იგი არის „მძლედ მორკინალი“ (55-ე).

აქვე საგულისხმოა შემდეგი გარემოება:

სპეციფიკური პოეტური სახე „არგეთა ვსებით არ ვეთავსებით“ ისე მოსწონებია არჩილ მეორეს, იაკობ შემოქმედელის ხოტბის საგანს, რომ თავისი „მკობარის“ ეს გამოთქმა მასაც გამოუყენებია. კიდევ ერთხელ შევათვალიეროთ იაკობის მიმართვა არჩილისადმი: ევბეელ ფილოსოფოს-მაძიებლებს პროკლე დიადოხოსსა და იამვლიქოსს სწორედ შენზე უთქვამთ: არჩილს სიბრძნით ჩვენ ვერ შევეზომებით, ვერ შევედარებით.

არგეთა ვსებით არ ვეთავსებით

სიბრძნისა ზღვასა არჩილ-პირმშოსა.

აქ საინტერესოა ცნობილი ფილოსოფოსის სახელი იამვლიქოსი, რომელიც ქართულად გამოითქმებოდა ნაირგვარად: ასეც – იამბლიქე და ასეც – იამბრე. არჩილ მეფე, იყენებს რა თავისი „მკობარის“ პოეტურ ნათქვამს, იამვლიქოსს მოიხსენიებს ასე – იამბრე, ხოლო სახეს არ ვეთავსებთ არ ვეთავსებთ ამავე თანამიმდევრობით გვთავაზობს. მაშ, სამივე ეს სიტყვა იაკობისეული თანამიმდევრობით მოუმარჯვებია არჩილს „თეიმურაზ-რუსთველის გაბაასებაში“:

**იანესა და იამბრეს, ევსებო
კვლავ სავსებასი. (188, 4).**

გვაქვს თუ არა იმის ისტორიული მონაცემი, რომ ი. დუმბაძე იცნობდა და ნამდვილად იყენებდა იამვლიქოს-იამბრეს ავტორიტეტს?

გვაქვს.

ამ მხრივ პირდაპირ სენსაციურ ცნობას იძლევა მისი უდავო ნაშრომი „გაბაასება“. იქ

ი. დუმბაძე არა ერთხელ, არამედ ორჯერ იმოწმებს ი ა მ ბ რ ე ს და მსჯელობს მასზე:

**ეშმაკის ხერხელთ ნაშობი ი ა მ ბ რ ე ს
სიცილს ზაკვიდა (91,4).**

**იაფეთ დასცნა ი ა ნ ბ რ ე თ ფარაოს
ბილწნი მოძღვარნი (191,4).**

ვფიქრობ, ესეც იმის დამხმარე საბუთია, რომ ზემორე დამოწმებულ 53-ე სტროფში იაკობ დუმბაძე სწორედ არჩილ-პირმშოს გვიხატავს.

არჩილი „პირმშოდ“ (პირველ შვილად) უფრო ადრეც არის გამოყვანილი, კერძოდ, 27-ე სტროფში.

არჩილის ქუთაისში პირველად გამეფებისას (1661-1663) გელათში მოღვაწეობდა მიტროპოლიტი მელქისედეკი. სწორედ მან აკურთხა იმერეთის ტახტზე ასული ახალგაზრდა მონარქი. ამიტომაც ამბობს იაკობ დუმბაძე:

**ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ,
მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ლოცვით
ზედა-მთით (27,3).**

აქ იაკობი სიმართლეს დადადებს – არჩილი იყო ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის უფროსი და სასურველი შვილი. უმცროსი იყო ლუარსაბი. „ისაკებრ პირმშობ“ ნიშნავს: როგორც აბრაამი და სარა ელოდნენ სასურველ, ღვთისაგან აღთქმულ პირმშო ისაკს, ისე შენც შენს მშობლებს ისაკის მსგავსად პირმშო, უპირველესი, უმთავრესი შვილი ეყოლეო.

როგორცა ვხედავთ, 27-ე და 53-ე სტროფები მხარს უჭერენ ერთმანეთს და ამბობენ სიმართლეს: არჩილი გახლდათ ვახტანგ მეხუთის პირმშო შვილი, რომელიც იმერეთის ტახტზე გელათის მიტროპოლიტმა მელქისედეკმა აკურთხა.

ამავე დროს, აქვე უნდა დავსძინო: ქების ობიექტს ავტორი, იაკობ შემოქმედელი, ამკობს ისეთი სპეციფიკური გამოთქმებითაც, რაც ოდენ მისთვის არის დამახასიათებელი და რაც ავტორის უდავო ქმნილებებშიც (ქრისტიან-მაჰმადიანთა გაბაასება, არჩილის ერთსტროფიანი ქება) მოუმარჯვებია. ეს სპეციფიკური თქმებია: იაკობის ფიქრით, არჩი-

ლი არის „სწავლის ებგური... სიბრძნის უფსკრული, ენა-რიტორი“ (59-ე).

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ერთობ სპეციფიკურ გამოთქმაზე ს ი ბ რ ძ ნ ი ს ე ბ გ უ რ ი.

ბიბლიურ წიგნებში ნახმარი (იერემ. 31-21; ეზეკ. 3-17; 4 მეფეთა 9-17) ეგ კოლორიტული ცნება ე ბ გ უ რ ი მე-17 საუკუნემდე არ მოუმარჯვებია არც ერთ მწერალს, გარდა ბასილი ეზოსმოდვრისა (XII ს.). სამაგიეროდ, სიტყვას იყენებს არჩილ მეფე „საქართველოს ზნეობანში“ (86, I); იყენებს მას იაკობ შემოქმედელი თავის ხოტბაშიც, განმარტავს სულხან ორბელიანი.

არც ერთ ეპოქაში ეგ სპეციფიკური ტერმინი ისე აქტიური არ ყოფილა, როგორც XVII საუკუნეში. საგულგებელია, იგი იაკობმა გაააქტიურა.

ე. წ. „აბდულმესიანში“, ანუ, როგორც გაირკვა, იაკობ შემოქმედელის „არჩილ მეფის ქებაში“, სიტყვათა მოულოდნელი გააქტიურების თვალსაზრისით, ერთობ საინტერე-

სოა 58-ე სტროფი. მხედველობაში მაქვს ორი ერთეული – ბ ა ზ ი ყ ა და ყ ა ნ დ ა ა რ ი.

ჩემი ფიქრით, ეს ცნებები XVII საუკუნეში გააქტიურდა. თუ როგორ და რატომ, ქვემოთ მოგახსენებთ.

იოსებ მშვენიერის შესახებ აღმოსავლეთში მრავალი პოემა შეიქმნა. ქართულ სინამდვილეში ცნობილია ორი ვერსია. პირველი განეკუთვნება XVI საუკუნეს. ამ ვერსიაში ჩართულია ბ ა ზ ი ყ ა ს ვრცელი სამიჯნურო ამბავი. მეორე ვერსია ეკუთვნის თეიმურაზ პირველს. მან ქმნილება თარგმნა XVII საუკუნის პირველ ნახევარში. აქაც მოყვანილია ბ ა ზ ი ყ ა ს სატრფიალო სცენები.

როგორც დოქტორმა ბორის დარჩიამ მიუთითა, ე. წ. „აბდულმესიანში“ ბ ა ზ ი ყ ა ს ხსენება იმას ნიშნავს, რომ ხოტბა შექმნილია XVI საუკუნის შემდეგ. უფრო ზუსტად კი მე-17 საუკუნეში და მისი ავტორია იაკობ შემოქმედელი მიტროპოლიტი. მაშასადამე, ამ

ქებას შავთელის „აბდულმესიანთან“ არავითარი კავშირი არა აქვს.

მეორე სიტყვაც – ყ ა ნ დ ა ა რ ი – მე-17 საუკუნის შუა ხანებში გააქტიურებულ სიტყვად მიგვაჩნია ბ ა ზ ი ყ ა ს მსგავსად. საქმე ისაა, რომ საქართველო ამ დროს ირანის სახარაჯო ქვეყნად მოიაზრებოდა. ირანში მომხდარი სიახლეები და მოვლენები მყისვე გახშიანდებოდა ხოლმე დომინიონ ქვეყანაში. რა მოხდა XVII საუკუნის შუა ხანის ირანში ისეთი, რამაც ერთობ გაააქტიურა სიტყვა ყ ა ნ დ ა ა რ ი?

საქმე ისაა, რომ სწორედ ამ ხანებში ეს მხარე ირანმა დაიპყრო და თავის საზღვრებში მოაქცია. ყანდაარის ომებში ირანელ შაჰებს არაერთი ქართველი თან ახლდა, ახლდნენ ქართველი მეფეები და უფლისწულებიც. ცოტა მოგვიანებით, მაგალითად, ამ მხარეში პატიმრად ჰყოლიათ თეიმურაზ მეორე. იგი თავის „დღისა და ღამის გაბაასებაში“ მიუთითებს: „ვიყავი ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულთა ღხინობითო“. ქირმანსა და ყანდა-

არში ჰყავდა გადასახლებული შაჰს ვახტანგ მეექვსეც.

მაშასადამე, ჩემი ფიქრით, მითითებულ სტროფში რომ ეგ ორი სიტყვა ასე აქტიურ როლს ასრულებს, მოიარებით იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იაკობ შემოქმედელის დროს ისინი აქტიურად გამოიყენებოდა. მათ გააქტიურებას ერთობ შეუწყო ხელი თეიმურაზ პირველმა, რის შესახებაც ქვემოთ ვიტყვი. მაშ, ამ სიტყვათა გააქტიურების თვალსაზრისითაც, არჩილის ქება დაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნეში.

გარდა ამისა, ავტორი იყენებს მხატვრულ ფიგურას, რაც იოსებ ტფილელთან გასაუბრებაში უკვე გამოიყენა. ის არჩილს ასე მიმართავს:

**მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი (63).**

„წერილი“ აქ ბიბლიას ნიშნავს. ბიბლიის განმმარტებლად არც თამარია ცნობილი, მით უფრო არც დავით სოსლანი. ასეთი სწორედ

არჩილი გახლდათ. აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას: „თამარიანში“ თამარი შექმებულია ორი ასპექტით: ა) ის არის მშვენიერი, უღამაზესი, ღვთაებრივი არსება და ბ) არის ძლიერი ხელმწიფე, მამაკაც მეფეებზე აღმატებული მონარქი; ოღონდ საგანგებოდ არსად არის პედალირებული მისი სიბრძნე, ხოლო საღვთო წერილის განმმარტებლად და „მეცნიერად“ საერთოდ არაა ნახსენები.

იგივე ითქმის დავით სოსლანზე. ის შექმებულია ორი ასპექტით: ა) არის ძლიერი მეომარი (მრავალთა დამმონებელი), მოყვანილია არაერთი საღვთგმირო-მეომრული ეპითეტი და ბ) შექმებულია, როგორც ლაშა-გიორგის „შემოქმედი“, მემკვიდრის მამა; საგანგებოდ არსად არის ხაზგასმული მისი სიბრძნე, მით უფრო „საღვთო წერილის“ მცოდნეობა და „მეცნიერობა“.

ესეც გვაფიქრებინებს, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ გმირი არჩილ ბაგრატიონია – უდიდესი განმანათლებელი, თეოლოგი და საღვთო სჯულის „მეცნიერი“.

იაკობის სპეციფიკური ტერმინოლოგია, რომელიც მან არაერთგზის გამოიყენა მაჰამადიანთა და ქრისტიანთა გაბაასებაში, იკვეთება ამ ტაეპშიც:

თვით მეზღაპრესა, ცუდ ფელამბრესა (82).

გამოთქმა „ფელამბრის მეზღაპრეობას“ იაკობისეული ტვიფარი ადევს ზედ, რადგან ეს არის მიტროპოლიტის სამუშაო ტერმინი მაჰამადიანთა და ქრისტიანთა გაბაასებაში.

არჩილისადმი იაკობის დამოკიდებულების აშკარა მაცნეა ესეგვარი გამოთქმაც:

თ ვ ი თ მ ე ც ნ ი ე რ ო, მეფევე ძლიერო (97).

აქ იგულისხმება, რომ ავტორი (იაკობი) თავის თავს მიიჩნევს საღვთო წიგნების ღრმად მცოდნედ, „მეცნიერად“ და, თუ ამგვარ სხვა კაცსაც დალანდავს, ჩვეულებრივ ამგვარად მიმართავს მას – „თვით მეცნიერო“.

სხვათა შორის, ზუსტად ასე მიმართა იოსებ თბილელს, მასავით მიტროპოლიტს, როცა იმან რაღაც ბიბლიური გამოთქმის ახსნა-განმარტება სთხოვა:

**თ ვ ი თ მ ც ნ ო ბ ს ა ცნობა გებრძანა,
რას გკადრებ მე, უცნობელი?!**

სპეციფიკურია მომდევნო ვითარებაც. იაკობი არჩილ მეფეს ასე მიმართავს:

მე – მონა შენი, მე – მონაშენი.

საგულისხმოა, რომ რითმას „მონაშენი“ (აშენებულ-გაკეთებულის, გამრავლებულის, მონაშენების გაგებით) იყენებს არჩილიც. ეჭვი არაა: არჩილი პოეტურ სახეს მისი „მკობარისაგან“ სესხულობს.

XVII საუკუნის ავტორის, იაკობ ღუმბაძის, ტვიფარს გვიცხადებს თვით ის სტილისტურ-ენობრივი შეცდომა, რომელიც შემოქმედელს მოსდის.

XII საუკუნეში სპარსულიდან ახალშემოსული იყო არაბული სიტყვა „აბჯარი“ და მან ყველამ კარგად უწყოდა მისი შინაარსი – იგი აღნიშნავდა შ ე მ ტ ე ვ და დ ა მ ც ა ვ იარაღს ერთდროულად. ამგვარ გაგებას ვაწყდებით „ვეფხისტყაოსანში“. შეადარეთ ერთმანეთს: „ტანსა აბჯარ-ცმულობა“, მაგრამ იქვეა „ხელთა აიღეთ აბჯარი“; „სრული აბჯარი საკაცო“ უდრიდა დამცავ და შემტევ იარაღს ერთად; სხვაგან: „ჩაიცვა ტანსა აბჯარი“; „გამოქვაბულში ტარიელმა და ავთანდილმა „პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი“; „ხელთა აქვთ მათ აბჯარია“. იქვეა „მაღვით ჩაიცმენ აბჯარსა“.

ყველაფერი ნათელია – რუსთველის ეპოქაში აბჯარი გულისხმობდა ორივე ტიპის იარაღს – შემტევსაც და დამცავსაც, ხმალშუბსაც და ჯაჭვ-პერანგსაც.

XVII-XVIII საუკუნეებში სიტყვა „აბჯარმა“ თანდათან დაკარგა ეს ფართო გაგება და დავიწროვდა. ახლა „აბჯრად“ ძირითადად მიიჩნევენ დამცველ იარაღს. ეს ტენდენცია

კიდევაც გამოიკვეთა სულხან ორბელიანის ლექსიკონში. საბა განმარტავს: „აბჯარი – ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა და უფროისად საცვამთა ჯაჭვთა“ (ლექსიკონი ქართული, I, 1991, გვ. 38).

იაკობ შემოქმედელსაც აბჯარი ესმის ახალი, დავიწროებული, გაგებით. იგი მისთვის, უწინარეს ყოვლისა, დამცავი იარაღია. ამიტომაც მოსდის „იაღლიში“ და გვიწერს: არჩილ მეფეო „აბჯარ-ხრმალითა, ვეფხებრ მკრჩხალითა მეს ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი“ (34-ე სტროფი).

მაშასადამე, ავტორი ტოლად შერწყმულ კომპოზიტად გვიწერს „აბჯარ-ხმალს“, რადგანაც მისთვის აბჯრის ძველი, საზოგადო, გაგება აღარ არსებობს. იგი აბჯრად მხოლოდ დამცავ იარაღს გულისხმობს. სხვა შემთხვევაში აბჯარ-ხმალს კი არ დაწერდა, არამედ მხოლოდ აბჯარს, რადგან იგი XII საუკუნეში ხმალსაც გულისხმობდა და შუბსაც.

ამრიგად, ე. წ. „აბდულმესიანი“, რომელ-
შიც ეპიკური გმირის აბდულ მესიას სახელი
ნახსენებიც არ არის, არ გახლავთ შავთელის
ქმნილება. ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი
მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელის ნაწარ-
მოებია და მისი ნამდვილი სახელია „არჩილ
მეფის ქება“.

დიდი საიდუმლოს გასაღები

ბევრი ცნობილი მწერალ-მწიგნობარი მიიჩნევდა, რომ შავთელის „აბდულმესიანი“ რუსთველის ქმნილებაზე უწინარეს არის შეთხზული. ამიტომ შემთხვევითი როდია, იგი შეტანილია „ქართული მწერლობის“ მესამე ტომში, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ – მეოთხეში. უფრო მეტიც. ჩახრუხადის „თამარიანზე“ ადრე დაწერილადაც კი მიაჩნდათ. ამ მიზეზით ხსენებულ მესამე ტომში ჯერ „აბდულმესიანია“ დასტამბული, შემდგომ – „თამარიანი“.

აქვე შევნიშნავ:

ბევრი სერიოზული მკვლევარი „აბდულმესიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებში არაერთ მსგავს სპეციფიკურ გამოთქმასა და ხატოვან სახეს სამართლიანად ხედავდა. ისინი ერთხმად დაასკვნიდნენ: რუსთველს უსარგებლია მისი წინამორბედი მგოსნის სახეებით. მართალია, რუსთველის პარადიგმული თქმები ასწილ უკეთესია, უფრო მაღალესთე-

ტიკურია, ოღონდ ამას ბუნებრივად მიიჩნევდნენ: უფრო ძლიერმა პოეტმა სათქმელი უკეთესად გამოხატაო. ამგვარ მაგალითს თვითონ დავასახელებ: ვახტანგ მეექვსის ბევრი პედაგოგიური აფორიზმი გურამიშვილმა აშკარად უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. ყველას გვახსოვს დავითის შეგონება: „ნუ გენადვლები სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი“, მაგრამ არავის მოაგონდება ამ უკუდავი ფრაზის წინამორბედი.

ამ რამდენიმე წლის წინათ დოქტორმა ბორის დარჩიამ „მოულოდნელად“ მოიწადინა ქართულ ლიტერატურაში დიდი როქის გაკეთება. მან გამოაცხადა, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ ეკუთვნის XVII საუკუნის ცნობილ მწერალს მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძეს, ხოლო შავთელის „აბდულმესიანი“ დაკარგულიაო. მკვლევარმა ვრცელი სტატიების მთელი სერია უკვე გამოაქვეყნა, ხოლო მალე გამოვა მისი ფუნდამენტური ნაშრომი აღნიშნულ პრობლემაზე. წიგნის რედაქტორი მე გახლავართ. ამ სარედაქციო საქმიანობის პროცეს-

ში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სენსაციურმა ფაქტმა. ვფიქრობ, მივაგენი დიდი საიდუმლოს ერთ გასაღებს. ჩემი ფიქრით, ე. წ. „აბდულმესიანში“ პირდაპირ და უთუმცაოდ დამოწმებულია თვით „ვეფხისტყაოსანი“. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ არათუ „თამარიანის“, თვით „ვეფხისტყაოსნის“ მერე არის შექმნილი. გენიალური პოემა კი დაწერილია 1205-1207 წლებში.

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი სცენა: სამი წლის ჯახირისა და ვარამის შემდეგ ავთანდილი არაბეთში დაბრუნდა და „უცხო“ და საკვირველი მოყმის სასურველი ამბავი მოიტანა. როსტევან მეფე და თინათინი ორკერძ გახარებული დარჩნენ: ჯერ ერთი, სპასპეტი სახიფათო მოგზაურობიდან სად-საღამათი დაბრუნდა და, მეორეც, მათთვის საინტერესო ამბავიც მოიტანა. სიხარულისაგან ბევრი მთვრალს დაემსგავსა: „დიდებულთა ჯარისაგან ზოგი ჰგვანდა ვითა მთრვალსა“. როსტვანი და მისი

სახელოვანი გაზრდილი ტახტზე მჯდარ თინათინთან შევიდნენ: „გულ-მხიარულნი, შვებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა“. ჭაბუკი მიესალმა „მზეთა მზე“ თვითმპყრობელს. იმის გამო, რომ სატრფოს წადილი აუსრულა, ავთანდილს პირისახე გაბადროდა: „პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა“. და აქ რუსთველი გვთავაზობს მისთვის ჩვეულ ჰიპერბოლას – ჭაბუკს პირისახე მზესავით ანთებოდა და ამიტომაცაო

სახლ-სამყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა!

გენიალური მხატვრული ფიგურაა: ისე მზესავით უნათობდა პირისახე, ვიწრო ოთახი კი არ შეეფერებოდა დარბაზად, არამედ ცა, სწორედ ისე, როგორც მზესაო.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ე. წ. „აბდულმესიანში“.

68-ე სტროფში შექებულია ხოტბის საგანი, რომელიც, თურმე, არაამქვეყნიური მშვენებისაა, ანგელოზის სახიანია, მეფედ გაჩენილია, ლადია, მხიარული და დიდებული; აღ-

ვის მორჩია, ცისკრის ვარსკვლავია და, რაც მთავარია, მას, თურმე:

**მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მასცამცა
სახლად-სამყოფად განჩინებული.**

არასოდეს არავის ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ზემომოყვანილი რუსთველური ჰიპერბოლა და ეგ გაზვიადება ტყუპისცალებივით მსგავსია, ოღონდ დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება ტაეპის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველი სიტყვისათვის. ეგ სიტყვა მთელი ამ საიდუმლოს გასაღებია. ე. წ. „აბდულმესიანის“ ამ ტაეპში ხდება რუსთველის პოეტური ფიგურის დ ა მ ო წ მ ე ბ ა, ც ი ტ ი რ ე ბ ა. აქ პირდაპირ და არაორაზროვნად წერია: ჩ ე მ ს გ მ ი რ ს ა ც შეეფერება ცა ჰქონდეს სახლ-სამყოფად; ისიც მზესავით ღამაზია და მცირე ოთახი დარბაზად არ ეკადრებაო. მივაქციოთ ყურადღება სიტყვას მ ა ს ც ა მ ც ა. „მცა“ ნაწილაკს ამჯერად თავი დავანებოთ. ტაეპის ზუსტი შინაარსი, არც მეტი, არც ნაკლები,

ესაა: შეეფერება, რომ მ ა ს ა ც ჰქონდეს ცა სახლ-სამყოფად გამოყოფილი. ეჭვი არაა, „მასცა“ აქ ორ პირს უსათუოდ გულისხმობს: ერთია ავთანდილი, მეორე – „აბღულმესიანის“ ხოტბის საგანი. მაშ, როგორც მას (ავთანდილს), ისე არჩილსაცო!

მაშასადამე, „აბღულმესიანის“ ავტორი, ვინც უნდა იყოს იგი, თავისი მხატვრული მიზნისათვის იყენებს წინამორბედი ავტორის მხატვრულ სახეს და იქვე იძლევა უნებლიე მითითებას, რომ იმოწმებს „ვეფხისტყაოსანს“.

მ ა ს ც ა მ ც ა რომ მეორეულია და ბაძვის საგანს (ამ შემთხვევაში ავთანდილს) გულისხმობს, ამას გვიდასტურებს ქმნილების სხვა (პარადიგმული) ადგილი. ამგვარი შედარება იქაც თვალსაჩინოა. 38-ე სტროფში ნათქვამია: სპარსელმა ხოსრო მეფემ ქრისტიანული ჯვარი სპარსეთში გაიტაცა. ერეკლე კეისარმა იგი შეიპყრო, ხოლო ჯვარი უკან დააბრუნა. ხოტბის ავტორი ამ ფაქტს აღნიშნავს და დასძენს – ჩ ე მ ი ხ ო ტ ბ ი ს ს ა

გ ა ნ ი ც უღვთო ადამიანებს ერეკლესებრ დაიფრენს და ოტებულსა ყოფსო.

სოქუთ-და ესეცა: „მსგავსად ე ს ე ც ა უღმრთოთა შეიქმს თვით-ოტებულსა“ (38,3).

როგორცა ვხედავთ, აქაც შედარების იგივე ხერხია გამოყენებული: ე ს ე ც ა გულისხმობს ჯერ ერეკლე კეისარს, შემდგომ – ხოტბის საგანს. სწორედ ისე, როგორც ზემორეულე მ ა ს ც ა მ ც ა გულისხმობს ჯერ ავთანდილს, შემდგომ – ქების ობიექტს.

წერილის დასასრულს მოკრძალებით უნდა მოვუხადო ბოდიში იმ აკადემიკოსებსა და პროფესორებს (მათ შორის ზოგი ჩემი საყვარელი მასწავლებელიცაა), რომელთა თავდაყირა დაყენებული თვალსაზრისი, თითქოსდა რუსთველი იყენებდეს წინამორბედი მოკალმის ნაშრომს, ფეხზე უნდა დავაყენოთ და ამიერიდან ის უნდა ვიკვლიოთ, თუ როგორ გადაუმუშავებია ე. წ. „აბდულმესიანის“ ავტორს რუსთველური სახეები და მხატვრული ფიგურები.

„ვეფხისტყაოსნის“ სახეები
იაკობ ღუმბაძის
„არჩილ მეფის ქებაში“

დიდი ხანია, შემჩნეულია ცალკეულ სახეთა და სპეციფიკურ გამოთქმათა მსგავსება „ვეფხისტყაოსანსა“ და ე. წ. „აბდულმესიანს“ შორის. ეს დამთხვევები აღრიცხეს მ. ჯანაშვილმა, ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ივ. ლოლაშვილმა. რაკი მიჩნეული იყო, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ წინ უსწრებს არათუ შ. რუსთველის ქმნილებას, არამედ თვით ჩახრუხადის „თამარიანს“, აღნიშნულმა მკვლევრებმა თამამად განაცხადეს: რუსთველი შავთელის ხოტბის ზეგავლენას განიცდისო (იხ. ბორის დარჩია, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მიმართება კლასიკური და მომდევნო ხანის მწერლობისადმი“, ჟურნალი „რელიგია“ 1999, №5-6, გვ. 46).

ახლა, როცა გამოვიდა ბორის დარჩიას ვრცელი მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელი“, სადაც დამაჯერებლად არის დამტკიცებული,

რომ ჩვენამდე მოღწეული ე. წ. „აბდულმესიანი“ არ არის შავთელის ოდა, არამედ ეკუთვნის XVII საუკუნის მოღვაწე მიტროპოლიტ დუმბაძეს, ადვილი ხდება, ვუჩვენოთ, თუ როგორ ცდებოდნენ ზემორელე ჩამოთვლილი სახელოვანი პროფესორები და ისიც მკაფიოდ წარმოვისახოთ, თუ რა ცვლილება განუცდია რუსთველის სპეციფიკურ თქმებს უფრო მდარე პოეტის ხელში.

ამ თვალსაზრისით ბორის დარჩიამ საგანგებო შრომაც დაბეჭდა ჯერ კიდევ 1999 წელს („რელიგია“, №5-6, გვ. 54-63). ავტორმა ამ მხრივაც დამაჯერებელი მტკიცებულებანი წარმოადგინა, ოღონდ სიღრმისეულად მხოლოდ ერთი მაგალითი გააანალიზა, სხვებზე კი ზოგადად მიუთითა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კი არ განიცდის ე. წ. „აბდულმესიანის“ ზეგავლენას, არამედ პირიქით.

ბორის დარჩია თვითონვე მიუთითებს: „ნიმუშისათვის გავარჩევთ ერთ საზიარო გამოთქმას, სადაც გარკვევით ჩანს, ვის ეკუთვნის პირველობა“ („რელიგია“, გვ. 59).

საზიარო გამოთქმა, რომელსაც მკვლევარი სიღრმისეულად განიხილავს, შემდეგია: ორივე ქმნილებაში გამოყენებულია სპეციფიკური გამოთქმა – „მტერთა სისხლის მჩქეფე“.

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი ფრიდონს უწოდებს „მტერთა სისხლის მჩქეფეს“, ხოლო ე. წ. „აბდულმესიანში“ ეგ სახე გამოყენებულია სომეხ მეფეთა დასახასიათებლად. აი, ეგ ტაეპები:

**ა) მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა
სისხლისა მჩქეფეო.**

**ბ) სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი,
ღმერთმა არ ღირს-ყენა უფლებათასა.**

ბ. დარჩია სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „მტერთა სისხლისა მჩქეფე“ საქება-რი გამოთქმაა და, თუ ის „ვეფხისტყაოსანში“ კონტექსტს კარგად და ზუსტად შეესაბამება, ე. წ. „აბდულ-მესიანში“ კი აშკარად უხერხულად ჟღერს. ამ უკანასკნელის მთელი სტროფი, თავიდან ბოლომდე, არჩილის გამოთქმა რომ ვიხმართ, „სამხილებელია“, ერეტიკოს-

თა გმობაა... სომხები, საყოველთაოდ ცნობილია, ქართველთა და სომეხთა რელიგიური „განყოფის“ შემდეგ ძველად ჩვენში, ჩვეულებრივ, უარყოფითად მოიხსენებიან. ასევეა ამ სტროფშიაც, ოღონდ სტროფის მეორე ნახევარში: „ღმერთმა არ ღირს-ყვნა უფლებათასა“... ნიშნავს – სომეხთა მეფეები „ღმერთმა მბრძანებლობის ღირსი არ გახადა“. თუ მბრძანებლობა არ შეუძლია, მეფე რაღა მეფეა! ამ შეფასებას, ვიმეორებთ, არ ესადაგება არა მარტო წინ ნათქვამი – „მტერთა სისხლ-მჩქეფენი“, არამედ მთელი სტროფი. ვფიქრობთ, ცხადია, ამ „აბღულ-მესიანად“ მონათლული ხოტბის ავტორის, ანუ იაკობ შემოქმედელის, ცნობიერებაში თვლემდა „გეფხისტყაოსნის“ ეს საკმაოდ ორიგინალური სახე – „მტერთა სისხლის მჩქეფე“ და, როგორც კი რითმამ მოითხოვა, იგი ზედაპირზე ამოტივტივდა, სტრიქონს რითმის მიხედვით კარგად მოერგო, მაგრამ შინაარსობრივად უზადო არ აღმოჩნდა“ (გვ. 60).

მაშასადამე, იაკობი, როგორც რუსთველზე მდარე პოეტი, მაღალ პოეტურ სახეს რამდენადმე აუფერულებს, უფრო დაბალ დონეზე ჩამოჰყავს.

ეს კანონი დასტურდება იაკობის ნამდვილ, უდავო, ქმნილებებში.

ვნახოთ საამრიგო მაგალითები და უშუალოდ ჩვენს საკითხზე მერე გადავიდეთ.

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ იაკობი რუსთველს აქებს, ამბობს: „რუსთველი ვთქვა თავს მელექსედ, მზედ კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ“. შემდეგ დასძენს:

**გრძლად არ გეტყვი, საწყინოა,
შოთამ – ლექსის პატრონისა.**

აქ მეტად მდარედ არის მოხმარებული რუსთველის ცნობილი გენიალური აფორიზმი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

სხვაგან იაკობი ამ რუსთველურ სიბრძნეს ისევ იმეორებს, ოღონდ უფრო მდარე მხატვრული ოსტატობით:

**მოკლედ გეტყვი გრძელს სიტყვასა, არამც
ქონდეს გამწარება.**

მაშასადამე, რუსთველის გენიალური აფორიზმი – „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ – იაკობმა ორგზის გამოიყენა და ორივეჯერ ბევრად უფრო დაბალმხატვრულად:

**ა) გრძლად არ გეტყვი, საწყინოა,
შოთამ – ლექსის პატრონისა.**

**ბ) მოკლედ გეტყვი გრძელს სიტყვასა,
არამც ქონდეს გამწარება.**

არის სხვა შემთხვევაც. რუსთველი ბრძანებს:

**არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა
დაფარულსა.**

იაკობი თავის „გაბაასებაში“ ამ გენიალურ სახეს ასეთი ფორმით წარმოგვიდგენს:

ხელის უყრელი საუნჯე არს ბელიერის ხაზინა;

მაგრამ წყაროს დაბეჭდილსა, საუნჯესა
დაფარულსა,
თუ ვერ შევლით, რას ხელსა ვყრით სამოთხის
კარს დაკრძალულსა.

ეჭვი არაა, იაკობის ხელში უფრო უგერ-
გილოდ აუღერდა რუსთველის უკვდავი ნათქ-
ვამი.

კიდევ ერთი მაგალითი.

რუსთველი კონტექსტისათვის ზუსტად
მორგებულ სახესა ქმნის, როცა წერს:

მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს – ესე ბრძენთა-
გან თქმულია.

იაკობი ამ სახეს ამგვარ ფორმას უძებ-
ნის:

მსგავსნი მსგავსთა ტრფიალობენ, ნათელს ფა-
რავს ქვეყნის მთხრელი.

კიდევ ერთი მაგალითიც „გაბაასებიდან“.
იაკობი მაჰმადიანს ასე მიმართავს:

შენ სიტყვას გესლობ, ღვარძლს სთესავ,

მე გიმკი სულ მარგალიტად (85,4).

რუსთველის პოეტური ფიგურა გვატყობი-
ნებს: ქაჯეთის მეფის მონა თანამგზავრებს

ეუბნება, თქვენ მდარე ამბები გაიხსენეთ, მე უკეთესს ვიტყვიო:

**მე მარგალიტსა მოგიმი,
თქვენ ქვრივი (ფეტვი) დაგითვისია.**

მაშასადამე, ხელთა გვაქვს კანონი: რუს-თველის გენიალურ ფრაზებს იაკობი ბევრად უფრო დაბალმხატვრულად გადმოგვცემს.

ზუსტად ეგ კანონი მოქმედებს ე. წ. „აბდულმესიანშიც“. აქაც რამდენადმე ჩამოქვეითებულია რუსთველისეული მაღალმხატვრული სახეები.

უწინარეს ყოვლისა, დავიწყეთ იმ სახით, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებაა, და რომელსაც მე საგანგებო სტატია ვუძღვენი (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009 წ. №119-122).

სამეფო ოთახში შესულ უზომოდ გახარებულ ავთანდილზე ნათქვამია, პირი მზესავით უბრდღვიალებდა და ამიტომაცაო

**სახლ-სამყოფი არა მართებს,
ცამცა გაიდარბაზესა!**

გენიალური სახეა: ისე მზესავით ანათებდა, სადგომად ვიწრო ოთახი კი არ შეეფერებოდა, არამედ ზეცა, სწორედ ისე, ვითარცა მზესაო.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ე. წ. „აბდულმესიანში“.

68-ე სტროფში შექებულია ხოტბის ობიექტი. იგი, თურმე, არაამქვეყნიური მშვენების მქონეა, ანგელოზია, მეფედ გაჩენილია; ღალი, მხიარული და დიდებულია; ალვის მორჩია, ცისკრის ვარსკვლავია და ამიტომაცაო მას, თურმე,

მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მასცამცა

სახლად-სამყოფად განჩინებული.

ჯერ ერთი, აქ დასტურდება ზემორელე ჩემ მიერ დადგენილი კანონზომიერება: რუსთველის გენიალური მხატვრული ფიგურა იაკობის ხელში უფერულდება, კარგავს ესთეტიკურ ძალმოსილებას, რამდენადმე უადგილოა, უგერგილოა.

ასეა აქაც: თუ რუსთველისათვის ავთანდილი მზეა და ამიტომ ეკუთვნის დარბაზად ზეცა, ე. წ. „აბდულმესიანში“ არჩილ მეფე,

თურმე, ცისკრის ვარსკვლავია და ამიტომ
ეკუთვნის სადგომად ზეცა.

პირველი გენიალურია, მეორე მშვენიე-
რია, ოღონდ რამდენადმე ბუნდოვანი. საქმე
ისაა, რომ ავთანდილი – მზე მხოლოდ ერ-
თია ცაში. ამ დროს სხვა მნათობები აღარ
ჩანან. არჩილ მეფე კი ცისკრის ვარსკვლავია,
რომელსაც ზეცაზე სივრცეს სხვა ვარსკვლა-
ვებიც ეცილებიან.

უფრო მაგარი სხვაა.

აქ იაკობ მიტროპოლიტს ჩვენ „ვიჭერთ“
რუსთველის პოემის, კერძოდ მითითებული
პოეტური ფიგურის, დამოწმებაში, ციტაცია-
ში!

მივაქციოთ ყურადღება სიტყვას მ ა ს ც
ა მ ც ა:

**მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მ ა ს ც ა მ ც ა
სახლად-სამყოფად განჩინებული.**

აქ პირდაპირ და უთუმცაოდ მითითებუ-
ლია: ჩ ე მ ს გ მ ი რ ს ა ც (არჩილსაც) შე-
ეფერება ცა ჰქონდეს სახლ-სამყოფად, სწო-

რედ ისე, როგორც ავთანდილსაო. „მასაც“ აქ უთუოდ ორ გმირს გულისხმობს: ერთია ავთანდილი, მეორე (მეორეული) – არჩილ მეფე.

და აქ დიდებულ სამსახურს გვიწევს იაკობ ღუმბაძის ნამდვილი და უდავო ნაშრომი „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“. აღმოჩნდა, რომ რუსთველის კოლორიტული ტერმინ-ცნება **ს ა ხ ლ-ს ა მ ყ ო ფ ს** იაკობი ხმარობს და იყენებს აღნიშნულ გაბაასებაშიც:

**მოგვცა ს ა ხ ლ-ს ა მ ყ ო ფ-სამკვიდროდ,
ჩვენ შესვლად გვააზატესა.**

ეჭვი აღარ რჩება, სახე-ხატი „სახლ-სამყოფი“ ავტორს გადმოღებული აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“.

რუსთველის ერთი ერთობ პოპულარული და უკვდავი აფორიზმი ასე ჟღერს:

**ქმნა მართლისა სამართლისა ხესა
შეიქმს ხმელსა ნედლად.**

ხოტბის ფორმის შესაბამისად, სადაც პირველი კარედის ათმარცვლიან სიტყვათა

მონაკვეთში „ზედას-ზედი“ რითმა უნდა აჟღერდეს, იაკობი შესიტყვებას „მართალი სამართალი“ ასეთ ფორმას უძებნის:

**ესა მართალი: ე სამართალი ხეს შეიქმს ხმელსა
წყალმომდინარედ.**

პირველი კარედის შინაარსია: ე ს არ -
ის მ ა რ თ ა ლ ი, რომ ს ა მ ა რ თ ა ლ ი; მეორე
კარედისა – ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდი-
ნარედ.

პირველი შერითმული კარედი მშვენიერია, ოღონდ მეორე კარედში ხდება ე. წ. ესთეტიკური დაშვება, ძირს ვარდნა. ამას იწვევს მატარებლის შემადგენლობასავით გაწეული სიტყვა „წყალმომდინარედ“.

რუსთველის აზრი და იდეა ზედმიწევნით ლოგიკურია: მართალი სამართლის განხორციელება ხმელ ხეს გაანედლებს. „განედლება“ გასაგებია, აზრიანია, ოღონდ უგერგილო და უაზროა იაკობის „ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ“. „წყალმომდინარე“ შეიძლება იყოს გაზის გასხლული ღერწი გამარ-

ტებაზე, როცა ხდება „ვაზის ტირილი“. რატომ უნდა შეიქმნეს ხმელი, გინდა ნედლი ხე წყალმომდინარედ?

თანაც შევნიშნავ: XII-XIII საუკუნეებში წყალი ნიშნავდა, არც მეტი, არც ნაკლები, მდინარეს. ამიტომ ნედლ ხეზე მაშინ არავინ იტყოდა, მდინარე მომდინარეაო.

ამრიგად, როგორც ყველგან, ისე აქაც ხდება მაღალი მხატვრული დონის მქონე აფორიზმის ძირს დაშვება, მისი ესთეტიკის კარგვა, მშვენიერი ფორმულის უგერგილო გარდათქმა.

კიდევ უფრო კარგად ჩანს ეს იაკობისეული „დაშვება“, ესთეტიკური „ვარდნა“ მომდევნო მაგალითში.

ავთანდილი ემზადება ზღვის ყაჩაღთა გასანადგურებლად. რუსთველი შენიშნავს:

**ჩაიცვა ტანსა აბჯარი ქცევითა ვეფხებრ
მკრჩხალითა.**

საზგასმულ სიტყვებს იმეორებს იაკობ ღუმბაძე არჩილ მეფის შესაქებად:

**აბჯარ-ხრმალითა, ვეფხვებრ მკრჩხალითა მეს
ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.**

აქ გამეორებულია რუსთველის სამი სიტყვა იმავე თანამიმდევრობით: ა ბ ჯ ა რ ი, ვ ე ფ ხ ე ბ რ მ კ რ ჩ ხ ა ლ ი თ ა.

ჯერ ერთი, XII საუკუნის ავტორი არაფრით დაწერდა ამგვარ აბსურდს – ა ბ - ჯ ა რ-ხ რ მ ა ლ ი თ ა, რამეთუ XII-XIII საუკუნეებში ა ბ ჯ ა რ ი უთუმცაოდ გულისხმობდა დამცავ და შემტევ იარაღს ერთდროულად, მაშ, აბჯარში შედიოდა ხმალიც. ასე რომ, XII-XIII საუკუნეებისათვის წარმოუდგენელია ასეთი კონსტრუქციის კომპოზიტი. ეს იგივეა, დღეს რომა ვთქვათ: მაქვს დ ა მ ბ ა ჩ ა და ჩ ა ხ მ ა ხ ი. თუ დამბაჩა მაქვს, ბუნებრივია, მქონია ჩახმახიც. XVII-XVIII და აქეთა საუკუნეებში ა ბ ჯ ა რ მ ა დაკარგა თავისი ფართო მნიშვნელობა, სემანტიკურად შევიწროვდა და მიიღო მხოლოდ დამცავი იარაღის მნიშვნელობა. ამიტომაც გვიწერს XVII საუკუნის მწერალი იაკობ დუმბაძე

ასეთ კომპოზიციას: ა ბ ჯ ა რ-ხ რ მ ა -
ლ ი თ ა.

უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ გახ-
ლავთ.

რუსთველის სიტყვებს „ვეფხებრ მკრჩხა-
ლითა“ აქვს ლოგიკურ-სემანტიკური გამართ-
ლება, იაკობისას – არავითარი.

ჩავუკვირდეთ ერთ მნიშვნელოვან გარე-
მოებას. რისი განმსაზღვრელია რუსთველის
ეპითეტ-შედარება „ვეფხებრ მკრჩხალი“? ის
არის განსაზღვრება-ეპითეტი მოქმედებისა,
ქცევისა, ესე იგი, სახელ ზმნისა: ავთანდილ-
მა აბჯარი ჩაიცვა „ქ ც ე ვ ი თ ა ვეფხებრ
მკრჩხალითა“.

მაშასადამე, ვეფხებრ მკრჩხალი ყოფილა
გმირის მოქმედება, ქ ც ე ვ ა.

ასე რომ, აქ ყველაფერი ლოგიკურია.

ახლა ვნახოთ, როგორ არის ჰაერში გა-
მოკიდებული იაკობის ეპითეტ-შედარება, რა-
კილა ა მ ე პ ი თ ე ტ ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ-
რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი ა რ მ ო ე პ ო -
ვ ე ბ ა:

**აბჯარ-ხრმალითა, ვეფხვებრ მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.**

მეორე კარედი სავსებით დასრულებული და გასაგებია: არჩილ მეფე მტერს ციდან მოსალოდნელი მეხივით ექმნაო; მაგრამ ჰაერში უმისამართოდ არის გამოკიდებული „ვეფხებრ მკრჩხალითა“, რომელსაც არ მოეპოვება განსაზღვრება-ეპითეტის საგანი: ქ ც ე ვ ი თ ა.

მაშ, პირველ კარედში გამოტოვებულია სიტყვა „ქცევითა“ და აქ ნაგულისხმევია ისევ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვა „ქცევითა“. მაშასადამე, აქ ე ლ ი პ ს ი ს ი (სიტყვის გამოტოვება, ოღონდ მისი გულისხმობა) ისევ ისე რუსთველის სახის დამოწმებაა, ოღონდ სპეციფიკური სიტყვის გამოტოვების სახით.

ამრიგად, სინამდვილეში სტრიქონი ასე უნდა „წავიკითხოთ“:

**აბჯარ-ხრმალითა, (ქცევითა) ვეფხვებრ
მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.**

ვიმეორებ, ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ მეორედ დამოწმება, ანუ ციტაცია, სრულიად მსგავსი წინარე ნიმუშისა (იგულისხმება სახე „მასცამცა“).

ახლა ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი, სადაც კვლავ აშკარადება ჩემ მიერ მითითებული კანონი: იაკობი რუსთველის მაღალპოეტურ სარიტმო სიტყვებს ულოგიკოდ, უგერგილოდ იყენებს.

მკვლევრები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ 35-ე სტროფში მომარჯვებული სარიტმო სიტყვები – მ ფ ლ ო ბ ე ლ ი – მ წ ყ ო ბ ე ლ ი – მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. ოღონდ ახლა ვნახოთ, რომ პოემაში ყველა სარიტმო ერთეული ლოგიკურად, ბუნებრივად ზის, ხოლო ხოტბაში – ულოგიკოდ, უაზროდ, რაც ააშკარავებს ცუდი წაბადვის ფაქტს. პოემაშია:

**ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოფლი კაცი
ხართ მცნობელი:**

ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო
მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა
მ ფ ლ ო ბ ე ლ ი,
ტანად ღომი და პირად მზე, ომად მძლე,
რაზმთა მ წ ყ ო ბ ე ლ ი.

აქ ნათქვამია სავსებით ლოგიკური რამ:
ფარსადანი ფლობდა ექვს სამეფოს. ყოველ
ამ ცალკეულ სამეფო-საკარგავს ჰყავდა თავი-
სი ლოკალური მბრძანებელი, პროვინციის მე-
ფე. ამიტომ არის ფარსადანი „მეფეთა ზედა
მფლობელი“, ანუ შაჰინშაჰი. ამავე დროს,
„შაჰნამედან“ ვიცით, რომ შაჰინშაჰებს ეწო-
დებოდათ „თვით-მპყრობელი“. ამიტომაცაა
ფარსადანი თვითმპყრობელი: „თ ვ ი თ იყო
მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი“.

მაშასადამე, რითმები მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი
და მერე „მეფეთა ზედა მ ფ ლ ო ბ ე ლ ი“
ერთმანეთზე ლოგიკის რკინის კავებითაა გა-
დაბმული. ისინი ერთმანეთს გულისხმობენ.

ასევე ლოგიკურია მესამე სარითმაგი
სიტყვა: მ წ ყ ო ბ ე ლ ი, რამეთუ ფარსადა-

ნი იყო „ომად მძლე“ და „რაზმთა მ წ ყ ო-
ბ ე ლ ი“, ანუ ხელოვანი სარდალი.

ახლა იაკობის ხოტბის რითმებს შევაფ-
ლოთ თვალი. იგი არჩილ ბაგრატიონს ასე
მიმართავს:

**ხარკე ისარი! ხარ კეისარი, სიმდიდრით ლაღი
ჯიმშედ-მ ფ ლ ო ბ ე ლ ი.
მოსიმახოსა, მოს იმახოსა მახვილი, თქვენთა
მტერთა მ წ ყ ო ბ ე ლ ი;
ჯიდაც ისეფქევ, მოსრვით ისე ფქევ, ბრჭალი
ჰქმენ მათზედ მეოტ-მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი.**

ავტორი არჩილ მეფეს მიიჩნევს ფარსა-
დანივით „მეფეთა ზედა მფლობელად“, რად-
გან სწორედ ამას ნიშნავს ტერმინი „კეისა-
რი“. ასევე ლოგიკურია პირველი სართომი
სიტყვა მ ფ ლ ო ბ ე ლ ი. ჯიმშედ სპარსთა
მეფე იყო სახელოვანი „მფლობელი“. არჩი-
ლიც, თურმე, იმდაგვარია. „მეფეთა ზედა
მფლობელი“ იგივე კეისარია.

მაშ, არჩილი არის კეისარი, ანუ მეორე
ჯიმშედ-მფლობელი.

პირველ ტაეპში ავტორმა მოახერხა ლოგიკურობის შენარჩუნება, ხოლო მეორე – მესამე ტაეპებში კი გაუჭირდა ამ ლოგიკის შენარჩუნება და დაუშვა საშინელი შეცდომა.

მეორე ტაეპშია:

მოიმახე მახვილი, ანუ მოლესე მახვილი, „თქვენთა მტერთა მწყობელი“. აქ „მწყობელი“ ყოვლად გამოუსადეგარი სიტყვაა. ესაა რუსთველური რითმისათვის ბრმა გამოდევნება. იაკობს ახსოვს ფარსადან მეფის დახასიათება, მოსწონს იგი, კერძოდ, რითმებად გამოტანილი ეპითეტები, ოღონდ ლოგიკის ძაფს ვერ ინარჩუნებს. აქ რომ მწყობელი ს ნაცვლად ეწეროს მწყრომელი ანდა მომსპობი, ანთუ მომსვრელი, საქმე დამში მოვიდოდა: „მოლესე მახვილი თქვენთა მტერთა მომსვრელი“.

ასე მიიყვანა იაკობი რუსთველის საინტერესო რითმების გამოდევნებამ აბსურდამდე.

ახლა მესამე სართიმო ერთეულის ლოგიკურობა და აზრიანობა გავსინჯოთ.

ტაეპის მეორე კარედი ასეთია:

ბრჭყალი ჰქმენ მათზედ მეოტ-მჰყოფელი.

„მჰყოფელი“ აქ სრულიად შეუსაბამოა. კარედის შინაარსია: ლომის ან ვეფხის ბრჭყალი დაიღესე მტრების წინააღმდეგ და ისინი დაიფრინეო, მეოტ-ყავი ანთუ მეოტ-ყავნიშნავს დაფრენას, უკუქცევას. აქ რომ ყოფილიყო **მეოტ – მყოფელი**, საქმე დამში მოვიდოდა. მეფევ, ბრჭყალები დაიღესე, მტერთა მეოტ-მყოფელი. თუმცადა მაშინ რუსთველისეული შესანიშნავი რითმები დაზიანდებოდა, შეირყვნებოდა და მეხოტბემ შინაარსი გაწირა ფორმის სასარგებლოდ, რასაც რუსთველი არასოდეს ჩაიდენდა, სხვათა შორის, თურმე, არცა ფირდოუსი (იხ. ჩემი „ფირდოუსი და რუსთველი“, დასკვნები).

აი, ასე მივიღეთ აბსურდი:

ბრჭყალი ჰქმენ მათზედ (მტერზედ)

მეოტ-მჰყოფელი.

ამრიგად, სხვისი მშვენიერი რითმების გამოდევნებამ მეხოტბე პოეტიკურ ხიფათსა შეჰყარა.

სხვათა შორის, იგივე რითმები გამეორებულა „ვეფხისტყაოსნის“ გვიანდელ გაგრძელებაში, რომელსაც „ხვარაზმელთა ამბავი“ ეწოდება, ოღონდ იქ ეს სართიმო სიტყვები ზუსტად ისეა, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ე. ი. ლოგიკურობას არ არღვევენ: მორჭმით მკყრობელი – მეფეთა ზედა მფლობელი – რაზმთა მწყობელი.

კიდევ უფრო ნათელი მაგალითია თვალმარგალიტისა და სიმდიდრის ასახვა ორ ქმნილებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ტარიელმა და ავთანდილმა ქვაბოვნის ორმოცი ოთახი დაათვალიერეს და დიდძალი საუნჯე ნახეს:

**მუნ იდვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად
განათალისა;
ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა
საბურთალისა;
ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან
დანათვალისა!**

აქ ყველაფერი ლოგიკურად არის დალაგებული. ჯერ ყველაზე ღირებული და ძვირფასი რამ გვხვდება თვალში – ეს გახლავთ წმინდად დამუშავებული თვლები; მერმე მოდის უფრო ნაკლებღირებული საგანძური მარგალიტი; სულ ბოლოს გმირებს თვალში მოხვდათ მაშინ ყველაზე უფრო ნაკლებღირებული – ოქრო. ყვითელი მონეტა იმდენი იყო, ვინ დათვლიდაო!

მაშ, ჯერ რ ი ყ ე თ ვ ა ლ ი ს ა, მერმედ – ჩოვგანბურთისტოლა მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი, ბოლოს – ო ქ რ ო ს მ ო ნ ე ტ ე ბ ი.

ვხედავთ: წარმოდგენილია თვალთა პატიოსანთა და საგანძურთა მწყობრი რიგი.

იაკობ ღუმბადის ხოტბაში ყველაფერი ეს ერთმანეთში ულოგიკოდ არის არეული:

ვინც იწყოს რ ი ც ხ ვ ი, იქმნას ურიცხვი

გოარი მისგან დ ა ნ ა თ ვ ა ლ ი თ ა;

რ ი ყ ე თ ვ ა ლ ი ს ა სწორ-ნათალისა,

წყალნი მგზებარობს შიგან ალითა;

ჩ ა ნ ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი – ართუა ლიტი!

– ოდენ ბურთის საბურთალოთა.

ჯერ ერთი, აქ ხდება უაზრო გამეორება. პირველ ტაეპში შექმებულია ურიცხვი დანათვალი გოარი. გოარი იგივე მარგალიტია; მაშ, რაღა საჭიროა მესამე ტაეპში ისევ მარგალიტის გამოგორება? – „ჩანს მარგალიტი, – ართუა ლიტი! – ოდენ ბურთის საბურთალოთა“.

გარდა ამისა, არ არის დაცული თვალმარგალიტ-ოქროს „რანგთა ტაბელი“. პირველ ტაეპში შექმებულია არჩილ მეფის საღაროში მდებარე ურიცხვი მარგალიტი, ოღონდ გვიან გავრცელებული სახელდებით „გოარი“; მეორე ტაეპში მარგალიტზე უფრო ღირებული წმინდად გათლილი თვალია წარმოდგენილი; მესამე ტაეპში ისევ მარგალიტს უბრუნდება ავტორი და ახლადა ახსენდება, რომ იგი, თურმე, ყოფილა ბურთისოდენა, ანუ „ობოლი“ მარგალიტი; მეოთხე ტაეპში კი მეორეში შექმებულ თვალს ისევ უბრუნდება გლახა ჭრიაშვილივით:

აქვს ზარდახშანი, მათ ბ ა დ ა ხ შ ა ნ ი
ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა.

ბ ა დ ა ხ შ ა ნ ი იგივე ბ ა ლ ა ხ შ ი ა, ანუ
წითელი ლალი. ესე იგი, ესეც თვალია.

რა გამოდის?

I და III ტაეპებში ავტორი ადგილსა
ტკეპნის, ორივეგან მარგალიტს ამზეურებს; II
და IV ტაეპებშიც ადგილსა ტკეპნის – ორი-
ვეგან აქებს თვალს.

საზიარო სიტყვები – „რიცხვი დანათვა-
ლისა“ თუ რუსთველთან ო ქ რ ო ს მოერგო,
იაკობთან მოერგო გ ო ა რ ს. ეგ გოარი კი
ხელმეორედ არის შექებული მესამე ტაეპში.
ასე რომ, იაკობს თვალსა და ხელს შუა დაე-
კარგა, გაუქრა ო ქ რ ო ს მ ო ნ ე ტ ე ბ ი
და შემორჩა მხოლოდ ცარიელი სიტყვები,
ოქროების რუსთველური ეპითეტები: „რიცხვი
დანათვალისა“.

მაშ, რუსთველთან თვალ-მარგალიტ-ოქ-
როს, ანუ საჭურჭლის, დადმავალი გზით ჩვე-

ნება ხდება; იაკობთან ყველაფერი არეულია, რაიმე ლოგიკას მისი მსჯელობა არ იცავს.

თვალ-გვართან დაკავშირებით ასევე საინტერესოა სხვა საზიარო ტერმინ-გამოთქმები. იქაც ჩანს, რომ იაკობი სარგებლობს რუსთველის თქმებით, ოღონდ მოსდის საბუდისწერო შეცდომები.

რუსთველი აღწერს:

იაგუნდისა ჯამები, იყვის ლალისა ჭიქები,
კვლა უცხოფერთა ჭურჭელთა სხდის
უცხო-უცხო სიქები.
მუტრიბნი მოდგეს, ყოველგნით ისმოდის ხმა
წინწილისა,
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა
თლილისა.

იაკობს მოსდის შეცდომა. თუ რუსთველისათვის ჯამები „იაგუნდისაა“, ხოლო ჭიქა – „ლალისა“, დუმბაძის ლექსში ასეთი უაზრო ტავტოლოგიაა: „ლალეები იყვის ლალ-ფირუხისა“. „ლალი“ არის წითელი ქვა, ხოლო „ლალ-ფირუხი“ გაურკვეველი და შეუსაბამო

კომპოზიცია. თან რა ქართულია – ლალები იყო ლალ-ფირუზისა?

უფრო დიდი მარცხი მოსდის იაკობ „მბაქეს“, როდესაც ავიწყდება ის, რაც რუსთველისათვის ორჯერ ორია: გ ა თ ლ ი ლ ი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ძვირფასი ქვა და არავითარ შემთხვევაში ოქრო. რუსთველი წერს:

**შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა
თლილისა.**

რუსთველის ლექსში ერთმანეთშია არეული და გორად დევს ოქრო და გათლილი ლალი, ანუ ბადახში. იაკობს ეგ ავიწყდება და, რუსთველის სიტყვათა ელვარებით დაბრმავებულს, მოსდის შეცდომა – გ ა თ ლ ი ლ ა დ წარმოგვიდგენს ო ქ რ ო ს:

**ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, ზოდი
ოქროსა მისგან თლილისა.**

და აქ, მეტად რომ არ შეიძლება, ისე კარგად ჩანს, რომ იაკობი რუსთველის ზემორე მოყვანილ ტაეპს იმოწმებს არა გონებით,

არამედ თვალით. მისი შეცდომა ამის უთუმცაო დასტურია. იგი თვალით და არა გონებით ხედავს, რომ რუსთველს უწერია:

**შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა
თლილისა.**

იგი ენდობა თვალის მეხსიერებას და ხედავს იმას, რასაც არ უნდა ხედავდეს. რასა ხედავს? თითქოსდა რუსთველს ეწეროს, რომ გორა შექმნა გათლილმა ოქრომ და ბადახშმა. „ოქროსა და ბადახშისა თლილისა“-ში იაკობი ხედავს თვალით დასანახავს – ეპითეტი თლილი ეკუთვნის ორივეს: ოქროსაც და ბადახშსაც. მაშ, მისმა „მხედველობითმა მეხსიერებამ“ ანგარიში არ გაუწია რეალობას. რუსთველი ეპითეტ „თლილს“ მიაკუთვნებს არა ორივე საგანძურს (ოქროსა და ბადახშს), არამედ – მხოლოდ ბადახშს.

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ ე. წ. „აბდულმესიანში“ კიდევ ერთხელ დადასტურდა „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმება, ციტაცია. რა ვუყოთ, თუ ზოგჯერ ციტაციის დროს

„მბაძეს“ მოსდის უნებლიე შეცდომა. სამაგიეროდ, ამ შეცდომამ ხელთ დაგვატყერინა მტკიცე საბუთი, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ არ არის შავთელის ქმნილება.

ახლა იმავე სტრიქონის კიდევ ერთ შეცდომაზე მივუთითოთ.

თუ რუსთველთან შეერთდეს გორი ოქროს მონეტებისა და გათლილი ბადახშისა, და ეს სავსებით ლოგიკურია, იაკობის მიხედვით, „ბევრად ძეს გორი“ სრულიად უაზროა, ვინაიდან „ოქროს თლილი ზოდი“ ბევრ, მრავალ გორს ვერ შექმნის.

ახლა ქალთა და მნათობთა სულწასულობის ამბავსაც და მათ ეროტიკულ ნდომასაც მივხედოთ.

ავთანდილი ისე ღამაზია, მომხიბლავია, ქალები მისთვის გიჟდებიან, ხელდებიან. ამგვარი სურათი ორგზის არის დახატული.

ა) შეჭფრფინვიდიან ავთანდილს გულითა
სულ-წასრულითა.

ბ) ზოგნი ნდომით შეფრფინვიდეს, ზოგნი
იყვნეს სულ-წასრულად.

აქ ყველაფერი ლოგიკურია. რაინდის სი-
ლამაზე ხიბლავს გულანშაროელ ვაჭართა
ლამაზმანებს.

საზგასმული შეპირისპირება – „შეფრ-
ფინვა“ და „სულ-წასრულობა“ ერთობ მოს-
წონებია იაკობ შემოქმედელს, ოღონდ ვეღარ
მოუზომავს, მეტისმეტად მაღალი ჰიპერბოლა
გამოუყენებია, დაუკრეფავში გადასულა და
ციური მნათობები უხერხულ მდგომარეობაში
ჩაუყენებია. იგი წერს – ჩემს გმირს, არჩილ
მეფეს, ცის მნათობებიც ეტრფიალებიანო:

**სჭვრეტენ შ ე ფ რ ფ ი ნ ვ ი თ მნათობნი,
ვინ ვით, ხვეჭით და ნ დ ო მ ი თ,
სულ-წასრულობით.**

შეუადვირებელი ჰიპერბოლის მომარჯვე-
ბისას მ ნ ა თ ო ბ ნ ი ც შეიძლება გაახე-
ლო არჩილ მეფისათვის (მამაკაცისათვის),
ოღონდ მაშინ იმას რაღას უზამ, ამ მ ნ ა თ
ო ბ ე ბ შ ი ზოგი მამრობითი სქესისა რომ
გახლავთ?! მაგალითად, რანაირად შეიძლება
არჩილ მეფის (გინდა დავით სოსლანის ანთუ
დავით აღმაშენებლის) მოტრფიალე, მისთვის

„სულ-წასრული“, მისი „ნდომით“ აღსავსე იყოს სისხლიანი ხმლით შეიარაღებული მეომარი ვაჟკაცი მარსი?!

ასე რომ, რუსთველის ღამაში პოეტური შეპირისპირებისთვის ბრმად გამოდევნებისას იაკობ დუმბაძეს საბედისწერო შეცდომა მოსდის.

რუსთველის მომხიბვლელი ასტრალური სახეების ბრმად გამოდევნებისას იაკობ „მბაძეს“ მოსდის კიდევ ერთი საბედისწერო შეცდომა. რუსთველი ბრძანებს:

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე

მემოწმებიან:

**მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის
ბნდებიან;**

**მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად
მყვებიან.**

აქ დასახელებულია იმხანად ცნობილი და მიღებული მზის სისტემის შვიდი ვარსკვლავი. ამიტომაც სავსებით ლოგიკურია მათი ჩამოთვლის წინ განმაზოგადებელი სინტაგმის მოყვანა: „შვიდნივე მემოწმებიან“. ახლა

რა მოსდის ე. წ. „აბდულმესიანის“ ავტორს?
იგი წერს:

**მზე დაუვალი, მყის დაუვალი,
არს შვიდნი მნათნი მას ზედ მოწამედ.**

გამეორებულია რუსთველისეული სიტყვა-
ცნებები „შვიდი მნათობი“ და „მოწამე-მოწ-
მე“, ოღონდ კონსტრუქცია ისეთია, გამოდის
არა შ ვ ი დ ი, არამედ რ ვ ა მნათობი. და-
ვუკვირდეთ: მ ზ ე დაუვალია და მას ე მ ო -
წ მ ე ბ ი ა ნ ო შ ვ ი დ ნ ი მ ნ ა თ ო -
ბ ნ ი.

მაშ, მზე ცალკეა გამოყოფილი, ხოლო
შვიდი მნათობი მას ემოწმება, ეთანხმება. ამ-
რიგად, გამოდის მზე და შვიდი მნათობი, ანუ
რვა მნათობი.

ვხედავთ: საკითხის სერიოზულმა, ჩადრ-
მავებულმა შესწავლამ დაადასტურა ბორის
დარჩიას დებულების უტყუარობა: „არ არის
სწორი, თითქოს „ვეფხისტყაოსანზე“ ე. წ.
„აბდულ-მესიანის“ გავლენა ჩანდეს, პირიქით
კი არის“ („რელიგია“, 1999, №5-6, გვ. 63).

მაშასადამე, დღევანდელი კვლევების შედეგად, თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების დონეზე, გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს საკითხი – რუსთველი განიცდის ე. წ. „აბღულმესიანის“ სახეთა გავლენას თუ პირიქით. არ რჩება ეჭვის ნატამალიც: იაკობ „მბაძე“ ჩახრუხაძესაც კბაძავს და რუსთველსაც, ოღონდ პოეტური ხელოვნებით ცამდე აწეული ეპოქის, „ოქროს საუკუნის“, ძეგლებს მხარს ჯეროვნად ვერ უბამს ვერც აზროვნების ძალითა და ვერც პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით.

კოლორიტული სიტყვა

„ბოლუქ-ბოლუქი“

და

ე. წ. „აბდულმესიანის“ პრობლემა

ე. წ. „აბდულმესიანის“ ტექსტში ერთგან თავს იწონებს ერთობ კოლორიტული თურქული სიტყვა „ბოლუქ-ბოლუქი“. პოემის მერვე სტროფის პირველი ტაეპი ასეთია:

**ბოლუქ-ბოლუქად, მყის სასალუქად
ბრძენი რიტორებს მისთვის სამ-ოთხით.**

დავით ჩუბინაშვილი განმარტავს, რომ „თათრული“ ბოლუქი ნიშნავს გუნდს, ბრბოს, რაზმს. იქვე მოჰყავს „ბოლუქ-ბაში“, რაც პოლკის უფროსის ტოლფარდიაო.

განმარტებით ლექსიკონშიც „ბოლუქი“ ჯგუფად, გუნდად არის წარმოდგენილი, ხოლო „ბოლუქ-ბოლუქად“ განმარტებულია, ვითარცა „გუნდ-გუნდად“ ანთუ „ჯგუფ-ჯგუფად“; მასვე შეიძლება, შევუფარდოთ კიდევ ერთი სემანტიკური ოდენობა „დას-დასად“.

ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა საგულისხმიერო გარემოებამ: ძველ წერილობით ძეგლებში, კერძოდ V-XV საუკუნეთა თხზულებებში, ეგ გამოთქმა-ტერმინი არსად შემხვედრია; არ ჩანს იგი „ქართული მწერლობის“ I, II, III, IV, V ტომებში (იხ. ამ ტომებზე დართული ლექსიკონი). სხვათა შორის, V ტომში შესულია XIII-XV საუკუნეთა მწერლობის ნიმუშები.

კიდევ მეტი, ეგ სიტყვა არ ჩანს არც ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული სიტყვების ლექსიკონებში, სადაც გამოწვლილვით არის გამოძიებული ყველა მნიშვნელოვანი სიტყვა. ზ. სარჯველაძე ძირითადად იკვლევდა V-XI საუკუნეთა ძეგლებს.

ამრიგად, თუ ე. წ. „აბდულმესიანი“ XII საუკუნის ძეგლია, მაშინ მასში შეუძლებელია ყოფილიყო „ბოლუქ-ბოლუქად“.

ამის დასამტკიცებლად საგანგებოდ გამოვიძიე ტერმინი „ბოლუქ-ბოლუქი“. გაირკვა მეტად საინტერესო ამბავი.

საძიებელი სიტყვა პირველად იხმარა კედელაურმა (სერაპიონ საბაშვილმა) მის მიერ გალექსილ „როსტომიანში“ (XVI საუკუნის პირველი ნახევარი). ამის შემდეგ ებ კოლორიტული და ხატოვანი გამოთქმა უცბად გავრცელდა. კერძოდ, იგი XVI-XVII საუკუნეებში 19-ჯერ გამოიყენეს, ხოლო მეოცეჯერ მოიმარჯვა იაკობ დუმბაძემ ე. წ. „აბდულმესიანში“, ანუ „არჩილ მეფის ქებაში“.

„როსტომიანში“ ვკითხულობთ:

„გაემართნეს ბოლუქ-ბოლუქად ლაშქარნი“
(597,1);

„ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად მოსდევდეს“
(560, 3);

„ბოლუქ-ბოლუქად ლაშქარმან მისკენ დაიწყო
დენაო“ (1369,4);

„ჯარად, ბოლუქ-ბოლუქად“ (244,3);

„გამომართნეს ლაშქარნი, მოსდევდეს ბოლუქ-
ბოლუქად დროშანი“ (1484,2);

„ბოლუქ-ბოლუქად“ (1369,4);

„გაემართნეს ბოლუქ-ბოლუქად“ (504,2);

„ბოლუქ-ბოლუქად მიდიოდეს ლაშქარნი“ (536,1).

ჩემი აზრით, კედელაურის წაბადვით ეპ სიტყვა გამოიყენა „შაჰნამეს“ მეორე მთარგმნელმა ბარძიმ ვაჩნაძემ მის მიერ გალექსილ „საამიანში“. სწორედ აქ გვაქვს ასეთი რამ:

„ბოლუქ-ბოლუქად წამოდგეს“... (210,4).

„შაჰ-ნამეს“ გალექსილი ვერსიები ძლიერ გავრცელდა. იგი მთელ საქართველოს მოეფინა. მას ყველა კითხულობდა. აქედან საძიებელი სიტყვა გადავიდა XVII საუკუნის მწერლობაში. ამ სიტყვას იყენებს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი „ომიანიანში“: „ლაშქართ ბოლუქ-ბოლუქად თავი გაუჩინა“ (76,1).

„ომიანიანი“ შექმნილია XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

საძიებელი სიტყვა დადასტურებულია 1658-1665 წლებში შექმნილ „შაჰნავაზიანში“:

„მანდატური დგას ბოლუქად, არ იყო განაყოფალი“ (51,2).

სიტყვას იცნობს „რუსუდანიანი“, რომელიც XVII საუკუნეშია შეთხზული და განიც-

დის „ვერსიების“ მძლავრ ზეგავლენას. აქ წერია:

**„მომეგებიან ბოლუქ-ბოლუქად ლაშქარნი“
(561,9);**

„გადგა ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად“ (100,II).

ამ კოლორიტულ სიტყვას იცნობს „ყარამანიანიც“. იგი შეიქმნა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში: „ბოლუქი“ (27,5); „ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად დაფანტნეს“ (633,10).

კიდევ ერთი ძეგლი სცნობს ჩვენს სიტყვას. „ფრინველთა კარაბადინში“, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, წერია:

**„აღარა რამე გაასინჯე ბოლუქთა მათ...“
(183 V, II, 5-6).**

აქვე საგანგებოდ აღსანიშნავია:

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, ასევე ენათმეცნიერების ინსტიტუტში შედგენილი აქვთ სიტყვათა კატალოგი, სადაც მითითებულია ნებისმიერი მნიშვნელოვანი სიტყვა თავისი კონტექსტი-

თურთ, დამოწმებულია წყაროც. ფორმა „ბო-
ლუქ-ბოლუქად“ აღრიცხულია. ამ კატალოგი-
დან ირკვევა: ბოლუქ-ბოლუქად არ
ჩანს XVI საუკუნემდე არსებულ ლიტერატუ-
რულ წყაროებში. ი გ ი ჩ ნ დ ე ბ ა მ ხ ო
ლ ო დ მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე ა ს წ ლ ე უ
ლ ი დ ა ნ.

მაშასადამე, ქმნილება ეკუთვნის იაკობ
შემოქმედელს და მისი სახელია „არჩილ მე-
ფის ქება“.

მაგანმა, შესაძლოა, იკითხოს:

ხომ შეიძლება, საძიებელი სიტყვა თვით
დედანში იყოს და მთარგმნელმაც მოიმარჯ-
ვაო?

გვაქვს ამის პასუხიც.

მკვლევარი ი. აბულაძე წერს: „როსტომი-
ანის“ გამლექსავი დედანს ამდიდრებს იშვია-
თი, კოლორიტული სიტყვებით, რაც სპარ-
სულ ტექსტში არ არისო, და საამისო ნიმუ-
შად მოჰყავს სწორედ 1484-ე ხანაში ნახსენე-
ბი „ბოლუქ-ბოლუქად“ (იხ. „შაჰნამეს“ ქარ-
თული ვერსიები, I, გვ. XXIV).

ახლა დგება საკითხი: მაინც საიდან აქვს აღებული ი. დუმბაძეს მითითებული სიტყვა?

კედელაურის შემდეგ იაკობამდე ეგ უცნაური სიტყვა ბევრმა იხმარა და თითქოს დასმული საკითხის გადაჭრა საძნელო უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ვფიქრობ, ეგ იოლი გამოცანაა. ჩემთვის მაინც.

უთუმცაოდ და გადაჭრით ვაცხადებ: იაკობ დუმბაძემ სიტყვა აიღო კედელაურის „როსტომიანიდან“. „როსტომიანის“ 1484-ე სტროფში გვაქვს:

მათ ხელი შუბსა დაიდვეს, ცხენებსა შესხდეს
ს ა ლ უ ქ ა დ,
გამოემართნეს, ლაშქარნი მოსდევდეს
ბ ო ლ უ ქ ბ ო ლ უ ქ ა დ.

ყურადღება მივაქციოთ სარიტმო სიტყვებს – ბ ო ლ უ ქ ბ ო ლ უ ქ ა დ და ს ა ლ უ ქ ა დ.

იაკობ „მბაძე“ სესხულობს არა ოდენ კოლორიტულ სიტყვას, არამედ მის სარიტმო წყვილედსაც:

ბოლო უქბოლო უქად, მყის
სასალ უქად (8.I).

ვფიქრობ, საეჭვო აღარაა, თუ საიდან აუღია „არჩილ მეფის ქების“ ავტორს საძიებელი სიტყვა და მისი მეწყვილე სარიტმო ერთეულიც – ესაა კედელაურის სარიტმო წყვილელი.

ამრიგად, ე. წ. „აბღულმესიანის“ ავტორი იცნობს „შაჰ-ნამეს“ ვერსიებს.

მაშასადამე, ხელთა გვქონია ი. დუმბაძის თხზულება და არა შავთელის ჯერჯერობით დაკარგული „აბღულმესიანი“.

ე.წ. „აბღულმესიანში“ დიდის ამბით არის გამოყენებული სიტყვები: ბოლუქი, კასია, ლავროტი, მაკროტი.

ეს ცნებები XII საუკუნის ქართულმა მეტყველებამ, სავარაუდებელია, ჯერ კიდევ არ იცის. ისინი ქართულ ლექსიკას ამდიდრებენ XVII საუკუნის დამდეგიდან.

ე.წ. „აბღულმესიანში“ მათი არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ეგ ტექსტი შექმნი-

ლია XVII საუკუნის დამდეგის შემდგომ ხანაში, კერძოდ კი – 1661 წელს.

ახლა საკითხს ასე შევხედოთ.

როგორც აქამდე იყო მიხნეული, „აბდულმესიანი“ წინ უძღოდა ჩახრუხადის „თამარიანს“. „ქართულ მწერლობაში“ კიდევაცაა დაცული ეს თანამიმდევრობა – ჯერ „აბდულმესიანია“ დაბეჭდილი, მერე - „თამარიანი“, ამის შემდგომ - „ვეფხისტყაოსანი“.

კეთილი და პატიოსანი, დავუშვათ, რომ დღევანდელი ტექსტი სწორედ ის ნამდვილი „აბდულმესიანია“.

მაშინ დგება საკითხი:

როგორ არ გამოიყენა წინა ავტორის სიტყვა-ტერმინები მომდევნო პოეტმა ჩახრუხადემ?

ა) თუ ეგ ცნებები ჩვენს მეტყველებაში არსებობდა, აქედან (ოთხიდან) ერთი მაინც როგორ ვერ მოხვდა „თამარიანში“?

აქვე შევიხსენოთ: როგორც კი XVII საუკუნის დამდეგს „შაჰ-ნამეს“ პირველივე ქართულ ვერსიაში გაჩნდა თურქული სიტყვა

„ბოლუქი”, მყისვე გავრცელდა მთელ ქართულ მწერლობაში. კიდევ მეტი, იმავე საუკუნეში ქოლერასავით მოედო ტექსტებს. კატეგორიულად ვაცხადებ: არ დარჩენილა ამ საუკუნის თითქმის **არც ერთი ტექსტი**, თუნდაც არამხატვრული, ეგ კოლორიტული სიტყვარომ არ გამოეყენებინოთ.

ბ) თუ ეგ ოთხი ფორმა იყო ნახმარი იმ ნამდვილ, აწ უკვე დაკარგულ „აბდულმესიანში”, შეუძლებელია მომდევნო ავტორ ჩახრუხადეს ის სიტყვები არ მოემარჯვებინა.

მაშასადამე, **აწ დაკარგულ** შავთელის პოემაში ეს ცნებები არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენში, როგორცა ვთქვი, მე-17 საუკუნეში გაჩნდა.

ახლა ვნახოთ, თუ **სად შეეძლო** ეს სიტყვები გამოეყენებინა ჩახრუხადეს.

„თამარიანში” თამარისა და მისი ქმრის ქებისას ავტორი გარეგნულ მზეობასთან ერთად აქებს პერსონაჟთა სურნელებასაც. აი, სწორედ იქ იქნებოდა უპრიანი, გამოეყენებინა ტერმინები: კასია (დარიჩინი, დარიჩინის

სურნელება), ლავროტი (დაფნა, დაფნის სურნელება), მაკროტი (სურნელოვანი სანელებელი); მაგრამ „თამარიანის“ 54-ე სტროფში ესენი ნახსენებიც არაა. სამაგიეროდ მომარჯვებულია გამოთქმები: „სურნელთა კმევა“, „მოჟჯამარი“, „ალვა მწვარი“ (54, 12); ასევე სურნელებაზე საუბარია მე-60 სტროფშიც. აქ ნახსენებია „სურნელ-ამბარი“ და მეტი – არაფერი!

„თამარიანში“ ნახსენები **ყველა** ეს სურნელება მანამდეც იყო ცნობილი. კერძოდ, **ყველა მათგანი** ნახსენებია „ვისრამიანში“; შემდეგ, **ყველა ეს სიტყვა** დასტურდება მომდევნო ხანის „ვეფხისტყაოსანში“.

საინტერესო ისიცაა, რომ არც მომდევნო „ვეფხისტყაოსანი“ ახსენებს ჩემ მიერ მითითებულ ე.წ. „აბდულმესიანის“ ტერმინებს: ბოლუქი, კასია, ლავროტი, მაკროტი...

ამრიგად, ყველა ის „სურნელოვანი“ ტერმინი, რაიც XI-XIII საუკუნეებში ცნობილი იყო ქართული ენისათვის, ერთნაირი წარმატებით არის გამოყენებული „ვისრამიანში“,

სავარაუდოდ – ნამდვილ „აბდულმესიანში“, „თამარიანში“, „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო, XVII საუკუნიდან გაჩენილი ოთხი სიტყვატერმინი რომ 107 სტროფიანი პოემის ტექსტში გვხვდება, ეს ტექსტი XVII საუკუნის ძეგლია და ეკუთვნის იაკობ შემოქმედელს. არჩილ მეფის ეს ქება მას შეუთხზავს 1661 წელს და მიუერთმევია ამ წელსვე იმერეთის მეფედ კურთხეული 14 წლის ყმაწვილკაცი-სათვის.

ახლა საკითხს სხვა მხრივაც შევხედოთ!

მკვლევრები „რუსუდანიანს“ ასე ათარიღებენ: შექმნილია მეჩვიდმეტე საუკუნეში ან ცოტა უფრო ადრეო.

შესაძლებელია ამ ზოგადი დეფინიციის უფრო დაკონკრეტება.

„რუსუდანიანი“ იცნობს „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს და მის ძლიერ ზეგავლენას განიცდის; ასევე დიდ ზეგავლენას განიცდის „ვეფხისტყაოსნისა“. მკვლევრებს მხედველობიდან გამოჰპარვიათ ერთი ფაქტი: ავტორი რამდენიმეჯერ ახსენებს როსტომ-გმირის

ცხენის სახელს: „შაფ-რახსი“ და „რახსი“; ცხენის სახელი „რახსი“ ორ-სამჯერ ნახსენებია „ვისრამიანშიც“, ოღონდ „რუსუდანიანის“ რაში სწორედ ისევე იბრძვის ომებში, როგორც როსტომის ცხენი – ფლოქვებით თქერავს მეტოქეს და ასე ეხმარება პატრონს მტრის დათრგუნვაში.

სხვათა შორის, შევნიშნავ: ქართული სიტყვა **რაში** სწორედ როსტომის ცხენის სახელის ფონეტიკური შთამომავალია: **რახსი** → **რახში** → **რაში**.

მაშ, „ვერსიების“ ზეგავლენა „რუსუდანიანზე“ სადავო არაა, ხოლო, რაკილა იგი შექმნილია XVI საუკუნის პირველ ნახევარში და „რუსუდანიანი“ ხმარობს აქ დაფიქსირებულ სიტყვებსა და ტერმინებს, მაშ, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ან ამის შემდეგ არის შეთხზული; მაგრამ აქ საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: „რუსუდანიანი“ იცნობს „ვერსიებში“ პირველად აუღერებულ ნეოლოგიზმს „ბოლუქ-ბოლუქად“; ნახსენებია ორჯერ („რუსუდანიანი“, 1957, გვერდები 100, II და 561, 9). ამ

მხრივ იგი ე.წ. „აბდულმესიანსა“ ჰგავს, რომელიც ასევე იყენებს ამ კოლორიტულ ტერმინს, მაგრამ ახლა ვნახოთ, არომატულ და სურნელოვან ნივთიერებებად რას მოიმარჯვებს? მხოლოდ იმ ტერმინებს, რაც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ იყო, ესე იგი, **მუშკამბარსა და სურნელებას**; მხოლოდ ეს ზოგადი ტერმინებია ნახმარი და არავითარი დაკონკრეტება.

მაშასადამე, ის არ იცნობს იმ „სურნელოვან“ ტერმინოლოგიას, რაც ნახა იაკობ შემოქმედელმა ჯერ იმ გულანში, რომელიც შემოქმედის ეკლესიას აჩუქა – ეს გახლავთ „ფუტკარი“; შემდეგ კი მოიმარჯვა თავის „არჩილ მეფის ქებაში“ (ანუ ე.წ. „აბდულმესიანში“).

ეს ტერმინებია: **ლავროტი, მაკროტი, ბალასნი, კასია...**

აღნიშნული სიტყვები სულ არა ჩანს „რუსუდანიანში“, არადა აქ ბევრგან არის საჭირო სურნელების დაკონკრეტებულად აღწერა. ეს ტერმინები რომ იცოდეს ავტორმა, თუ

ყველას არა, ზოგს მაინც გამოიყენებდა. აქ კი, ვიმეორებთ, ყველგან მხოლოდ „სურნელი სუნი“, „მუშკი“ და „ამბარია“ ნახსენები. არა-და ავტორს როგორ სჭირდებოდა ეს ტერმინები, როდესაც ჰიპერბოლურად აზვიადებს სრა-სასახლეთა აღწერილობებს და ზღაპრულად დაუჯერებელ დარბაზებსა და საბანაო აუზებს აღწერს.

ეს კი იმასა ნიშნავს, რომ „რუსუდანიანი“ შეთხზულია მანამდე, ვიდრე შეიქმნებოდა ე.წ. „აბდულმესიანი“. იაკობ შემოქმედელის ეს ხოტბა კი შეთხზულია 1661 წელს.

ამრიგად, „რუსუდანიანი“ შეთხზულია „ვერსიების“ შემდგომ და უწინარეს „არჩილ მეფის ქებისა“ (1661 წელი).

ასევე საგულისხმოა, რომ ამ ვეებერთელა რომანში არ ჩანს ე.წ. „აბდულმესიანის“ სხვა სპეციფიკური ტერმინებიც. ესენია: **მორფი, მორფ-ნაკვეთობა...**

აქვე დავსძენთ:

ყველა ამ ახალ ტერმინს, რომელსაც არ იცნობს „რუსუდანიანი“, ასევე არ იცნობს

„თამარიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, ანუ იოანე შავთელის დროინდელი მწერლობა.

ეჭვი არაა, ეს ტერმინები არ იქნება იოანე შავთელის პოემაში, თუკი გაგვიმართლა და ოდესმე იგი აღმოვაჩინეთ.

ახლა საკითხს ასეც შევხედოთ:

ლექსიკოლოგ დავით ჩუბინაშვილს ახასიათებს შესანიშნავი თვისება – ყოველმხრივ ლამობს, აჩვენოს ქართული ენის მთელი სიმდიდრე და სიძველე. ამიტომაც ცალკეულ ტერმინთა რამდენიმე წყაროს მიუთითებს და, რაც მთავარია, ცდილობს, უწინარეს ყოვლისა, აჩვენოს, თუ პირველად ვინ იხმარა ან რომელ ტექსტშია ეს ცნება. ნიმუშად ავიღოთ ორი ტერმინი – **სტოვა** და **შტახსი**, ე.წ. „აბღულმესიანში“ რომ არის ნახსენები. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ „სტოვა“ ნახსენებია ჯერ „მეფეთაში“, „ეზეკიელში“, იოანესთან; ამის მერე მიუთითებს „ქართლის ცხოვრებას“ და ამის შემდგომდა – შავთელს (იხ. გვ. 1195).

შტახსის შემთხვევაშიც ასეა. წყაროები მითითებულია ამგვარი თანამიმდევრობით: გამოსღვათა, ფსალმუნები, მერმე კი – შავთელი (იხ. გვ. 1527).

ახლა კი ვნახოთ, რა თანამიმდევრობით მიუთითებს ჩვენთვის საინტერესო სიტყვებს: **სტოლა** – ბერძნულიაო და, რაკილა ძველ ქართულ ტექსტებში ამ სიტყვას ვერ პოულობს, ასახელებს ოდენ შავთელს (გვ. 1195); **მორფ-ნაკვეთობა სახისა** – ბერძნულიაო, ჯერ ასახელებს შავთელს, რაკილა სხვა ძველ ტექსტებში ამ სიტყვას ვერ ხედავს და მერმე წყაროდ მიუთითებს ანტონ კათალიკოსს; სხვათა შორის, ტერმინი გამოუყენებია იოანე ბატონიშვილს „კალმასობაშიც” (იხ. ქართული პროზა, 6, გვ. 553); **მაკროტი** – სურნელოვანი მცენარეაო, და მითითებულია მხოლოდ შავთელი. სხვა წყარო ვერ უპოვია ძველ ქართულში. ამ მხრივ მას ვერც მე-12 საუკუნის შედევრები („ამირანდარეჯანიანი”, „ვის-რამიანი”, „ვეფხისტყაოსანი”, „თამარიანი”) ვერ შეეწვივან; **ბალასნი** – სპარსულიაო,

ბალზამის მცენარეაო, და ყველაზე უადრეს
წყაროდ მიუთითებს ისევ შავთელს (გვ. 93);
ბოლუქი – თათრულიაო; მოჰყავს მხოლოდ
შავთელი, რაკილა შავთელის ირგვლივ უძვე-
ლეს პერიოდში ამ ტერმინს ვერვისთან ხე-
დავს (გვ. 113); კიდევ უფრო საინტერესოა, თუ
როგორ განმარტავს სიტყვას **კასია** – ბერძნუ-
ლიაო, სურნელოვანი ხეა, დარიჩინისგვარიო,
და უძველეს წყაროდ მიუთითებს „ქილილა
და დამანას“, რადგან ძველ ქართულში ამ
ცნებას სხვაგან ვერ ხედავს; ეჭვი არ მეპარე-
ბა: მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა,
რომ ეგ სიტყვა ნახმარია მის მიერ ძველ წყა-
როდ მიხნეულ „აბღულმესიანში“. მაშასადამე,
ვახტანგ მეექვსესა და სულხან-საბაზე აღრე
მოიმარჯვა იაკობ შემოქმედელმა; გამოყენე-
ბული აქვს ბესიკსაც ლექსში „ყოვლადწმი-
დის ქება“ (იხ. ქართული მწერლობა, 8, 296);
ლაეროტი – ნარგიზიაო, მითითებულია, რა
თქმა უნდა, „უძველესი“ წყარო – შავთელი.
ეს სიტყვაც ძველ ქართულში სხვაგან ვერ-

სად უპოვია (იხ. გვ. 639); **დუქსი** – არისო დუკა. მითითებულია მხოლოდ შავთელი.

გულისყურიანი მკითხველი უსათუოდ იკითხავს: კი, მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ამდენი ტერმინი, თანაც ასე მნიშვნელოვანი ცნება, ძველ ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ერთმა კაცმა, შავთელმა, იხმარა და მე-12 და მომდევნო საუკუნეების მწერლებს ისინი არაფრად დასჭირდათ?! ამდენი ერთობ საჭირო ტერმინი რანაირად ჩაიკარგა შავთელის ხოტბაში ისე, რომ არავინ გადაიღო, არავინ გაიზიარა?! მით უფრო, რომ რუსთველს ისიც კი დააბრალებს, შავთელის ბევრი აფორიზმი გამოიყენაო. თუ ეს ასეა, რუსთველმა მაშინ ამდენი ტერმინიდან ერთი მაინც ვერ მოიმარჯვა?!

სინამდვილეში ეს იმიტომ მოხდა, რომ მითითებული ტერმინები და სიტყვები პირველად იაკობ დუმბაძემ შემოიტანა სამეცნიერლო ბრუნვაში და ბევრი ამათგანი მას უნახავს კრებულ-გულან „ფუტკარში“. და ეს მადლიანი მწერი კიდევაც ახსენა თავის

ხოტბაში: „ზღუდეთა კარი, მადლის ფუტკარი” (28,3), ხოლო თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილი ტერმინი მოათავსა თავისი პოემის მე-8 სტროფში:

ბოლუქ-ბოლუქად, მყის სასალუქად
ბრძენი რიტორებს მისთვის სამოთხით:
მირონ-გუნდრუკად, შტახსად, კასიად,
თაფლად, მანანად, სძედ თქვეს სიპოხით,
ოქროს სემურად, მურად ქამურად,
აღვა, კინამოდ, სარდა-სარო ხით;
ნარგიზ-ლაფროტი, ია-მაკროტი
მისთვის ამსგავსეს, რომ არს სამოთხით.

ამრიგად, დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი გვიჩვენებს, რომ ყველა ეს ტერმინი პირველად გაჩნდა იაკობ შემოქმედელის პოემაში „ქება მეფისა არჩილისა”. ეს კი მოხდა 1661 წელს.

ივანე ლოლაშვილი წერს: „აბდულმესიანის გავლენით იაკობ შემოქმედელს ხელნაწერ კრებულში („ფუტკარი”, A 691) შეუტანია სურნელოვან ხეთა და ყვაავილთა სახელები: „ბაღსაბონი, უზუერელი, ბეეი, მორდი, სარ-

დაი, საროი”; ყვავილთაგან - „მანდრაგონი, ასპაზანი, ნარგისი, ლავროტი, მაკროტი, ია” (ივანე ლოლაშვილი, ძველი ქართველი მე-ხოტბენი, II, 1964, გვ. 165).

სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა:

კრებულ „ფუტკრიდან”, რომელიც იაკობს შემოქმედის მონასტრისათვის უსახსოვრებია, მას თავის პოემაში „ქება მეფისა არჩილისა” (იგივე ე.წ. „აბდულმესიანი”) გადაუტანია ეს ტერმინები და სახელები. ამიტომაცაა: ამათი უმეტესობა ძველ ქართულ ტექსტებში არსად ჩანს და პირველად („ფუტკრის” შემდეგ) ე.წ. „აბდულმესიანში” აისახა, რომელიც 1661 წელს არის შეთხზული.

ყოველივე ეს გავსინჯოთ უფრო ახლოდან.

ივანე ლოლაშვილი თავის გამოკვლევასა და სამეცნიერო აპარატში (ლექსიკონი, შენიშვნები) შავთელის ტექსტის განსამარტავად ყველაზე ხშირად იყენებს იაკობ შემოქმედელის „გაბაასებასა” და სხვა ტექსტებს, ყველაზე მეტად სწორედ ეგ ავტორი ჰყავს

ნახსენები და შეპირისპირებული; ე.წ. „აბდულმესიანის“ ტერმინების, გამოთქმების, ფორმების, მაჯამების მსგავს ნიმუშებს უხვად და ხშირად პოულობს სწორედ იაკობ შემოქმედელის პოეზიაში და ამ პარალელუბით გაჭედულია მისი წიგნი (იხ. ძველი ქართველი მესოტბენი, II, 1964), მაგრამ პროფესორი ერთხელაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რატომ ხდება ასე, რაღა მაინცდამაინციოანე შავთელის პოემასა და იაკობ შემოქმედელის ტექსტებს შორის გაიბა ესოდენ ცხოველი კავშირები?!

ამას აქვს ერთადერთი ახსნა:

ე.წ. „აბდულმესიანი“, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“, შეთხზულია იმავე ავტორის მიერ, ვინც შექმნა „გაბაასება“ და სხვა მცირე ყალიბის ტექსტები. ეგ ავტორი იაკობ შემოქმედელია!

რაკილა ე.წ. „აბდულმესიანის“ უცნაური ლექსიკის სფეროში ასე ღრმად შევიჭერი, ბარემ ზოგ სხვა დაკვირვებასაც წარმოვადგენ; ვიმსჯელებ ტექსტის სიტყვებზე: **ვინც,**

ფირუზი, თითოეული, საქართველო, გერიტა მართვე და უფურცენელი.

ცნობილია: XII საუკუნეში, მანამდე და მერეც კარგა ხანს ქართულ ენაში არ არსებობდა თანამედროვე ფორმის მიმართებითი ნაცვალსახელი **ვინც**. იყო მხოლოდ ასეთი ფორმები: **ვინცა** ანდა იმავე ფუნქციის კიდევ უფრო ძველი **ვინ**. ამიტომაც თუა: „ვეფხისტყოსანში“ გვაქვს ასეთი ფორმები: „**ვინ** მოყვარესა არ ეძებს“ და არა „**ვინც** მოყვარესა არ ეძებს“; მეორე მაგალითი: „**ვის** ედებოდა ვის (ვაების, ვა-ის) ალი“ და არა „**ვისაც** ედებოდა“.

1712 სტროფიან ტექსტში ყველგან ნახმარია **ვინ** და **ვინცა** უამრავჯერ (იხ. აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, 1956, 116-119), ხოლო **ვინც** მხოლოდ ერთხელ ჩანს და ისიც საეჭვო ვითარებაში” (გვ. 119).

ახლა ამავე თვალთახედვით გავსინჯოთ თამარ მეფის ლექსი „ცასა ცათასა“. აქ ნახმარია არა **ვინც**, არამედ **ვინ**:

„**ვინ** ღავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან“

(ქართული მწერლობა, 3, 379).

ამის შემდეგ ვნახოთ, რა ვითარებაა ჩახრუხადის „თამარიანში“. აქ ნახმარია მხოლოდ **ვინ** და არც ერთხელ **ვინც!**

„**ვინ** გული ესე სიბრძნითა სავსე“ (2,8);

„**ვინ** ჩნდა ეგმისად, მსგავსად აწ მისად“ (4,1);

„**ვინ** ჩნდეს სამყაროს, აღვა აყაროს“ (6, 13);

„რომე **ვინ** იყოს მოშორებულად“ (6, 13);

„**ვინა** შეენებდენ, სულთ ამშვენებდენ“ (7, 15).

მსგავსი ვითარებაა სტროფებში (8,20; II, 31;

15,47; 25,I; 29,4; 48,44; 80,I; 86,25; 86,27; 107, 28).

მაშასადამე, კლასიკურმა ქართულმა არცის ფორმები: **ვინც, ვისაც, რომელიც ...**

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა „ვისრამიანში“. აქ გვხვდება მხოლოდ **ვინ** ანდა **ვინცა**. მაგალითად: **ვინცა** (ქართული მწერლობა, 3, გვ. 8); ასეთივე ფორმებია სხვაგანაც (22,39,46,81,89,158,239,244,281,282,285).

ერთი სიტყვით, ცა ნაწილაკის ხმოვანი არსად იკარგვის.

იგივე ითქმის ამ ტიპის სხვა სიტყვებზეც. აქ ჩვეულებრივია მხოლოდ **არცა** და არა

არც; რაცა და არა **რაც; ვისცა** და არა **ვისცა**. მაგალითად: **რაცა** (9,11,21,28,31,84,49,50,60 და ა.შ.); ყველგან არის **არცა** და არა **არც**: (II,12,15,19,34 და ა.შ.); თუ სადმე არის, არის მხოლოდ **ვერცა** და არა **ვერც** (112 და სხვაგან).

ამრიგად, მსგავსი ტიპის სიტყვებში ცა ნაწილაკის ხმოვანი არსად იკარგება, მაგალითად, არის მხოლოდ **მეცა** (67) და **წამსაცა** (88).

ვინცა ფორმის მეორე ვარიანტია კიდევ უფრო ძველი ფორმა **ვინ** (17,27,40,68 და სხვა).

ასევე, ნაცვლად სიტყვისა **რომელიც**, ნახმარია **რომელი**: „მომეწონა შენგან ეგე, **რომელ** გიქმნია” (292); „მას მშობელსა ჰგავ, **რომელ** ასული ბრმა ესვა” (282); მსგავსი ფორმებია სხვაგანაც (280).

მაშასადამე, XI-XII საუკუნის ძეგლები არ იცნობენ ფორმას **ვინც**!

ე.წ. „აბდულმესიანში” კი ორგან ფიქსირდება ქართული ენისათვის დამახასიათებელი

გვიანდელი მოვლენა **ვინც** და არც ერთხელ
– **ვინ** ანდა **ვინცა**:

„მისცის ყოველთა, **ვინც** იყო ველთა” (83,3).

აქ გვიანდელ ჩასწორებაზე საუბარი ყოველად უჯერო გამოვიდოდა, ვინაიდან მიმართულების ნაწილაკი „ც” აქ სარიტმო წყვილედ უნდა ქმნის. დააკვირდით:

მისცის ყო – ვინც იყო.

მეორე მაგალითი:

„ურჩი **ვინც** იყოს თქვენი ტახტისა” (104, 3).

ეს ფორმა **ვინც** შეეძლო ეხმარა მეჩვიდმეტე საუკუნის მწერალს და არაფრით – მე-12 ასწლეულის ავტორს.

სწორედ იაკობ შემოქმედელს აქვს ნახმარი **ვინც** თავისი ხელით გაკეთებულ ანდერძ-მინაწერში, რომელიც „ფუტკარს” დაურთო: „აწ **ვინც** და რამანცა” (იხ. ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, 2009, 62). ასევე ფორმას **ვინც** იყენებს ი. შემოქმედელი „გაბაასებაშიც”.

არ იქნება ზედმეტი, მკითხველი გაეცნოს **ვინცა** და **ვინც** სიტყვათა ხმარების დინამიკას:

XI-XII საუკუნეებში და უფრო ადრე ჩვეულებრივია **ვინცა**, ხოლო მე-13 საუკუნის დამდეგიდან სპორადულად ჩნდება **ვინც**.

მაგალითად, თამარ მეფის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი შედგენილია 1201 წელს. აქ ერთგან წერია **ვინც** (ქართული მწერლობა, 3, 46), სხვაგან კი არის **არცა**, **ვინცა** და **რამანცა** (იქვე, 48).

„ვეფხისტყაოსნის“ დანართში „ანდერძი ავთანდილისა“ წერია: ვინცა (იქვე, 48).

აქეთ და აქეთ **ვინც** უფრო თამამად იხმარება. კახა თორელის შეწირულობის წიგნში (დაწერილია 1259 წელს) გკითხულობთ: „და **ვინც** დაგვაკლოს“ (იქვე, 62) და „**ვინცა**“ ვერ მოვიდოდთან“ (იქვე, 53); სამაგიეროდ, ბევრია უფრო ძველი ფორმა: „და **ვინ** ჩემის გვარისაი სხვაი იყოს“ (იქვე, 54); „**ვინ** სხვათა მოურავმა შეცვალოს“ (იქვე, 54); „**არცა**“ (55); „**ვინ** დააკლდებოდეს“ (56); **არცა**, **ვინცა** და

რამანცა (56); ერთგან არის ასეც: „**ვინც** წინამძღვარი იყოს” (56); **ჩვენცა** (60).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში” (XIV საუკუნის ტექსტი) ვკითხულობთ: „**ვინც** იქვე სხედან” (ქართული მწერლობა, 3, 85); „**ვისცა** არ უბრძანებს” (85); „და მერე **ვინც** უნდათ ... და **ვინცა** ...” (89); **ვისცა** (89).

ვხედავთ: უპირატესობს ძველი ფორმები.

„ძეგლის დადებაშია” (1340 წლის დოკუმენტი): თუ **ვის** ღმერთი შერისხდეს” (იქვე, 91); „**ვინც** ერისთავმან” (90); **ვისცა** (98).

აქაც უპირატესობს ძველი ფორმები.

დინამიკა ნათელია:

მე-12 საუკუნემდე და ამ ასწლეულშიც ჩვეულებრივია **ვინ**, **ვინცა**; მე-13 საუკუნის დამდეგიდან აქა-იქ ჩნდება **ვინც**; მე-13 საუკუნის ბოლოს და აქეთ თანდათან შემოდის **ვინც** და იგი ძველ ფორმებთან თანაარსებობს, თუმცა კი უპირატესობა ამ დროსაც ძველ ფორმებს ეკუთვნის.

მაშასადამე, ნამდვილ „აბღულმესიანში”, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს

„თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“, წარმოუდგენელია შეგვხვდეს ფორმა „**ვინც**“ სწორედ ისევე, როგორც არ ჩანს იგი „თამარიანში“, მაშ, ვერ იქნებოდა ვერცა „თამარიანის“ უწინარეს ტექსტში.

კიდევ ერთი საინტერესო სიტყვაც განვიხილოთ: „ვისრამიანში“ გვხვდება მხოლოდ **თვითო** (ქართული მწერლობა, 3, 103, 309) და **თვითოსა** (გვ. 316). იგივე ვითარებაა „ვეფხისტყაოსანში“. აქ ჩვეულებრივ უხვადაა ფორმა **თვითო** (აკ. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956, 132) და ერთხელაა ამ ფუძიდან გაკეთებული სიტყვა **თვითეულად** (სტროფი 1630, 4).

მაშასადამე, XII საუკუნის ნორმაა **თვითო** და **თვითეული**.

მოგვიანებით, XV-XVII საუკუნეებში, თანდათან შემოვიდა **თითო** და **თითოეული**. ამიტომაცაა, რომ 1661 წელს შეთხზულ ე.წ. „აბღულმესიანში“ გვაქვს ახალი, დღევანდელი (დღევანდელი სტილისტური ნორმაა სწო-

რედ თითოეული და არა თვითეული) ფორმა – თითოეულად (87, 2).

ასევე საგულისხმოა კიდევ ერთი დაკვირვება.

V-X-XIII საუკუნეთა ტექსტებში ძვირფას ქვას ეწოდება **ფეროზი**. „ვისრამიანში“ სწორედ ეგ ფორმაა დადასტურებული (ქართული მწერლობა, 3, 221); იგივე ვითარებაა რუსთველთან: „ჯამი და ჭიქა – ყველაი **ფეროზისა** და ლალისა” (სტროფი 483, 3).

ბოლნისის სიონის წარწერაში (V საუკუნე) გვაქვს „ე” ხმოვნის ფორმა – **პეროზ** (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, გვ. 454); XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა” არაერთგზის ადასტურებს პირის სახელს **ფეროზ** (ქართული მწერლობა, I, 61, 63, 111, 112); კიდევ მეტი, ე.წ. „აბდულმესიანზე” უფრო ადრე შეთხზულ „რუსუდანიანშიც” ძველი ფორმაა – **ფეროზ** (112).

შესაძლებელია უძველეს წარსულშიც გადავიხედოთ. „ისტორიის მამა” ჰეროდოტე ახ-

სენებს მეფე **ფეროსს** და არა **ფირუზს** (იხ. ჰეროდოტე, ისტორია, თბილისი, 1975, გვ. 158).

მოგვიანებით, დაახლოებით XVI-XVII საუკუნეებში, **ფეროზი** იქცა **ფირუზად**. ამიტომაც იაკობ შემოქმედელის „არჩილ მეფის ქებაში“, ანუ ე.წ. „აბდულმესიანში“, გვაქვს: „ჯამები იყვის **ლალ – ფირუზისა**“ (44, 1).

აქ ისიც აღსანიშნავია, რომ „იაკობ მბაძე“ ბაძავს რუსთველს, ოღონდ ძალიან ცუდად და მოსდის კურიოზი, შეცდომა. რუსთველი ბრძანებს: **ჯამი** და **ჭიქა** იყო ფეროზისა და ლალისა. ჩამოთვლათა რიგში ყველაფერი მართებულია: **ჯამია** ფირუზის, ხოლო **ჭიქა – ლალისა**; იაკობმა ყველაფერი აურიო: **ჯამები** იყო **ლალ-ფირუზისა**. **ჯამი** ლალისა ვერ იქნებოდა, რამეთუ ლალი მინისგვარია და **ჭიქას** შეესაბამისება, ფირუზი კი დიახაც რომ რკინის მათლაფას ანდა **ჯამს** შეეჯუფთება.

ძველ ტექსტებში დიახაც გვხვდება ტერმინები: **ქართლი, ქართველი, საქართლო**, ოღონდ არამც და არამც დღევანდელი გაგე-

ბის **საქართველო** და, თუ სადმე მაინც ჭიატებს, მხოლოდ როგორც ქართლის აღმნიშვნელი. ამის კარგ მაგალითს იძლევა იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“. თვით ერეკლე მეორის დროსაც კი **საქართველო** ძირითადად ქართლს მოიაზრებდა და ეგ გახლდათ ტერმინის ძველი გააზრება. თხზულებაში წერია, რომ იესე ბარათაშვილმა ძმა დააქორწინა, მშვენიერი ქორწილი გადაუხადა და დაპატიჟა დიდებულნი: „მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს – კაცსა და ქალსა, **საქართველოს** დიდროანს კაცებს ყოველთავე მოვახსენეთ” (ქართული მწერლობა, 8, გვ. 230). ეჭვი არაა, აქ საქართველო ნიშნავს იმას, რასაც **სა – ქართლ – ელ – ღ**, ანუ ქართლელთა სახელმწიფო, მაშ, **საქართველო** ქართველების (ქართლელების) ქვეყნად მოიაზრება. ეს არის მწიგნობარი კაცის ტერმინი, რომელმაც სიძველენი კარგად იცის. ასე რომ, მე-12 საუკუნის ძეგლში ტერმინ **საქართველოს** ამ ვიწრო გაგებით ხსენებაც კი წარმოუდგენელია, არათუ **საქართველოს** იმ

ფართო გაგებით, რაც მას ე.წ. „აბდულმესი-
ანში“ აქვს. აქ კი ვკითხულობთ: მარიამის
წილხვდომი ქვეყნის საქართველოს მეფედ
ზიხარო. მარიამის წილხვდომილი კი, გასაგე-
ბია, რომ მხოლოდ **ქართლი** ვერ იქნება. ესე
იგი, აქ **საქართველოს** თანამედროვე გაგებაა
დაფიქსირებული. აი, ტექსტი:

ძირით მისისა იესისისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად
ქალწულ-წმიდისა წილხვდომილისა,
საქართველოსა მეფედ წოდებად (16).

ივერიის ამგვარი გაგება, რა თქმა უნდა,
დაიწყო გაცილებით გვიან, ვიდრე მე-12 საუ-
კუნეში იყო. მაგალითად, ბასილი ეზოსმოძ-
ღვარი თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფი-
სა თამარისი“ არაერთხელ ახსენებს ქარ-
თველთ, ქართველთა მეფეს, **ქართლს**, რო-
გორც **საქართველოს** შინაარსის მატარებელ
ტერმინს, ოღონდ **საქართველოს** არამც და
არამც! აგერ ამისი მკაფიო დასტური. გარდა-
იცვალა თამარი. ავტორი გვაუწყებს, რომ
მთელი საქართველო გლოვობდაო, მაგრამ

იყენებს ტერმინს **ქართლი**: „და აღივსო მზე **ქართლისა** და საფლავმან სადიდებლად თვისად დაგვაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა” (ქართული მწერლობა, 3, გვ. 409).

ამრიგად, ე.წ. „აბდულმესიანში” უკვე ჩანს ტერმინ **საქართველოს** თანამედროვე გაგება. დღეს, როცა ვიცით, რომ ქება ეძღვნება **ქართლელ** ბაგრატიონ არჩილს, თანაც იმხანად **იმერეთის** მეფეს, ეჭვი აღარაა, რომ აქ ცნება „საქართველოსა” ნამდვილად და უტყუარად ადასტურებს თანამედროვე გაგებას.

ასე რომ, ტერმინი „საქართველო” კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ტექსტი შეთხზულია მე-17 საუკუნეში.

საინტერესოა გამოთქმა „გვრიტთა მართვე”, რომელშიც მე სამ პიროვნებასა ვხედავ. **გვრიტები** არიან ვახტანგ მეხუთე-შაჰნავაზი და მისი მეუღლე, ხოლო მათი **მართვე**, ანუ ჯერ კიდევ ბარტყი, გახლავთ იმჟამად 14 წლის ყმაწვილი არჩილ ბაგრატიონი.

საინტერესოა თვითონ კონტექსტი:

„გერიტოა მართვისა თვარ აქვს მართ ვი-
სა

თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?” (62,1)
ჯერ ერთი, გერიტის მართვე ვერ იქნებო-
და ვერცა თამარი, რომელსაც ჰყავს მეუღლე
დავით სოსლანი და შვილი ლაშა-გიორგი.
შევიხსენოთ, რომ ამ დროს თამარს უკვე გა-
მოცვლილი ჰყავს პირველი ქმარი გიორგი
რუსი. იგი მას მეუღლედ ესვა კარგა ხანს.
მერე შეირთო დავითი. ამასობაში ის კიდევაც
მობერდა. მაშ, თამარი რომ **მართვე** იყოს, გა-
მორიცხებულია.

ამავე მიზეზით გამორიცხებულია, მართვე
უწოდონ დავით სოსლანს, რომელიც თამარ-
ზე უმცროსი კი არა, უფროსი იყო. ამავე
დროს, ლაშა-გიორგი სწორედ მისი შვილია.

ამასთანავე, ტექსტიდან კარგად ჩანს,
რომ ამ **მართვეს** აქვს სურვილი მეუღლეობი-
სა, ესე იგი, დაქორწინებისა. მაშ, ის ჯერ კი-
დევ არ არის დაქორწინებული, ოღონდ ამისი
წადილი კი ჰქონია.

ვინ შეიძლება ასეთი იყოს?

რა თქმა უნდა, არჩილ მეფე, იმხანად 14 წლის ყმაწვილი, მართვე, ანუ არწივის ბარტყი, რომელსაც აქვს წადილი დაქორწინებისა.

მართლაც, 1661 წელს, როცა იაკობი წერდა სახოტბო პოემას, არჩილი იყო 14 წლის მართვე.

არავის, გარდა არჩილისა, არ შეეფერება ეს ტაეპები – აქ მხოლოდ შაჰნავაზის ჭაბუკი პირმშოა დახატული!

ამავე კატეგორისაა მეორე ეპითეტი **ვარდი უფრჭენელი**. უფრჭენელი, ანუ დაუმჭკნარი, კოკობი ვარდი არის ეპითეტი 14 წლის ყმაწვილისა. ეგ ეპითეტი ყოველად არადსადირალია თამარის ანდა დავით სოსლანის მიმართ.

აი, კონტექსტი:

„ვარდო უფრჭენილო, ცვრით განბანილო,
ნერგო სვიანო, დავითიანო,
ვინ კისკასია” (51,1-2).

აქ თამარ მეფე გამოირიცხება, ვინაიდან ეპითეტი **კისკასი** მამაკაცისაა; არცთუ „ვარდი უფრჭვნელი“ მიესადაგება მას, ოღონდ ამას ახლა თავი დაგანებოთ.

ასევე გამოირიცხება დავით სოსლანი, რამეთუ იგი არის არა ნერგი **დავითიანი**, არამედ ნერგი **ეფრემიანი**. აქ კი მითითებულია, რომ ხოტბის საგანი არის ნერგად **დავითიანი**. ასეთი კი არჩილ ბაგრატიონია. ასევე „უფრჭვნელი ვარდი“ ზუსტად მიესატყვიება 14 წლის ყმაწვილს.

ამრიგად, ესეც იმას დალადყოფს, რომ პოემა ეძღვნება არჩილ მეორეს, 14 წლის იესიან-დავითიან ბაგრატიონს, ვარდს უფრჭვნელსა და დიდი იმედების მომცემს, რომ ივერიას გააერთიანებს და გააბრწყინებს.

მაშასადამე, ლექსიკური თვალსაზრისითაც სახოტბო ტექსტი ეკუთვნის მეჩვიდმეტე საუკუნეს და ამ დროის გამოჩენილ მწერალ იაკობ შემოქმედელს; ხოტბის საგანია 14 წლის ყმაწვილკაცი არჩილ ბაგრატიონი, ნა-

წილობრივ, მცირე დოზით, მამამისი ვახტანგ
V შაჰნავაზიძე.

**„შაჰნამუს“ ვერსიების კვალი
იაკობ ღუმბაძის
„არჩილ მეფის ქებაში“**

როგორც წინარე წერილში დავინახეთ, კოლორიტული თურქული სიტყვა „ბოლუქ-ბოლუქად“ პირველად „როსტომიანში“ გამოჩნდა. ეს ხატოვანი სემანტიკური ცნება მოუმარჯვებია იაკობ შემოქმედელს. კიდევ მეტი, არა მარტო ეგ სახიერი თქმა, არამედ მისი სართომე წყვილელიც „როსტომიანიდან“ უსესხებია. როგორც ითქვა, იქ არის:

**მათ ხელი შუბსა დაიდევს, ცხენებსა
შესხდეს ს ა ლ უ ქ ა დ,
გამოემართნეს, ღაშქარნი მოსდევდეს
ბ ო ლ უ ქ ბ ო ლ უ ქ ა დ.**

იაკობი იყენებს არა მარტო სიტყვას „ბოლუქ-ბოლუქად“, არამედ სართომო სიტყვასაც – „სალუქად“.

ხოტბის მე-8 სტროფის პირველი ტაეპი ასეთია:

**ბ ო ლ უ ქ – ბ ო ლ უ ქ ა დ, მყის
ს ა ს ა ლ უ ქ ა დ...**

სესხება უდავოა და მასში ეჭვის შეტანა ყოვლად წარმოუდგენელია.

ახლა ვნახოთ, თუ კიდევ რა არის გამოყენებული „ვერსიებიდან“.

აქვე ვაცხადებ: თუ ე. წ. „აბდულმესიანი“, ანუ „არჩილ მეფის ქება“, ნამდვილად XVII საუკუნის ძეგლია, მაშინ ყოვლად შეუძლებელია, მის ავტორს არ განეცადა „ვერსიების“ ზეგავლენა, რამდენადაც ამ ხანებში „ვერსიებს“ დიდი ემოციური ძალა და ზემოქმედებითი ავალა ჰქონდა აკრებილი.

იაკობი სხვა ადგილასაც განიცდის „ვერსიების“ ზეგავლენას. ეს ამბავი ერთობ აშკარად ჩანს უკვე მე-15 სტროფში. აქ ჩამოთვლილია თითქმის ყველა ის უმთავრესი გმირი „შაჰ-ნამესი“, რომლებიც „ვერსიებშია“ გამოხატული. „ვერსიებში“, როგორც იტყვიან, „ფართო პლანით“ არიან დახატული უთურთი, საამი, ზაალი, ანუ სახელგანთქმული როსტომის წინაპრები – ბაბუა, შვილი,

შეილიშეილი. იაკობის ჰიპერბოლით კი, თურ-
მე, არჩილ მეფე ამ გმირებს ძალით აღემატე-
ბა და „განქიქებულ-ჰყოფს“:

უ თ უ რ თ-ს ა ა მ ი თ ზ ა ა ლ ს ა
ამით განქიქებულ-ჰყოფს ძლიერებითა.

შემდეგ: „ვერსიებში“ ძალიან დიდი ადგი-
ლი ეთმობა დრამატულ ამბავს, თუ როგორ
მოკლეს ძმებმა ს ა ლ ი მ მ ა და თ უ რ მ ა
თავიანთი ძმა ერაჯი. სხვათა შორის, „ვერსი-
ებში“ მკვლელი ძმების ხსენება ამ წესით მი-
დის: ჯერ უფროსი ს ა ლ ი მ ი, მერე მისი
მომდევნო თ უ რ ი და ტექსტში არაერთგ-
ზის მეორდება სწორედ ამგვარი ბმა: ს ა ლ
ი მ ი და თ უ რ ი ან კიდევ სალიმ-თური.

ზუსტად ამ თანამიმდევრობას იცავს ია-
კობი. იგი წერს:

ს ა ლ ი მ და თ უ რ ი, ძლით უკეთური.

ს ა ლ ი მ და თ უ რ ი ს უკეთურება
„ვერსიებში“ არაერთხელ საგანგებოდ არის
გახმიანებული. ბოლოს ძმები სისხლით აგე-

ბენ პასუხს ამ საშინელი უკეთურებისა გამო. ამიტომაც არიან იაკობის პოემაში ეგ ძმები „ძლით უკეთურნი“.

კიდევ მეტი: საღიმი და თური, როგორც უკეთური, ხშირად იხსენიება თვით „როსტომიანშიც“.

„ვერსიებში“, ბუნებრივია, არაერთხელ არის ნახსენები გმირთაგმირი როსტომი.

თავის გმირს, არჩილ მეფეს, იაკობ შემოქმედელი როსტომზე უკეთეს, უფრო ძლიერ გმირად რაცხს. ამიტომაც როსტომის სახელს ორჯერ ახსენებს:

რ ო ტ ო მ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა?

იაკობის აქ მომარჯვებული ჰიპერბოლით, ავტორმა არ იცის, თუ რითი არის არჩილ მეფის სწორი და ჯუფთი გმირი როსტომი.

სამაგიეროდ, მეორე შემთხვევაში გმირი როსტომის ძლიერი ხმა, თურმე, ზუსტად შეესატყვისება არჩილის მეომრულ ყიჟინას:

**მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუდნი
ხმა როსტომითა უმხნე ძალთათვის (31,4).**

ასევე ფირდოუსის პოემის პერსონაჟებია
ნახსენები სხვა ადგილას:

**ვიტყვი ხვასროსა, იმა ხვასროსა,
ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა (38,1).**

აქ დასახელებულია ერეკლე კეისარი,
რომელმაც ქრისტიანული ჯვრის გატაცების-
სათვის შეიპყრო და სასტიკად დასაჯა ირა-
ნის შაჰი ხოსრო.

„ვერსიებში“ ნაჩვენებია ვ ი ს ი, უკეთუ-
რი თ უ რ ი ს რაინდი-მონა, პირველი ვაზირი.

**ვ ი ს ი თურის ტახთან დასვეს,
ერთ ფალანად ისიც ღირსა.**

იაკობ დუმბაძე იცნობს „ვერსიების“ ამ მე-
ორეხარისხოვან, ლამის მიჩქმალულ გმირსაც:

**ვხმობ ვამეყ – ვ ი ს ს ა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო იამან ქვეყნით (32,1).**

„ვერსიებში“ ყურადღებას იქცევს ერთი
გარემოება: აქ მკაფიოდ ჩნდება ხატოვანი
თქმა **ზ უ რ გ ი ს გ ა მ ა გ რ ე ბ ა**, რაც
ნიშნავს ზურგის მობმას, მხარდაჭერას,

მფარველობას. ტექსტში ვხედავთ: ფასკუნჯი ეუბნება ზაალს – წადი მამაშენთან, მე შენი ზურგი მუდამ ვიქნებიო (როსტომიანი, 1144, 3-4); საამი ეუბნება ფასკუნჯს: ჩემს შვილს, ზაალს, შენ მ ა გ ა რ ი ზ უ რ გ ი ყავხარო: „შენ ასეთი ზურგი ყავხარ, გამოუჩნდი ზაალს მზრდელი“ (1150, I-2); მესტროლაბეებმა საამს მოახსენეს: ზაალი „ტახტის ზურგი“ გამოვალ (1184,3); თვით ზაალი ამბობს მამამისზე, რომ საამი არის „ფალავანთ ზურგი“ (1245,2); „ლაშქართა ზურგი“ ხარო, ეუბნება მანუჩარ მეფე საამს (1492,3); საამი „ზურგია ირანისა“ (1685,2); ზაალი „დიდებულთა და თავადთა ზურგი“ იქნებაო (1684,2); საამი მოკვდა. მეფეს „აღარა ჰყავს მათი ზურგი“ (1907,3); სხვაგანაა „თქვენ ყოფილხართ მათი ზურგი“ (2138,4); „იგ არიან ჩვენი ზურგნი“ (2160,4); „იგი არის ზურგი ლაშქართა“ (2307,2); „ხელმწიფისა ზურგი შენა“ (2391,4); „სპათა ზურგი გაუტყდების“ (2515,3); „ჭირსა შიგან ჩვენი ზურგი შენ ხარ, მეშველად გინატრიდეს“ (2516,4).

მაგალითი იმდენია, ყველას მოხმობა გაჭირდება.

მაშ, XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან ძალას იკრებს ხატოვანი გამოთქმა – შენ ჩვენი ზურგი ხარ.

ეგ გამოთქმა გვაქვს XVII საუკუნის ძველ „რუსუდანიანში“: ღმერთმა შენ „ჩემად ზურგად გამოგაჩინა“ (ქართული მწერლობა, 6,159).

მაშ, ზურგის მობმა, ზურგის გამაგრება XVII საუკუნეში განმტკიცებული იდიომური თქმაა.

ჩემი აზრით, სწორედ „ვერსიების“ ზეგავლენას უნდა მიეწეროს, რომ ამ იდიომას იყენებს იაკობ ღუმბაძეც. ხოტბაში ავტორი არჩილ მეფეს ასე მიმართავს:

**ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსხლავ,
ერთგულთ ექმნები ფარად და ზ უ რ გ ა დ
(61,2).**

შევნიშნავ: ზურგის მობმა, ზურგის გამაგრება ისე ხატოვანი იდიომაა, ეს რომ XII საუკუნეში გავრცელებული და ცნობილი ყო-

ფილიყო, მას სადმე ერთხელ მაინც მოიმარჯვებდა რუსთველი. ეგ იდიომა არ ჩანს არც „თამარიანში“.

მაშ, XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბებული იდიომური გამოთქმა შეუძლებელია, შავთელის „აბდულმესიანში“ დადასტურდეს, თუკი ოდესმე აღმოვაჩინეთ იგი.

ახლა მოვახდინოთ ერთგვარი განზოგადება – ერთმანეთს შევუდაროთ XII საუკუნის „თამარიანი“ და მისი მიბაძვით დაწერილი „არჩილ მეფის ქება“.

„თამარიანში“ ფართოდ არის წარმოჩინებული 1) ბერძენი ფილოსოფოსები; 2) ბიბლიური მოტივები და პერსონაჟები; 3) ერთობ მწირად არის წარმოდგენილი „შაჰნამეს“ გმირები. მაგალითად, სულ ნახსენებია (ისიც ყრუდ) ორი მათგანი – როსტომი და საამი: „ყარყუმს და არანს, მით ზედა არანს როსტომ ებრძოდა თვით შეძლებულად“ (11, 2); მეორეგან ნახსენებია საამი, თუ ნამდვილად „შაჰნამეს“ საამია აქ ნაგულისხმევი: „არ

გგვანდეს დარი, ხოსრო დადარი, ს ა ა მ-აქი-
ლევ, დებორა ქველი!“ (64,4).

ეს არის და ეს!

რა ვითარებაა ამ მხრივ ე. წ. „აბდულმე-
სიანში“?

აქაც ფართოდ, „თამარიანის“ ჯუფთად, წარმოდგენილია 1) ბერძენი ფილოსოფოსები; 2) ბიბლიური მოტივები და პერსონები (ეს უკანასკნელი „თამარიანზე“ მეტადაც კი. ესეც გასაგებია, რადგან ავტორია იაკობ დუმბაძე, მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი); ხოლო „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟები ისე ჭარბად არის გამოყვანილი, ეჭვი აღარ გვრჩება: ავტორი ღრმად არის ჩანახედი „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში. მას ფირდოუსის არაოდენ მთავარი პერსონაჟები (საამი და როსტომი), არამედ თვით უმნიშვნელო, მეორე და მესამეხარისხოვანი პერსონაჟებიც კი თამამად შემოჰყავს, მსჯელობს მათზე, აქებს, აღიდებს ანდა კიცხავს, გმობს, ამუნათებს. მაგალითად, ერთი ასეთია მესამეხარისხოვანი გმირი ვ ი ს ი, რომ აღარაფერი ვთქვათ

მეორეხარისხოვან უკეთურ სალიმსა და თურ-
ზე. ესე იგი, ავტორმა გამოწვლილვით იცის
მათი ამბავი და არა ყურმოკვრით. ასეთი რამ
კი შესაძლებელი იყო ვერსიების გამოქვეყნე-
ბის შემდეგ, ე. ი. XVI-XVII საუკუნეებში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ხოტბის
ტექსტი გაჯერებულია „შაჰ-ნამეს“ ქართული
ვერსიების პერსონაჟებით, ამბებით, მოტივებ-
ით, ენობრივი საბრუნავებით, ლექსიკით.

„მაკროტ-ლავროტი“ და

ე. წ. „აბდულმესიანი“

ე. წ. „აბდულმესიანის“ მე-8 სტროფი იმით არის საინტერესო, რომ აქ დაცულია არა ერთი, არამედ რამდენიმე ისეთი სიტყვა, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებამდე ქართულ მწერლობაში არა ჩანს. ზემოთ ვილაპარაკეთ „ბოლუქ-ბოლუქზე“. ახლა განვიხილოთ სხვა სიტყვები. კერძოდ, აქ ჩამოთვლილია ფრიად კოლორიტული სხვა ლექსემებიც. ესენია: **მირონ-გუნდრუკი, შტახსი, კასია, კინამო, სარდა, ლავროტი, მაკროტი.**

აქედან, ჩემი ფიქრით, ბევრია ისეთი ლექსემა, რომლებიც XII საუკუნის ქართულ მეტყველებაში არც კი ჭაჭანებდა, ოღონდ ყველას ვერ გამოგვიდები. არც საჭიროა. ამჟამად გავსინჯოთ ორი მათგანი – **მ ა კ რ ო ტ ი და ლ ა ვ რ ო ტ ი.**

ეს სიტყვები არ დასტურდება ქართული მწერლობის ძველ ტექსტებში, ანუ V-XV სა-

უკუნეების თხზულებებში; არ ჩანს ისინი არც ზ. სარჯველადის ლექსიკონში.

შევნიშნე ერთი ფრიად საინტერესო გარემოება: დავით ჩუბინაშვილი თავისი ცნობილი ლექსიკონის შედგენისას ცდილობს წარმოაჩინოს ქართული ენის მთელი ლექსიკური სიმდიდრე და სიძველე. ამ მიზნით, თუკი მონაცემები ხელს უწყობს, ლამობს ნიმუში დაასახელოს რაც შეიძლება ძველი ტექსტიდან. ამავე დროს, მიუთითოს ორი-სამი სხვადასხვა წყაროდ. აგრეთვე შევნიშნე: რამდენიმე ტერმინ-ცნებას უთითებს მხოლოდ შავთელის თხზულებიდან, ე. წ. „აბდულმესიანიდან“. ესე იგი, ძველ ქართულ ტექსტებში, კერძოდ V-XV საუკუნეების მანძილზე, ვერ პოულობს ამ ტერმინ-ცნებათა ვარიანტებს და მის ლექსიკონში „აბდულმესიანიდან“ ამოღებული ეს სიტყვები იაქესავით შიშველი მოჩანს. სწორედ ასეთია „მაკროტი“ და „ლავროტი“. დ. ჩუბინაშვილი „მაკროტს“ შავთელის თხზულებაზე დაყრდნობით მიუთითებს (გვ. 661), რადგან „აბდულმესიანი“ XII საუკუნის ძვე-

ლი ჰგონია, და სხვა ნიმუში ვერ მოჰყავს, და ეს მაშინ, როდესაც „მაზრაკის“ განმარტებისას მითითებულია არაერთი წყარო – შავთელიცა და სხვებიც: იოელ. 3-10; შავთ. 10; იერემ. 6-23 (იხ. გვ. 660). ასევე ლ ა ვ რ ო ტ ს მიუთითებს მხოლოდ შავთელის მიხედვით (გვ. 639) და სხვა მაგალითი ვერ მოჰყავს. ვერც მოიყვანდა, რადგან ეს სიტყვები წერილობით წყაროებში XVI-XVII საუკუნეებამდე არ ჩანს. პირველად „მაკროტი“ და „ლაგროტი“ გამოჩნდა ხელნაწერთა კრებულში (გულანში), რომელსაც ეწოდება „ფუტკარი“ და რომელიც, ზოგი მკვლევარის აზრით, იაკობ შემოქმედელმა გადაწერა და უძღვნა შემოქმედის ეკლესიას, ზოგთა აზრით კი, მხოლოდ უძღვნა. ასეა თუ ისე, გულანმა გამოიარა იაკობ დუმბაძის, ანუ ე. წ. „აბდულმესიანის“ ავტორის, ხელში; ჩანს, სწორედ აქ გაცნო ამ სიტყვებს მწერალი მეხოტბე და კიდევაც გამოიყენა ისინი.

ამიტომაც არის, რომ ეგ სიტყვები გვხვდება ჯერ „ფუტკარში“ (XVI საუკუნის

ქეგლი), მერმედ – „არჩილ მეფის ქებაში“ (ე. წ. „აბდულმესიანში“), რომელიც შეთხზულია 1661-1663 წლებში.

რას გვიდასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში დაცული სიტყვათა საგანგებო კატალოგი? სიტყვებთან „მაკროტი“ და „ლავროტი“ მითითებულია ერთადერთი წყარო – ე. წ. „აბდულმესიანი“.

რომც აღმოჩნდეს რომელიმე ადრეულ წყაროში მიყუჟული მითითებული სიტყვები, ეგ ვითარებას ვერც მაშინ შეცვლის, როდესაც დოკუმენტურად ვიცით, რომ მათ ნამდვილად გაიარეს იაკობ დუმბაძის ხელში.

მეორე მხრივ, თუ რომ ეგ კოლორიტული და ერთობ უღერადი სიტყვები XII საუკუნის რომელიმე ქეგლში ყოფილიყო გამოყენებული, მათ უთუოდ მოიმარჯვებდა მომდევნო ხანის რომელიმე მწერალი მაინც. ამას გვიდასტურებს „ბოლუქ-ბოლუქის“ ამბავი. როგორც კი იგი გაჩნდა XVI საუკუნის „შაჰ-ნა-

მეს“ ვერსიებში, სწრაფად მოედო XVI-XVII საუკუნეების ლიტერატურას.

გადაჭრით ვერ ვიტყვი, ოღონდ ამავე ტიპის სიტყვად მიმიჩნევია კ ა ს ი ა. დ. ჩუბინაშვილი მას ასე განმარტავს – დარიჩინის სურნელოვანი ხე. და მითითებული აქვს გვიანდელი წყარო „ქილილა და დამანა“ (იხ. „ქილილა და დამანას“ გვ. 478, 11). ვახტანგ მეექვსესა და სულხან ორბელიანს კი ებ სიტყვა აღებული აქვთ ან „ფუტკრიდან“ ან კიდევ „არჩილ მეფის ქებიდან“ (უფრო აქედან), ხოლო ი. დუმბაძეს – იმავე „ფუტკრიდან“, სადაც ეს სიტყვა სხვა მუშკ-ამბარ-არომატებთან ერთად განმარტებული და მომარჯვებულია.

ამრიგად, მ ა კ რ ო ტ ი, ლ ა ვ რ ო ტ ი, კ ა - ს ი ა და ბ ო ლ უ ქ ბ ო ლ უ ქ ი გვამცნევენ ერთ ურყევ ჭეშმარიტებას: ე. წ. „აბდულმესიანი“ ვერაფრით დაიწერებოდა XII-XIII საუკუნეებში, რადგან იმ ხანებში ქართული მეტყველება არ იცნობდა ამგვარ ცნებებს.

ფარი და ზურბი

ე. წ. „აბდულმესიანის“ 61-ე სტროფში ყურადღებას იქცევს ერთობ ხატოვანი სახე. ავტორი თავისი ხოტბის საგანს, ძლიერ მეფეს, ეუბნება: ორგულებს მოსპობ, ხოლო შენს მომხრეებს კარგად დაიცავო:

**ერთგულთ ექმნები ფ ა რ ა დ და ზ უ რ გ ა დ
(61,2).**

ეს ხატოვანი გამოთქმა, ერთობ კოლორიტული მხატვრული ფიგურა, არ იცის არც „თამარიანმა“, არც „ვეფხისტყაოსანმა“. არადა, ისე ეფექტიანი და ღრმააზროვანი თქმაა, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შემუშავებული რომ ყოფილიყო, ჩახრუხაძე თუ არა, რუსთველი მაინც მოიმარჯვებდა. მით უფრო, რომ „ვეფხისტყაოსანში“ საამრიგო ადგილი უამრავია.

ამ ორფა ფორმულის ცალფა სახე ჯერ კიდევ კიმენსა და „ვისრამიანში“ გამოჩნდა. „ვისრამიანშია“: „კაცისათვის ღმრთისა მინდობა კარგი ზ უ რ გ ი ა“ (80, 37); „არცა

ომისა დღესა ზ უ რ გ ა დ გყვეს“ (115,10); „ვინაა ზ უ რ გ ი, ანუ მეშველი შენი“ (116,9); „ზ უ რ გ ი ს ა გამმაგრებელი“ (281,15); „რკინისა ზ უ რ გ ი ჩემი“ (235,4); „ჩემად იმედად და ზ უ რ გ ა დ ო“ (128, 29-30). მაგრამ ეგ ფორმულა თავის საბოლოო ნავსადგურამდე XII-XIII საუკუნეებში მაინც არ მისულა. იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შემუშავების ეპოქაში. საქმე ისაა, რომ „შაჰ-ნამეში“ თითქმის ყველა ნაბიჯზე ვხვდებით მითითებულ ფორმულას, რადგან აქ რაინდები მართლაც არიან მეფეთა ფ ა რ ი და ზ უ რ გ ი. მარტოოდენ როსტომს არაერთხელ ეუბნება არაერთი მეფე, შენ ჩემი ტახტის ზურგი და ფარი ხარო. თვითონ როსტომი ამ ფიგურას, სულ ცოტა, ასჯერ მაინც იმეორებს. ამოწერილი მაქვს ორასამდე საამრიგო ნიმუში. აქედან მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვან: „ტახტის ზურგი – ზაალი“ (1184,3); „ზურგი არის ერანისა“ (1685,2); „როსტომ არის ჩემი ზურგი“ (3715,2); „ქუმსი იყო მათი ზურგი“ (3653,3);

„თქვენ ზურგი ხართ ხელმწიფეთა“ (4258,3); „ტახტის შემნახენი და ზურგი ხართ“ (II, 386,10); „ტახტის ზურგო“ (465,1), „ფალავანთ ზურგო“ (III, 129; 574).

განსაკუთრებით საჩინოა, რომ „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში უკვე ჩამოყალიბებულია იდიომურ თქმათა ყველა ვარიანტი: ზ უ რ გ ი ს მ ო ბ მ ა, ზ უ რ გ ი ს მ ო ტ ე ხ ა, ზ უ რ გ ი ს გ ა მ ა გ რ ე ბ ა. მაგალითად, „ზურგი მოგტეხიან“ (III, 519; 522); მათ შორის ყველაზე ხატოვანია ე. წ. ორფა იდიომა – „ზურგად და ფარად“. თვითონ როსტომ გმირი მიუთითებს: „ერანელთა ფ ა რ ი და ზ უ რ გ ი ვყოფილვარ“ (III, 572,4).

ეს ფორმულა სწორედ ამგვარი თანამიმდევრობით – ფ ა რ ი და ზ უ რ გ ი – „შაჰ-ნამეს“ ვერსიებიდან სხვა კოლორიტულ გამოთქმებთან ერთად (მაგალითად, ბოლუქ-ბოლუქი) პირდაპირ გადაუტანია იაკობ შემოქმედელს „არჩილ მეფის ქებაში“:

ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად.

სხვათა შორის, „შაჰ-ნამეს“ ვერსიებში არაერთგზის მომარჯვებული ეს იდიომა განსაკუთრებით გავრცელდა XVI-XVII საუკუნეთა ლიტერატურაში. მას იყენებს ბერი ეგნატაშვილი თავის ისტორიაში (402,18 და სხვაგან); „ჩემნო დიდნო ზურგნო“ (III,33). არის სხვაგანაც (145,2; 155, 10); მას იყენებს „ქართული ეპისტოლენი“, რომელიც XVII-XVIII საუკუნეთა ძეგლია (38,28; 48, 33; 43, 27; 52,10; 53,26); მას ვხედავთ „შაჰნავაზიანში“ (44,1; 370, I; 385,2; 534,4; 935,3; 940,3); არის არჩილის ნაწერებში, თეიმურაზ მეორის ნაწერებში, „კალმასობაში“; იყენებს სულხან ორბელიანი; მოუმარჯვებია ვახტანგ მეექვსეს; გურამიშვილი ამბობს: „გიჯობს, მე ზურგი მომყუდო“; გამოყენებულია „ბაქარიანში“, „დიდმოურავიანში“, არის „ქართლის ცხოვრებაში“ და ა. შ.

ამრიგად, სრული გაქანება ამ ტერმინცნებას მიეცა „შაჰ-ნამეს“ ვერსიების გავრცელებისდა კვალობაზე.

ეს შემთხვევითი როდია.

სწორედ „შაჰ-ნამეს“ ვერსიებიდან მომდინარეობს იაკობ შემოქმედელის ე. წ. ორფა ფიგურაც – ფ ა რ ი და ზ უ რ გ ი.

მყარი იდიომური შესიტყვება „ფარი და ზურგი“ არ იცის XII-XV საუკუნეთა ქართულმა მეტყველებამ. იგი გაჩნდა „ვერსიების“ გამოქვეყნების შემდეგ, ანუ XVI-XVII საუკუნეებში.

მაშასადამე, ე. წ. „აბდულმესიანი“ შექმნილია XVII საუკუნეში.

თეიმურაზ პირველის შემოქმედების კვალი

თეიმურაზ პირველი უდიდესი პოეტია. განსაკუთრებით პოპულარული იყო იგი თანამედროვეთა შორის. მის მძლავრ პოეტურ ტალანტს ხშირად ადარებდნენ რუსთველისას და ეს ხდებოდა სრულიად გულწრფელად. შემთხვევითი როდია, რომ არჩილ მეფემ ამ ვითარებას მიუძღვნა ვრცელი პოემა-შედეგრი „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. არც ის არის შემთხვევითი, რომ თვითონ დიდი პოეტი და პოეზიის არბიტრი არჩილ მეფე გულწრფელად ადარებს ერთურთს მეფე-მგოსანსა და მონა-მგოსანს, თანაც გამოტეხილად დასძენს:

**თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ
გასცემს,
ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყვევით,
თუ ვინ დასცემს! (209,3-4).**

და მაშინ, როცა ე. წ. „აბდულმესიანში“, ანუ იაკობ ღუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში“,

დასტურდება რუსთველის პოემის ზეგავლენა, შეუძლებელია, ძველი საქართველოს მეორე პოეტსაც არ მოეხდინოს რაიმე ზეგავლენა იაკობ „მბაძეზე“. შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას: თუ ე. წ. „აბდულმესიანი“ მართლა XVII საუკუნის ძეგლია, არ შეიძლება რაიმე კუთხით არ განიცდიდეს თეიმურაზის ცალკეული სახეების ან რითმების ზეგავლენას.

მართლაც, როგორც ბ. დარჩიამ მიუთითა, „არჩილ მეფის ქებაში“ დასტურდება თეიმურაზ პირველის პოეზიის კვალი. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს 58-ე სტროფი. იგი იმით არის გამორჩეული, რომ, ჩემი აზრით, აქ ზედიზედ ორგზის ჩანს თეიმურაზ პირველის შემოქმედების აშკარა კვალი. პირველი ეხება ბ ა ზ ი ყ ა ს ხსენებას, მეორე – ყ ა ნ დ ა ა რ ი ს ა ს.

„ბაზიყას“ აქ ხსენებას ბრწყინვალე გამოკვლევა უძღვნა ბორის დარჩიამ (იხ. წიგნი „იაკობ შემოქმედელი“, 2009, გვ.300), სადაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ ავტორს ბ ა ზ ი ყ ა ს

ეპიზოდი, რომელიც შედის „იოსებზილიხანი-
ანში“, შექმნილი სტოდნოდა მხოლოდ XVI სა-
უკუნის უცნობი ავტორის ან თეიმურაზის
(XVII ს.) თარგმანების წყალობით, რადგან
მანამდე ეს პერსონაჟი ქართული ლიტერატუ-
რისათვის უცნობი იყო. ახლა კი, როცა ირკ-
ვევა, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ 58-ე
სტროფში თეიმურაზის მეორე სახეც გამოუ-
ყენებია ქების შემთხვევას, უფრო თამამად
ვიხრები იმ მოსაზრებისაკენ, რომ ბ ა ზ ი ყ ა -
ც ა და ყ ა ნ დ ა ა რ ი ც მეფე-მგოსნის შემოქმე-
დების კვალია.

ეს საკითხი (ბაზიყას ეპიზოდის ამბავი)
იმდენად სრულად არის დამუშავებული,
ფიქრობ, მასზე მსჯელობა საჭირო აღარ
არის, ოღონდ ერთს მაინც დავესძენ: შევნიშნე,
რომ ბაზიყას სახე უფრო გაშლილად მოცე-
მულია იაკობის „ქების“ სხვა სტროფში,
ოღონდ შეფარულად. კერძოდ, 48-ე ხანის
3-4-ე ტაეპებში იკითხება:

**მისთვის წამაღნი, სჯობს, რომ წამ აღნი,
თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა;**

მან იოსებსა – არ ი ოსებსა –
სიტურფე ართო, ვით მსგავსი მის-ა.

შინაარსი: არჩილი, თურმე, ისე ლამაზია, როგორც იოსებ მშვენიერი. ეგ სიტურფე მან სწორედ იოსებს (და არა ოსებს) წაართვა და, ვინც მას დიდხანს უყურებს, რათა დახატოს, ის მალე გახდება სიყვარულით გახელებული და (ბაზიყას მსგავსად) „მზახნი ახისა!“

მაშასადამე, აქ ბ ა ზ ი ყ ა ს სახელის მოუხსენებლად მოთხრობილია თეიმურაზისეული ყურებამდე შეყვარებული ქალის ამბავი. თეიმურაზის ბაზიყაც „ახნის მზახნი“ გახლავთ!

შენიშნავ: ეგ მომენტი ბორის დარჩიას შეუმჩნეველი დარჩა.

ამრიგად, ტაეპი, სადაც ავტორი თავისი ხოტბის საგანს (არჩილ მეფეს) ეუბნება, რომო

ქვეყნის მნათენი, მოკამათენი,

ბ ა ზ ი ყ ა დ გექმნეს სურვილით რეცა (58,3).

მეფე თეიმურაზის შემოქმედების უტყუარი კვალია იაკობ დუმბაძის ხოტბაში. ამას ისიც

გვაფიქრებინებს, რომ სწორედ თეიმურაზისეული სხვა სახეა გამოყენებული ამავე სტროფის სხვა ადგილას, კერძოდ დასაწყისში:

**ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა,
მუშკს სურნელება შენგან მიეცა;
ყ ა ნ დ ა ა რ ს შ ა ქ ა რ, მადრიბს ოქროს ქან,
ბარანს მარგალიტ-სადაფი ეცა (58,1-2).**

საზგასმული პოეტური ფიგურა სავსებით გამჭვირვალეა. თავის გმირს ავტორი ეუბნება: ყანდაარს შაქარი და შაქარს სიტკბო შენგან მიეცაო.

ჩემი ფიქრით, ეს სახე იაკობს წამოღებული აქვს თეიმურაზ პირველის „მაჯამიდან“. ნაკვეთში „შენტვის ხელმან“ მეფე-პოეტი ბრძანებს:

**ყ ა ნ დ ა ა რ ს ნირი შ ა ქ რ ი ს ა ვარდმან-
ბაგემან დანასოს (5,2).**

შენმა ტკბილმა ვარდ-ბაგემ ყანდაარის განთქმული შაქრის გემოც კი დაჩრდილაო. ეგ პოეტური ფორმულა თეიმურაზ პირველის მონაპოვარია. იგი გონებაში ჩარჩენია იაკობ

დუმბაძეს და ამ მშვენიერი პოეტური მიღწევით კიდევაც უსარგებლია.

ამრიგად, იაკობის ერთსა და იმავე სტროფში თეიმურაზისეულმა ორმა პოეტურმა სახემ მოიყარა თავი. ეს კიდევ ერთხელ ლაპარაკობს ორ რამეზე: XVII საუკუნეში გააქტიურებული სიტყვების ბ ა ზ ი ყ ა ს ა და ყ ა ნ დ ა ა რ ი ს გააზრება მოდის თეიმურაზ პირველისაგან; იაკობ შემოქმედელი განიცდის თეიმურაზის სხვა გავლენასაც. ეგ ზეგავლენა თავს იჩენს სხვაგანაც.

იმავე „მაჯამაში“ თეიმურაზი წერს:

წამწამან ჰინდი ლაშქარი ჩემად კვლად,

რისხვად ა ს ე რ ა,

მე მომკლა, მ ხ ე ც ნ ი, ფ რ ი ნ ვ ე ლ ნ ი ს

ა დ ი ლ ა დ ჩ ე მ ზ ე დ ა ს ე რ ა.

(მზე უნათლე ჰქმენ, 3,3-4).

ზუსტად ეგ სახე გადმოაქვს იაკობს თავის პოემაში:

ვნახეთ ა ს ე რ ი: მაზედა ს ე რ ი –

მ ხ ე ც ნ ი, მ ფ რ ი ნ ვ ე ლ ნ ი, უწყლოდ

მისეენით (32,3).

გადმოტანილია არა მარტო სახეები, არამედ დაცულია თეიმურაზისეული თანამიმდევრობაც: თეიმურაზის ლექსში პირველი ასერანიშნავს შემდეგს – სეირი უჩვენა; მეორე – სერობა (ჭამა-სმა) გამართაო; ზუსტად იგივეა იაკობთანაც: ჯერ არის „ვნახე ასერი“ (ვნახე სეირი); მეორეა სერი (სერობა, ჭამა-სმა); ამის შემდგომ თეიმურაზი ჩამოთვლის ჯერ მხეცებს, მერე ფრინველებს, რომლებიც სერობენ. იგივეა იაკობთანაც: ჯერ მხეცნი, მერმედ – ფრინველნი სერობენ.

ზეგავლენა აშკარა და უდავოა!

სხვა ადგილას იაკობი თეიმურაზისაგან სესხულობს ერთობ ჟღერად და კოლორიტულ რითმასაც. ამ ცეცხლს ისე მაღალი ალი უბრიალებს, ძნელად დაიმალება. „სოფლის სამღურავში“ მეფე-პოეტი ზენაარს ასე მიმართავს:

არსებით მპყრობო, შენ გაქებს, რაცა სად

მ თ ნ ა შ ე ნ ი ა,

შენგან იზრდების სულდგმული, ყოველი

მ თ ნ ა შ ე ნ ი ა (2,1-2).

პირველი სარიტმო ერთეულია ორი სიტყვა მონაშენი, მეორე სარიტმო ერთეული კი ერთსიტყვიანია – მონაშენი (აშენებული, გამრავლებულ-აღორძინებული). ზუსტად ამავე თანამიმდევრობითა და წესრიგით არის ეს სარიტმო კომპლექსები მომარჯვებული იაკობის ქებაშიც. იგი არჩილ მეფეს ასე მიმართავს:

**მე – მონაშენი, მე – მონაშენი,
ვგონებ ყოველნი შენთვის შექმნულად (98.I).**

უფრო შორსაც მივდივარ და მგონია, რომ ორი პოეტის მითითებულ სტრიქონებს კიდევ ერთი საერთო სიტყვა აკავშირებს და ანათესავებს. ეს არის ყოველი. თეიმურაზი ამბობს: ღმერთო, შენგან იზრდების ყოველი მონაშენია; იაკობი დასძენს: არჩილ მეფევ, მგონია, რომ ყოველნი შენთვის შექმნილაო.

ამრიგად, იაკობ მიტროპოლიტის „არჩილ მეფის შესახაში“ არაერთგზის დასტურდება თეიმურაზ პირველის შემოქმედების მკაფიო კვალი.

წაშპიტიხავს თუ არა იაკობ ღუმბაძეს „ხელმწიფის კარის გარიგება“?

დავით აღმაშენებელმა დააწესა უმაღლესი სასამართლო, ოღონდ ჩვენმა მკვლევარებმა „ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმოჩენამდე არ იცოდნენ, რამდენი კაცი იყო მასში (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 468).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ კი მითითებულია, რომ უზენაეს სამსაჯულოში განწესებული ყოფილა სამი მოსამართლე.

ცნობილია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ შეთხზულია XIV საუკუნეში.

ახლა ვნახოთ, რას წერს უზენაესი სასამართლოს თაობაზე იაკობ ღუმბაძე:

**უფალთ მთავარი, მჭერ ს ა მ თ ა გ ა რ ი
სამსაჯულოსა სრულად მათისა (მე-13 სტროფი).**

მაშასადამე, ავტორი უყოყმანოდ მიუთითებს, რომ ძველად უზენაეს სასამართლოში სამი კაცი მოღვაწეობდაო.

აქედან ირკვევა, რომ XIV საუკუნის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“ იაკობს წაუკითხავს. ამიტომაც არის, ასე თამამად რომ ასახელებს **ს ა მ მ ს ა ჯ უ ლ ს.**

„ომანიანის“ ანარეკლი **ე. წ. „აბდულმესიანი“**

„ომანიანი“ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა დაწერა 1613 წლამდე. თხზულებაში მოთხრობილია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟის ტარიელის შვილის სარიდან ინდოთ მეფისა და მისი მემკვიდრის **ო მ ა ი ნ ი ს** ამბავი.

ეტყობა, ისე, როგორც ბევრ სხვას, ქაიხოსროსაც თვალით არ უნახავს შავთელის „აბდულმესიანი“. ამიტომაც პროლოგში იმეორებს იმას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო მინაწერ სტროფშია ნათქვამი:

**აბდულ-მესიას შავთელი ენა-მრავლად
მოუხდების.**

ეს არის და ეს!

ამას ყველა იმეორებს, ვისაც ტექსტი არასოდეს უნახავს.

მაშასადამე, არჩილ მეფეზე დიდად ადრეც, ჯერ კიდევ 1613 წელს, ქაიხოსრო ჩამოთვლის, ვის რა გაუკეთებია, რუსთველის პოემას თავიდან ბოლომდე ჰყვება, ხოლო შავთელზე ერთ ისეთ სიტყვასაც ვერ ამბობს, რაც სხვას არ ეთქვას.

ამის გამოა, რომ, ჩემი დაკვირვებით, „ომაინიანის“ ავტორი განიცდის ყველა წინანდელი ავტორისა და ცნობილი თხზულებების ზეგავლენას, გარდა ე. წ. „აბდულმესიანისა“. არადა ე. წ. „აბდულმესიანი“, მხატვრული თვალსაზრისით, „ომაინიანზე“ ათი თავით მაღლა დგას.

ესეც იმისი დასტურია, რომ ქაიხოსროს ეგ ტექსტი არ წაუკითხავს, ვერც წაიკითხავდა, რადგან მაშინ, 1613 წლისათვის, ე. წ. „აბდულმესიანი“, ანუ „არჩილ მეფის ქება“, დაწერილი არ იყო. კიდევ მეტი: მისი ავტორი

იაკობ შემოქმედელი, ალბათ, დაბადებულიც არ ყოფილა.

სამაგიეროდ, ჩემი დაკვირვებით, იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში“ ჩანს „ომაინიანის“ ცალკეულ პასაჟთა ანარეკლი, ერთგვარი კვალი.

„ომაინიანს“ ზეგავლენა მოუხდენია იაკობ დუმბაძის ერთ მხატვრულ სახეზე. კერძოდ, ინდოთ მეფე სარიდანი, ომაინის მამა, ძვირფას სტუმრებს, შაჰინშაჰებს, წასვლისას ასე თავმდაბლურად უცხადებს: თქვენი სტუმრობის მერა ღირსი ვარ, „თქვენად სასტუმროდ და განსასვენებლად ღმერთს სამოთხე მოუმზადებია“ (ქ. ჩოლოყაშვილი, ომაინიანი, 1979, გვ. 170).

ამ იდეის თავისებურ გარდასახვას ვხედავ იაკობის ხოტბის 95-ე სტროფში. აქ ვკითხულობთ:

**თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა,
პირველვე შენთვის სახლად გებულსა,
სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა
საფუფუნებლად თქვენთვის დასხმულსა
ვხედავ ჯეროვნად, მარად სამოვნად
შენდა განკუთვნით განმზადებულსა (95,2-4).**

აქ ზუსტად იგივე აზრია გაცხადებული, რაც „ომანიანში“: არჩილ მეფეს შეეფერება და კიდევაც ელის სახლ-სამყოფად, სასტუმროდ და განსასვენებლად, ღვთისაგან წინდაწინ გამზადებული სამოთხე, ედემი.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი საკითხის გარკვევაც. მკვლევარები მსჯელობდნენ იმაზე, რომ „ქებაში“ არჩილი, ე. ი. მამაკაცი, კი არ არის გამოსახული, არამედ ქალი, თამარი, და ამის ნიშანია საგანგებო ტერმინები „ქრისტეს სასძლო“ და ზმნა „ასძლოს“. ტაეპი ასეა გამართული:

ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა (95,1).

მაშ, „ქრისტეს სასძლოდ“ ქალს მიიჩნევდნენ, მამაკაცს – არა. ბორის დარჩიამ ბევრი იშრომა, რათა ჩემთვის ისედაც ცნობილი რამ ემტკიცებინა ზოგი აკადემიკოსისა და პროფესორისათვის: ქრისტეს სასძლო არის უმანკო ქრისტიანი ქალიცა და კაციც, მათი უმანკო, გვრიტივით სათნო სულებიო (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, გვ. 217-228).

ჩემ მიერ „ომიანიანიდან“ მოყვანილი პარალელურად გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი არგუმენტი: „ომიანიანიში“ ყველა მეფე, ვინც სამოთხეში (ანუ სასძლოში, წმიდა სულთა კრებულში, სასუფეველში) მოხვდება, არის მ ა მ ა კ ა ც ი.

მაშასადამე, ზემორე პარალელის გასაფლავად მოყვანილი სტროფის პირველი ტაეპიც – „ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა გაწმენდით ქმნილსა, განბრწყინებულსა?“ (95,1) სავსებით ბუნებრივად მიუძღვის წინ II-III-IV ტაეპებში არჩილ მეფეზე გაშლილ საუბარს.

„ომიანიანის“ ზეგავლენა უფრო მკვეთრად ჩანს სხვა შემთხვევაში. თხზულების ერთი გმირი, ზღვათა მეფის შვილი, ომიანს ეუბნება: ჩემი სატროფო, მთვარესავით ღამაზი, ერთხელ ვნახე და დავიბნიდე. ამის შემდეგ მისი ს ა ხ ე დაუხატე, ისე მივამსგავსე, როგორც ნამდვილ საგანსა ჰგავს მისი აჩრდილი, რამდენადაც იმის ნამდვილ სახეს, რაც არის სინამდვილეში, კაცის ხელი რო-

გორ დახატავდაო?! ერთი სიტყვით, რაც არის, იმის აჩრდილიდა შერჩა ქალაქდასაო.

**სახე დახატე მე მისი აჩრდილთა
მიმსგავსებითა,
თვარ ვით იქნების მისებრი კაცთაგან
ხელოვნებითა?! (124,1-2).**

ფაქტობრივად არსებული უსაზღვრო სილამაზისა და მხატვრის შესაძლებლობის შეპირისპირების, სინამდვილის ასახვის შეუძლებლობის ეგ კონსტრუქცია მთლიანად გაუმეორებია იაკობ დუმბაძეს, როცა თავის პერსონაჟზე, არჩილ მეფეზე, წერს: ჩემს გმირს ელვის სახე აქვს; ვინც შეხედავს, ამ ელვისებურ ნათებას ვერ უძლებს. ამიტომ მხატვარი თავისი ყალბით უქმად დგას და ამაოდ ცოდვილობს, ეგ სახე ქალაქდაზე გადაიტანოს. ამ ამაო გარჯამ, შესაძლოა, კიდევაც იმსხვერპლოს შთაგონებული ხელოვანიო.

**სახედ ელვისა სახედველისა
მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა.**

მო, ე კალმითა! მოეკალ მითა,
რომ უქმად სდევით ხატვად სახისა.
(48, I-2)

ვფიქრობ, რომ დანარჩენ საბუთებთან ერთად ეს არგუმენტებიც თავისებურ ძალას იძენენ. „ომიანიანი“ საკმაოდ გავრცელებული თხზულება იყო და მას კითხულობდა ერიცა და ბერიც.

აქვე უნდა შევნიშნო:

იაკობ მიტროპოლიტის „ქების“ მითითებული 48-ე სტროფის პირველ და მეორე სტრიქონებში ჩანს არა მარტო „ომიანიანის“ პოეტური სახის, არამედ „შაჰ-ნამეს“ ვერსიების კვალიც. ე ლ ვ ა ს ა ვ ი თ ს ა ხ ი ს დაუხატველობის საკითხი სწორედ ვერსიებშია დაყენებული. იქ ვკითხულობთ:

შენ ხელოვანმან მხატვარმან ვეროდეს

გაგიცადიან –

ელვარებისა შენისა სახე ვერ გამოსატყიან

(„როსტომიანი“, 1285, I-2).

ასე ეუბნება ერთი პერსონაჟი მეორეს. რა აზრია აქ გამოსატყელი? შენ ისე ღამაზი

ხარ, ისე ელვარე სახე გაქვს, მხატვარი
თვალს ვერ გაგისწორებს, რათა „გაგიცა-
დოს“ და დაგხატოსო.

სწორედ აქ არის ნახსენები ცენტრალუ-
რი ცნება ე ლ ვ ა – ე ლ ვ ა რ ე ბ ა, აგ-
რეთვე „მჭკრეტოა ვერ უძლეს განცდად სხი-
ვისა“; იგივე პოეტური სახე და მოტივაცია
„როსტომიანში“ სხვაგანაც გვხვდება. აქაც
თითქმის არაფერია შეცვლილი. ნათქვამია,
რომ როდამ-რუდაბეს (როსტომის საცოლეს,
ზურაბის დედას) მხატვარი ვერ დახატავს,
რადგანო

მის სახეზედან მხატვარსა ხელი

არ მოეხმარების,

მისის პირისა ციმციმით ბრძენს ჭკუა

შეეცვალების (1331, 3-4).

ამრიგად, იაკობის აღნიშნული სახე-ხატი
მიუთითებს როგორც „ომიანიანის“, ისე (და
უფრო მეტად) „როსტომიანის“ ზეგავლენაზე.

იაკობ უემოქმედელის მხატვრული ვიზუაჲ ე. წ. „აბღულმესიანში“

ე. წ. „აბღულმესიანში“ საინტერესოა 63-ე სტროფი. თავისი ხოტბის საგანს ავტორი ასე ამკობს: ბრმათა თვალი, ყრმათა გამზრდელი, მშიერთა პური, უსახლკართა სახლი, ობოლთა მამა, ქვრივთა მსაჯული, შიშველთ შემმოსველი, მოხუცებულთა დასაყრდენი კვერთხი ხარო. ბოლო, მეოთხე, ტაეპში კი ნათქვამია:

**მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.**

ზუსტი შინაარსი: სიბრძნეს მოგვფენ, ბიბლიურ წიგნთა ძნელად გასაგებ ადგილებს თვითონვე აგვიხსნი და მადლიანად მოგვითხრობო.

ტრადიციული მოსაზრებით, ქმნილებაში შექმებულია თამარ მეფე და დავით სოსლანი. ზემორეჲე ხაზგასმული მეოთხე ტაეპის ად-

რესატი კი ვერც თამარი იქნება, ვერც – სოსლანი.

თამარი არასოდეს მიუხნევიათ საღვთო წერილების „მეცნიერად“, ბიბლიურ წიგნთა სიღრმეების მკვლევარად; მით უფრო არასოდეს ყოფილა ამგვარი დავით სოსლანი, გმირი და მეომარი.

ამავე დროს ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საგულისხმიერო გარემოება: მე-17 საუკუნეში, კერძოდ, არჩილ მეფისა და მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელის დროს, მოდაში იყო გაბაასების ჟანრი. ამ ჟანრს მარჯვედ იყენებდნენ რელიგიური მცნებებისა და საღვთო წიგნების ძნელი ადგილების განსამარტავადაც. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ფაქტი: ბიბლიის ღრმად მცოდნე მწერალი და ღვთის მსახური მიტროპოლიტი იოსებ თბილელი ებაასება ასევე მწერალსა და ბიბლიის ღრმად მცოდნე მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელს, ლექსად უგზავნის შეკითხვას და დასძენს:

ამისა ახსნა თქვენგან მწადს,
ვიცი, კაცი ხარ მცნებული.

იაკობ შემოქმედელმა ასახსნელი აუხსნა
და პასუხის ბოლოს მისთვის დამახასიათებე-
ლი სპეციფიკური მოკრძალებით მიმართა:

თვით მცნობსა ცნობა გებრძანა,
რას გაადრებ მე უცნობელი.

(ბორის დარჩია, იოსებ თბილელისა და
იაკობ შემოქმედელის გაბაასება, „მაცნე“,
ელს, №1, 1993, გვ. 10-15).

აქ საინტერესოა შემდეგი:

ხაზგასმული ტაეპი მკაფიოდ გამოკვეთი-
ლი მხატვრული ფიგურაა, ინდივიდუალური
ხელწერის მაცნე. იგი იაკობის თავმდაბლო-
ბასაც გამოხატავს და, ამასთანავე, მის აღტა-
ცებულ, მოწიწებულ დამოკიდებულებას ყვე-
ლა იმის მიმართ, ვინც რელიგიურ საკითხებ-
ში ღრმად ჩახედულია. დღემდე კი არავის
შეუნიშნავს, რომ ეგ მხატვრული ფიგურა თა-
ვისი მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალუ-
რობით გამეორებულია ე. წ. „აბდულმესიან-

ში“ და სწორედ ზემორე მითითებულ ტაეპში, სადაც თავისი ხოტბის ადრესატს ავტორი მიმართავს:

**მოგვფენ სირბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.**

ვხედავთ: ავტორი ორივეგან აღტაცებულია იმგვარი პიროვნებით, ვინც თვითონ განმარტავს საღვთო წიგნების სირბრძნეს. თუ ერთგან წერია თვით განგვიმარტებ, მეორეგან გვაქვს თვითმცნობსა.

თუ ვაღიარებთ, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ ავტორი იაკობ შემოქმედელია, ხოლო მისი ხოტბის საგანი არჩილ მეფე, მაშინ ყველაფერი დამში მოდის: როგორც არჩილის თანამედროვეთაგან ვიცით და ეს მეფე-პოეტის შემოქმედებიდანაც ჩანს, იგი იყო საეკლესიო წიგნების, მთელი ბიბლიის ბრწყინვალე მცოდნე და განმმარტებელი. მასზე მართლაც რომ უპრიანია, ითქვას:

**მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.**

ვფიქრობ, ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ სინამდვილეში შავთელის კი არ არის, არამედ – იაკობ შემოქმედელისა და შესხმის ობიექტია არჩილ მეფე, 1705 წ. „დავითნის“ დამბეჭდავი, ქართული ბიბლიის ბეჭდურად გამოცემის თაოსანი, ქართული განმანათლებლობის დამწყები და პირველი დიდაქტიკოსი. მეორე მხრივ, საკითხის ამგვარად დაყენება მოხსნის იმ გაუგებრობასა და დაბნეულობას, რაც მკაფიოდ გამოიხატა ჩვენი მეცნიერების საბოლოო სიტყვით: „დღემდე მოღწეულ ჰიმნში აღარ ჩანს სახელი აბდულმესია, რაც ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ამ თხზულებას „აბდულმესიანი“ ან „აბდულმესია“ არ უნდა რქმეოდა“ (ქართული მწერლობა, I, ლექსიკონ-ცნობარი, გვ. 147).

ეგ მართალია: ამ ხოტბაში არ ჩანს პერსონაჟი აბდულმესია, რადგანაც შავთელის „აბდულ-მესია“, ეპიკური ნაწარმოები, დაკარგულია, ხოლო ჩვენ წინაშე მდებარე ოდა კი გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, იაკობ სამებელ-შემოქმედელის „არჩილ მეფის ქება“.

ამბავი მეზღაპრე ფელამბარისა

ზემორე წერილში ვუჩვენე, თუ როგორ გამოუყენებია იაკობ შემოქმედელს ერთი მისთვის ჩვეული სპეციფიკური მხატვრული ფიგურა ე. წ. „აბდულმესიანში“, ანუ „არჩილ მეფის ქებაში“. ახლა ვნახოთ, თუ როგორ არის მომარჯვებული იაკობის ვრცელსა და უდავო ნაშრომში („უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“, იხ. ჟურ. „რელიგია“, 1995, №4-5, გვ. 67-97. ბორის დარჩიას პუბლიკაცია) დაფიქსირებული ზოგიერთი ცნებატერმინი ზუსტად იმავე მნიშვნელობითა და მიმართებათა დაცვით ე. წ. „აბდულმესიანში“. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ხოტბის 82-ე სტროფი, რომლის მთავარი პათოსია მაჰმადიანობის ძაგება, გაკილვა, კრიტიკა. ზოგადად აქ ზუსტად ის პათოსია გამოხატული, რაც „გაბაასებაშია“. ვინც „გაბაასების“ ტექსტს კარგად იცნობს, დამემოწმება: ეს სტროფი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს „გაბაასებას“:

1. მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა,
ბილწად საქიქელ-საბასრობელსა,
2. სიძვა-მრუშებით, არა-წმიდებით,
ჩუკნა-ლირწებით სჯულთა მპყრობელსა,
3. თვით მეზღაპრესა, ცუდ ფუღამბრესა,
ღმრთისა არ-მართლად მქადაგებელსა
4. ეც მოსეს ხითა, არ მოსესხითა,
მას ღმრთისა მიერ საძაგებელსა.

მართალია, აქ მომარჯვებული ყველა სიტყვა გვხვდება „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“, ოღონდ მკითხველმა, შესაძლოა, უფრო კონკრეტული საბუთი მოითხოვოს. იძებნება ეგ საბუთიც.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ერთობ კლორიტული სიტყვა ფ ე ლ ა მ ბ ა რ ი. ეგ ცნება, ისევე როგორც „ბოლუქბოლუქი“ ან კიდევ ცნება „მაქსიმა“, არ ჩანს ძველ ქართულ მწერლობაში. კერძოდ, არ იხილვის ქართული მწერლობის V-XVI საუკუნეთა ძეგლებში. სამაგიეროდ, ტერმინი ფ ე ლ ა მ ბ ა რ ი გვხვდება XVI-XVII საუკუნეთა ნაწარმოებებში. რას გვეუბნება ის საგანგებო კატალოგი, რომელიც „ვეფხისტყაოს-

ნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში აქვთ მომზადებული?

ამ კატალოგიდან ირკვევა, რომ ხსენებული ცნება-ტერმინი პირველად XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან იჩენს თავს.

აი, ის ლიტერატურა, სადაც ეგ ცნება-ტერმინი დასტურდება: ფელამბარი (იადიგარდაუდი, 527,25); ფელამბრები (იქვე, 519,17); ფელამბარსა (ლეილ-მეჯუნუნიანი, 262,1); ფელამბარი (ხოსრ. 61,11); ფელამბარი (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, 456,2); ფელამბარი (S-2511, შენ. 285,15. XVII საუკუნე).

არის თუ არა „ფელამბარი“ ნახსენები იაკობ დუმბაძის „გაბაასების“ დედანში, ბაგრატ ბატონიშვილის პროზაულ ტექსტში?

არა, არ არის, ხოლო ბაგრატმა თავისი პროზაული ტექსტი შექმნა XVI საუკუნის 20-იან წლებში. ე. ი. 1520-იან წლებში სიტყვა „ფელამბარი“ არ ჩანს. ამავე საუკუნის მეორე ნახევრის „იადიგარ-დაუდში“ კი უკვე ჩნდება. მაშასადამე, თუ ე. წ. „აბდულმესიანი“ XII საუკუნის თხზულებაა, მასში „ფელამბარი“ ვერ

იქნებოდა მომარჯვებული. ამასთან ერთად, საგულისხმოა შემდეგი გარემოება. იაკობ დუმბაძის „გაბაასებაში“ ეს სიტყვა ნახმარია სულ ცოტა 12-ჯერ მაინც. იხ. 96,2; 104,2; 109,1; 181,2; 204,2; 203,4; 205,1; 269,4; 271,4; 278,4 და სხვაგან.

მაშ, ტერმინი იაკობ დუმბაძის დროს ფრიად გავრცელებულია.

ამრიგად, მისთვის ჩვეულ ტერმინს იაკობ „მბაძე“ იყენებს ე. წ. „აბდულმესიანში“, ანუ „არჩილ მეფის ქებაში“, ოღონდ საქმე არც ამით მთავრდება. მაქვს უფრო უკეთ ხელჩასაჭიდი საბუთიც.

იაკობის „გაბაასებაში“ ასევე ხშირად არის ნახმარი სიტყვა „ზღაპარი“, ოღონდ არა მისი პირდაპირი, არამედ გადატანითი, ირიბი, დაცინვითი მნიშვნელობით. იაკობის ენაზე „გაბაასებაში“ ზღაპარი ყველგან ნიშნავს ტყუილს, ჩმახს, სიცრუეს.

მითითებული ორივე სიტყვა იაკობის ნაღდ ნაშრომში ყველგან უარყოფითი მნიშვნელობისაა, საკიცხველი ცნებებია. მაგალი-

თად, „არ ცუდ ზღაპრობენ მეტყველნი“ (252,4); ასევე უარყოფითი ცნებაა ფელამბარი: „ცუდ ფელამბარი“ (18,4); სხვაგან იგი არის „სიცრუვის ბეზირგანი“ (87,4).

კიდევ უფრო საინტერესო სხვა რამეა: „გაბაასებაში“ ეგ ორი სიტყვა ერთმანეთზეა გადაბმული და ერთმანეთის განსაზღვრებად გამოიყენება: ფ ე ღ ა მ ბ ა რ ი გახლავთ მაჰმადი, ხოლო მაჰმად-ფელამბარი მეზღაპრეა, მატყუარა, ცრუა, მჩმახავია. მომყავს „გაბაასების“ ის ადგილი, სადაც ეგ საგულისხმიერო „ბმა“ შევნიშნე:

„სხვათ ფ ე ღ ა მ ბ რ ე ბ ს არ ემოწმოს, ცრუდ მოგართვას ზ ღ ა პ რ ი ს წიგნი“ (204,2).

როგორცა ვხედავთ, „გაბაასებაში“ ერთმანეთზე რკინის კავითაა გადაბმული ფ ე ღ ა მ ბ ა რ ი და ზ ღ ა პ ა რ ი (იგივე სიცრუე, ჩმახი, ტყუილი).

ახლა ვნახოთ, როგორ მოუმარჯვებია იაკობ შემოქმედელს იგივე ბ მ ა „არჩილ მეფის ქებაში“.

აგინებს რა მაჰმადიანებს, აქაც ერთმანეთს უკავშირებს ზ ღ ა პ ა რ ს (ტყუილს) და ფ ე ღ ა მ ბ ა რ ს (მაჰმადიანთა მესიას):

თვით მ ე ზ ღ ა პ რ ე ს ა, ცუდ ფ ე ღ ა მ ბ რ ე ს ა, ღმრთისა არ-მართლად მქადაგებელსა.

ვხედავთ: როგორც „გაბაასებაშია“ უსჯულლო მაჰმადიანთა ფ ე ღ ა მ ბ ა რ ი მატყუარა და მ ე ზ ღ ა პ რ ე, ღვთის არ-მართლად მქადაგებელი, ზუსტად ისეა „არჩილ მეფის ქებაშიც“, ანთუ ე. წ. „აბღულმესიანში“.

ამრიგად, იქაც ერთგვაროვანი შეწყვილება, აქაც იგივე შეწყვილება.

მგონია, ამ საბუთში, ურწმუნო თომას მეტს, ეჭვი არავის შეეპარება!

ზემორელე ვუჩვენე, თუ ვითარ მოუმარჯვებია იაკობს „გაბაასების“ წყვილეული „მეზღაპრე ფელამბარი“ თავისივე „არჩილ მეფის ქების“ 82-ე სტროფში. იგივე სტროფი იმითაც არის საინტერესო, რომ იქვე „გაბაასების“ კიდევ რამდენიმე სპეციფიკური სიტყვა-ტერმინია გამოყენებული.

„გაბაასებაში“ მაჰმადიანები არიან „ჩუკუნა – სიძვა – მრუშები ისა ცოდვის ხელად მიმღებელნი“ (69,3).

ყველამ იცის, თუ რასა ნიშნავს „სიძვა-მრუშება“: სიძვა მსუბუქი დანაშაულია. ეს გახლავთ თავისუფალი დიაცის ბოზობა; მრუშობა უფრო მძიმე დანაშაულია – ეს ქმრიანი ქალის ბოზობაა; ჩუკნობა კი ნიშნავს ონანიზმსა და ცვედნობას.

სამივე საკიცხველი სიტყვა მაჰმადიანთა „შესამკობად“ იაკობს „არჩილ მეფის ქებაშიც“ მოუმარჯვებია. აქ ვკითხულობთ:

**მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა,
ბილწად საქიქველ-საბასრობელსა,
სიძვა-მრუშებით, არა-წმიდების,
ჩუკნა – ლირწებით სჯულთა მპყრობელსა (82).**

ეჭვი არ არის, რომ ორივეგან ერთი და იგივე ავტორი მეტყველებს, ორივეგან ერთსა და იმავე მოტივაციას ვაწყდებით.

შეიძლება, მავანმა კითხვა დასვას: „გაბაასებაში“ რომ „ჩუკუნა-სიძვა-მრუშება“ წერია, იქნებ, ეს სპეციფიკური გამოთქმა-კომპოზიტი

ბაგრატ ბატონიშვილის პროზაულ ტექსტში იყო და იაკობმაც ამიტომ მოიმარჯვაო!

გვაქვს ამის პასუხიც.

პროზაულ დედანში ეს სამსიტყვიანი კომპოზიტი არ არსებობს. ბორის დარჩიამ გაარკვია, რომ „გაბაასების“ 69-ე სტროფის I და II ტაეპების შესაბამისი პწკარები არის ბაგრატის ტექსტში, III-IV ტაეპები კი თვით იაკობის საკუთარი ინიციატივაა. ეს იაკობისეული გადახვევა მკვლევარმა ხაზგასმით დაბეჭდა:

**ისმაელით გამოვიდეს ყოვლნი კაცნი ღვთის
მგმობელნი,**

მესისხლე და მეშფოთენი ცრუ-ფიც,

მპარავ-მტაცებელნი,

**ჩუკენა-სიძვა-მრუშებისა ცოდვის ხელად
მიმღებელნი,**

**ნათლის ბნელად გარდამქცევენი, მწარის
ტკბილად მომთხრობელნი.**

(იხ. ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, 2009, გვ. 104).

მაშ, იაკობ „მბაძე“ თავის კიდევ ერთ მხატვრულ სახეს იყენებს „არჩილ მეფის ქე-

ბაში“ და ამით კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქების ავტორობას.

ოღონდ საქმე არც ამით მთავრდება.

„გაბაასების“ ავტორის კვალი ე. წ. „აბდულმესიანს“ სხვაგანაც ატყვია. აღვრიცხოთ ისინიც. „გაბაასებაში“ პოეტი ღვთის ერთ საკეთილო თვისებად იმას მიიჩნევს, რომ იგი არის გ ვ რ ი ტ ი ვ ი თ სათნო და ფაქიზი ბუნებისა: „ტრედ - გ ვ რ ი ტ - მერცხალ-იაღონი“ (4,3). სამაგიეროდ, უარყოფითი პიროვნება ვერ იქნება გ ვ რ ი ტ ი ს ბუნებისა:

სახით ბერი, საქმით მგელი, წვალებისთვის
ექსორია,
მონაზონი სჯულთ დაზონი, გ ვ რ ი ტ ს
არ ბაძავს, ექსორია (22,2).

საგულისხმოა, რომ გ ვ რ ი ტ ი ს საკეთილო თვისებას მიაწერს იაკობი თავისი ხოტბის საგანსაც, არჩილ მეფესაც, როგორც ამქვეყნიურ ღმერთს:

გ ვ რ ი ტ თ ა მართვისა თვარ აქვს
მართ ვისა
თქვენებრ სურვილი მეუდლობისა? (62,1)

„გაბაასების“ მიხედვით, იაკობის „სამუშაო“ ტერმინებია „რიტორი“ და „სიბრძნის ებგური“. საგულისხმოა, რომ „გაბაასებაში“ ორივე ეგ ტერმინი ერთსა და იმავე ტაეჰშია ერთმანეთზე გადაბმული:

**ვ რ ი ტ ო რ ე ბ ს ი ბ რ ძ ნ ი ს ე ბ გ უ რ ი
შემოქმედელი იაკობ (9,1).**

აქ „რიტორი“ და „სიბრძნის ებგური“ თვითონ ავტორია.

საგულისხმოა, რომ ეგ საინტერესო „ბმა“ იაკობს პირწმინდად და უდანაკარგოდ გამოუყენებია „არჩილ მეფის ხოტბაშიც“. აქ უკვე „სიბრძნის ებგური“ და „რიტორი“ თვითონ ხოტბის საგანია, არჩილ შაჰნავაზის ძეა:

**ს წ ა ვ ლ ი ს ე ბ გ უ რ ი, უ ც ხ ო თ ს ა დ გ უ რ ი...
ს ი ბ რ ძ ნ ი ს უ ფ ს კ რ უ ლ ი, ე ნ ა – რ ი ტ ო რ ი
(59,3-4).**

„გაბაასებისეული“ სახე-ხატი „არსთა მბადი, ყ ო ვ ლ თ ა მ ხ ე დ ი“ (76,2), ჩემი აზრით, „არჩილ მეფის ქებაში“ ამგვარ სახეს იღებს: „მ ხ ე დ ი ნივთთა ყ ო ვ ლ ი ს ა“

(71,4), სადაც „ყოვლთა მხედი“ იგივეა, რაც „მხედი ყოვლისა“, ხოლო „არსთა მბადი“ ისაა, ვინც ბადებს ა რ ს თ, ანუ ნ ი ვ თ თ.

მოგვიანო ხანის ტერმინ-ცნებად მიგვაჩნია „გაბაასებაში“ მომარჯვებული „იპოდრომი“ (120,4). ამ ცნებას ვაწყდებით „არჩილ მეფის ქების“ 39-ე სტროფის მესამე ტაეპში: „იპოდრომისა განხმულობანი“.

სხვათა შორის, მე-12 საუკუნის „თამარიანში“ ასახულია დავით სოსლანის ომები, მისი ბრძოლები, ცხენ-ტაიჭები, ოღონდ იპოდრომი ნახსენებიც არაა!

„გაბაასების“ მიხედვით, ებრაელთა მეფე და პოეტი დავითი, მგალობელი მთავარი, ქნარსა სცემს „ებან ებანსა“ (III, I); ეგ შეხამებული ბგერწერული სახე „ებან ებანსა“ იაკობს მოუმარჯვებია „ქების“ მე-15 სტროფის მეორე ტაეპში. არჩილ მეფე, თურმე, ათძალს ისევე უკრავს, როგორც ბიბლიური დავითი:

ამათ ძალითა რომ ათძალითა

ორღანო უძნონ, ე ბ ა ნ ე ბ ნ ი თ ა.

აქ ერთნაირობა აშკარაა!

აქვე დავსძენ: სიტყვა „ორდანო“, როგორც „ორგანიზმი“, იცის ძველმა ქართულმა მწერლობამ, ოღონდ აქ იგი ნიშნავს სამუსიკო იარაღს. ამ გაგებით ეგ სიტყვა XVI საუკუნემდე არ ჩანს.

„გაბაასებაში“ არაერთხელ არის გამოყენებული იაკობის საყვარელი ხატოვანი ფიგურა ს ა რ ი ს ც ე მ ა, იგივე ე ს ა რ ო ს ა. ეს სპეციფიკური ტერმინია და ნიშნავს: სარივით, სარად მოხვდეს მტერსა და დუშმანს. მოგვყავს მხოლოდ ერთი ნიმუში:

**თუ დავსწრებოდი, მეწადა თავს ცემა მისთვის
ს ა რ ი ს ო (115,4).**

იგივე უხეში ფიგურა გამოყენებულია „არჩილ მეფის ქებაში“. იგი, თურმე –

**ერთგულთა ხსნილ-ჰყოფს, მტერთ
ე ს ა რ ო ს ა (11,3).**

ვხედავთ: სპეციფიკური ინდივიდუალური მიდგომა ს ა რ ი ს ა დ მ ი, როგორც იარაღისადმი, ორივეგან ერთნაირია და გვიმუდავ-

ნებს ერთი ავტორის ფსიქოლოგიას. ეს ავტორი იაკობ შემოქმედელია.

ამ მხრივ ასევე ძალიან საინტერესოა სპეციფიკური ტერმინი „სიბრძნის არდაგი“. „გაბაასებაშია“:

**სიბრძნის არდაგი მოვირტყი თქვენ ზედა
ქადაგებისა (249,4).**

ვხედავთ: ავტორი პირველი პირით მეტყველებს, რომ ჩვენს გასანათლებლად და საქადაგებლად „სიბრძნის არდაგი“ მოირტყა წელზე. ფორმულა ჩამოსხმულია. „არდაგი“ ებრაული სიტყვაა და წინსაფარს, ტილოს, ფეშტამალს ხელოსნისას ნიშნავს. იგივე ფორმულა არის მომარჯვებული „არჩილ მეფის ქებაში“, თანაც არაერთხელ. ხელმწიფეს მისი „მკობარი“ ასე მიმართავს: „თქვენს სადიდებლად მწირი სიტყვები შეეკრიბე. მინდოდა, თქვენთვის შემომეწირა. ცრემლთა ნაკადმა გული დაგვისაგან გადამირჩინა“. საგულისხმოა ბოლო ტაეპი (აქაც ბოლო, მეოთხე, ტაეპი!):

**სიბრძნის არდაგი, სამხილთ არ დაგი,
წელთა მომერტყა სწავლის ბადენით (101,4).**

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ სამი სიტყვა ორივეგან ერთნაირად მეორდება, თანაც ერთნაირი თანამიმდევრობით. „ქებანშია“: „სიბრძნის არდაგი შემოვირტყი“; „გაბაასებაშია“: „სიბრძნის არდაგი წელთა მარტყია“.

ეჭვი აღარაა, ორივეგან ერთი და იგივე ავტორი გვესაუბრება. ეგ ავტორი იაკობ „მბაძეა“.

არის კიდევ ერთი მსგავსი ფორმულა. არჩილს ავტორი ამ მხატვრული ყალიბით სხვაგანაც მიმართავს:

**სიბრძნისა სირად... გარე მოგეთხზნეს რიტორთ
ბადენი (263).**

ბარემ აქვე ვთქვათ: ი. ღუმბაძის საყვარელი გამოთქმა უნდა იყოს არა ოდენ „სიბრძნის ებგური“, „სიბრძნის არდაგი“, არამედ „სიბრძნე უფსკრული“ და „ცნობა-უფსკრული“. კერძოდ, არჩილის ერთსტროფიან ქებაში იაკობი ბრძანებს:

**თქმული მომწონს – მისგან ზრდილსა –
არჩილ ცნობა-უფსკრულისა (მე-4 ტაეპი).**

„არჩილ მეფის ქებაში“ ეს სპეციფიკური სახე-გამოთქმა ორჯერ მეორდება. ერთგან იგი არის „უფსკრულთ სადარი“ (3,4). იგულისხმება ცნობით, სიბრძნით უფსკრულთ სადარი; სხვაგან გვაქვს: „სიბრძნის უფსკრული“ (59,4).

აქაც ერთი და იგივე მწერალი მეტყველებს.

ბორის დარჩიამ მიუთითა, ოღონდ მეც აღვნიშნავ: „გაბაასებაში“ ავტორი არაერთხელ იყენებს სიტყვა ბ ი ც ე ბ ა ს: „ბიცუბა“ (154,4); „განაბიცეს“ (149,4). ამ ტერმინს იგი ხმარობს „ქებაშიც“. არჩილ მეფე, თურმე, ისეთი მხვნელ-მთესველია, რომ მისი ერქვნის ძალით „ბიცი“ მიწაც კი ანეულად იქცევა, გაფხვიერდება:

**ჰყოფს ანეულსა მყოფს ან ეულსა
არ ოდეს ბ ი ც ა დ ერქვნისა ძალი (55,3).**

აქ ავტორი ერთგვარად ეხმიანება ფსალმუნის 106 თავის 34-ე მუხლს.

„გაბაასებაში“ ნათქვამია:

**გვწამს მტკიცედ ეს სასწაული დიდო, მცირეთ,
მ ს ხ ე მ თ ა და მ წ ი რ თ ა (237,4).**

ვხედავთ: ავტორი საკუთარ თავს მ ს ხ ე -
მ ა დ და მ წ ი რ ა დ წარმოისახავს. იმავე სუ-
რათს ვაწყდებით „ქებაშიც“. თუ „გაბაასება-
ში“ ღვთის წინაშეა იაკობი თავდადებული,
მსხემი და მწირი, „ქებაში“ უკვე ამქვეყნიური
მეუფის, არჩილის, წინაშეა იგივე:

**მ წ ი რ ი და მ ს ხ ე მ ი, ვგრეთ დამსხემი,
ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ (54,4).**

იაკობს „არჩილ მეფის ქებაშიც“ მოუმარ-
ჯვებია „გაბაასებაში“ გამოყენებული მისთ-
ვის კარგად ცნობილი ბერძნული სიტყვა
ლ ი მ ო ნ ა (ნავსადგური, ბოლაზი, პორტი),
ოლონდ ამის თაობაზე მომდევნო სტატიაში
უნდა მოგახსენოთ.

„იმონა კიდე ლიმონა“

ცნობილია, რომ XVI-XVII საუკუნეებში და უფრო ადრეც გამუდმებით მიმდინარეობდა ფარული თუ აშკარა ბრძოლა იმერეთის მეფეებსა და გურია-სამეგრელოს მთავრებს შორის. მთავრები გამუდმებით პიტიახშობდნენ, მეფის ხელისუფლებას გაურბოდნენ, ხოლო მეფეები, თუკი ძალა შესწევდათ, ყოველთვის ცდილობდნენ ურჩი მთავრების დამორჩილებას.

იმერეთის სამეფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამეგრელოს დამორჩილება. ეს კი არცთუ ისე ადვილი საქმე იყო, რამდენადაც სამეგრელო ხშირად იყენებდა აფხაზთა და სვანთა ძალებსაც. გარდა ამისა, მოხერხებულად სარგებლობდა მდინარე რიონის, როგორც თავდაცვის ბუნებრივი საშუალების, ფაქტორით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია ენიჭებოდა დადიანთა მიერ რიონის მარჯვენა ნაპირას გაშენებულ გამაგრებულ პორტს, სა-

განგებო დანიშნულების სამხედრო ბოლაზს
ლ ი მ ო ნ ა ს („ლიმანა“ ბერძნული სიტყვაა
და ნავსადგურს, ბოლაზს ნიშნავს). XVI-XVII
საუკუნეების სამეგრელოს ერთ-ერთ საგუ-
ლისხმო ადგილ-ტოპონიმს წარმოადგენდა
სწორედ ეგ რიონისკიდა ლ ი მ ო ნ ა. ეს კი-
დევაც არის დაფიქსირებული ბერი ეგნატაშ-
ვილის „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც
XIV-XVII საუკუნეთა ამბებს აღწერს. აქ
კვითხულობთ:

„მაშინ დადიანმა შემოიკრიბა სპანი
თვისნი და აფხაზნი, წამოვიდა, რ ი ო ნ ი ს
ლ ი მ ო ნ შ ი დაისადგურეს“ (ქართული
მწერლობა, 6, გვ. 723).

ეს მოხდა დაახლოებით 1557 წელს.

ამ დროს ერთურთს დაუპირისპირდნენ
იბერთა მეფე და ლევან I დადიანი.

ესე იგი, ლ ი მ ო ნ ა იყო ფართოდ პო-
პულარული ადგილი („შენი“) და სათანადოდ
ცნობილი ტოპონიმი.

სხვათა შორის, ამ სტრატეგიული პუნქტის დამჭერი იოლად აკონტროლებდა მთელ სამეგრელოს.

ცნობილია, რომ არჩილ მეფის მამა ვახტანგ V შაჰნავაზი წინდაწინ შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარ ვამეყ III დადიანს და თავისი პირმშო იმერეთში გაამეფა.

მართალია, ეს 1661 წელს სამეგრელოს მთავრის თანხმობითა და სურვილით მოხდა, ოღონდ, როგორც ფეოდალურ ქვეყანაში ხშირად ხდება ხოლმე, მალე არჩილსა და ვამეყ დადიანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამის მიზეზი ხშირად სამფლობელოთა შორის საზღვარ-სამანის შეუთანხმებლობა ხდება. ფეოდალი თავის კანში ვერ ეტევა. ამ მხრივ არც მეფე გახლავთ გამონაკლისი.

არჩილ მეფესაც ისევე სწადდა სამეგრელოს სრული დამორჩილება, როგორც იმერეთის სხვა მეფეებს. თუ 1557 წელს ლევან I დადიანი იბერთა მეფემ საბოლოოდ მაინც დაამარცხა და პუნქტი ლ ი მ ო ნ ა, ისევე როგორც სამეგრელოს სხვა ტერიტორიები,

იმერეთს დაუმორჩილა, ასევე მოიქცა ასი წლის შემდეგ ახალგაზრდა ხელმწიფე არჩილი. მან ბრძანება გასცა, აეღოთ სტრატეგიული მნიშვნელობის ბოღაზი სამეგრელოში. იმერთა ლაშქარმა ბრძანება შეასრულა. სამეგრელო დროებით, მაგრამ მაინც, იმერეთს დამორჩილდა. ეს მოხდა 1661 წელს. ამ დროს აიღეს არა ოდენ ღ ი მ ო ნ ა, არამედ თვით ოდიშიც მთლიანად. მალევე არჩილის ხელში გადავიდა სვირი, კაცხი, ჭაქვითი. ვამეყი სვანეთში გაიქცა. იქ კი შაჰნავაზისა და არჩილის კაცებმა სიცოცხლეს გამოასალმეს იმავე 1661 წელს.

ამიტომაც არის, რომ იაკობ დუმბაძე თავისი ხოტბის საგანზე, არჩილ შაჰნავაზის ძეზე, შენიშნავს: მან ისევ, ხელმეორედ, „კიდევ“ (კიდევ) დაიმონა ეგ პუნქტი, ეგ მხარე და ამით საკუთარი მკლავის ძალა გამოსცადაო:

**თვით სულ იმონა კ ი დ ე ლ ი მ ო ნ ა ,
მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა (33,1).**

გვაქვს თუ არა კიდევ რაიმე დამატებითი

საბუთი, რომ აქ მომარჯვებული ცნება ღ ი მ ო ნ ა ნამდვილად ნავსადგურს, ბოლაზს გულისხმობს და ამ სიტყვას ზუსტად ამავე მნიშვნელობით იყენებს და იცნობს იაკობ შემოქმედელი?

გვაქვს. საძიებელი პრობლემისთვის პირდაპირ სენსაციურ ცნობას გვაწვდის იაკობის „ნამდვილი“ ნაშრომი „გაბაასება“. იქ პირდაპირ და უთუმცაოდ არის მითითებული, რომ ღ ი მ ო ნ ა იგივე ბოლაზია, ნავსადგურია და არა სხვა რამ პუნქტი უცხოეთის ქვეყნისა. „გაბაასებაში“ ვკითხულობთ:

**აღსა ღ ი მ ო ნ ა დ შეუცვლის
დაუნთქმელობის ბ ო ლ ა ზ ი(45,2).**

აქ მომარჯვებული სიტყვა „ალი“ ჯოჯოხეთის ცეცხლს, გეჰენიას, ნიშნავს. „გაბაასებაში“ ერთგან ავტორი მაჰმადიანებზე შენიშნავს – მათ ჯოჯოხეთის ალი იწვინესო:

**უფსკრულთა შინა შთასცვივდნენ,
ნახეს იქ ალი ასულად (130,3).**

სიტყვა „ღიმონას“ იცნობს „ქილილა და

დამანა“ (გვ. 503). აქ ვკითხულობთ: „რომე დელვაგემულსა ღ ი მ ო ნ ი ს პირი გუაჩვენოს“.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: „თვით სულ იმონა კიდე ლიმონა“, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს: არჩილმა კიდევ ერთხელ აიღო მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული ნავსადგურ-ბოლაზი და სამეგრელო დაიმორჩილა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა წინა, 32-ე, სტროფის მინიშნებაც. პირველ ტაეპში საუბარია ორ პიროვნებაზე, რომლებიც ხოტბის გმირისადმი მტრულ, არამოყვრულ დამოკიდებულებას აქვლავნებენ. ესენი არიან ვ ა მ ე ყ ი და ვ ი ს ი. ტაეპი ამრიგად გამოიყურება:

**ვმობ ვ ა მ ე ყ ვ ი ს ს ა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო იამან ქვეყნით.**

როგორცა ვხედავთ, ხსენებული ორი პირი არჩილისა და მისი „მკობარის“ მიმართ „ართუ მეყვისნი“ არიან. მეყვისი ნიშნავს

მოყვასს, მოყვარეს, მისანდოს, ნათესავს, მოყვარულს, თვისტომს. ართუ მეყვისი არის არამოყვარე, არამოყვრული, მტრულად განწყობილი. მაშ, არჩილის მიმართ მათ აქვთ არამოყვრული, არაკეთილმეგობრული დამოკიდებულება.

ჯერ ვისის ამბავი გავარკვიოთ.

ზოგი მეცნიერი აქ ნახსენებ ვისს „ვის-რამიანის“ ლამაზმანად წარმოისახავს. ეს სრული გაუგებრობაა. ზემოხსენებულ კონტექსტში ვისის, როგორც ქალის, ხსენება სრულიად უადგილოა.

ზემორელე დავამტკიცე, რომ „არჩილ მეფის ქება“ განიცდის „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების მძლავრ ზეგავლენას. ე გ ვ ი ს ი ც „შაჰნამეს“ პერსონაჟი მამაკაცია. ე გ სწორედ ის ვ ი ს ი გახლავთ, რომელიც უკეთური თურის ფალავანი და ვაზირია. თური კიდევ იმად არის „უკეთური“, რომ საკუთარი ძმა მოკლა ქონების გულისთვის, მიწის გამო. მისი სარდალი ვისი კიდევ ორმაგად უკეთურია, რადგან მის პატრონ თურთან ერთად ხელი

გამოდო ცხებულო მეფის ირეჯის წინააღმდეგ. ამგვარი პირი არჩილ მეფის მიმართ ვერ იქნება „მეყვის“ ისე, როგორც არჩილი ვერ შეეგუება უკეთურების ხელისშემწყობსა და დამცველს, სამფლობელო მიწისათვის ომის ამტეხსა და მოძალადეს, ცხებულ ირეჯ შაჰის წინააღმდეგ ამბოხებულს.

ახლა ვ ა მ ე ყ ს მივუბრუნდეთ.

ქართველი ვამეყიც სრულიად იმეორებს „არმეყვის“ ვისის საქციელს. ამიტომ ისიც არასასურველ კონტექსტშია ჩაყენებული; ისიც უკეთური თურის რაინდ-ვაზირივით უარყოფით განწყობას ბადებს. რატომ? რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ზეგარდმო ცხებულს, დავითიან ბაგრატიონს, წინააღმდეგობა გაუწია და ქვეყნის ცენტრალიზაციას, საკეთილო საქმეს, წინ აღუდგა. მიუხედავად ამისა, არჩილმა სამეგრელო მაინც შემოიმატა და მისი ცენტრალური სტრატეგიული პუნქტი ნავსადგური ლ ი მ ო ნ ა აიღო. იმავე 1661 წელს, როგორც უკვე ითქვა, ურჩი ვამეყი მოკლეს. მაგრამ აქ დამაბნეველ ვითარე-

ბას ქმნის უშნოდ გამომტყვერალი სიტყვა
ი ა მ ა ნ ე თ ი (იემენის ქვეყანა):

**ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო ი ა მ ა ნ ქვეყნით.**

სინამდვილეში აქ ი ა მ ა ნ სიტყვა ჩაწე-
რა დავით რექტორმა. ეს მისი კონიექტურაა.
არადა ნუსხები, რომელთაც დავით რექტო-
რის მსახვრალი ხელი არ შეხებია, აქ გვიჩვენებენ
წაკითხვას: ა მ ა ნ ქ ვ ე ყ ა ნ ი თ
(BCEFHK – იხ. ივ. ლოლაშვილი, გვ. 127).

ახლა გავმართოთ ტექსტი ისე, როგორც
იაკობის ხელიდან გამოვიდა:

**ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო ამან ქვეყანით.**

ახლა უკვე ნათელი ხდება ავტორის
სათქმელი: ვამეყ III დადიანი, რომელიც უკე-
თურ ვისსა ჰგავს იმით, რომ თავის ხელმწი-
ფეს დაუპირისპირდა, ა მ ა ნ, ესე იგი არ-
ჩილ შაჰნავაზის ძემ, 1661 წელს მოსკო, ია-

ვარყო, მიწის პირისაგან აღმოფხვრა, როგორც ტახტის ქვეგამხედვარი და ორგული.

როგორც საქართველოს ისტორიიდან ვიცით, ყველა პროგრესული მწერალი მეფის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას მიესალმებოდა. მათ ჩამოთვლას აღარ დაეიწყებ. იაკობიც პროგრესული მოღვაწე გახლდათ და მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების არსი კარგად ესმოდა. ამიტომაც არის, ასე მკვეთრად რომ უწონებს მეფეს ქვეშევრდომის სიცოცხლის ხელყოფას. საკითხისადმი მისი ამგვარი მიდგომის მაცნე ბევრი ეპიზოდის ამოწერა შეიძლება ე. წ. „აბდულმესიანიდან“. არჩილის შესახებ ერთგან აცხადებს:

**ვისცა შეჰრისხდა, ნამდვილვე მიჰხვდა
მას საღმობანი სიკვდილისანი (23,4).**

ამ ტაეპში იოლად შეიძლება დავლანდოთ ვამეყ III დადიანის აჩრდილი. სხვაგან ავტორი პირდაპირ მიუთითებს: „ცუდ-ყვნის მან მტერნი, ორგულთა ერნი“ (12,3); კიდევ მეტი. ავტორის ხოტბის საგანი არის „ორ-

გულთ განმგმირი, მტერთა ქვესკნელად დამამსობელი“ (4,3); მწერალი უფრო შორსაც კი მიდის. ავტორი თავისი ხოტბის საგანს აქეზებს, არწმუნებს, კარგიაო, რომ ვამიყ დადიანის მსგავს „ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსხლავ“ (61,2) და ა. შ.

როგორცა ვხედავთ, 32-ე და 33-ე სტროფები ერთმანეთზეა გადაბმული და ერთიან ინფორმაციას გვაწვდიან, თუ როგორ დაუპირისპირდა ხელმწიფეს მთავარი ვამიყ III დადიანი და შემდეგ თუ როგორ აიღო იმერეთის ახალგაზრდა მპყრობელმა ლ ი მ ო ნ ა. 33-ე სტროფის ბოლო ტაეპი ამ მხრივ მეტად საინტერესოა. აქ ნათქვამია: არჩილ მეფემ ყველა მიწის მპყრობელი დაჩრდილა საქართველოში ისე, როგორც მზე დაფარავს სხვა ვარსკვლავებსაო.

**ბნელს-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა
ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა.**

ამ კონტექსტში „ქვეყნის მპყრობელი“ ძველი მნიშვნელობის მქონეა და ნიშნავს მი-

წის, მხარის, „გავარის“ (ანუ სამეგრელოს) მპყრობელს.

ზოგი რამ ვამიყ დადიანის შესახებ:

ოდიშის მმართველის ლევან დადიანის გარდაცვალების შემდგომ ალექსანდრე იმერთა მეფის შემწეობით ვამიყი გაბატონდა სამეგრელოში. მან ალექსანდრეს გარდაცვალებისთანავე იმერეთიც შემოიერთა, გაილაშქრა გურიას და ქაიხოსრო გურიელიც დაამარცხა. ფაქტობრივად მთელი დასავლეთი საქართველო გააერთიანა. ეს ჩანს მის წოდებებშიაც. ის საკუთარ თავს უწოდებდა ასე: მეფეთ-მეფე, ხელმწიფე, სკიპტრა-პორფირის მფლობელი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ლიხთ-იმერეთისა და სრულიად საქართველოს ფლობით მტკიცედ მპყრობელი, ღვთივ-აღმატებული, ღვთივ-დამყარებული, ოსეთისა და დვალეთის, სვანეთისა და ყაბარდოს, ჯიქეთისა და აფხაზეთის, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელ-მქონებელი.

აი, ასეთი წოდება აქვს მას მისთვის საბუ-
დისწერო 1661 წელს.

მისი სახელი დაკავშირებულია ჩემი
სოფლის სახელთანაც.

მპყრობელს ტახტის მოპოვებისას ბევრი
აუგი ჩაუდენია. ამ საქმის განხორციელების
პროცესში მრავალი „საკანონო საქმე გამოე-
რია“. ზნეობრივ-სულიერი განწყობის მიზ-
ნით და კათალიკოს ზაქარია ქვარიანის მოთ-
ხოვნით, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარს
„საკანონოდ შესწირა“ სენაკის მაცხოვრის
საყდარი, ხოლო გურიაში, სოფელ ძიმითში,
– წმინდა კვირიკეს საყდარი, რომელიც იდგა
ძიმითის ქვედა სასაფლაოს ეზოში; ამავე
დროს, იმავე ღვთისმშობელს შესწირა ძიმი-
თელი მოსახლე-კომლები: დეკანოზი კბილია-
ნაშვილი ძმითა, ცოლ-შვილითა და მამულით;
ასევე დეკანოზის ყმებიც (სულ 7-8 კომლი).
აღნიშნულის შესახებ იხილეთ წიგნში „პირ-
თა ანოტირებული ლექსიკონი“, II, 1993, გვ.
4-5, აგრეთვე გვ. 9. აქ მოყვანილია საინტერე-
სო ცნობა:

ოდიშს ბატონობდა ლევან III დადიანი (შამანდავლე). ვამიყმა ალექსანდრე მეფის დახმარებით მას წაართვა ოდიშის პატრონობა. ამიტომაც შამანდავლე ქართლში გაიქცა და შაჰნავაზის წინაშე იჩივლა. ვახტანგ მეხუთემ მას ყენის წინაშე უშუამდგომლა. ამიტომ შაჰმა მას იმერეთსა და სამეგრელოში დიდძალი ღაშქრით გააყოლა შაჰნავაზი. ბიძაშვილთა შორის კინკლაობით ისარგებლა შაჰნავაზმა და იმერეთში გააბატონა თავისი ძე არჩილი, ხოლო ოდიშის ტახტიდან ჩამოაგდო ვამიყი. სვანეთში გაქცეული ვამიყი იმავე 1661 წელს მოკლეს.

ასე რომ, პოეტური ფრაზის – „ეხმობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარ-ყო ამან ქვეყანით“ – უკან მთელი ბობოქარი ისტორია, ტახტისათვის ბრძოლისა და შეცოდებათა, დანაშაულთა და სასჯელთა ამბები დგას.

ასეთია „არჩილ მეფის ქების“ 32-ე და 33-ე სტროფების ცნობები ისტორიული სინამდვილის შესახებ.

ეგ ინფორმაცია ძვირფას სამსახურს გვიწევს, რათა დავადგინოთ თხზულების შექმნის თარიღი.

1663 წელს არჩილი მამამისმა შაჰნავაზმა (ვახტანგ მეხუთემ) სხვადასხვა გარემოებისა გამო იმერეთიდან უკან გაიწვია.

მაშასადამე, ეჭვი არ არის, იაკობის ხოტბა დაწერილია 1661-1663 წლებში.

306 არის პირმშო?

ძალიან საყურადღებოა, რომ თავის „გაბაასებაში“ იაკობ მიტროპოლიტი საგანგებო ყურადღებას აქცევს ტერმინ პ ი რ მ შ ო ს. ბაგრატ ბატონიშვილის პროზაულ დედანში გახილულია საკითხი: ვის მეტი პატივი აქვს ბიბლიაში – ისმაელსა თუ იაკობს? შემდეგ ი. შემოქმედელი, როგორც ბორის დარჩია მიუთითებს, თავისი სურვილით, დედნისაგან გადახვევით, აქ ურთავს ბიბლიურ ეპიზოდს, თუ „რებეკას ეშმაკობის მეოხებით ისაკმა ესავის მაგივრად როგორ აკურთხა პირმშოდ უმცროსი ძე, იაკობი“ (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, გვ. 105).

საგანგებოდ გამოვიძიე ეს ამბავი და გაირკვა შემდეგი: ე. წ. „აბღულმესიანში“ წერია:

ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ,

მელქიზედეკის ლოცვით ზედა-მითთ,

ესავისითა ეს ავი სით ა, –

მაუწყონ მთქმელთა, – თუცა რათ ურთით?

აქ სწორედ ის ესავია გამოსახული, რომელიც დედის, რებეკას, ჩაგონებით მოატყუა უმცროსმა ძმა იაკობმა და მამას პირმშობის კურთხევა გამოსტყუა.

ისაკი იყო აბრაამის პირმშო, მამისაგან კურთხეული. ისაკს რებეკასაგან შეეძინა ტყუპები – პირველი ესავი, მეორე – იაკობი (დაბადება, 25,25). ტერმინი „კურთხევით ნიშობ“ მითითებულია დაბადებაში (26,29). ერთი პირობა ესავმა პირმშობობა არად ჩააგდო (დაბადება, 25,34), არადა, ეს ძველად დიდმნიშვნელოვანი რამ იყო – მამის მთელი უფლება შვილზე გადადიოდა! რებეკას რჩევით, იაკობი ველზე სანადიროდ გასული ესავის ნაცვლად მივიდა დაბრმავებულ მამასთან კურთხევის მისაღებად და მიზანს კიდევაც მიაღწია (დაბადება, 27,1-29).

საგულისხმოა, რომ „ეგ ზედმეტი“ ამბავი თავის „გაბაასებაში“ დუმბაძეს ასე გაუღეჭს სავს:

**დაუბრყვილდეს ისაკს თვალნი,
ველად გახვნის ესავი სა?**

რებეკასგან ნასწავლები იაკობს რწამს
ეს ავისა,
პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოსპით
ესა ვისა (63).

ვხედავთ: იაკობ შემოქმედელი ბაგრატის პროზაულ ტექსტს ავრცობს ახალი ბიბლიური ეპიზოდით და ყველაზე მთავარი ისაა, რომ „არჩილ მეფის ქების“ 27-ე სტროფში გადმოცემული არა მარტო ამბავი ჰგავს ზედმიწევნით „გაბაასების“ ამბავს, არამედ თვით რითმაც ერთი და იგივეა გამოყენებული. „ქებაშია“:

ე ს ა ვ ი ს ი თ ა ე ს ა ვ ი ს ი თ ა .

„გაბაასებაშიც“ ზუსტად ეგ რითმებია მომარჯვებული:

დაუბრყვილდეს ისაკს თვალნი, ველად გახენის

ე ს ა ვ ი ს ა ,

რებეკასგან ნასწავლები იაკობს რწამს ე ს ა ვ ი ს ა .

საგულისხმოა, რომ „ქების“ სარიტმო წყვილეულის პირველი სიტყვა სახელია – ე ს ა ვ ი; მეორეა ზმნა – ე ს ა ვ ი არისო. იგივე თანამიმდევრობაა დაცული „გაბაასება-

შიც“. ჯერ ე ს ა ვ ი, კაცის სახელი, მიდის, მერმედ – ე ს ა ვ ი ამბავით. ამიტომაც, ეჭვი აღარ გვრჩება, „ქებაცა“ და „გაბაასებაც“ ერთი ავტორის შემოქმედებით ფსიქოლოგიას გვამცნევს. ეს ავტორი იაკობ „მბაძეა“.

მაშ, ასე: 27-ე სტროფის მიხედვით, არჩილი შაჰნავაზის პირმშო შვილია. ამ სტროფის იდეას ეხმიანება 53-ე სტროფის მე-3 ტაეპიც.

**სიბრძნისა ზღვასა ა რ ჩ ი ლ-პ ი რ მ შ ო ს ა
(53,3).**

თუმცა დავით რექტორის მსახვრალი ხელით ჩასწორებულ ტექსტში დღეს ა რ ჩ ი ლ ი ს ადგილას თ ა მ ა რ ს ვკითხულობთ:

**სიბრძნისა ზღვასა თ ა მ ა რ-პირმშოსა
(ქართული მწერლობა, 3, გვ. 334).**

აქ რომ თ ა მ ა რ ი უადგილოა, მომდევნო, 53-ე, სტროფიც გვამცნევს. აქ ისევ იმავე გმირზეა განუწყვეტელი მსჯელობა და წერია, რომ იგი არის „მძლედ მ თ რ კ ი ნ ა ლ ი“ (55,1). არადა, „თამარ წყნარი“ შეუძლე-

ბელია იყოს „მძლედ მორკინალი“. ამასთანავე, იმავე გმირის უწყვეტი დახასიათება გრძელდება 58-ე სტროფშიც. აქ კი გმირი შედარებულია ღო მ თ ა ნ. თუ ხოტბის საგანი თამარია, ეს სრულიად გამორიცხებულია, რადგან ღო მ თ ა ნ ქალის შედარება იქნებოდა არა ქება, არამედ შეურაცხყოფა, ვინაიდან ღო მ ი ითვლებოდა (და ეგ ყველამ იცოდა) ბერწოვნების სიმბოლოდ: „ღო მ ს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება, მუშკს სურნელება შენგან მიეცა“ (58,1).

ამრიგად, უდავოა: ეს გმირი მხოლოდ არჩილ მეფეა!

საგულისხმოა, რომ იოსებ თბილელიც „დიდმოურავიანში“ არჩილს „ხელმწიფეთა კირმშო შვილს“ უწოდებს (2,1).

ეგ გადახშიანება მრავლისმეტყველია!

იაკობსა და იოსებ ტფილელს ხომ ერთმანეთთან პირადი მეგობრობაც აკავშირებდათ და ერთურთსაც არაერთხელ შეხვედრიან.

ირაკვევა, არჩილის კარზე შემუშავებული ყოფილა იდეა, რომ ეგ ხელმწიფე ვახტანგ შაჰნავაზის მიერ კურთხეული პ ი რ მ შ ო ა. ეს ფაქტობრივადაც აგრე იყო – შაჰნავაზის უფროსი ძე გახლდათ არჩილი; ამიტომაც წერს ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი: „არჩილი იყო უხუცესი“ (იხ. ბერი ეგნატაშვილის ისტორია, ქართული მწერლობა, 6, გვ. 81), ხოლო იქვე, ქვემოთვე, იმეორებს: „პ ი რ - მ შ ო და ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი არჩილი“ (გვ. 817). იქვეა მითითებული, რომ შაჰნავაზმა თავის ექვსივე ვაჟს საუკეთესო განათლება მიადებინა, განსაკუთრებით არჩილს და უმთავრესად რელიგიური. ესე იგი, დოკუმენტურად დასტურდება არჩილის პირმშობა. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ფეშანგიც თავის „შაჰნავაზიანში“ მიუთითებს, მშობლებმაო „უფროსსა არჩილ უწოდეს“ (210,1).

მოვიყვან კიდევ ერთ პარალელს, სადაც, შეიძლება ითქვას, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 27-ე სტროფი იაკობ მიტროპოლიტის ნახელავია. თავის უდავო „გაბაასებაში“ ია-

კობი ბიბლიურ ი ს ა კ ს ა და საძიებელ ტერმინ პ ი რ მ შ ო ს ერთმანეთზე გადაბმულად წარმოგვიდგენს:

**ისაკ უკურთხა უფალმან პ ი რ მ შ ო დ,
იგი ჰყვა განძებად (117,3).**

ახლა ამას შევადართო „ქების“ ის ტაეპი, სადაც არჩილს ასე მიმართავს ავტორი:

**ი ს ა კ ე ბ რ პ ი რ მ შ ო ბ ,
კ უ რ თ ხ ე ვ ი თ ნ ი შ ო ბ .**

ვხედავთ: ორივე ტაეპში ერთნაირად არის ერთმანეთზე გადაბმული სამი სიტყვა: ი ს ა კ ი, კ უ რ თ ხ ე ვ ა, პ ი რ მ შ ო .

ამრიგად, იაკობის ნამდვილი თხზულება „გაბაასება“ პირდაპირ მიუთითებს, რომ „ქების“ 27-ე სტროფში შექცეულია შაჰნავაზის მიერ პ ი რ მ შ ო დ და გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ს ა ყ ვ ა რ ე ლ შვილად წოდებული არჩილი:

**ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ,
მელქისედეკის ღოცვით ზედა-მთით.**

ესაგისითა ეს ავი სით ა, –

მაუწყონ მთქმელთა, – თუცა რათ ურთით?

მცირე კომენტარი: ისაკივით პირმშო ხარ; ნიშნად გატყვია კურთხეულობა. ესევის მსგავსად როდი გაგცუდებია ან წაგრძმევია პირმშობის პატივი; შენ ხომ იმერეთის ტახტზე ასვლისას მამასთან ერთად მელქისედეკ გელათის მიტროპოლიტიმა გაკურთხა.

აქ მე ბიბლიურ მელქისედეკს, ვინც აბრაამი აკურთხა, ვერ ვხედავ, რადგან მას ისაკთან არავითარი შეხება არა ჰქონია. ისაკი მხოლოდ მამამ, აბრაამმა, აკურთხა. აქ მელქისედეკ გელათის მიტროპოლიტის ხსენება ისეთივე ქართული რეალიაა, როგორც მაქსიმე კათალიკოსის ხსენება, რომელმაც 1647 წელს, სწორედ არჩილის დაბადების წელს, მიტროპოლიტად აკურთხა იაკობ შემოქმედელი. დიახ, „ქებაში“ დადასტურებულია სიტყვა მ ა ქ ს ი მ ე დ.

ვის ვბონებ მაქსიმედ?

„არჩილ მეფის ქების“ ერთი სტროფი ამგვარია:

1. არ იონათან, არიო ნათან,
ვინ ქმნა მას ზედა ზეთ-მცხებელობა;
2. დაცხრა, დაყუდნა, მისგან განცუდნა
უგლიმთა ბორგვით ზარ-მცემელობა.
3. დავით ძლიერი, მხნედ საშინელი,
უფლებს და მთავრობს ურჩთ-შემწველობა.
4. ვგონებ მაქსიმედ: ჩემთვის მაქს იმედ –
მისგან სჯულისა დამბეჭდველობა.

ჩემი დაკვირვებით, ე. წ. „აბდულმესიანში“ გვაქვს ორგვარი რეალიები: ა) ბიბლიურ-უცხოური და ბ) ქართული. ე. წ. ქართული რეალიების მოდასტურება მელქიზედეკი (იმერეთის მიტროპოლიტი, გენათელი), რიონის ღიმონა (ბოლაზი) და ზოგი სხვაც. მიმაჩნია, რომ სწორედ ერთი ამდაგვარია სიტყვა მაქსიმედ.

აღნიშნულ კონტექსტში საძიებელ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს სამი მნიშვნელობა, და, რაც უმნიშვნელოვანესია, სამივე

განმარტებას იაკობ მიტროპო-
ლიტთან მივყავართ.

ვიდრე ამის თაობაზე რაიმეს ვიტყოდე,
მანამდე განვსაჯოთ I-III ტაეპები.

აქ სათუმცაო არაფერია. სამივე ტაეპში
წარმოდგენილია ბიბლიურ-უცხოური რეალი-
ები. იონათანი და ნათანი ბიბლიური პერსო-
ნაჟები არიან; ნათანს დაუცხრია, დაუმშვიდე-
ბია უგლიმთა შფოთი და დავიდარაბა; დავით
ისრაელთა მეფე და მხედართმთავარი უფალი
და მეთაურია საკუთარი ხალხისა.

მეოთხე ტაეპში კი, როგორც ითქვა,
გვაქვს ერთგვარი „ორგემაგე“ კონტექსტი. აქ
სირთულეს ქმნის სიტყვა „მაქსიმედ“. იგი შე-
იძლება განიმარტოს, როგორც უცხოური სა-
ზოგადო სახელი მ ა ქ ს ი მ ა (რადაც მო-
ცემულობა, კანონთა, ზნეობრივ ნორმათა ერ-
თობლიობა, პრინციპი, სენტენცია). ამ ვითა-
რებაში მივიღებთ ამგვარ აზრს – მაქსიმად
მივიჩნევ შემდეგს: მაქვს იმედი, რომ ჩემი
სოტბის საგანი არჩილ მეფე იქნება ჩვენი
სჯულის (რელიგიის) დამბეჭდველი (შემნარ-

ჩუნებელი, დამცველი, გონებაში შემნახველი, დამმახსოვრებელი). გავიხსენოთ ბერი ეგნატაშვილის მითითება: შაჰნავაზმა საგანგებო რელიგიური ცოდნა მიაღებინა თავის შვილებსო. და აქ უწინარესად არჩილ პირმშო იგულისხმება.

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სიტყვა „მაქსიმა“ (პრინციპული დებულება) ადრინდელ ქართულ ენაში არ დასტურდება. იგი ჩანს მხოლოდ XVI საუკუნიდან (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სიტყვათა კატალოგი).

ასე რომ, ამნაირ გაგებას იაკობ „მბაძნესთან“, ანუ XVII საუკუნეში, მივყავართ.

მეორე გააზრება გულისხმობს მ ა ქ ს ი მ ე აღმსარებელს, ბიზანტიელ ღვთისმეტყველს, რომლის გამოსახულებაც რუსთველის გამოსახულებასთან ერთად არის დახატული იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და რომლის ეთიკაც ეფუძნება ბოროტი ემოციების კეთილად გარდაქმნის მოძღვრებას.

მ ა ქ ს ი მ ე ს ა მ გააზრებას მხარს უჭერს ორი გარემოება:

ა) ცნობილია, რომ მაქსიმე აღმსარებელი ბოლოს მოღვაწეობდა ლაზიკაში, ტრაპეზუნტის მხარეში, სადაც გარდაიცვალა კიდევ, ხოლო სწორედ ტრაპეზუნტის საღვთისმეტყველო აკადემია დაამთავრა იაკობ ღუმბაძემ. გასაგები მიზეზის გამო აქაურ სასწავლებელში ფართოდ ასწავლიდნენ მაქსიმე აღმსარებლის თეოსოფიას.

ბ) სტროფში, სადაც ნახსენებია მაქსიმე, სწორედ იმაზეა მსჯელობა, თუ როგორ მოაქცია ნათანმა უგუნურნი გონებაზე, როგორ დააყენა უგლიმნი სიკეთის გზაზე. ეს სწორედ მაქსიმე აღმსარებლის მაქსიმაა: ბოროტი ემოციების კეთილად გარდაქმნა!

ასე რომ, ამ განმარტებასაც იაკობ „მბაძესთან“ მივყავართ.

მე მაინც იქითკენ ვიხრები, რომ აქ უცხოური ტერმინი კი არა გვაქვს, არამედ ქართველი კერძო პირის სახელი მ ა ქ ს ი მ ე.

ვინ შეიძლება იყოს ის მ ა ქ ს ი მ ე, რომელსაც უნდა შეედაროს და შეეფარდოს მომავალში არჩილ მეფე თავისი საღვთისმეტყველო ცოდნითა და ჩვენი რელიგიის, ჩვენი რჯულის, დამბეჭდველობით?

ასეთ პიროვნებად, ამგვარ მ ა ქ ს ი მ ე დ მე მივიჩნევ იმერეთის ცნობილ კათალიკოსს მ ა ქ ს ი მ ე მაჭუტაძეს, რომელმაც 1647 წელს, სწორედ არჩილ მეფის დაბადების წელს, მიტროპოლიტად აკურთხა იაკობ დუმბაძე. სხვათა შორის, იაკობამდე სწორედ ის იყო შემოქმედის მიტროპოლიტი. ჩვენი ეპისკოპოსებისა და კათალიკოსების ხსენება საერთოდ ახასიათებს დუმბაძეს. „გაბაასებაში“ ახსენებს ეპისკოპოს მროველს. ექვთიმე მთაწმინდელზე ამბობს: „ღვთისმეტყველთა სიტყვებს ჰქუხდა, სიბრძნით სჯობდა ჩვენს მროველსა“ (184,4). ამის შემდეგ სტროვის პუნქტობრივი შინაარსი ასე წარმომიდგენია: არჩილ მეფე არის არა იონათანი, არამედ ნათანი, ვისაც შეუძლია თავად აკურთხოს სხვა; რომელმაც დააცხრო, დაამშვიდა უგ-

ლიმთა შფოთი, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო იმერეთში არჩილის გამეფებამდე; როგორც დავით მეფსალმუნე, იგი ისე უფლობს და მთავრობს თავის ქვეყანაში; მე ის მაგონებს კათალიკოს მაქსიმეს და მაქვს იმედი, რომ არჩილიც მაქსიმეს მსგავსად იქნება ქრისტიანული სჯულის გულში ღრმად დამმარხველი, გონებაში აღმბეჭდველი, მცველი და დარაჯი.

დიახ, სწორედ რომ ასეთი გახლდათ არჩილ მეფე, ფილოსოფოს-თეოლოგი, კურთხეული ხელმწიფე, სახელოვანი მოღვაწე და დიდი მწერალი, მთელი სალიტერატურო სკოლის მეთაური.

ამრიგად, „ხოტბაში“ როგორც სხვაგან, ისე აქაც ერთმანეთშია არეული ბიბლიურ-უცხოური და ქართული რეალიები. „მაქსიმე“ სწორედ ამის ერთი კონკრეტული მაგალითია.

მაშ, ასე!

კვლავ და კვლავ დასტურდება – ე. წ. „აბღულმესიანი“ მე-17 საუკუნის ძეგლია.

„ერთა სტოლანი“

ე. წ. „აბდუღმესიანის“ V თავში აღწერილია არა ომები, მოძრაობანი და გადაადგილებები, არამედ სტატიკური გარემო: უძრავი ნივთები, სახლ-კარი, ავეჯეული და ა. შ. ერთი სიტყვით, გვირგვინოსნის სასახლის დგამ-ავეჯი და მოწყობილობა. პირველ სტროფში დახატულია სრა-სასახლე, კარ-მიდამო და გალაგანი; მომდევნოში ხდება ე. წ. „არეალის დავიწროება“ და უკვე ტახტი და მისი მოწყობილობა იხატება; მესამე, ბოლო სტროფში თვით ის პერსონა და მისი მორთულობა ჩანს, ვინც ამ ტახტზე ზის.

მაშასადამე, ე. წ. „არეალის დავიწროება“, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის კარგად ცნობილი ხერხია, აქაც არის მომარჯვებული. და აი, აქ, პირველ „სტატიკურ“ სტროფში, სადაც ასახულია სრა-სასახლე, გალაგანი, ბაღ-ბაღჩა, აბანო და მისი მოწყობილობანი, ჰიპოდრომი, რომელიც გალაგნის

შიგნით იგულისხმება, მესამე ტაეპი ამგვარია:

**კართა სტოვანი, ე რ თ ა ს ტ ო ლ ა ნ ი,
იპოდრომისა განხმულობანი.**

სტოვანი სახლის შესასვლელ კარებზე გადმოფარებული ნაგებობა, თაღ-კამარედია (ს. ორბელიანი). ასეთები აქვს ეკლესიებსაც; ოღონდ რასა ნიშნავს ს ტ ო ლ ა ნ ი?

დ. ჩუბინაშვილი მას განმარტავს, როგორც ნ ა ვ ე ბ ს; ს. ორბელიანის მიხედვით, „სტოლი“ არის მრავალი საბრძოლო გემი ერთად; ზ. სარჯველაძის განმარტებით, ეს ლექსმა ნიშნავს ლ ა შ ქ რ ო ბ ა ს.

არადა 39-ე სტროფის აღწერილობაში ამ გაგების მქონე სიტყვა სრულიად უადგილო და ამოვარდნილი ჩანს. მომყავს მთელი სტროფი, რათა ყოველი თვალსაჩინო გახდეს:

1. თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი?

გალაგანისა შემეკულობანი,

2. მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი,

ზედ ავაზანთა შექმნულობანი,

3. კართა სტოვანი, ე რ თ ა ს ტ ო ლ ა ნ ი,
იპოდრომისა განხმულობანი,

4. სახმრად ლანკანთა, თანად პინაკოთა,
ბადახშნით ხელ-ყენეს შექმნულობანი.

მაშ, აღიწერა სრა-სასახლე, გალავანი, ბაღჩა-ბაღი, ხეხილი, აბანო-აუზები, თაღ-კამარედები, ცხენით საასპარეზო მოედანი, ლალ-იაგუნდის თეფშ-ჯამები. სხვათა შორის, იაგუნდის ჯამად რომ ამ ნაწარმოებში ავტორს პ ი ნ ა კ ი სიტყვა მოუმარჯვებია, სწორედ ეგ ლექსემა „პინაკი“ უხსენებია იაკობ შემოქმედელს თავის ნამდვილ „გაბაასე-ბაში“, 171-ე სტროფის მესამე ტაეპში.

ახლა მიბრძანეთ, ამ სიაში რა უნდა ს ტ ო ლ ა ნ ს – სამხედრო ფლოტილიას ანდა ლაშქრობას?!

ღიას, ამგვარი გაგების შემცველ სიტყვას აქ არა ესაქმება რა!

მაშასადამე, ეს ს ტ ო ლ ა ნ ი არ არის „სტოლა“, რაც ძველმა ქართულმა ენამ იცის. ეს გახლავთ ახალი დროის სიტყვა, რომელიც გაჩნდა XVI-XVIII საუკუნეებში იმიტომ,

რომ ამ დროს ქართველები უკვე ახლოს ეცნობიან რუსებს, აქვთ მათთან ურთიერთობა, ცვლიან დიპლომატიურ მისიებს; თვით იაკობ მიტროპოლიტიც ნამყოფია რუსეთში ელჩად. ეს თუმცა კი მოგვიანებით მოხდა, ოღონდ ვინ იცის, იქნებ, მანამდეც, უფრო ადრეც, უმოგზაურია ჩრდილოეთის ქვეყანაში?

მაშ, რომელი რუსული სიტყვაა ეს სტოლა, რომელიც ესოდენ აკლია ავტორის მიერ 39-ე სტროფში აღწერილ სამზარეულო დგამ-ავეჯსა და ნივთებს?

ეს არის სტოლი, ანუ მაგიდა. მრავლობით რიცხვში – სტოლანი.

მართლაცდა, ლალ-იაგუნდის ლანკანთა და პინაკთა დასალაგებლად და პურმარილის დასახვაგებლად საჭიროა მაგიდები (სტოლანი). და ეგ მაგიდები, შინაგანი რითმის მოთხოვნისდა მიხედვით, აღმოჩნდა სტოლანი:

კართა სტოვანი, ერთა სტოლანი.

სხვათა შორის, გამოვიძიე რუსული სიტყვა „სტოლის“ ამბავი და დადგინდა: ის

ქართულ მწერლობით ძეგლებში ჩნდება XVII საუკუნის დასაწყისიდან. კერძოდ, დასტურდება „კალმასობაში“ (XIX ს-ის დამდეგი): „აქედან გრძელი ს ტ ო ლ ე ბ ი“ (11, 229,13); იმავე ძეგლშია: „იოანეს აჩვენეს მარჯვენით სკამი... წინ დაუდგეს ს ტ ო ლ ი“ (1, 74,12); „დავიდეთ ს ტ ო ლ ი, ანუ ხონჩა“ (თეიმურ. განმარტება, 215,3). ეს სიტყვა გამოყენებული აქვს ანტონ კათალიკოსს (ანტ. 2-8).

მანამდე, ე. ი. XVII საუკუნემდე, ეგ სიტყვა არსად ჩანს.

ახლა რას გვამცნევს სინტაგმა „ერთა სტოლანი“?

საქმე ისაა, რომ XVI-XVII საუკუნეების ქართულ მეტყველებაში ჩნდება ს ა ხ ა ლ ხ ო ს უ ფ რ ი ს, დიდი მასშტაბის სახალხო ნადიმის გამომხატველი საგანგებო ტერმინი, რომელიც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ არ დასტურდება. ეს გახლავთ ერთა ჭ ა მ ა. არის მისი ვარიაციები: წ ლ ი ს ა ჭ ა მ ა (როდესაც გარდაცვლილს ერთი წელი უსრულდებოდა) და ო რ მ ო ც ი ს ჭ ა მ ა (როცა

მიცვალებულს ორმოცი დღე უსრულდებოდა). ამგვარი ტერმინები გვხვდება XVI-XVII საუკუნეთა ლიტერატურაში, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებსა და ინტერპოლაციებში, უფრო ნაწილობრივ ციციშვილის ნახელოვან და ნიშნავს სახალხო პურის ჭამას, სახალხო სუფრას (ქორწილის ან ჭირის სუფრას). „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორულ სტროფში ტარიელი მამამისის სიკვდილის წლისთავთან დაკავშირებით აცხადებს: „წლისა ჭამა გარდვიხადე“ (იხ. ვეფხისტყაოსანი, ნამდვილი და ჩანართი, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1913, გვ. 54). ტერმინი „ერთა ჭამა“ გვხვდება „შაჰ-ნამეს“ ვერსიებშიც. კერძოდ, „საამიანში“ დასტურდება „შოლანი – ერთა ჭამა“ (187).

ამრიგად, ტერმინი „ერთა ჭამა“ ი. დუმბაძემ შეცვალა უფრო თანამედროვე გამოთქმით „ერთა სტოლანი“. ესე იგი, საერთო, სახალხო მაგიდებით, სუფრით.

ამრიგად, „ერთა სტოლანი“ გვიდასტურებს, რომ ხელთა გვექონია XVII საუკუნის ძეგლი.

რა საიდუმლოს გვიმხელს რითმა?

მეთორმეტე საუკუნის პოეტურ ნაწარმოებებში რითმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმ დროს წარმოუდგენელი იყო რითმის სისუსტე, ხორკლიანობა. ზოგჯერ მცირე უკანდახევა ზუსტი და ზედმიწევნითი რითმიდან მართლაც ხდებოდა, ოღონდ ეს სარიტმო თანხმოვნების ხარჯზე. რაც შეეხება ხმოვნებს, იმათი კონფიგურაცია უსიკვდილოდ ერთნაირი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ უკანდახევა გამორიცხულია. ამავე დროს, გამორიცხულია ერთმარცვლიანი, ე. წ. უკიდურესად ღარიბი, რითმა. მესამეც, სრულიად წარმოუდგენელია ღია ხმოვნით დამთავრებული ოთხი სარიტმო კლაუზულიდან თუნდაც ერთის თანხმოვნით დამთავრება, ჩაკეტვა. მაგალითად, ასე: ი ა ნ ი, ი ა ნ ი, ი ა ნ ი, ი ა ნ ი თ.

ამის მაგალითს ვერ ვიპოვით „ვეფხისტყაოსნის“ 1712 სტროფიდან ვერც ერთში.

რითმის ამგვარი შესუსტების პროცესს აკაკი გაწერელია ხედავს XVII-XVIII საუკუ-

ნეებში. საილუსტრაციოდ მოჰყავს არჩილ მეფის მაგალითი: „შეგიძკობ – არაკობ“; გურამიშვილის ნიმუში „კრეფილი-ფული“ (აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. 3, გვ. 188).

დავაკონკრეტოთ ზემოთქმული.

XII-XIII საუკუნეთა პოეტურ ნაწარმოებებში არ გვხვდება (ანდა არ უნდა შეგვხვდეს):

1. ერთმარცვლიანი ღარიბი რითმა;
2. სარიტმო კლაუზულაში გამონაკლისის სახით გვაქვს თანხმოვანთა სიზუსტის დარღვევა, ოღონდ ხმოვანთა ერთნაირი კონფიგურაცია ზედმიწევნით არის დაცული;
3. საერთოდ გამორიცხულია ღია ხმოვნით დამთავრებული ოთხი სარიტმო კლაუზულიდან თუნდაც ერთის დამთავრება, ჩაკეტვა თანხმოვნით;
4. კატეგორიულად დაუშვებელია სტროფის ოთხი კლაუზულიდან თუნდაც ერთში სარიტმო ხმოვნების კონფიგურაციის დაკოჭლება, მაგალითად, ასე: ე ე ა – ე ე ა – ე ე ა – ი ე ა .

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამმარცვლიან (დაქტილურ) ან ორმარცვლიან (ქორეულ) სარითმო კლაუზულას ოთხივე ტაეპის ბოლოს სუფთად უნდა აბოლოებდეს ერთნაირ ხმოვანთა ერთნაირი კონფიგურაცია. აქ რომელიმე მათგანის ჩავარდნა (დალატი) გამორიცხულია.

ვიმეორებ, შეუძლებელია სამჯერად მოწოდებული დაქტილური სარითმო ვოკალური ინერციისთვის კვანტის დადება ბოლო, მეოთხე, კლაუზულაში ამ კლაუზულის ქორეულად გადაქცევის გზით.

შევისწავლეთ ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“.

ა) „ვეფხისტყაოსანში“ ერთი შემთხვევაც არ დასტურდება ერთმარცვლიანი ღარიბი რითმისა. აქ გვაქვს ორ (მაღალშირში) და სამმარცვლიანი (დაბალშირში) კლაუზულები. ზოგჯერ (ძალიან ხშირად) ისინი მდიდრდებიან სარითმო კლაუზულისწინა ხმოვანთა ერთნაირი კონფიგურაციით (ამის თაობაზე იხ. მ. თავდიშვილი, რითმისწინა გახმოვანე-

ბის რუსთველური სისტემა, წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, გვ. 150).

ვინც რუსთველთან ამგვარი რამ „მონახის“, არჩილის სიტყვებითა რომა ვთქვათ, ანუ წყალი მან დანაყის!

ახლა ვნახოთ ჩახრუხადის „თამარიანი“.

შესავლის სარიტმო კლაუზულაა „იერსა“. იგი არსად არ ირღვევა, არ სუსტდება; პირველი თავის კლაუზულაა „ებულად“. ის არც ერთხელ არ სუსტდება, არ ირღვევა; მეორე თავისაა „არი“. არსად არ კოჭლდება არც ეგ კომპლექსი; მესამისაა „ნარი“; მეოთხისა – „ოვნებად“; მეხუთისა – „ებარე“; მეექვსისა – „ისო“; მეშვიდისა – „ევად“; მერვისა – „ოდის“; მეცხრისა – „არი“; მეათისა – „ელი“; მეთერთმეტისა – „ენალი“; მეთორმეტისა – „ამისად“. აქ ერთგანაა „ამისად – არისად“ (77,16); მეცამეტისა – „არიდენ“; მეოთხმეტისა – „შესხმანი“; მეთხუთმეტისა – „ებულად“; მეექვსმეტისა – „ებანი“. ერთგანაა „ებანი-ევანი“ (104,24); მეთვრამეტისა –

„იერსა“. ერთგანაა „იერსა – ეს ერსა“ (106,21).

როგორცა ვნახეთ, ღარიბი, უმწეო, ერთმარცვლიანი რითმა აქაც გამორიცხულია.

ბ) სარიტმო კლაუზულაში გამონაკლისის სახით გვაქვს თანხმოვანთა სიზუსტის დარღვევა, ოღონდ ხმოვანთა რაოდენობა და კონფიგურაცია ზედმიწევნითაა დაცული.

„ვეფხისტყაოსანშია“: „ოცია – ორცია“ („დაუხოცია – შეუტეორცია“ – 82,2-3); „ჭირად“ – ჭვირად“ („დანამჭირად – საექვირად“); „ისცა“ – „ისსცა“ („ვისცა – თავყანისცა“ – 177,3-4); „ენებით“ – ენ ნებით“ („ხსენებით – ჩვენ ნებით“ – 207,2-3); „იდეეს – იდეეს“ (223,1-2); „იდეეს – ირდეეს“ (284,1-2); „ერგების – ეგების“ (303,1-2); „ობელთა – ომელთა“ (340,1-2); „ათისა – ათისა – ათისა – ასისა“ (1222,1-4).

განსაკუთრებით საინტერესოა ეგ ბოლო ნიმუში. აქ ბოლო კლაუზულის თანხმოვანი, თითქოსდა, საერთო კანონიდან ამოვარდნილია: ა თ ი ს ა – ა ს ი ს ა. „თ“ მეორდება

სამჯრად, მეოთხეშია „ს“, მაგრამ რითმაში უმთავრესია არა თანხმოვანთა, არამედ ხმოვანთა სიზუსტე და კონფიგურაციის ერთნაირობა. ამიტომაც, რუსთველის ხელოვნებით, ეგ მცირე დარღვევა არსებითად ვერ ცვლის სართიმო კლაუზულის უღერადობა-მუსიკალურობას: ათისა – ათისა – ათისა – ასისა. ხმოვანთა კონფიგურაცია ზედმიწევნით ერთნაირია: აია – აია – აია – აია.

იგივე სურათია „თამარიანში“. აქაც ზედმიწევნით არის დაცული სართიმო კლაუზულის ხმოვანთა და თანხმოვანთა შეხამება, ოღონდ მცირე გამონაკლისის სახით დაშვებულია მხოლოდ თანხმოვანთა სიზუსტის დარღვევა. ამისი სულ სამად სამი შემთხვევაა: „ამისად – არისად“ (77,16); „ებანი – ევანი“ (88,3); „ებად – ელად“ (100,24).

ეს არის და ეს!

სამუქვოდ ხმოვანთა კონფიგურაცია უზუსტესია:

„ამისად – არისად“. აია – აია;

„ებანი – ევანი“. ეაი – ეაი;

„ეზად – ელად“. ე ა – ე ა.

გ) კატეგორიულად გამორიცხულია ღია ხმოვნით (მარცვლით) დამთავრებული ოთხი სართომო კლაუზულის თუნდაც ერთხელ მაინც დახურული მარცვლით დამთავრება. თვალსაჩინოებისთვის ვიმეორებ – შეუძლებელია ასო-ბგერათა ასეთი კონფიგურაცია: იანი – იანი – იანი – იანით.

ვინც რუსთველის პოემაში ამგვარი რამ „მონახის“, მან უშედგოდ ცივი წყალი მონაყის!

რა ვითარებაა „თამარიანში“?

ამგვარი რამ აქაც წარმოუდგენელია. ამის ერთი მაგალითიც არ არსებობს (რა თქმა უნდა, იგულისხმება, მთავარი, ანუ გარეერთმა).

შესავლის კლაუზულაა „იერსა“ და იგი არსად მთავრდება დახურული მარცვლით, ვთქვათ, ასე: იერსა – იერსა – იერსა – იერსად; პირველი თავის ბოლომდე გამყოლი კლაუზულაა („ყუება“) – ებულად. არც ერთხელ არ იკარგება ბოლო თანხმოვანი „დ“;

მეორე თავში გვაქვს ბგერათკომპლექტი „არი“. იგი არსად მთავრდება, არსად იკეტება თანხმონით, ვთქვათ, ასე: არი – არი – არის – არი; მესამე თავში „ყუვად“ გვაქვს „ნარი“. არც ეს იკეტება „სადამე“ თანხმონით. კლაუზულა ყველგან მთავრდება „ი“ ხმონით. ასეა ყველა თავში: თუ კლაუზულა ხმონით ბოლოვდება, ეგ ხმოვანი მთელ თავს ბოლომდე გასდევს; თუ კლაუზულა „ყრუა“, ესე იგი, ბოლოვდება თანხმონით, ეგ თანხმოვანი ყველა კლაუზულას ამთავრებს, კეტავს და არსად იკარგება.

რაკილა ვახსენე წმინდა ქართული პოეტური ტერმინი „ყუვა“, ბარემ ერთი საგულისხმიერო დაკვირვებაც გავაცხადოთ.

ბორის დარჩია როდესაც „თამარიანსა“ და მისი ავტორის ხევესურობაზე მსჯელობს, აცხადებს: ჩახრუხაძე ბევრგან მოხევედ (მეხევედ) არის გამოცხადებულიო. მართლაც, ფაქტობრივად ხ ე ვ ს-ური იგივეა, რაც მო-ხ ე ვ-ე ან კიდევ მე-ხ ე ვ-ე. ბორის დარჩიას თამამად მოჰყავს ერთი პარადიგმული მაგალითი:

მ თ ი ე ლ ი და მ თ ი უ ლ ი რომ ძველად ერთი და იგივე იყო და ზოგადად მთის კაცსა ნიშნავდა. მე აქვე მაგონდება „სიბრძნე სიცრუისას“ იგავი „მთიული და კაკლის ხე“, სადაც მ თ ი უ ლ ი საზოგადოდ მთიელსა ნიშნავს. ძველქართულად როგორც მ თ ი ე ლ ი და მ თ ი უ ლ ი ფარავდა ერთმანეთს, ისე ფარავდა ერთმანეთს მ ო ხ ე ვ ე – მ ე ხ ე ვ ე – მ ა ხ ე ვ ე და ხ ე ვ ს უ რ ი. ხ ე ვ-ის-ური იგივე მო-ხ ე ვ-ეა.

ჩემი ახალი არგუმენტი კი ეგ ვახლავთ.

ე. წ. ტექნიკურ-პოეტიკური ტერმინი „ყუვა“ (და ეგ ვახუშტი კოტეტიშვილსაც აქვს ნახსენები) ხევსურული პოეზიის მონაპოვარია, უძველესი რუდიმენტია ქართული ლექსისა (შეიძლება, პრეისტორიულიც!). ასე რომ, ბორის დარჩია მართალია: „ყუვიანი“ პოემის „თამარიანის“ ავტორი დანამდვილებით ხევსურია. ეს კიდევაც არის მითითებული როგორც ისტორიულ წყაროებში, ისე „გურიული“ კაცის იაკობ მიტროპოლიტის „არჩილის ქების“ პირველივე სტროფში:

მესმა ხ ე გ ს უ რ ი, რა ვნახე, ვსური (1,3).

დღევანდელ ტექსტებში დაბეჭდილია უს-
წორო (კონიექტურული) ფორმა:

მესმა ზ ე გ ს უ რ ი: რა ვნახე, ვსური.

სინამდვილეში ტაეპმა ორჯერად უნდა გა-
ახმიანოს ხ ე გ ს უ რ ი. ესაა ამგვარი თავი-
სებური გართმვის წესი და კანონი.

მესმა ხ ე გ ს უ რ ი, რა ვნა ხ ე, გ ს უ რ ი.

შეადარე იმავე სტროფის სხვა ამგვარი
შიდართმები:

გიძვნა ქ ე ბ ა ნ ი: მწადს ა ქ ე ბ ა ნ ი (1,2).

**მუნ გ უ ლ ი ს ხ მ ღ ბ ი თ თვით გ უ ლ ი ს -
ხ მ ღ ბ ი თ (1,4).**

ამრიგად, XII-XIII საუკუნეთა პოეტური
ხელოვნების მიხედვით, რითმა ღვთისმშობ-
ლის ცრემლივით წმინდაა და არ იმღვრევა,
არ კოჭლდება, არ ღარიბდება.

რითმათა დასუსტება, გაღარიბება, კლასუ-
ზულათა დაბოლოების ერთნაირობის მოშლა,
როგორც ეს თვალმახვილად შენიშნა აკაკი

გაწერელიამ, იწყება მე-17 საუკუნეში და გრძელდება დღესამომდე. ამიტომაც, რომ ე. წ. „აბღულმესიანი“, რომელიც სინამდვილეში XVII საუკუნის ძეგლია და ეკუთვნის იაკობ შემოქმედელს, ზემონაჩვენებ კანონებს არღვევს, ამღვრევს და, რითმის პოეტიკის თვალსაზრისით, კლასიკური ლექსიდან უკან იხევს, ძირეულად განსხვავდება XII-XIII ასწლეულთა ქმნილებებისაგან. იაკობის ხელში კლასიკური რითმა ირღვევა და რამდენადმე კნინდება.

1. გვხვდება ერთმარცვლიანი რითმები და ეგ გამონაკლისი როდია. ამგვარი ღარიბი რითმების გამოყენებას სისტემური ხასიათი მისცემია:

„ოროლითურთით – ზედამთით“ (27,2-3).

აქ ფაქტობრივად რითმა ერთმარცვლიანია: ი თ – ი თ.

„დაარწყევს – იყვნეს“ (30,1-2). რითმა ერთმარცვლიანია: ე ს – ე ს.

„შეპყრობილსა – წარმყვანებელსა –
ოტებულსა – ნელსაცხებელსა“ (38).

აქ ფაქტობრივად ერთმარცვლიანი რითმა გვაქვს: ღსა – ღსა – ღსა – ღსა; „შემკულნი – უნდობელნი – ძერწილნი“ (40,1-3): აქაც საერთოა „ლნი“. რითმა ერთმარცვლიანია; „ქანდაკებულად – ბიწმეუხებლად – წახნაგებულად“ (42,1-2-4). რითმა ერთმარცვლიანია: ლად – ლად – ლად; „მდეგად – ზურგად – დასადაგად – რიგად“ (61). რითმაა „ად“ და ერთმარცვლიანია; „განსაზღვრებულმან – უბინდომან“ (64,3-4). რითმას ქმნის „მან“; „ღარად – საღმობიერად“ (66,3-4). რითმაა „რად-რად“; „ძმურმან-ძლიერმან“ (70,1-2). რითმაა „მან-მან“; „სიდრმედ – განსწმედ“ (72,1-2). რითმაა „მედ-მედ“; „მაცხოვარსა – ერსა“ (73,3-4). რითმაა „რსა“; „მღებელნი – პირდაყოფილნი“ (84,3-4). რითმაა „ლნი-ლნი“; „გულად – მოსარხეველად“ (100,1-2). რითმაა „ლად-ლად“; „კვავილთა – ველთა – სხეულთა“ (105,1-2-4). რითმაა „ლთა-ლთა-ლთა“.

როგორცა ვხედავთ, ე. წ. „აბღულმესიანი“ გატენილია ღარიბი, ერთმარცვლიანი რითმებით, რაც წარმოუდგენელია XII-XIII

საუკუნეების ქმნილებისათვის. ამ თვალსაზრისით იგი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია არჩილის, ვახტანგ მეექვსის, გურამიშვილის ეპოქისა და იმ დროს გაბატონებული ესთეტიკისა. კიდევ მეტი, თვით ი. შემოქმედელის „ნამდვილი“ პოემა „გაბაასებისა“. აქ არა ათობით, არამედ ასობით გვხვდება ღარიბი, უბადრუკი ერთმარცვლიანი რითმა. საკმარისია, მოვიხმოთ რამდენიმე მკაფიო ნიმუში: ტუტუცობას – ღუმაცებას (262,3-4). სარითმო კლაუზულებია: ობას – ებას. რითმა გამოდის ერთმარცვლიანი ბას – ბას: ღმერთად – ერთად – კისერთად – კვართად (232). რითმა ერთმარცვლიანი და უბადრუკია: რთად – რთად – რთად – რთად; მაგას – რომ რგას – ერგას – ბორგას (59). რითმაა „გას“ და ა. შ.

ბ) თუ XII-XIII საუკუნეთა ძეგლების სარითმო კლაუზულაში თანხმოვანთა შეხამება გამონაკლისის სახით ირღვეოდა, ე. წ. „აბღულმესიანში“ ამ გამონაკლისს სისტემის სა-

ხე მიუღია და ამ მხრივაც არღვევს კლასიკურ რითმას.

ვნახოთ საამრიგო მაგალითები.

ე. წ. „აბღუმესიანშია“: „ოთხით – სიპოხით“ (8,1-2). პირველ სარითმო წყვილში ზედმეტია „თ“. ო თ ხ ი თ – ო ხ ი თ; „ანდამატისა – მათისა“ (13,2-3); „ტ“ ევარდება ასოს „თ“: „ატისა – ათისა“; „სამხატოვნისა – სამირონისა“ (14,1-2). „ონისა – ონისა“. აქ ზედმეტია „ვ“; „ენითა – ებნითა – ძლიერებითა“ (15,1-2-3). „ენითა – ებნითა – ებითა“; „ცხოვრებად – წოდებად – მომდებად – მონებად“ (16,1-2-3-4). სარითმო კომპლექსებია: „ოვრებად – ოდებად – ომდებად – ონებად“. როგორცა ვხედავთ, მთლად დაირღვა კლასიკური რითმის სისუფთავე, შერითმვის „სუფთა“ სტილი.

„იყვნეს – იწყეს – განიყვეს“ (30,2-3-4). სარითმო ერთეულებია: „იყვნეს– იწყეს – იყვეს“. ვხედავთ, რითმა დაბინძურდა, გაირყვნა.

„მდებარედ – შემკადრედ“ (54,3-4). კლასიკურად უსუფთაოა: „არედ – აღრედ“; „ღვედკე-

„ცვეელი – მგებელი“ (60,2-4). კლაუზულაა „ეველი – ებელი“; „ვლენითა – წვენითა“ (80,3-4). კლაუზულაა „ენითა – ევნითა“; „წმიდასა – მისთასა“ (85,1-2). კლაუზულაა „იდასა-ისთასა“; „იმოქმედა – წარმოიდგენდა“ (89,3-4). „ედა – ენდა“; „სამეუფოსა – საუფსკრულოსა“ (96,3-4). კლაუზულაა „უფოსა – ულოსა“; „რამ ენით – მესტროლაბენით – დადენით“ (101). კლაუზულაა „ამ ენით – აბენით“.

როგორცა ვხედავთ, ამგვარ „უკანდახევას“, რითმის დაბინძურებას, შეუფერებელი თანხმოვნების ხმარებას ე. წ. „აბდულმესიანში“ სისტემური სახე მიუღია. ამის გამო შეუძლებელია იგი XII საუკუნის ქმნილებად ჩაითვალოს. როგორც ითქვა, ასეთი რამ ჩვეულებრივი და კანონიერია XVII საუკუნეში და აქეთ.

გ) მაშინ, როდესაც კატეგორიულად გამორიცხულია კლაუზულაში ღია და დახურული ბოლო მარცვლების აღრევა, ე. წ. „აბდულმესიანი“ ამასაც დასაშვებად მიიჩნევს

სწორედ ისე, როგორც XVII-XXI საუკუნეთა ავტორები.

აი, ამისი მკაფიო მაგალითიც.

79-ე სტროფში გვაქვს სარიტმო სიტყვები: „ზღაპრობა – თანსაგრობა – მოთხრობა – მკვიდრობად“.

ვხედავთ ისეთ რასმე, რაც XII-XIII საუკუნეებში ყოველად წარმოუდგენელია: პირველი სამი კლაუზულა მთავრდება ხმოვნით – ო ბ ა, ო ბ ა, ო ბ ა, ხოლო მეოთხეს კეტავს თანხმოვანი „დ“ და გვაქვს ო ბ ა დ.

ვიმეორებ, ასეთი რამ XII-XIII საუკუნეებში დაუშვებელია. ამგვარ რასმე ვერ ვიპოვით რუსთველთან, არ ჩანს არც „თამარიანში“.

დ) „ვეფხისტყაოსანში“, „თამარიანში“, საზოგადოდ მე-12 და მე-13 საუკუნეთა ქმნილებებში სარიტმო კლაუზულის ბგერებში ხმოვანთა კონფიგურაციის სიზუსტე კატეგორიული მოთხოვნაა. ასევე შეუძლებელია სტროფის საკლაუზულო კომპლექსში რომელიმე ორმარცვლიან (ქორეულ) და სამმარცვლიან (დაქტილურ) რითმაში ხმოვანთა ერთო-

ბა დაკოჭლდეს. „თამარიანის“ სტროფში (ოთხტაეპოვან პოეტურ აბზაცში) თუ არის მოცემული საკლაუზულო ხმოვანთა, ვთქვათ, ამგვარი კონფიგურაცია – ე ბ ე ლ ა დ – ეს კომპლექსი არ ზიანდება. უკიდურესი გამონაკლისის სახით შეიძლება რომელიმე ერთადერთი თანხმოვანი არ იყოს იდენტური, მაგალითად, ასე: ე ბ ე ლ ა დ – ე ვ ე ლ ა დ (მეორე წყვილურულში „ბ“ ბგერის ნაცვლად წარმოდგენილია „ვ“), ოღონდ წარმოუდგენელია, შეუძლებელია დაქტილურ რითმაში საჭირო წინმავალი ხმოვნის შეცვლა, ვთქვათ, ასე: ე ბ ე ლ ა დ – ა ბ ე ლ ა დ. მაშ, შეუძლებელია ხმოვანთა კონფიგურაცია ე ე ა შეიცვალოს ამდაგვარად – ა ე ა.

ვიმეორებ, ეს XII-XIII საუკუნეთა პოეტიკით გამორიცხებულია. აქ არც უკიდურესი გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს.

XVII-XVIII საუკუნეთა პოეტიკით კი ამგვარი რამ დასაშვებია. ამის ნიმუში გვაქვს იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში“, ანუ ე. წ. „აბდულმესიანში“. 53-ე სტროფში სა-

რითმო კლაუზულა დაქტილურია, სამმარცვლიანია: სიხშოსა – იამვლიხოსა – პირმშოსა.

ვხედავთ, I, II და III ტაეპების საკლაუზულო ხმოვნები ზუსტია: ი ო ს ა – ი ო ს ა – ი ო ს ა; სამაგიეროდ, ეს დაქტილური სარითმო ინერცია, ეს კანონი ირღვევა მეოთხე ტაეპის ბოლოს. აქ გვაქვს სიტყვა „პერიპატოსა“, ანუ საკლაუზულო ა ო ს ა. მაშ, ასე: ი ო ა – ი ო ა – ი ო ა – ა ო ა.

ეს ნიშნავს: I, II, III ტაეპებში დაქტილური რითმია, ხოლო მეოთხეში – ქორეული. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ არაა XII-XIII საუკუნეთა ძეგლი.

ყოველივე ამის გამო თამამად შეიძლება ვთქვათ: „ბოლორითმათა სიზუსტით „თამარიანი“... გვერდში უდგას „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო სიზუსტის დარღვევის მხრივ, არჩილის ვრცელი ქება ესადაგება როგორც იაკობისევე „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებას“, ისე XVII-XVIII საუკუნეთა ქართულ პოეზიას“ (ბორის დარჩია, იაკობ შემოქმედელი, თბ., 2009, გვ. 248).

ასე რომ, ე. წ. „აბდულმესიანი“ პოეტიკური თვალსაზრისითაც იაკობ შემოქმედელის „არჩილ მეფის ქება“ გამოდის და არა შავთელის ჯერჯერობით დაკარგული ქმნილება.

ბოლო ს მ ი ნ ა წ ე რ ი:

სააკაშვილის გარეწარი ხელისუფლების შემყურეს ამქვეყნად აღარაფერი მიკვირს, მაგრამ მაინც გამკვირვებია – ყოველივე ეს როგორ ვერ შენიშნა აკაკი გაწერელიამ?!

სკაპის მკვანხე შუბახილი

როგორც ბორის დარჩიას მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელიდან“, ასევე ჩემი ამ სტატიების ციკლიდან დავინახეთ, ე. წ. „აბდულმესიანი“, რომელშიც პერსონაჟი აბდულმესიანახსენებიც კი არაა, ყოფილა იაკობ ღუმბაძის „არჩილ მეფის ქება“. თურმე, არაფერი ეშლებოდა ძველ მწერალ-ისტორიკოს მამუკა ბარათაშვილს, როცა ნათლად და არაორაზროვნად აცხადებდა: იაკობმა აქო არჩილი, ჩახრუხაძემ – თამარი, მე თვითონ კი – ბაქარ ვახტანგის ძეო:

იაკობ მბაძეს და ჩახრუხაძეს
ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწყებად –
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ,
დავრჩი ბაქარის მე მონა-მქებად.

აქვე ყურადღებას იქცევს ერთი საკვირველი ფაქტი, რასაც ჩვენი მკვლევარები არ ხედავენ თუ ვერ ხედავენ. საქმე ისაა, რომ შემორჩენილი არის პირდაპირი მითითება, თუ რას წარმოადგენდა თვით შავთელის „აბ-

დულმესიანი“. კიდევ მეტად განსაცვიფრებელი კი ის გახლავთ, რომ აკაკი წერეთელს ზეპირად სცოდნია XII საუკუნის ძეგლის ორი ფრაგმენტი. ეს ცნობა აკაკიმ კიდევაც დაბეჭდა, ოღონდ ჩვენს მეცნიერებს ამაზე ყურის არ შეუპარტყუნებიათ. ფაქტობრივად აკაკიმ კედელს ცერცვი შეაყარა.

როცა „აბდულმესიანზე“ ნ. მარის გამოკვლევა გამოქვეყნდა და ბევრმა ხოტბა შეასხა მარს ამ გამოკვლევის შექმნისათვის, აკაკიმ დაბეჭდა მკვახე შეძახილი. მაშინ დიდებული მგოსანი საქვეყნოდ აცხადებდა: იოანე შავთელის „აბდულმესია“ ოჯახში ჰქონდა ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანს. ამ თავადს სახელი გადასწვია და ქმნილებაც დაფერფლილა. ცალკეული ადგილები დადიანს ზეპირადაც ხსომებია და აკაკის, თურმე, ისე გატაცებით უკითხავდა, დიდ მოაზროვნეს ორი ფრაგმენტი კარგად დამახსოვრებია. მას მოჰყავს კიდევ ეგ ორი სტროფი, შავთელის „აბდულმესიას“ ორი ნამსხვრევი:

აბღულმესია –
მტერთა მესია,
სარკინოზთ მეპყრა,
ხელთა მესია.
მტერთა მძლეველსა,
ისრით მძლეველსა,
თვით ჰყოფს მეხარკეთ
ხარკთა მძლეველსა.

(აკაკი, მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელის თხზულების გამო, „ივერია“, 1902, №154).

აქ აუცილებელია ორიოდე სიტყვა ითქვას ნიკო დადიანის (შალვა დადიანის მამის) უნიკალურ პირად ბიბლიოთეკაზე: მას მამა ტარიელმა (შალვას ბაბუამ) დაუტოვა ბიბლიოთეკა, რომელშიც „მოიპოვებოდა თითქმის ყველა ქართული გამოცემა და **მრავალი ხელნაწერი**” (ს.ცაიშვილი, ნიკო დადიანი, 1948, გვ. 7). ეს იყო „**ჩაყვითლებული გრაგნილები, პაპირუსის ფურცლებიც კი!**” (გვ. 7). ნიკო ბრძანდებოდაო „ძველი მწერლობის უპირველესი მცოდნე” (გვ. 38); ერთობ საგულისხმოა სოლომონ ცაიშვილის ერთი შენიშვნა: „მაშინ, როდესაც „ნებროთიანის” არსე-

ბობას კატეგორიულად უარყოფენ ლიტერატურის თანამედროვე მკვლევრები და აღნიშნავენ, რომ ეს წიგნი „ჯერჯერობით არავის უნახავს და წაუკითხავსო“ (კ. კეკელიძის აზრი), ნიკო დადიანის საარქივო მასალებით ირკვევა, რომ **იგი ნიკოს ხელში სჭერია**” (გვ. 44).

ეჭვი აღარაა, რომ ასევე მრავალჯერ სჭერია მას ხელში იმავე ბიბლიოთეკაში დაცული, ვინ იცის, მთელ საქართველოში შემორჩენილი ერთადერთი ეგზემპლარი „აბდულმესიასი“, რომლის ცალკეულ ადგილებს აკაკის ზეპირად აღფრთოვანებით უკითხავდა, უკითხავდა ისე შთამბეჭდავად, რომ ორიოდ სტროფი უკვდავ მგოსანსაც სამარადისოდ დაახსომდა.

ბარემ ესეც გავიხსენოთ:

სამეგრელოს რომ ილია ესტუმრა, მას სუფრაზე თამადად ვინმე ვარდენი კი არ დაუსვეს, არამედ სწორედ უგანათლებულესი თავადი ნიკო ტარიელის ძე დადიანი, ისეთი

წიგნები რომ ჰქონდა წაკითხული, იღია ჭავჭავაძეს არც კი დასიზმრებია!

ასე რომ, შავთელის ამ დაკარგული პოემის ტექსტი საძიებელია. თუ იგი ნიკოლოზ დადიანის ოჯახში ჰქონდათ, რატომ არ შეიძლება, სხვა ოჯახებშიც ჰქონოდათ? ხოლო ჩვენს ხელთ არსებული ე. წ. „აბდულმესიანი“, რომელშიც ცენტრალური პერსონაჟის აბდულმესიას ხსენებაც კი არ არის, გახლავთ იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქება“, შეთხზული XVII საუკუნეში.

ვფიქრობ, აღსრულდა ბიბლიური სიბრძნე – „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“.

მინორატისა და მაიორატის პრობლემა ე.წ. „აბდულმესიანში“

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბორის დარჩიამ მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელში“ დაასაბუთა, რომ ე.წ. „აბდულმესიანი“ არ ეკუთვნის იოანე შავთელს და არც მე-12 საუკუნის ძეგლია; რომ მისი ავტორია იაკობ შემოქმედელი, მიტროპოლიტი, ხოლო სახლობო პოემა, რომელში პერსონაჟი აბდულმესია ნახსენებიც არაა, გახლავთ „არჩილ მეფის ქება“. იმავე პრობლემას ეხება ჩემი წიგნი „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“. აქ სრულიად სხვა არგუმენტების მოხმობით დადასტურდა, რომ იაკობ მიტროპოლიტის ტექსტი ეძღვნება არჩილ ბაგრატიონს და იგი ვერ შეიქმნებოდა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე.

ჩემს წიგნში მოყვანილ არგუმენტებს უნდა მიემატოს კიდევ ერთი. იგი კულტუროლოგიური საკითხია და ეხება სამეფო მემკვიდრეობას.

საქმე ისაა, რომ, თუ პოემა ეძღვნება ან დავით აღმაშენებელს, ან თამარ მეფეს, ან კიდევ დავით სოსლანსა და ლაშა-გიორგის, როგორც ეს ჩვენს მეცნიერებას „აქამომდე“ ეგონა, მაშინ სრულიად გაუგებარია, რად დასჭირდა ტექსტის ავტორს, წამოეჭრა მინორატისა და მაიორატის საკითხი. ამის გამო გაკვირვება კიდევაც არის გამოხატული სამეცნიერო ლიტერატურაში. ივანე ლოლაშვილი ამ პოემა-ხოტბის შესხმის ობიექტად დავით მეფეს მიიჩნევდა. ამიტომ პრობლემა ვერ გადაეწყვიტა. იგი გაოცებული დარჩენილა იმით, თუ რად დასჭირდა ხოტბის ავტორს ესაგის ამბის ხსენება. პროფესორი წერს: „ესაგის გულისწერომა და რისხვა იაკობის მიმართ, ბიბლიური გადმოცემით, გამოიწვია იმან, რომ იაკობმა მამისგან, ისაკისაგან, ზაკვით მიიღო კურთხევა. ამაზე ესავი აღშფოთდა, გაბოროტებულმა „თქვა გონებასა თვისასა: ... მე მოვკლა იაკობ-ძმაი ჩემი“, მაგრამ, დედის რჩევით, იაკობი ბიძამისის სამ-

შობლოში გაიქცა. ამით მან ესავის რისხვას თავი დაადწია (შესაქმე, თავი 27).

პოეტი რატომ იხსენიებს ამას დავითთან დაკავშირებით, გაურკვეველია” (ი.ლოლაშვილი, მეხოტბენი 2, თბ., 1964, გვ. 189).

არადა ეს საკითხი ე.წ. „აბდულმესიანში” მკაფიოდ არის დაყენებული. აქვე შევნიშნავ: იგივე პრობლემა კიდევ უფრო აშკარად და მწვავედ წამოჭრილია სწორედ იაკობ შემოქმედელის „ნამდვილ”, მეორე და უდავო ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება”.

მაშასადამე, ქართულ მწერლობაში ერთადერთი ავტორი, რომელიც აღნიშნულ პრობლემას აქტიურად განიხილავს, გახლავთ იაკობ მიტროპოლიტი.

მინორატი ეწოდება წეს-ჩვეულებას, ანუ ადათს, როდესაც მემკვიდრედ აღიარებულია უმცროსი შვილი, ხოლო მაიორატი ჰქვია წეს-ჩვეულებას, როდესაც სამემკვიდრეო უფლებები მამიდან გადადის უფროს შვილზე. აღნიშნული საკითხი არ უნდა დამდგარიყო

და ვერ დადგებოდა (არც დამდგარა) დავით აღმაშენებლის სამემკვიდრეო უფლებებთან დაკავშირებით; ასევე გარკვეულ გარემოებათა გამო ვერ დადგებოდა ვერც თამარის შემთხვევაში; ასევე ვერ დადგებოდა დავით სოსლანის გამო, რადგან იგი ზედსიძედ, თანამეფედ, მოიწვიეს და სამემკვიდრეო უფლება მასთან დაკავშირებით არაფერ შუაშია. ასევე უკონკურსო გახლდათ ლაშა-გიორგი, ვითარცა თამარ ბაგრატიონის ერთადერთი ვაჟი.

ამრიგად, თუ ე.წ. „აბდულმესიანი“ რომელიმე ამათგანის ხოტბაა, მაშინ გაუგებარია, რად დასჭირდა ტექსტის ავტორს ზემოხსენებული საკითხის წამოჭრა და დაყენება? ხოლო, თუ პოემის ადრესატი არჩილ ბაგრატიონია, მაშინ გასაგებია, თუ რად დადგა მისდამი მიძღვნილ ქმნილებაში ეგ პრობლემა. საქმე ისაა, რომ შაჰნავაზს, ვახტანგ მეხუთეს, ჰყავდა 6 ვაჟი და 2 ქალი: არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი, სოლომონი, ანუკა, თამარი (იხ. მ.ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალო-

გია და ქრონოლოგია – XVII-XVIII, წიგნში „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, 1975, გვ. 199). მათგან ბევრი იყო სამეფო დირსებით არჩილის ფარდი ან, შეიძლება ითქვას, უკეთესიც კი. მაგალითად, შაჰ-ნავაზის „პირმშო“ შვილის არჩილის მომდევნო ძმა გიორგი XI. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ იმ დროს, როცა იაკობ შემოქმედელი „არჩილ მეფის შესხმას“ წერდა და ქართველ მეფეთა კარზე მტკიცედ არ იყო გარკვეული, რომელ წესს მიჰყოლოდნენ, მინორატსა თუ მაიორატს, არჩილის მეხოტბე მგოსანს ეს საკითხი წამოეჭრა და მხარი დაეჭირა არჩილისათვის სასარგებლო ადათის, მაიორატისათვის. ცნობილია, რომ არჩილის იმერეთის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ (1663) იმერეთში ფეხის მოკიდებას ღამობდა და საამისოდ კიდევაც ირჯებოდა არჩილის ერთ-ერთი მომდევნო ძმა ლუარსაბი.

თავის დროზე, ხოტბის წერისას, იაკობ შემოქმედელს რომ ადათის საკითხი წამოეწია, სწორედ უპრიანი გახლდათ. დიახ, ეს

საკითხი მან წამოწია და თავისი შესხმის ობიექტის სასარგებლოდაც გადაწყვიტა.

ამრიგად, მარტო ეგ არგუმენტიც საკმარისია, რათა ე.წ. „აბდულმესიანი“ მიტროპოლიტის ქმნილებად ვაღიაროთ და იგი XII საუკუნეს მოვწყვიტოთ.

ახლა ვნახოთ, როგორ არის ეს საკითხი წამოჭრილი და გადაწყვეტილი იაკობ შემოქმედელის ერთ უდავო და მეორე „სადავო“ ნაშრომში.

„გაბაასებაში“ იაკობი აყენებს საკითხს, თუ ვის აქვს მეტი პატივი ბიბლიაში: ესავსა თუ იაკობს?

ცნობილია, რომ ბიბლიურ ისააკს ჰყავდა ორი ძე: უფროსი, ანუ პირმშო, ესავი, ვისაც, მაშინდელი წესით, ეკუთვნოდა სამემკვიდრეო უფლებები და იაკობი (უმცროსი). დედის, რეზეკას, ეშმაკური ჩაგონებით, უმცროსმა ძმამ მოახერხა და ბრმა მამის წინაშე ესავად გადაცმული წარდგა. ასე გამოსტყუა მშობელს კურთხევა (დაბადება 27, 1-25; 29-34).

ამრიგად, მოხდა ავი საქმე, უკუღმართი რამ. უფროსის მაგიერ „პირმშობა“ (სამემკვიდრეო უფლება) დაინარჩუნა უმრწემესმა ძმამ. არჩილ მეფის მომხრე და მეხოტბე მიტროპოლიტი ამ უზნეობას საგანგებოდ კიცხავს, როცა „გაბაასებაში“ ბრძანებს:

დაუბრყვილდეს ისაკს თვალნი, ველად გახვნის ესავი სა;

რებეკასგან ნასწავლები იაკობს რწამს ეს ავისა:

პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოსპით ესა ვისა? (63)

რა გამოდის?

იაკობ მიტროპოლიტი კიცხავს უზნეობას, პირმშობის პატივის მიტაცების ფაქტს. ამ მხრივ საგულისხმოა მეორე ტაეპი. აქ ავტორი პირდაპირ აცხადებს: რებეკასგან ნასწავლები ავი საქმე (ეს ავისა) იაკობს სწამს, მოსწონსო.

მაშ, რებეკა შვილს, თურმე, ავ საქმეს აკეთებინებს, ავ გზაზე აყენებს. ამ სიავეს შედეგად ის მოჰყვა, რომ „პირმშოდ იქმნა

უმცირესი”. ეს კი, შემოქმედის აზრით, უკუღმართობაა, დასაგმობია.

საინტერესოა მესამე ტაეპიც: „პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოსპით ესა ვისა?”

ტაეპს აქვს ღრმა საადათო საფუძველი.

დაბადებაში მითითებულია, რომ გათამაშდა იაკობის „მეორედ დაბადების” იმიტაცია, რათა იგი „კანონიერად” გამოცხადებულიყო, როგორც უფროსი ძმა, და ასე მიეღო პირმშობის პატივი. ჯეიმს ფრეზერი მიუთითებს: „გადმოცემა იმის შესახებ, რომ იაკობმა მოატყუა თავისი მამა ისაკი, თავის თავში შეიცავს თხისაგან მეორედ დაბადების უძველესი ცერემონიის გადმონაშთს. ეს ცერემონიალი აუცილებელი ხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა უმცროს ძმას უნდა მოეპოვებინა პირმშობის უფლება თავისი ცოცხალი ძმის საზიანოდ. სწორედ ასე იყო ინდოეთში, სადაც ძროხისაგან მეორედ დაბადების იმიტაციას ახდენდნენ” (ჯეიმს ფრეზერი, „ფოლკლორი ძველ აღთქმაში”, მოსკოვი, 1990, გვ.264).

ახლა გასაგები ხდება, თუ რად არის დაბადებასა და იაკობ შემოქმედელის ტექსტებში ნახსენები უცნაური ტერმინები „თიკანი ოსპით“.

პირმშობის პატივს ჩვენი პოეტი იცავს. მას სწამს, რომ ეს ადათი, რომელიც ძირითადად მაინც ხორციელდებოდა საქართველოში, აუცილებელია დავიცვათ. ეს იდეა კიდევ მეტად მოსწონდა პოეტს, რამდენადაც მისი ხოტბის საგანი გახლდათ სწორედ „პირმშო“ ძე, შაჰნავაზ ვახტანგ მეხუთის უფროსი ვაჟი არჩილი, პოეტისავე უშუალო პატრონი, როგორც იმერეთის ხელმწიფე.

საგულისხმოა, რომ ტერმინ „პირმშოს“ და პირმშობის პატივს ასევე მოკრძალებით ეკიდება სიტყვის ოსტატი თავის პირველ პოემაშიც. ეს გასაგებია. „არჩილ მეფის ქებაში“ ხომ მისი ხოტბის საგანი სწორედ პირმშო, პირველი, უხუცესი ვაჟია ვახტანგ ბაგრატიონისა.

გავსინჯოთ „არჩილ მეფის ქების“ 27-ე სტროფი. აქ წერია:

**ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ,
მელქიზედეკის ღოცვით ზედა-მითთ;
ესავისითა ეს ავი სითა, –
მაუწყონ მთქმელთა –
თუცა რათ ურთით?**

ვხედავთ, აქაც იგივე ე ს ა ვ ი ა წარ-
მოდგენილი, რომელიც ძმამ გააცურა.
სტროფში გამოსატყულია იდეა: შენ, ჩემო მე-
ფევე, არჩილ ბაგრატიონო, ბიბლიური ისაკი-
ვით პირმშობობ: ისაკივით ნამდვილი, უდავო,
შეუცდილებელი პირმშო (ანუ ტახტის მემკვიდ-
რე) ხარ. ამიტომაც „კურთხევით ნიშობ“. გა-
მთქმა „კურთხევით ნიშობ“ პირდაპირ წე-
რია დაბადებაში (26,29). აქვე განმარტებუ-
ლია, ესავის ამბავი ცუდი ამბავიაო: „ესავი-
სითა ეს ავი სითა“.

სტროფის შინაარსი ასეთია: ისაკივით
პირმშო ხარ; ნიშნად გატყვია კურთხეულობა,
ესავის მსგავსად როდი გაგცუდებია ან წაგ-
რთმევია პირმშობობის პატივი...

საგულისხმოა, რომ ადრე დაწერილ
ხოტბაშიც და მოგვიანებით შექმნილ „გაბაა-

სებაშიც” სიტყვათა წყობა და რითმა ერთნაირია (იაკობ შემოქმედელი საკუთარ თავს იმეორებს).

ქებაშია: ე ს ა გ ი ს ი თ ა ეს ავი სითა.

გაბაასებაშია: ... ველად გახვნის

ე ს ა გ ი ს ა.

... იაკობს რწამს ე ს ა გ ი ს ა.

დავაკვირდეთ: ქებაში პირველი სარითმო სიტყვა არის საკუთარი სახელი „ესავი“, მეორე – „ეს ავი არის“; იგივე სურათია „გაბაასებაშიც“: პირველი სარითმო სიტყვაა სახელი „ესავი“, მეორე - „ეს ავი არის“.

საგულისხმოა სხვა მომენტიც. პოეტი – მიტროპოლიტი გაბაასებაშიცა და ქებაშიც მეორეჯერ აყენებს მაიორატის საკითხს. გაბაასებაში სხვაგან ვკითხულობთ:

ისაკ უკურთხა უფალმა პირმშოდ (მამამისსო) (117, 118).

ავტორის მაიორატისადმი დადებითი განწყობა აქაც ფაქტია. ამ ფაქტს მეორედ ვხედავთ ქებაშიც:

სიბრძნისა ზღვასა არჩილ - პირ-
მშოსა (53,3).

ამიტომ ყოვლად მოუთმენელია დავით
რექტორის მსახვრალი ხელით ტექსტში შე-
მოტანილი კონიექტურა – ...თამარ პირ-
მშოსა.

საგულისხმოა, რომ არჩილ მეფეს ამ სა-
განგებო მაიორატული ცნებით იხსენიებს
ცნობილი მწერალი, იაკობ დუმბაძის თანა-
მედროვე მოღვაწე, იაკობთან კარგად დაახ-
ლოებული იოსებ თბილელი, „დიდმოურავია-
ნის“ ავტორი. ის არჩილს ასე ახასიათებს:
„ხელმწიფეთა პირმშო შვილი“; ისტორიკოსი
ბერი ეგნატაშვილი ამგვარად ამბობს: „არჩი-
ლი იყო უხუცესი“; „პირმშო და
საყვარელი არჩილი“; მდარე პოეტი
ფეშანგიც ამ მაიორატულ ცნებას იყენებს:
„უფროსსა არჩილ უწოდეს“.

ვფიქრობ, დამაჯერებელი პასუხი გაეცა
ქართველ მეხოტბეთა შემოქმედების ცნობი-
ლი მკვლევრის პროფესორ ივანე ლოლაშვი-
ლის მიერ დასმულ შეკითხვას, თუ რატომ

არის სადავო ხოტბით პოემაში მოხსენიებული ბიბლიური ესავის, ისაკის პირმშო შვილის, და მისი ძმის, პირმშობის მიმტაცებელი იაკობის, ამბავი ესოდენ ფართოდ და სერიოზულად.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენი დასკვნის პათოსი სავსებით გასაგებია:

ე.წ. „აბდულმესიანი“, ას შვიდ სტროფიანი მაღალმხატვრული სახოტბო-პანეგირიკული პოემა, სავსებით მიზანმიმართულად აყენებს მაიორატისა და მინორატის საკითხს და გადაჭრით იხრება მაიორატისაკენ, რამეთუ შესხმის ობიექტი იმხანად იმერეთის ტახტზე ასული ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის პირ - მ შ ო შვილი არჩილ ბაგრატიონია.

ამრიგად, ე.წ. „აბდულმესიანი“ სავსებით სამართლიანად აყენებს მაიორატისა და მინორატის კულტუროლოგიურ საკითხს და გადაჭრით იხრება მაიორატისაკენ, რამეთუ შესხმის ობიექტი პ ი რ მ შ ო არჩილ ბაგრატიონია. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გადაჭრით ადასტურებს, რომ საძიებელი ქებითი პოემა იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაა“.

რად ბაძრა „თამარიანი“?

(„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფის მართებულად
გაგებისათვის)

რუსთველის პოემა მთავრდება მხატვრულად სრულყოფილი პოეტური აბზაციით. ემოციური ძალით იგი ქმნილების ბევრ შიდა სტროფს არ ჩამოუვარდება. აი, ისიც:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქქეს
რომელსა,

დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა –
დაუმრომელსა,

ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-
შეუშრომელსა.

(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966; გვ. 359)

მეცნიერთა მიერ სამართლიანად არის გაზიარებული შეხედულება, რომ მითითებული სტროფი არ ეკუთვნის რუსთველს და იგი აშკარად ინტერპოლატორის ნაკალმარია. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი მძლავრი არგუმენტი. 1. პოემაში ავტორი არაერთხელ ავლენს საკუთარ პიროვნებას და ყოველთვის –

პირველი პირით („მე, რუსთველი ...” „დავჯე, რუსთველმა გავლექ სე ...” და ა.შ.) აქ კი ტაეპების ავტორი სხვაზე მიუთითებს: ტარიელი მის გულშემატკივარ რუსთველს უქიაო; 2. არ არის მოსალოდნელი, რომ თვითონ რუსთველს ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის როლი ეკისრა და თავისი პოემის ბოლოს ლიტერატურის ერთი ისტორიული მონაკვეთის მთელი პანორამა წარმოედგინა: იმან ის შექმნა, ამან – ეს და ბოლოს რუსთველმა დააგვირგვინა ეპიკის განვითარების ლიტერატურული პროცესით. ეჭვი არაა, ამგვარ შეჯამებას „გარეშე მაყურებელი” იძლევა.

აღნიშნული ტაეპები რომ ინტერპოლატორულია, დღეს ეს უდავო ფაქტად არის აღიარებული (ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, გვ. 12).

ეფიქრობთ, მითითებული სტროფი მაღავს საიდუმლოს, რომელიც ჯერჯერობით გაუხსნელია.

ჩვენი მიზანია ამ საიდუმლოს გაცხადება.

ერთი შეხედვით, სტროფს ახასიათებს უცნაურობა:

ქრონოლოგიის სრული დაცვით ჩამოთვლილია გამოჩენილი ავტორები და მათი თხზულებანი, ოღონდ რატომღაც გამორჩენილია ჩახრუხადის ბრწყინვალე პოემა „თამარიანი“.

როგორ ავხსნათ ეს?

თუ ქრონოლოგიურ პრინციპს გავედევნებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ: „ამირანდარეჯანიანი“ უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე ჩამოთვლილი სხვა ტექსტები; „აბდულმესიანისა“ და „დილარგეთიანის“ დაწერის დრო არ ვიცით, ოღონდ „ტარიელიანისა“ თითქმის ზედმიწევნით არის დადგენილი (1205-1207). რა თქმა უნდა, ჩახრუხადის „თამარიანი“ წინ უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“. მაშასადამე, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, „ტარიელიანის“ წინ უნდა წერებულებოდეს „თამარიანი“;

მაგრამ სტროფი, ქრონოლოგიური აზრით, დუმს, „თამარიანს“ არც კი ახსენებს.

იქნებ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით არ მიაჩნია იგი ღირსეულ ქმნილებად?

თუ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს გავედევნებით, შეუძლებელია არ ვადიაროთ: ჩახრუხაძე ქართული სიტყვის დიდოსტატია, უკვდავი მგოსანია, რომელმაც ქრესტომათიული საზეპიროებით გაძეპვილი ტექსტი გვისახსოვრა. „თამარიანი“ გახლავთ კლასიკური სახოტბო პოემა, რომლის ბადალი იშვიათად თუ იწერება (ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, გვ. 260).

მაშასადამე, შეუძლებელია, საკვლევადიებო სტროფის ავტორს ჩახრუხაძის ნაკალმარი მხატვრულ-ესთეტიკური მოსაზრებით დაეწუნებინა.

მაშინ დგება საკითხი:

„ვეფხისტყაოსნის“ დამავირგვინებელ, ე.წ. „შემაჯამებელ“ მონაკვეთში რად გაქრა „თამარიანი“?

ხომ არ არის აღნიშნულის მიზეზი რაიმე სხვა პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს საძიებელ პოეტურ შედეგს?

მიგვაჩნია, რომ პოემის ე.წ. „შემაჯამებელ“ მონაკვეთში „თამარიანი“ არც უნდა მომხდარიყო.

საამისოდ აუცილებელია გავითვალისწინოთ რომანის პროლოგი, სადაც ავტორი ათვალწუნებით ეკიდება ლირიკული ნაწარმოების სახეობებს და ჭეშმარიტ პოეზიად მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ტილოებს სახავს.

შესავალში რუსთველი შაირობის თეორიას 8 პოეტურ აბზაცს უთმობს. აქ მისი დებულებები ცხადზე უცხადესია: კარგ ბედაურს გრძელი გასაჭენებელი შარა შეამოწმებს. ასევეა მელექსე. მას გამოცდის „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. გრძელი ლექსი ლირიკა ვერ იქნება, ასეთი მხოლოდ ეპიკური ამბავია; პროლოგის ავტორი იწუნებს ერთი-ორი წვრილ-წვრილი ქმნილების ავტორებს: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი“. მისი გაგებით, ლირიკული გნო-

მები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. ერთი ესება ერთ თემას, მეორე – მეორეს. ამიტომ ისინი გამოდის „უმსგავსო და შორი-შორი“.

აი, ასე გააქილიკა შემოქმედმა წვრილი ლირიკული ტექსტები.

სხვათა შორის, აქ რუსთველი სულაც არ გახლავთ ნოვატორი. იგი პირწმინდად იმეორებს თავისი დიდი წინაპრებისა და ლიტერატურული კერპების მოსაზრებებს (მ. თავდიშვილი, „ფირდოუსი და რუსთველი“, თბ., 2009; მისივე „ნიზამი და რუსთველი“, თბ., 2011).

„კეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ჭეშმარიტ პოეზიად არც მცირე ზომის ეპიკურ ტექსტებს მიიჩნევს. ასეთია, მაგალითად, ბაღადა ან პატარა პოემა. ასეთი ნაწარმოებები მას შეჰყავს „მეორე ლექსის“ კატეგორიაში:

**მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა
გასაგმირეთა.**

აქ პირდაპირ და უმაგრამოდ ნათქვამია: წვრილი პოემა /ან ბაღადა/ ერთგვარ წილს

კი იდებს პოეზიაში, ოღონდ გულის განმგმირავ, სულში ჩამწვდომ სიტყვას მაინც ვერ ამბობს. ამ წვრილ-წვრილი პოემა-ბაღადადების ავტორს მე ვამსგავსებ ყმაწვილ, გამოუცდელ, ნორჩ მონადირეებს, რომელთაც დიდი ნადირის (ვთქვათ, ასეთია „შაჰ-ნამე“, „ვეფხისტყაოსანი“ ...) მონადირება არ ძალუძთ და ამიტომ წვრილ ნადირთ (კურდღელი, მაჩვი...) ხოცავენო.

ავტორი ასევე აკრიტიკებს „მესამე ლექსს“. ესაა „სათრეველი“ სტროფები, კაფიები, სხარტულები. ისინი სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა გასაქილიკებლად კარგია, მოსწრებულია, მისადაგებულია, ოღონდ ჭეშმარიტი და ნამდვილი პოეზია როდიაო!

ბოლოს პოეტი კატეგორიულად დაასკვნის: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

“გრძელად” მოქმედნი კი არიან ჰომეროსი, ვერგილიუსი, ფირდოუსი, ნიზამი, რუსთველი ...

ყოველივე ამას ითვალისწინებს საკვლევი ლექსის ნიჭიერი მთხზველი.

მაშასადამე, პოემის ბოლოს დართულ შემაჯამებელ სტროფში ინტერპოლატორი იცავს ავტორის ნებას და ნაშრომებს არჩევს არა ქრონოლოგიური ან მხატვრულ-ესთეტიკური, არამედ **ჟ ა ნ რ ო ბ რ ი ვ ი** ნიშნით.

და, რაკიდა „ვეფხისტყაოსანი“ ეპიკური ქმნილებაა, შეჯამების ავტორი ჩამოთვლის ბოლო პერიოდის ეპიკურ ტილოებს და გვიჩვენებს, რომ ქართული მწერლობის ამ პროცესს თუ ვითარ აგვირგვინებს „ტარიელისნი“.

თუ ამ თვალთახედვით გავიაზრებთ ბოლო სტროფს, მაშინ გასაგები გახდება, რად არ ახსენა აქ მოშაირემ ჩახრუხადის შესანიშნავი ქმნილება. დიახ, აქ „თამარიანის“ ადგილი ნამდვილად არ არის. ის ხომ ლირიკული ნაწარმოებია, სახოტბო-პანეგირიკული შედეგურია, რომელიც არ გულისხმობს „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევას“.

ახლა კი ვნახოთ, როგორ არის რეალიზებული ეპიკური ჟანრის პრინციპი: პირველ ტაეპში ნახსენებია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“. ტექსტი დღემდე არის მოღწეული და დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ – ეს არის ტიპური რომანი, ანუ ამბიანი ტექსტი.

მაშ, პირველი სტრიქონის მიხედვით, ეპიკური პრინციპი მართლდება!

მეორე ტაეპში ქრონოლოგიის დაცვით (და ჩვენ ვენდობით ამ ქრონოლოგიას) დასახელებულია იოანე შავთელის „აბდულმესია“.

დღემდე მოღწეულია ე.წ. „აბდულმესია“, რომელიც შეადგენს 107 სტროფს (დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ჩახრუხადის ოდა) და გახლავთ არა ეპიკური (ამბიანი), არამედ ლირიკული ნაშრომი. კიდევ მეტი, ის არის ლირიკულ-პანეგირიკული ტექსტი. მას არავითარი ამბავი არ უდევს ფუძედ და ეპიკურ რომანად ვერ ჩაითვლება.

ამასთანავე, მხატვრული თვალსაზრისით, ე.წ. „აბდულმესია“ გაცილებით მდარეა, ვიდრე „თამარიანი“.

მაშასადამე, თუ „თამარიანი“ ვერ გახდა ღირსი „შეჯამებაში“ მოხვედრისა, რის გამო უნდა მოხვედრილიყო იქ ბევრად უფრო მდარე ე.წ. „აბდულმესია“?!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ „შეჯამებაში“ იგულისხმება ის „აბდულმესია“, რომელიც გახლდათ რომანი, ეპიკური თხზულება, და რომელიც დაკარგულია. ჩვენს ხელთ არსებული 107 სტროფიანი ღირიკული ხოტბაკი დაწერილია 1661 წელს, მისი ავტორია იაკობ შემოქმედელი, ხოლო ქების ობიექტია იმერეთის ტახტზე ასული 14 წლის ყმაწვილი მეფე არჩილ შაჰნავაზის ძე.

ასე რომ, თუ „შეჯამების“ პირველ ტაეპში ნახსენებია რომანი „ამირანდარეჯანიანი“, მეორეში დასახელებულია ქრონოლოგიურად მომდევნო ეპიკური ქმნილება /ლექსად ან პროზით შესრულებული/ იოანე შავთელის „აბდულმესია“, აწ დაკარგული რომანი.

მესამე სტრიქონში მითითებულია ქრონოლოგიურად მესამე მნიშვნელოვანი ნაშრომი „დილარგეთიანი“. სარგის თმოგველის ეპიკური რომანი დაკარგულია. მისი აღდგენა ცადეს მოგვიანებით. მე-18 საუკუნის დამლევს პეტრე ლარაძემ აღადგინა ეს საგმირო-სათავე გადასავლო ეპიკური რომანი, სადაც აღწერა აბაშეთის მეფის დილარის ხიფათიანი თავადასავალი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბ., 1977; ქართული ლიტერატურის ისტორია, 2, თბ., 1966).

ლარაძე სწორად მოქცეულა: დაკარგული ეპიკური ამბავი ჩაუნაცვლებია ეპიკურივე ტექსტით.

დაბოლოს, მეოთხე სტრიქონში მითითებულია „ტარიელიანი“, რომელიც ამ გმირის ავბედობით გულდამწვარ ავტორს შეუთხზავს.

რა თქმა უნდა, „ტარიელიანი“, ანუ „ვეფხისტყაოსანი“, ლექსად დაწერილი კლასიკური რომანია და აქ იგი ისეა წარმოდგენილი,

ვითარცა ქართული ეპიკური მწერლობის გვირგვინი.

ამრიგად, ინტერპოლატორის პრინციპი აშკარაა: იგი ქართული ლიტერატურის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს (XI-XII საუკუნეები) აჯამებს და ჩამოთვლის ამ დროის თვალსაჩინო ეპიკურ შედევრებს ქრონოლოგიის მკაცრი დაცვით: „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“, „დილარგეთიანი“, „ტარიელიანი“. საგულისხმოა სხვა გარემოებაც: რომანები დასახელებულია მთავარი ეპიკური გმირების წინ წამოწევით: ამირან დარეჯანის ძე არის „ამირანდარეჯანიანის“ ცენტრალური პერსონაჟი; აბდულმესია გახლავთ „აბდულმესიანის“ მთავარი პერსონაჟი; დილარგეთი წარმოადგენს „დილარგეთიანის“ ცენტრალურ პერსონას, ხოლო ტარიელი მიჩნეულია „ტარიელიანის“ უწინარეს მოქმედ პირად.

ასე რომ, ჩვენი წერილის შედეგია ორი უმთავრესი დასკვნა:

1. „ვეფხისტყაოსნის“ შემაჯამებელ ბოლო სტროფში, რომელიც ეფუძნება ეპიკურ

ნაწარმოებთა ჩამოთვლის პრინციპს, ვერ მოხვდებოდა და არც მოხვედრილა ლირიკული შედეგრი „თამარიანი“.

2. შეჯამების მიერ დასახელებული „აბდულმესია“ ვერ იქნებოდა და არც არის ლირიკულ-ხოტბითი ნაწარმოები; შავთელის ეპოსი „აბდულმესია“, რომელსაც შეჯამება გულისხმობს, დაკარგულია, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული 107 სტროფიანი ლირიკული ოდა, რომელში გმირი აბდულმესია ერთხელაც არაა ნახსენები, გახლავთ XVII საუკუნის ძეგლი „ქება მეფისა არჩილისა“ და მისი ავტორია იაკობ მიტროპოლიტი.

სეფქა-ისარი და ე.წ. „აბღუმესიანი“

ე.წ. „აბღუმესიანიში“ გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ძველ ქართულ ლიტერატურაში არსადა ჩანს; უმჯობესია ასე ვთქვათ: ეს ცნებები ჩვენს მეტყველებაში შემოდის „აღორძინების“ ხანაში, კერძოდ, 1600-იან წლებში და შემდგომ. ამ მხრივ განსაკუთრებით საჩინოა „ბოლუქი“ და „ბოლუქ-ბოლუქად“ (მ. თავდიშვილი, „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“, თბ., 2010).

ამგვარ სიტყვათა რიგში დგება კოლორიტული ცნება **სეფქა** – მაღალფრთიანი ისარი.

სულხან ორბელიანი განმარტავს: „გრკალიანი ისარი“ (სულხან ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993); დავით ჩუბინაშვილი უმოწმებს: „სეფქა – ისარი ფრთე მაღალი“ (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984).

ახლა გავსინჯოთ „ქართული მწერლობის“ სერიით გამოსული ტომები და ვნახოთ, თუ რა ხდება?

აქ წარმოდგენილია ყველა ძველი ტექსტის გამოწველილვითი ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ცნებები და ტერმინები. „ქართული მწერლობის“ I ტომი ეთმობა ლეონტი მროველს, ადრიდანვე თარგმნილ ფსალმუნებს, „ეკლესიასტეს“, „ქებათა ქებას“; აქვეა „აბესალომ, აბესალომ“, „ჭეშმარიტება“, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“; ტომში შესულია პეტრე იბერიელის „სადმრთოთა სახელთათვის“; იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, შიო მღვიმელის „ოხითაი“, „აბიბოს ნეკრესელის წამება“, „ევსტათი მცხეთელის წამება“, ბასილი საბაწმინდელისა და უცნობი ავტორების თხზულებანი; აქვეა სახელგასმენილი „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „ჰაბოს წამება“, გრიგოლ ხანძთელის ნათარგმნი ლექსები და თითქმის მთელი ჰიმნოგრაფია; შემდეგ მოდის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ვეებერთელა ტექსტი, რო-

მელსაც მოსდევს „ბასილ ზარზმელის ცხოვრება” და სხვ. („ქართული მწერლობა”, I, თბ., 1987).

ლექსიკონი შეუდგენია ისე გამოჩენილსა და პუნქტუალურ მეცნიერს, როგორც გახლდათ ზურაბ სარჯველაძე. ამ ტომის გამოწველილვით სიტყვარში ტერმინი „სეფქა” არ იძებნება; მე-2 ტომში (ქართული მწერლობა, II, თბ., 1987) მოქცეულია არაერთი ჰაგიოგრაფიული თუ პოეტური ქმნილება, ისტორიული ნარკვევი. წიგნი შეიცავს 570 გვერდს. მესიტყვარე აქაც ზურაბ სარჯველაძეა. არც ამ მასალათა ლექსიკონში ჩანს საძიებელი ცნება; მე-3 ტომი შეადგენს 490 გვერდს („ქართული მწერლობა”, III, თბ., 1988). აქ დაბეჭდილია ჩახრუხადის, თამარ მეფის, ბასილი ეზოსმოძღვრის, აბუსერიძე ტბელის, ნიკოლოზ გულაბერისძის პოემები, ლექსები, მატთანეები და სხვა მასალა, ოღონდ, თუ აქ მოთავსებულ ე.წ. „აბღულმესიანს” გამოვტოვებთ, არც ამ ქმნილებებშია სადამე ნახსენები „სეფქა”; მე-4 ტომი („ქართული მწერლობა”, IV, თბ.,

1988) ეთმობა რუსთველს. „ვეფხისტყაოსანში“ ეგ ტერმინი ნახსენები არ არის (იხ. ასევე აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, 1956). არადა, ამ პოემაში იმდენჯერ არის გამოყენებული და ნახსენები მშვილდ-ისარი, რომ, თუ ეგ ცნება მაშინ ყოფილიყო, მასენის ჯადოქარი უსაცილოდ გამოიყენებდა.

ახლა რუსთველის მომდევნო ხანა გავსინჯოთ.

მე-5 ტომში წარმოდგენილია ტექსტები, რომლებიც შეიქმნა XII-XVII საუკუნეებში. ბოლო ავტორია ნოდარ ციციშვილი (გარდაიცვალა 1658 წელს). არც აქ მოუმარჯვებია ვისმე საძიებელი ტერმინი („ქართული მწერლობა“, V, თბ., 1988).

მაინც უფრო კონკრეტულად ვაჩვენოთ, თუ რომელი ხანის ნაწარმოებებია თავმოყრილი წინამდებარე კრებულში. ესენია – რუსთველის მიმბაძველნი (XIII-XV საუკუნეები); თამარ მეფის სიგელი შიომღვიმისადმი (1201 წელი); კახა თორელის შეწირულობის წიგნი (1259 წელი); მეფეთა კურთხევის წესები (XIII

საუკუნე); მირონის კურთხევა (XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა); ხელმწიფის კარის გარიგება (XIV საუკუნე); „ძეგლის დადება“ (XIV საუკუნე); „ძეგლი ერისთავთა“ (XIV საუკუნის II ნახევარი); ალექსანდრე მეფის წყალობის სიგელი (1430 წელი); შეწირულობის წიგნი ლარგვისისადმი (1470); ჟამთააღმწერლის მონგოლების დროინდელი ამბები (XIV საუკუნე); პეტრე იბერიელის ცხოვრება (XIII საუკუნე); ლუკა იერუსალიმელის წამება (XIV საუკუნე); ნიკოლოზ დვალის წამება (1314 წლის შემდეგ); „მეფეთა საღარო“ (XVII საუკუნე); ნოდარ ციციშვილის „შივიდი მთიები“ (1650 წელი).

წარმოუდგენელია, რომ იოანე შავთელს გამოეყენებინოს ეს ცნება და მთელი ამ ხნის განმავლობაში – XII-XVI საუკუნეებში – იგი არავის ეხმაროს!

ტერმინი **სეფქა** (ისარი) ჩნდება, როგორც ითქვა, „აღორძინების ხანის“ სიტყვიერებაში და აი, „ქართული მწერლობის“ VI ტომი უკვე იცნობს ამ ცნებას. ზურაბ სარჯველაძე

სახელს ასე განმარტავს: **სეფქა** – ისარი („ქართული მწერლობა”, VI, თბ., 1989). აქ კი წარმოდგენილი არიან სწორედ „აღორძინების” შემოქმედნი და მათი ნაღვაწი: „რუსუდანიანი” (XVII საუკუნე); თეიმურაზ I (გარდაიცვალა 1663 წელს); არჩილი (ასპარეზზე გამოდის 1670-იანი წლებიდან); იოსებ თბილელი („დიდმოურავიანი” დაწერილია არჩილის შეკვეთით 1688 წლამდე); ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება” (დაიწერა ვახტანგ მეექვსის მეფობისას).

აღსანიშნავია, რომ სეფქა-ისარს ასახელებენ სულხან ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, არჩილი და სხვები. სწორედ არჩილის სკოლის წარმომადგენელია იაკობ ღუმბაძე (მიტროპოლიტი), რომელსაც კიდევაც უხსენებია ეს იარაღი.

ახლა კი ჩამოვწერთ ის პიონერი მწერლები, რომელთაც მოუმარჯვებიათ ტერმინი **სეფქა**:

1. სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები, „ამირანდარეჯანიანი” (გალექსეს 1670-იან

წლებში): „ამა თხათა სეფექლებთა მე რად მიმეც ხელშეკრულად?“ (სტროფი 2172).

2. იაკობ დუმბაძე, ე.წ. „აბდულმესიანი“, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“ (დაიწერა 1661 წელს): „ჯიღაც ისეფქევ, მოსვრით ისე ფქევ“ მტერი და დუშმანი შენიო (სტროფი 35).

ბარემ აქვე ითქვას: ივანე ჯავახიშვილი სავსებით სამართლიანად **ჯიღა** სიტყვასაც მე-17 საუკუნეში შემოსულად მიიჩნევდა (იაკობ შემოქმედელი, თხზ. სრული კრებული, თბ., 2014); სხვათა შორის, გადავამოწმე „ქართული მწერლობის“ ტომები და აღმოჩნდა: ლექსიკონები XVII საუკუნემდე არ იცნობენ არცა **ჯიღას** (იხ. ტ. I; ტ. 2; ტ. 3) (ე.წ. „აბდულმესიას“ გამოკლებით); ტ. 4; ტ. 5; მხოლოდ მე-6 ტომში გამოჩნდა **ჯიღა** (იხ. განმარტება, გვ. 879), მაგრამ, როგორც ითქვა, მე-6 ტომში გვაქვს აღორძინების დონდელი ტექსტები („რუსუდანიანი“, თეიმურაზ I, არჩილი, იოსებ ტფილელი და სხვ.).

ჯიღა ტერმინი „ბოლუქზე“ გვიან შემოდის, ოღონდ უფრო ადრე, ვიდრე - „სეფქა“.

ჯილა ნახსენები აქვთ: თანიაშვილებს (სტროფი 11550); არის „შაჰნავაზიანში“ (სტროფი 221); იყენებს თეიმურაზ I (იხ. ლექსები, თბილისი, 1934, გვ. 318); შემდეგ – ყველა: არჩილი, დუმბაძე, სულხან ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი ...

მაშასადამე, „ვერსიებსა“ (1599) და „ომინიანში“ (1609-1613) არ ჩანს არც „ჯილა“, არც „სეფქა“, ხოლო მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ეს სახელები ხშირად გამოიყენება.

ირკვევა: არცა **ჯილა** ყოფილა XII საუკუნის ტერმინი და ვერც იგი მოხვდებოდა შავთელის ტექსტში.

3. არჩილ მეფე: „მწყერაობაში რას ვარგა **უსეფქო** კაცი, მოშლილი?“ („ქართული მწერლობა“, VI, თბ., 1989, გვ. 398).

4. სულხან-საბა: არაკი „მელი მოძღვრად“ – „მონადირე ვინმე დახვდა ქორითა და მწვერითა და ძაღლებითა. ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა“ („ქართული მწერლობა“, VII, თბ., 1989, გვ. 27).

5. ვახტანგ მეექვსე, „სალბუნად გული-სა“, სტროფი 32: „ჩირგვის მწყერს და დალ-დას ხოცდენ სეფქით, გორად დაეყარა“.

ცნობილია: შავთელის „აბდულმესიანს“ წინ უსწრებს მოსე ხონელის „ამირანდარეჯა-ნიანი“, ხოლო მოსდეეს სარგის თმოგველის „ვისრამიანი“:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულმესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს
რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას,
ენადაუშრომელსა.

სწორედ ენადაუშრომელი სარგისის „ვისრამიანია“ ენობრივ-სტილისტურად და სიტყვიერი მარაგით განსაცვიფრებლად მდი-დარი, გამორჩეული.

ახლა საკითხი ასე დავაყენოთ:

ნამდვილი „აბდულმესიანის“ წინარე და მომდევნო ტექსტებში თუა ნახსენები სამი კოლორიტული სიტყვა – **ბოლუქი, ჯილა, სეფქა?**

არც ერთი ეს სიტყვა არ გვხვდება არც „ამირანდარეჯანიანში“ (მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, ლ. ათანელაშვილის რედაქცია, თბ., 1967) და არცა „ვისრამიანში“ („ვისრამიანი“, ალ. გახარიას და მ.თოდუას რედაქცია, თბ., 1962).

ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი ეგ სიტყვა მაშინ ცნობილი არ იყო და, თუკი ოდესმე ნამდვილი „აბდულმესიანი“ აღმოჩნდა სადმე, არც მასში იქნება გამოყენებული.

ამრიგად, **სეფქა** – **ისარი**, ნახსენები ე.წ. „აბდულმესიანში“, იმას მოასწავებს, რომ ხელთა გვაქვს არა შავთელის, არამედ იაკობ დუმბაძის ნაშრომი; იგივე ითქმის ჯიღა ერთეულზე. ეს, ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, მე-17 საუკუნის დამდეგს არის შემოსული და შავთელის ნამდვილ ტექსტში ისიც ვერ გაიჭაჭანებდა.

მეტყველი ლექსიკა

წიგნში „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში” (2010) დავამტკიცეთ: თურქული სიტყვა **ბოლუქი**, გინდა **ბოლუქ-ბოლუქი**, პირველად გამოჩნდა „შაჰ-ნამეს” ქართულ ვერსიებში. ეგ ვერსიები კი შეიქმნა XV-XVI საუკუნეებში; ასევე, ფრიად საგულისხმოა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნემდე ძველ ტექსტებში არსად ჭაჭანებს ლექსემები: **სეფქა**-ისარი და **ჯიღა**-თავსამკაული. როგორც ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, ტერმინი **ჯიღა** შემოდის მეჩვიდმეტე საუკუნეში.

საგანგებოდ გადავამოწმეთ ქართული მწერლობის სერიით გამოცემული ტექსტები და შევნიშნეთ: ზემოხსენებული სამი ცნება მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელი ნაწარმოებების ლექსიკონებში არსად გვხვდება; ასევე, შევამოწმეთ იმ სალექსიკონო ფონდის მასალა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში ინახება; აღმოჩნდა: მეჩ-

ვიდმეტე საუკუნემდე ეს ტერმინები არსად
ჭაჭანებს.

არადა სამივე ცნება ნახმარია ე.წ. „აბ-
დულმესიანიში“.

ეს კი იმას მოასწავებს, რომ მითითებუ-
ლი სახოტბო პოემა ვერ შეიქმნებოდა მეთექ-
ვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებზე უწინარეს.

აღნიშნულმა უარუთქმელმა შედეგმა ჩაგ-
ვაგონა აზრი: ამ თვალსაზრისით სხვა ე.წ.
„საეჭვო“ სიტყვებიც შეგვემოწმებინა.

გამოძიების შედეგად დაიხატა ასეთი სუ-
რათი:

1. ამიანტოსი (ე.წ. „აბდულმესიანი“, 13):
ქართული მწერლობის I-VI ტომების ლექსი-
კონებში არაა დაფიქსირებული; არც მესამე
ტომშია, თუ ე.წ. „აბდულმესიანს“ გამოვრიც-
ხავთ, მაგრამ მეორე ტომშია **ამანტი**; ვეფხის-
ტყაოსანი არ იცნობს (იხ. ვეფხისტყაოსნის
სიმფონია აკაკი შანიძისა); V-VI წიგნებშიც
არა ჩანს; VII ტომში კი უკვე გამოჩნდა (გვ.
661).

სიტყვათა საფონდო ლექსიკონში ფიქსირდება სულხან-საბასთან (I,200,7); ი. ბაგრატიონთან (161,34) და აქეთკენ.

2. ბეზირგანი: ე.წ. „აბდულმესიანში“ გამოყენებული ეგ ცნება არსად ჩანს ქართული მწერლობის I-VII ტომებში.

„ვეფხისტყაოსნის“ საფონდო ლექსიკონი: პირველად გვხვდება „შაჰ-ნამეს“ ვერსიებში (III, 328,1; 375,2); არის „თიმსარიანში“ (II, 193,27); ჩანს „მელის წიგნში“ (22,1); არის „ყარამანიანში“.

ყველა ეს თხზულება შექმნილია XVI საუკუნის შემდგომ.

3. განლიგება // განსალიგებლად (ე.წ. „აბდულმესიანი“): ქართული მწერლობის I-VII წიგნების ლექსიკონებში არ ჩანს.

საფონდო ლექსიკონი: დაფიქსირებულია XVII-XVIII საუკუნეთა ძეგლებში (თხრობ. 204, 31; მარტირ. 19,27).

4. გარმოზღუდვა (ე.წ. აბდ. 18): I-VII ტომებში არაა, თუმცა V ტომშია **გარემოღვომილი**.

საფონდო მასალები: XVII საუკუნის უწინარეს ტექსტებში არსად ჩანს.

5. დამბეჭდველობა (ე.წ. აბდ. 6): I-VII წიგნებში არსად ჩანს, მხოლოდ ე.წ. „აბდულ-მესიანშია“.

საფონდო სიტყვარი: **დამბეჭდველობა** არა, მაგრამ **დამბეჭდველი** კი ცნობილია XI-XII საუკუნეებიდან (იხ. იუდაებრი, II, 127, 21; სამართლის ძეგლ. V, 681, 20, ტექსტი 1796 წლისა; გვხვდება თეიმურაზ მეორესთან; დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებში, I, 136, 32, ტექსტი 1733 წლისა; ქართ. სამართლის ძეგლებში, III, 1125,17, ტექსტი 1816წ. და სხვ.).

6. დამსხეში (ე.წ. აბდ. 54): I-VII ტომების ლექსიკონებში არსადაა.

ფონდის მასალები: ეგ ცნება ძველ ქართულში არ დასტურდება. დამსხეშება კი გვხვდება ბაქარის ბიბლიაში (1743წ.).

ეჭვი არაა, **დამსხეშება** გახლავთ განვითარება სიტყვისა **დამსხეში**.

7. დასაყვირი (97): V-VI ტომებში არა ჩანს.

საფონდო სიტყვარი: არის თანიაშვილის „ამირანდარეჯანიანში“ (1397,3). უფრო ადრე არსად ჩანს.

8. დასურთი (სასურველი, 9): I-VII ტომებში არაა.

სიტყვარი: ძველ წყაროებში არსადა ჩანს.

9. დიადიმა (ბერძნ. სიტყვა; ე.წ. „აბდულმესიანი“, 37): I-VII ტომებში არა ჩანს.

სიტყვარი: დ. თუმანიშვილი (48,5); წყობილსიტყვ. (442,2); „კალმასობა“ (I, 102,30).

უფრო ადრე არსად იხილვის. დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანს“.

10. ექსული (დაკერებული; ე.წ. აბდ. 37): I-VI ტომებში არაა; VII წიგნში კი უკვე არის.

ლექსიკონი: მეჩვიდმეტე საუკუნის უწინარეს ტექსტებში არა ჩანს. დავით ჩუბინაშვილი ძველი ტექსტებიდან მიუთითებს მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანს“.

11. ზევსური (ღვთაებრივი, ე.წ. აბდ. I): I-VI ტომებში არაა; VII წიგნში უკვე არის.

სიტყვარი: ძველ წყაროებში არსად ფიქსირდება. მარტოოდენ ე.წ. „აბდულმესიანშიაო“. დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანს“ მიუთითებს.

12. თაყუმი (კალენდარი; ე.წ. აბდ. 17): I-VII წიგნებში არა ჩანს.

საფონდო სიტყვარი: XVII საუკუნის წინარე ძველ წყაროებში არაა დაფიქსირებული.

დავით ჩუბინაშვილი ძველი წყაროებიდან მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“.

13. ლაფროტი (ნარგიზი, ე.წ. აბდ. 8): I-VII წიგნებში არა ჩანს.

სიტყვარი: ძველ წყაროებში დაფიქსირებული არაა.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს.

14. მაკროტი (მცენარე, ე.წ. აბდ. 87): I-VII წიგნების ლექსიკონები არ იცნობენ.

სიტყვარი: მეჩვიდმეტე საუკუნის წინარე ტექსტებში არაა დაფიქსირებული, მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანშიაო“ ია-მაკროტი.

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“, როგორც უძველეს წყაროს.

15. მბორგავი//მბორგალი (განძვინვებული; ე.წ. აბდ. 102): I-IV ტომებში არაა. V ტომში უკვე გვაქვს **მბორგველი** – შფოთის ამტეხი (გვ. 802).

სიტყვარი: დაფიქსირებულია თეიმურაზ პირველთან, გაბაასებაში; წყობილსიტყვაობაშია **მბორგალი** (360,9).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანში“ ხედავს ამ სიტყვას.

16. მკამკამებული (ე.წ. აბდ. 40,45): I-VII წიგნებში არა ჩანს.

საფონდო ლექსიკონი: პირველად ნახსენებიაო „რუსუდანიანში“ (602,12).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს.

17. მკრთოლვარე (ე.წ. აბდ. 45): I-VII წიგნებში ეგ ფორმა არსად ჩანს. II ტომშია **მკრთომელობა**; V წიგნშია **მკრთალი**; VII ტომში გვხვდება **მკრთომელი**.

ლექსიკონი: არის ბესიკთან, გ. თუმანიშვილთან, დ. თუმანიშვილთან, XVIII საუკუნის ერთ მინაწერში, წყობილსიტყვაობაში, თეიმურაზ პირველთან, ქართული სამართლის ძეგლებში, 1470 წლის მასალაში.

უფრო იქით ეს ცნება არსად იხილვის.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს.

18. მკოდავი (დამჭრელი; ე.წ. აბდ. 59): I-VII ტომებში არსადაა, ოღონდ I ტომშია **მკოდღვი** (ღარიბი); VII წიგნშია **მკაფარი**, **მკვეთელი**, **მკვეთელობა**, ოღონდ არსად ჩანს **მკოდავი** (გვ. 724).

ლექსიკონი: **მკოდელი** (ხრონოგრ. გ. მონაზონი, 80,21); **მკოდვა** (არჩილი, ლექს. ათეულ. 38,2); **მკოდი** (რუხ. ბრძ. 129,29); **მკოდველი** (გ. თუმან. 70,6); **მკოდიანი** (საბა, II, 128,32).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, როგორც უძველეს წყაროს.

19. მომცემლობა (ე.წ. აბდ. 23): I-VII წიგნებში არაა.

ლექსიკონი: მეჩვიდმეტე საუკუნემდე ტექსტებში ვერსად აფიქსირებს.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, როგორც უძველეს წყაროს.

20. მოსაფრქვეველი (ე.წ. აბდ. 100): I-VII ტომებში არ იხილვის.

სიტყვარი: XI-XII საუკუნეთა ძეგლებში არის, ოღონდ ოდნავ სხვაგვარი ფორმით – **მოსაფქვეველი** (ამბროსი ნეკრესელი, ლ.ძ. III, 252,1).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ უთითებს.

21. მოხშო (ე.წ. აბდ. 35): I-VII წიგნების სიტყვარებში არ ფიქსირდება.

ლექსიკონი: არსად, გარდა ე.წ. „აბდულმესიანისა“, ძველ წყაროებში არ დასტურდება.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, როგორც უძველეს წყაროს.

22. მსპარაზნობელი (მოასპარეხე): I-VII ტომების ლექსიკონები არ იცნობენ.

სიტყვარი: მხოლოდ „აბდულმესიანშია“, სხვაგან არსად, მიუთითებს შემდგენელი.

დავით ჩუბინოვი მხოლოდ „აბდულმესიანში“ ხედავს, სხვაგან – ვერსად.

23. მხმობარე (ე.წ. აბდ. 7): I-IV ტომებში არაა; V ტომში უკვე გამოჩნდა (გვ. 808).

ლექსიკონი: არისო „რუსუდანიანში“ (19,24; 104,28); არჩილიანში (საქ. ზნეობანი, 100,3); თეიმურაზ II (თიმსარიანი, 152,21); თანიაშვილის „ამირანდარეჯანიანში“ ორჯერ არის გამოყენებული; იყენებს ვახტანგ VI („ამირნასარიანი“, 153,2); XVIII საუკუნის მინაწერი (121,41).

დავით ჩუბინაშვილი, როგორც მკითხველი უკვე მიხვდა, მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, რადგან ძველ ტექსტებში სხვაგან არსად ეგულება.

24. სამირონე (ე.წ. აბდ. 14): I-VII ტომებში არსად ჭაჭანებს.

სიტყვარი: ისტ. საბ. IV, 65; 35, 36, ტექსტი 1686 წლისა; ქრონიკ II, 1680 წლისა; ბაქარიანი, 26,2; ქართლის ცხოვრება, IV, 348,23.

როგორცა ვხედავთ, მეჩვიდმეტე საუკუნის II ნახევარში გაჩენილი სრულიად ახალი ტერმინია!

დავით ჩუბინაშვილს ჰგონია, რომ ამ სიტყვის შემნახველი უძველესი ტექსტია „აბდულმესიანი“ და ამიტომაც ამ ძეგლს მიუთითებს, რადგან სხვაგან ამ ფორმას ვერ პოულობს.

25. სამისებრო (ე.წ. აბდ. 91): I-VII ტომებში არა ჩანს.

სიტყვარი: ძველ წყაროებში არსადა ჩანს!

26. სამხატოვანი (ე.წ. აბდ. 14): I-VII ტომებში არ ჩანს; მხოლოდ VI ტომშია **სამხატედი**, რაიც, ჩვენი აზრით, ნიშნავს კიდევ სამხატოვანს (გვ. 867), თუმცა საძიებელი ფორმა არც აქ იხილვის.

სიტყვარი: მითითებულია მხოლოდ თეიმურაზ II (XVIII საუკუნე).

დავით ჩუბინოვი, როგორც უკვე მკითხველი გრძნობს, უძველეს წყაროდ მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“, რაკიდა სხვაგან ამ სიტყვას ვერსად ხედავს.

27. სარდა-სარო (საუკეთესო კვიპაროსი, ე.წ. აბდ. 8): V-VII ტომთა ლექსიკონები არ იცნობენ.

სიტყვარი: დასტ. ისტ. საბ. IV, 21,33 – საბუთი 1635 წლისა; სამართ. V, 332,20 – საბუთი 1786 წლისა; ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, 167,5 – საბუთი 1641 წლისა; ქართ. სამ. ძეგლები, II, 527, 25 – 1660 წლისა; H-342, - საბუთი 1661 წლისა.

ვხედავთ: ეს ტერმინიც მეჩვიდმეტე საუკუნის იქით არ ფიქსირდება.

დავით ჩუბინოვი უძველეს წყაროდ მიუთითებს „აბდულმესიანს“, რაკიდა სხვა ძველ წყაროებში ამ ცნებას ვერ პოულობს.

28. ფირუზი (ე.წ. აბდ. 44): I-V ტომებში არსად ჩანს; IV ტომი ეკუთვნის რუსთველს.

იგი ათასგვარ ძვირფას თვალ-მარგალიტს ახსენებს, მათ შორის, ამ ქვასაც, ოღონდ ძველი, პირვანდელი ფორმით – **ფეროზი**; არც ის არის ყურადღებიდან გამოსარიცხავი, რომ, „შუშანიკის წამებისა“ და სხვა ძველი წყაროების მიხედვით, არსებობს **ფეროზ** მეფე და არა **ფირუზ** მეფე; მე-5 ტომის ლექსიკონი კი უკვე იცნობს ამ ცნებას (გვ. 867).

სიტყვარი: ძველ წყაროებში **ფირუზი** არ ჩანს, **ფეროზი** დიახაც! მაგალითად, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, **ფეროზი** გვაქვს „ვისრამიანშიც“, ოღონდ ფირუზი – არა!

29. სემური (არაბ. აღმასი; ე.წ. აბდ. 8): I-VII ტომებში არსად ჩანს.

საფონდო სიტყვარი: მითითებულია – ძველი ძეგლებიდან მხოლოდ „აბდულმესიანშიაო“.

დავით ჩუბინაშვილი, რა თქმა უნდა, მას მხოლოდ „აბდულმესიანში“ აფიქსირებს, სხვაგან – ვერსად!

30. სისარა – ე.წ. „აბდულმესიანის” ერთობ კოლორიტული სიტყვა ძველ წყაროებში XVII საუკუნემდე არსად ჩანს.

სამაგიეროდ, „სისარა, დასისარა” ლექსემებს ხშირად იყენებს იაკობ შემოქმედელი; იყენებს როგორც თავის „ნამდვილ” (გაბაასება), ისე „არანამდვილ” (ე.წ. „აბდულმესიანი”) თხზულებებში (იხ. ი.შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 2014, ბორის დარჩიას რედაქცია, გვ. 264 და გვ. 352).

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს ქართლის ცხოვრებას, 69. ეს კი XVIII საუკუნეა.

31. სტოლა (ნავები, ე.წ. აბდ. 39): I-VII ტომები არ იცნობენ.

საფონდო სიტყვარი: ძველ წყაროებში XVII საუკუნემდე არსად ჩანს.

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს, მისი აზრით, ყველაზე უადრეს წყაროს „აბდულმესიანს”.

32. უზვერელი (ე.წ. აბდ. 14): I-VII ტომებში არსადაა, გარდა ე.წ. „აბდულმესიანისა”

(II ტომი); როგორ მოხდა, რომ XII საუკუნეში გამოიყენეს ეს მეტად კოლორიტული სიტყვა და ის მეჩვიდმეტე საუკუნემდე არავინ მოიმარჯვა?!

ფონდის სიტყვარი: მხოლოდ „აბღულმესიანშიაო“!

დავით ჩუბინაშვილი, რა თქმა უნდა, მხოლოდ „აბღულმესიანს“ მიუთითებს, სხვა ძველ წყაროში ამ სიტყვას ვერ ამჩნევს.

33. უსულელი (ე.წ. აბღ. 23): I-VII ტომების ლექსიკონები არ იცნობენ. ევრემ მცირის იამბიკოშია **უსულელესი** (XI-XII საუკ.).

სიტყვარი: მხოლოდ „აბღულმესიანშიაო“.

დავით ჩუბინოვი მიუთითებს მხოლოდ „აბღულმესიანს“.

34. ფელამბარი (მოციქული, ე.წ. აბღ. 82): I-V ტომები არ იცნობენ. VI წიგნში უკვე გამოჩნდა ეს კოლორიტული სიტყვა (გვ. 872).

საგულისხმოა შემდეგი გარემოება: რუსთველი სულ მაჰმადიანთა წრეში ტრიალებს და მაჰმადიანთა მოციქულის გამომხატველი ეს ცნება არ უხსენებია. თუ მას წინ ედო

ნამდვილი „აბდულმესია“ და შიგ ეგ ტერმინი იყო, როგორ არ გამოიყენა იგი?!

სიტყვარი: მიუთითებს, რომ XVII საუკუნის იქით ეგ ტერმინი არ ფიქსირდება; არის: არჩილის „გაბაასებაში“; ხელნაწერში S-2511 – XVII საუკუნისა; „ხოსროვშირინიანში“ – XVII საუკუნე; „იადგარ დაუდშიცაა“, „ლეილმაჯუნნიანშიც“.

მაშ, მეჩვიდმეტე საუკუნემდე ამ ტერმინის ძიება ზედმეტია. საგულისხმოა, რომ იაკობ შემოქმედელი ამ ტერმინს არაერთგზის ახსენებს თავის „ნამდვილ“ პოემა „გაბაასებაში“.

დავით ჩუბინაშვილი, მკითხველი უკვე ხვდება, მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“, რადგან სხვა ძველ წყაროში ამ ფორმას ვერ ხედავს.

35. ღვედკეცი (მცენარე; ე.წ. აბდ. 60): I-VII ტომების ლექსიკონი არ იცნობს.

სიტყვარი: აფიქსირებს მხოლოდ სულხან-საბასა და ვახტანგ მეექვსესთან. ძველ ქართულში მხოლოდ „აბდულმესიანშიაო“.

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“.

36. შიშველ-მართალი (ველური კაცი, ე.წ. აბდ. 60): I-VII ტომებში არ ფიქსირდება.

სიტყვარი: 1639, 1670, 1683 წლების წყაროებში; H-972, 1639 წლის ხელნაწერი.

დავით ჩუბინოვი მხოლოდ „აბდულმესიანში“ ხელაღვს ამ ტერმინს.

37. წერილი (ანბანი, ასოები; ე.წ. აბდ. 8,84): ამ გააზრებით არსად ჩანს I-VI ტომებში; VII წიგნში უკვე გამოჩნდა (გვ. 746).

წერილი მეჩვიდმეტე საუკუნის გააზრებაა. მანამდე ყველგან ნიშნავდა **დაწერილს, ტექსტს**.

სიტყვარი: ძველ ლიტერატურაში არსად ფიქსირდება.

დავით ჩუბინოვი მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“.

ასეთია ე.წ. „აბდულმესიანში“ ამეტყველებული ლექსიკა.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს, გამოვიტანოთ ლოგიკური უმაგრა-
მო დასკვნა:

ე.წ. „აბდულმესიანში“ ფიქსირდება 40-42
ისეთი სიტყვა, რომელთა კვალსაც ვერ ვაწ-
ყდებით ძველ ტექსტებში. ისინი ჩვენს მეტ-
ყველებსა და მწერლობაში ჩნდებიან XVI-
XVII საუკუნეებში, ამიტომაც ე.წ. „აბდულმე-
სიანი“ დაწერილია XVII საუკუნის მეორე ნა-
ხევარში, კონკრეტულად 1661 წელს; ეკუთ-
ვნის იაკობ შემოქმედელს და ეწოდება ასე -
„ქება მეფისა არჩილისა“.

ე.წ. „აბდულმესიანიში“ ჩამორიგებული ავანსის შესახებ

1661 წელს ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზი, წითელ სპარსულ ხალათში გამოხვეული, არეულ-დარეულ იმერეთსა და ქუთათისს ესტუმრა; მას მხარს უმაგრებდა ქართულ-სპარსული ჯარი. მთელი დასავლეთი საქართველო გაისუსა. შაჰნავაზმა პირისგამტეხი და მოღალატე ვამიყ დადიანი მოაკვლევინა, სამეგრელოს გამაგრებული სამხედრო ბოლაზი რიონზე – ლიმონა – აიღო და აფხაზეთიც დააშოშმინა; დადიანად თავისი კაცი განამწესა და იმერეთის ტახტზე 14 წლის „აღვა მორჩი“ არჩილ ბაგრატიონი დასვა. ფაქტობრივად ირანის შაჰის ფარული თანხმობით დასავლეთი საქართველო შემოიერთა (2, გვ. 18-19).

ახალგაზრდა მეფეს ავტორიტეტის ამადლება სჭირდებოდა. მას ჯერ თავი არაფრით გამოეჩინა, გარდა სწავლაში დიდი წარმატებისა. ეს კი ისტორიულად დადასტურე-

ბული ფაქტია: შაჰნავაზმა თავის მრავალრიცხოვან შვილებს ბრწყინვალე განათლება მიაღებინა. ზოგი ისტორიკოსი იმასაც კი აღნიშნავს, რომ არც ერთი ქართველი ხელმწიფის შვილებს ისე მრავალმხრივი და ბრწყინვალე განათლება არ მიუღიათ, როგორც ვახტანგ მეხუთის ნაშიერებსო. განათლებულთა ამ კოჰორტაში არჩილი მეწინავეობდა. ეს ისტორიამაც დაადასტურა. მართალია, სამეფო ხაზით მისმა უმცროსმა ძმამ გიორგი მეთერთმეტემ უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე არჩილმა, ოღონდ განათლებისა და მწერლობის სარბიელზე არჩილი მთიებზე ბრწყინავს. მან არა მარტო თავად გამოიჩინა თავი, როგორც დიდმა და სახელოვანმა პოეტმა, არამედ მთელი ლიტერატურული სკოლა შექმნა.

ეს კი რჩეულ მოაზროვნეთა ხვედრია!

ჰოდა, აი, 1661 წელს ნორჩი არსება იმერეთის ტახტზე დაჯდა. მას სჭირდებოდა ავტორიტეტის ამადლება და კიდევაც გამოეჩინა მეხოტბე გურიიდან. ეს გახლდათ მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი. მან ჩახრუ-

ხადის წაბაძვით შექმნა 107 სტროფიანი „ქება მეფისა არჩილისა“. სხვათა შორის, არა მარტო სიტყვათა წყობით, საზომითა და შერითმვის წესით წაბაძა მე-12 საუკუნის მეგოსანს, არამედ თხზულების სიდიდითაც. „თამარიანის“ მოცულობაც დაახლოებით ასეთია – 111 სტროფი (თუ მასში რამდენიმე სტროფი ჩამატებული არაა და თავიდან ისიც 107 სტროფს არ შეადგენდა). ამიტომაც თუ იყო, რომ ქართული ლექსის პირველი კანონმდებელი მამუკა ბარათაშვილი მიუთითებდა:

**იაკობ მზაძეს და ჩახრუხაძეს
ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწყებად –
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ,
დავრჩი ბაქარის მე მონა მქებად (1, გვ. 41).**

აქ პირდაპირ და უთუმცაოდ არის გაცხადებული: იაკობმა წაბაძა ჩახრუხაძეს; იაკობმა აქო არჩილი, ჩახრუხაძემ – თამარი; მე კი ბაქარ მეფის ხოტბა ვიკისრეო. ამ „ბაქარის ქებაში“ კი დასძენს: მე წავბაძე „ბრძენსა მას ორსაო“ (1, გვ. 40).

მაშ, ასე:

იაკობ მბაძეს უნდა შეექო ახალბედა, „ჯერთ-უწვერული“ ჭაბუკი, რომელსაც ჯერ-ჯერობით საგმირო და სასახელო არაფერი ჰქონდა გაკეთებული. ამიტომაც არის, რომ ტექსტში შეინიშნება ერთი თავისებურება, რაიც სამეცნიერო წრეებს დღემდე არ შეუმჩნევიათ: ჯერ ერთი, წარსული გმირობის არავითარი ფაქტი არაა მოყვანილი; პოემა რომ თამარს ან დავით სოსლანს ეძღვნებოდეს, ავტორი წარსული გმირობის არაერთ ფაქტს დაასახელებდა; მეორეც, სამუქფოდ, აქცენტირებულია მომავალი და მყოფადი დრო, რომ საქები პერსონაჟი აწი გამოიჩენს თავს, რომ **სამომავლოდ** ჩაიდენს გმირობებს.

მოდით, ქმნილებას ამ თვალთახედვით გადავხედოთ!

ტექსტში ხშირად არის მომარჯვებული ეპითეტი „მორჩი“, რაც ნიშნავს ახალნერგს, ჩვილს, პატარას. მე-5 სტროფშია: „ა ქამით მორჩი! აქა მით მორჩი“ (4); მეორე ადგილას პერსონაჟი არის ვარდისა ნერგი: „ნერგად

ვარდისად” (მეშვიდე სტროფი); საგულისხმოა მე-10 სტროფი: აქ აქცენტირებულია არა ის, თუ რა გაუკეთებია გმირს, არამედ ის, თუ რას გააკეთებს მომავალში: „შემუსრავს, შეფქვავსო” ორგულებს; მე-15 სტროფიც მომავალზე აკეთებს აქცენტს: „უთრუთ-საამით ზააღსა ამით განქიქებულ-ჰყოფს ძლიერებითა”.

მაშასადამე, „შაჰ-ნამეს” უძლიერეს ფალავნებსა და გმირებს: უთრუთს, საამს და, კიდევ მეტი, თვით როსტომ-გმირის მამას, უძლეველ ზააღსაც კი განაქიქებსო. „განქიქებულ-ჰყოფს” არის მომავალი დროის ზმნა, გულისხმობს იმას, რასაც პერსონა აწი გააკეთებს. ამ მხრივ არც მე-16 სტროფია გამონაკლისი: არჩილი მალე გახდება „აგარის ერთა ცეცხლთა მომდებადო!”

თამარსა და დავითს, როგორც ასაკოვანთ, ხნოვანთ, არ სჭირდებათ ბედის მარჩიელობა, „რამლის კვრა”. აქ კი 14 წლის ყმაწვილკაცის ბედსა ჩხრეკენ და მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ეს საქმე კეთდება მე-17

სტროფში: „იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა ხჩხრეკენ, რამლს ჰკრვენ, არჩევენ ბედთა მათთაგან”.

სამომავლო პროცესებია გამოხატული ამავე სტროფის მომდევნო ტაეპებშიც: „რომ იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან”.

„რომ იქმნეს”, ეჭვი არაა, მომავლის დროა, მყოფადის ფორმაა.

ერთადერთი, რაც წარსულს მიეწერება და რაც ჭაბუკმა მამასთან ერთად უკვე გააკეთა, შემდეგია: მათ შერისხეს და მიასიკვდილეს სამეგრელოს ქვეგამხედვარი მთავარი ვამიყ დადიანი, რომელმაც თავისი გრძელცხვირა ქალიშვილი არჩილს არ მისცა ცოლად და ამით პირისწყალი დაუქცია. ეს ფაქტი კი სწორედ წარსულ დროშია გამოხატული:

**ვისაც შეჭრისხდა, ნამდვილვე მიჰხვდა
მას საღმობანი სიკვდილისანი (23-ე სტროფი).**

ეგ „საღმობანი სიკვდილისანი” სწორედ ვამიყ დადიანმა იგემა.

ავტორი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მისი პერსონაჟი ყმაწვილკაცია, ნორჩია. 26-ე სტროფში ვკითხულობთ: „მოყმე, მხნე, უხვი დაიბადენი”.

28-ე სტროფში ის კი არ არის აღნიშნული, თუ გმირმა უკვე რა გააკეთა, არამედ ის, თუ რას გააკეთებს, რას მოიმოქმედებს სამომავლოდ:

**შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს,
ასტარტის კერძსა საძაგელთასა.**

ეჭვი არაა, „შემუსრავს” მომავალ დროს გამოხატავს.

ცნობილი ისტორიული ფაქტია: შაჰნავაზმა და არჩილმა მოსპეს ვამეყ დადიანი, გაუნადგურეს ოჯახი, აგრეთვე ძე და ასული. ეს ისტორიული ფაქტია. ეს ამბავიც წარსულ დროშია გაწერილი, როგორც უკვე მომხდარი:

**ვნმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო ამან ქვეყანით (სტროფი 32-ე).**

იმავე სტროფშია:

**ადმოფხვრა სული – ძე და ასული;
რაც უყო, თქმევად ვის ძალუც ენით!**

ისიც ისტორიული ფაქტია, რომ ვამეყს დარჩა ერთი ძე და ერთიც ასული!

ასევე წარსულ დროშია გამოხატული 1661 წელს მომხდარი კიდევ ერთი მოვლენა – ამ დროს იმერეთის ჯარებმა შაჰნავაზისა და არჩილის ხელმძღვანელობით აიღეს რიონის-პირა ლიმონა, მეგრელთა მიერ გამაგრებული სამხედრო ბოღაზი:

„თვით სულ იმონა კიდე ლიმონა“

(სტროფი 33).

ამის შემდგომ ავტორი ისევ სამომავლოდ ჩასადენ ქველობას უქებს თავის გმირს:

ჯადაც ისეფქევ, მოსვრით ისე ფქევ.

ბრჭალი ჰქმენ მათზე (მტერზე)

მეოტ-მყოფელი (სტროფი 35).

ასევე, იმავე ხანაშია: „ორგულთა ექმენ დასამხობელი“.

ისე ფქევ, ისე ფქევ, ჰქმენ, ექმენ
მომავალი დროის გამომხატველი ზმნებია!

აღნიშნული თვალთახედვით საინტერესოა 36-ე სტროფი:

**ხმალი ღესული, მასზედ მხნე სული
ბარბაროთ მსვრელად მყის წარგემართოს;
მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი,
რისხვით მათ ზედა რომ მოგემართოს.**

აქაც ზმნები – „წარგემართოს“ და „მოგემართოს“ – მომავალს გულისხმობენ და არა წარსულს ანდა აწმყოს.

ყველაფერი ლოგიკურია: „ჯერთ-უწვერულ“ 14 წლის ღლაპს ავტორი სამომავლო წარმატებებს უსურვებს.

38-ე სტროფში ნახსენებია ერეკლე კეისარი, რომელმაც შეიპყრო ირანის შაჰი ხოსრო. მერე კი ნათქვამია: ესეც, ჩვენი ახალგაზრდა მეფე და გმირიც, მომავალში უღმერთოებს დაიფრენსო:

**სთქუთ-და ესეცა: „მსგავსად ესეცა
უღმერთოთა შეიქმს თვით-ოტებულსა“.**

საეჭვო არაა: თამარსა და დავითს ასე
კი არ ეტყოდნენ, არამედ ამგვარად: თქვენ
ერეკლე კეისარივით უკვე აოტეთ და გააქცი-
ეთ უღვთო აგარიანები და ირანელებიო!

მეხოტბე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს,
რომ მისი ქების საგანი „ჯეროთ-უწვერული“
ყმაწვილია:

**ვარდო უფრჭუნელო, ცვრით განზანილო,
ნერგო სვიანო, დავითიანო (სტროფი 52-ე).**

„უფრჭუნელი ვარდი“ და „ნერგი სვიანი“
აშკარად მიუთითებს 14 წლის ყმაწვილკაცზე
და არა ლაშა-გიორგის მშობლებზე – გინდა
თამარზე, გინდა დავითზე.

56-ე სტროფში კიდევ არის მითითებუ-
ლი გმირის ნორჩ ასაკზე: „რა მოიზარდე,
თვით მოიბლარდე“.

მოზარდად კი ითვლება სწორედ 14
წლის ადამიანი.

მერე ისევ მომავლის გამომხატველ
ზმნებს იყენებს მწერალი, როცა ბრძანებს:

ასპიტ-ცემულ-ჰყოფ მტერთა, ახოვნად
მყის მოამდლოვრებ, მათ შეიქმ ცხოვრებ
(სტროფი 57).

ზმნები: ცემულ – ჰყოფ, მოამდლოვრებ,
შეიქმ – არის ავანსი, რომელსაც იაკობ მბაძე
ასე უხვად აძლევს თავის ნორჩ გმირს. ვგო-
ნებ, საავანსო არაფერი ჰქონდათ თამარსა
და დავით სოსლანს, მით უფრო – დავით აღ-
მაშენებელს, უკეთუ რომელიმე მათგანია აქ
შექებული!

61-ე პოეტური აბზაციც საგულისხმიე-
როა.

აქაც საავანსო ზმნებია დაჯრილი:

**ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსხლავ,
ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად.**

აქაც არა უკვე **მ ო ს წ ყ ლ ე, მ ო ს-
ხ ლ ე და გ ა უ ხ დ ი ო**, არამედ **ა წ ი** იქ-
ნება ყოველივე ესო: „მოსწყლავ“, „მოჰსხ-
ლავ“, „ექმნები“.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 62-ე
სტროფი, სადაც უთუმცაოდ არის მითითებუ-

ლი, რომ ხოტბის საგანი ნორჩია, ჯერ დაუ-
ქორწინებელია, გვრიტთა მართვეა, ოღონდ
სურვილი აქვს, შექმნას ოჯახი; მეტაფორა
გ ვ რ ი ტ ე ბ ი აქ არჩილის დედ-მამას გუ-
ლისხმობს, ხოლო მეტაფორა **მ ა რ თ ვ ე** –
თვითონ არჩილს, 14 წლის ნორჩს:

**გვრიტთა მართვისა თვარ აქვს მართ ვისა
თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?**

ერთგან კი (სტროფი 86-ე) პირდაპირაა
ნათქვამი, რომ პერსონაჟი „ნორჩად გამოქან-
დაკებულიაო“: „ნორჩთ ქანდაკებით“.

96-ე სტროფში მითითებულია, რომ
ნორჩ ხელმწიფეს შეეფერებაო მთელი ხმე-
ლეთის ფლობა:

**შეგეფეროდა, გმირო, ქველ-და,
სრულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა!**

ეს არის კეთილი ნატვრა!

თამარსა და დავითს კი ამგვარი ნატ-
ვრა-წადილი არაფრით შეეფერებოდათ, ვინაი-
დან მათ ისედაც ხელთ ეჭირათ არათუ მათი
წილხვედრი „სამეუფო“, არამედ მთელი ხმე-

ლეთი. „გეგზისტყაოსნის” ეპილოგში პირდაპირ არის მითითებული, რომ დავით სოსლანი გახლავთ მაშრიყიდან მადრიბამდე „სრულ ხმელთა” მფლობელი:

**„ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს
ზართა მარებლად” (3, სტროფი 1708).**

ასე რომ, შეუძლებელია, თამარსა და დავითს ავტორი ასე მიმართავდეს: შეგეფერებოდათ „სრულ ხმელთა” ფლობაო.

ამრიგად, ავტორი იაკობ შემოქმედელი აქცენტს აკეთებს ქების ობიექტის სამომავლო გმირობაზე, სავარაუდო ქველობაზე და ამგვარი საავანსო წარმოდგენა-წარმოსახვებით ავსებს პოემის სალექსო სივრცეს.

ყოველივე ეს ამტკიცებს: ე.წ. „აბდულმესიანის” ხოტბის საგანი არის 14 წლის მორჩი არჩილ შაჰნავაზის ძე ბაგრატიონი, ხოლო პოემას ეწოდება „ქება მეფისა არჩილისა”.

**ვამეყ დადიანის სახე ე.წ.
„აბდულმესიანსა“
და
არჩილ მეფის „ბაბაასეპაში“**

ე.წ. „აბდულმესიანი“, ანუ იაკობ შემოქმედელის „ქება მეფისა არჩილისა“ (1661 წელი), და არჩილ ბაგრატიონის „გაბაასეპა თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“ (დაახლოებით 1680-1681 წლები), როგორც ერთი ეპოქისა და ერთი ლიტერატურული წრის (არჩილის სკოლის) თხზულებები, ერთნაირ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მიმართულებას ამჟღავნებს. ეს გახლავთ სამეფო კარზე (ვახტანგ V შაჰნავაზის წრეში) შემუშავებული მყარი თვალსაზრისი: ვამეყ III დადიანი, როგორც ქვეგამხედვარი ფეოდალი, მტყუანია, ხოლო ქართლის სამეფო კარი, რომელიც შაჰის ფარული მხარდაჭერით ქართლისა და იმერეთის გასაერთიანებლად იბრძვის, – მართალი და უზაკველი.

ამ მხრივ ორივე ტექსტი ერთნაირ პოზიციას ავლენს.

განვიხილოთ ეს საკითხი გამოწველივით, ოღონდ მანამდე ვნახოთ, თუ როგორა დგას ეს პრობლემა უახლეს ისტორიულ ლიტერატურაში: „ამან იმერეთი ალაშფოთა: ნაწილი დადიანის გამეფებას უჭერდა მხარს, ნაწილი კი ქართლის მეფე ვახტანგ V-ის გამეფებას; ქუთაისში მაინც ვამეყ დადიანმა შეასწრო... 1660 წელს იმერეთის მეფედ თავისი თავი გამოაცხადა, და ყოველი შემთხვევისათვის იმერეთის სამეფო სიმდიდრე 12 ურმით ქუთაისიდან ოდიშში გაგზავნა. ამასობაში ქუთაისს სპარსულ წითელ ხალათში გამოწყობილი ქართლის მეფე ვახტანგ V მოადგა. ვამეყ დადიანმა მას ქართლთან მომიჯნავე მიწები დაუთმო, თავისი გრძელცხვირა ასული ვახტანგის ძეს არჩილს შეჰპირდა ცოლად და ერთურთს მშვიდობიანად დაშორდნენ.

ვახტანგისა და ვამეყის დამოყვრება დიდხანს არ გაგრძელებულა: დადიანმა შეპირე-

ბული ასული იმერელ თავად ბეჟან დოდობერიძეს მისცა. ამით გაბრაზებულმა ვახტანგ V-მ მიიმხრო ზემო იმერეთის დიდებულები, დემეტრე გურიელი და 1661 წელს იმერეთში ჯარით შეიჭრა. ვამიყ დადიანმა ბრძოლა ვერ გაბედა და ოდიშში გაიქცა. ვახტანგი იქაც მიჰყვა. აქედან ვამეყი სვანეთში გაიქცა. ოდიშში ვახტანგმა მთავრად ლევან II დადიანის ძმიშვილი შამადავლე იოსების ძე დანიშნა... იმავე წელს ვახტანგის მითითებით ხოსია ლასხიშივილმა ვამიყ დადიანი მოკლა, იმერთა მეფედ კი ვახტანგმა თავისი 14 წლის ძე არჩილი გამოაცხადა” (გიორგი გაგლოევი, იმერეთის ისტორია (1465-1810), გორი, 2013).

ახლა ვნახოთ, თუ როგორაა ყოველივე ეს ასარკული ე.წ. „აბდულმესიანში“.

აქ ქვეგამხედვარი ფეოდალის ლიტერატურული პორტრეტი იძერწება 31-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე სტროფებში (იაკობ შემოქმედელი, ქება მეფისა არჩილისა, ანუ ე.წ. „აბდულმესიანი“, იხ. წიგნში – ივანე ლოლაშვილი, ძვე-

ლი ქართველი მეხოტბენი, I–II, თბილისი, 1957-1964).

მაშასადამე, დრამატული ეპიზოდი ჩატეულია ოთხ პოეტურ აბზაცში.

მამა-შვილს (ვახტანგ V შაჰნავაზსა და არჩილს) ურიცხვი რაზმი ჰყოლია, თანა ჰქონია მტერთა მომსპობი გორგასლიან-დავითიანი დროშა; ამ დროშის წინაშე ნებისმიერ „მებრძოლთა“ (ავაზაკ-მეკობრეთა) გუნდები გაცუდდება (სტროფი 31); უფრო საინტერესოა მომდევნო პოეტური აბზაცი: აქ ტოლად შერწყმულ სახელებად არიან წარმოდგენილი ქართველი ვამეყ III დადიანი და ირანელი **ვისი**: „ეხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარყო ამან ქვეყანით“.

ეგ **ვისი** არის იაკობ შემოქმედელის ამავე პოემაში სხვაგან ნახსენები „უკეთური თურის“ მონა, პირველი ვაზირი; ძმებმა სალიმმა და თურმა მოკლეს ძმა ერაჯი, ჩაიდინეს უმსგავსო საქციელი. ამიტომაც ამბობს იაკობი: „სალიმ და თური, ძლით უკეთური“. აი, სწორედ ამ ბოროტი თურის პირველი რაინდი და

მრჩეველია ვისი. სწორედ ამ ვისს ახსენებს იაკობ დუმბაძე „ართუ მეყვის“ პიროვნებად, ანუ არამოყვარულ, არასაყვარელ, არასათნო პიროვნებად, რაკილა ისიც ხელს უწყობდა თავის პატრონს ბოროტების აღსრულებაში, სწორედ ამ ვისის ბოროტი ბუნების თანაზიარია ქართველი ფეოდალი, დადიანი ვამეყი, რომელიც სავსებით სამართლიანად აღმოფხვრა, შემუსრა, მოსპო და გაანადგურა ქების ობიექტმა: „როს იავარყო ამან ქვეყანით“.

მართლაც, როგორცა ვნახეთ, ვახტანგ მეხუთემ და არჩილმა სიტყვისგამტეხი და მოღალატე ფეოდალი 1661 წელს მოაკვლევინეს.

იმავე სტროფში ნაჩვენებია, თუ რა დაემართა ორგულ ფეოდალს: „აღმოფხვრა სული – ძე და ასული: რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!“

ვამეყი და მისი ოჯახი ძირფესვიანად გაანადგურაო.

მომდევნო ტაეპში ნაჩვენებია, თუ როგორ ძიძგნის ფრინველ-მხეცი მოღალატის ლეშს:

„ვნახეთ ა სერი: მაზედა სერი – მხეცნი, ფრინველნი უწყლად მისევნით!” ბოლო ტაეპებში ნაჩვენებია, თუ როგორ მოექცა ქვეგამხედვარს ხელმწიფე „უწყალოდ”: „ექმნა უწყალოდ” და „ქმნა უძალოდ”.

მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება:

რაკი სამეგრელოს მთავარი ჩამოიშორა, ახლა ცენტრალური სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები შემოიმტკიცა, უწინარეს ყოვლისა კი – სამხედრო ნავსადგურები და ბოლაზები. მათ შორის უმთავრესი გახლდათ ე.წ. „რიონის ღიმანა” (რიონის ღიმონა).

უნდა განვმარტო: ღომენი, ღიმონა, ღიმენა – ეს ბერძნული ტერმინები მაშინ დღევანდელი თურქული ბოლაზის ნაცვლად იხმარებოდა. **ღიმონა** შავი ზღვის სანაპიროზე XVI-XVII საუკუნეებში არაერთგან შეგხვდებოდათ. „ევროპაში მოგზაურობის” ტექსტში სულხან-საბა ამ ტერმინს სულ ცოტა 15-ჯერ მაინც ახსენებს; დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე არსებობს დასახლებული პუნ-

ქტი, ტბის პირას მდებარე „კრასნი ლიმენი“. ეგ **ლიმენი** სხვა არაფერია, თუ არა ბოლაზი.

ლიმონა-ლიმენებით სავსეა მსოფლიო. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს ქალაქი **ლემანი**. იგი მდებარეობს მდინარე სართის ნაპირას; კოსტა-რიკაში არსებობს ქალაქი **პუერტო-ლიმონი**. გასაგებია, რომ პუერტო იგივეა, რაც პორტი (ბოლაზი). იმასვე ნიშნავს **ლიმონი**; საფრანგეთში მდინარე ვიენის ნაპირას მდებარეობს ქალაქი **ლიმოუი**; პოლონეთში, ქალაქ **ლიმანში**, ამას წინათ საბჭოთა ჯარისკაცების მემორიალი დაანგრიეს; არც ის უნდა იყოს უინტერესო, რომ წყლის პირებში გავრცელებული მცენარის ერთ სახეობას ეწოდება ლემნა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6, თბ., 1983). ამგვარი არაერთი ლიმენი-ლიმონა არსებობდა შავი ზღვის გამოღმა კიდეებზე, მათ შორის სამეგრელოშიც. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში რიონზე მოწყობილი ეგ **ლიმონა** ლევან დადიანს წაართვა საქართველოს მაშინდელმა მეფემ და ეს ფაქტი დაფიქსირებულია ბერი ეგნატაშვილის

„ქართლის ცხოვრებაში“ (ბერი ეგნატაშვილი, ახალი „ქართლის ცხოვრება“, წიგნში „ქართული მწერლობა“, 6, „ნაკადული“, თბ., 1989).

წინა საუკუნეში მომხდარი ეს ამბავი კარგად იცის იაკობ შემოქმედელმა და არჩილის მიერ რიონისკიდა ლიმონას ხელმეორედ აღების ფაქტს ასე გვაწვდის: არჩილმაო „თვით სულ იმონა კიდე ლიმონა, მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა“.

ამის შემდგომ საუბარია ორგულთა ალაგმვაზე: „ალაგმა მითა – ა ლაგამითა“. ამის შემდეგ ვამეყისაგან გაორგულებული მოყმენი დაშოშმინდნენო: „ვინ რისხვით უხმო, უტყე-იქმნეს, უხმო“.

ასე გაიმარჯვა არჩილმა და იგი ისე ანათებდა სხვათა წინაშე, როგორც მზე – ვარსკვლავებს შორისო:

**„ბნელ-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა,
ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა“.**

საქმე არც ამითი მთავრდება.

ამ ამბის ბოლო ტექსტი (34-ე სტროფი) ასეთ შინაარსს გულისხმობს: მტერს ჩვენი გმირი აბჯარ-ხმლით მეხივით დაეცა თავზე. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ ორგული ტომები (ერნი) თავიანთ სიბრმავეს. მე კი, ავტორი, ვადიდებ ომით გახელეუბლ ყმაწვილ ბრძენს, ოღონდ არა ხელს, რომელმაც საბოლოო ცოდნა შესძინა ურჩებსაო.

აი, თუ როგორ არის გამოხატული სახოტბო პოემაში ისტორიული ამბავი – ვახტანგ V შაჰნავაზისა და ვამეყ III დადიანის დაპირისპირება.

საგულისხმოა, რომ ცოტათი უფრო გვიან იმავე ამბავს სარკისებურად აირეკლავს არჩილის შედეგრი. „გაბაასებაში“ ყველაფერი ეს მოთხრობილია არა არჩილის, არამედ თეიმურაზ პირველის (პერსონაჟის) ენით. იგი თავის ამბავს გვიყვება და ზემოაღნიშნულ დაპირისპირებასაც წარმოგვიდგენს, რაკიდა თვითონვე შეიქმნა ამ ამბის თვითმხილველი და შემსწრე. ამბის იდეოლოგიურ-პოლიტიკური სარჩული იგივეა: ქვეგამხედვარი ფეოდა-

ლი მტყუნია; ქვეყნის გაერთიანებაზე მზრუნველი ბაგრატიონები – მართალნი. „გაბაასეობის” ჩვენთვის საინტერესო ქვეთავი ასეა დასათაურებული: „აქა ლევან დადიანის სიკვდილი და მეფის ალექსანდრესაგან ოდიშისა და გურიისა და აფხაზეთის დაჭერა”. შინაარსი ასეთია: გარდაიცვალა დადიანი; მეფემ დაიკავა მთელი დასავლეთ საქართველო; მათ შორის აფხაზეთ-სვანეთიც (1084-ე სტროფი); ვამეყი იყო დადიანის ბიძაშვილი, ოღონდ დადიანს ღირსებით ჩამორჩებოდა; ის ღირსი არ გახლდათ ბატონობისა; ოდიშს ჯეროვნად ვერ უვლიდა; ბანძასთან ომში ქართველთა მეფემ გაიმარჯვა და, რაკილა „დაეხოცა ორგულები და ზოგი კი დაეჩაგრა”, მთელი საქართველო დაიმორჩილა (1088); ეს ორგულები, როგორცა გვახსოვს, ე.წ. „აბდულმესიანშიცა” ჩანდნენ; მომდევნო (1089) სტროფში შაჰნავაზზეა საუბარი, რომელიც ყოფილა „კაცი მხნე, ზნეობიანი, სიფიცხით ვით ავაზობა; მამაცი, კარგი სარდალი, კარგად იცოდა რაზმთ წყობა”; ამასობა-

ში (სტროფი 1091) დასავლეთ საქართველოს მეფე გარდაიცვალა, თავადნი აღდგნენ, ალაღდნენ, დაიწყეს ურთიერთმიხდომა, ქვეყნის დასუსტება; ამ ვითარებაში (1092) ქართლის მეფე და ვამეყ დადიანი იმერეთის დასაშოშმინებლად აღდგნენ, ხელი ხელსა მისცეს, დააპირეს დამოყვრებაც, ტერიტორიები წესისამებრ გაიყვეს; მაგრამ ვამეყმა ავი ზნე გამოავლინა: „მო, ისიც გითხრა, ვამეყის საქმენი შეუგვანიცა“; აქ თეიმურაზი ასე მსჯელობს (1093): ამ დროს უპატრონო და მიუსაფარი ვიყავი, სკანდის ციხეში ვცხოვრობდი. „ვამეყთან როგორ მივიდე, პურს ვსჭამდე უხლმოს კაცისას?“ ამიტომაც ქართლის ბატონს მივენდეო; ამის შემდეგ თეიმურაზი მოგვითხრობს: შაჰნავაზმა თავაზიანად გამისტუმრა შაჰთან, რაკილა ეს ჩემი სურვილი იყო. მე კი ვაგრძელებ ვამეყის ამბავსო: „რაც ვამეყ ქნა, ვის უქნია, სხვას კაცს ასე საქმე ცუდი?! აეშალა ამ კარგს კაცსა (შაჰნავაზსაო – მ.თ.) ეშმაკის გულს დანაბუდი, მოყრობიდამ გაეყარა, ცუდი, ავად დანაყუდი“ (1097).

მაშ, ვამეყ დადიანმა პირობა დაარღვია, შაჰნავაზს პირი უტეხა, არჩილის საცოლე სხვას მისცა და ქართლის პატრონს გადაემტერა. თეიმურაზის აზრით, ამის გამო მას პასუხი უნდა ეგო და აკი ასეც მოხდა: შაჰნავაზი მიუხტა მას და შავი დღე დააყარაო:

„მიუხდა, ყველა წაართვა სამეფო, სადადიანო, გურია, აფხაზეთიცა...” (1099)

ამის შემდგომაც ლექსში ყველაფერი ისეა, როგორც სინამდვილეში მოხდა 1661 წელსვე:

**„შვილი მან მეფედ აკურთხა, მოყმე, ჯერ
ახალიანო,
ვამეყ და მისნი მიმდგომნი, უყურე, სად
დადიანო?!”**

ესე იგი, ვამეყი და მისი მიმდევრები ახლა უკვე საიქიოში დააბიჯებენო!

ამრიგად, როგორც ე.წ. „აბდულმესიანში”, ისე „გაბაასებაში” იხატება 1661 წელს მომხდარი სამწუხარო ამბავი, ვამეყ დადიანისა და შაჰნავაზის ურთიერთობის ცალკეული

შტრიხები. ვინც აღნიშნულ პასაჟებს ყურადღებით წაიკითხავს, მისთვის ნათელი გახდება: „ე.წ. „აბღულმესიანიცა“ და „გაბაასებაც“ 1661 წელს დატრიალებულ ამბებს ერთნაირი იდეოლოგიით განიხილავენ და დასკვნა ორივეგან ერთნაირია: ვამეყი არის არა მეყვისი, არა მოყვარე, არა მოყვასი, არამედ ორგული, ფიცის გამტეხი, მოღალატე, რომელმაც შესატყვისი რისხვა დაიტეხა თავს და სამართლიანად განადგურდა, იავარიქმნა; შაჰნავაზი და არჩილ მეფე მართალნი არიან; ძალიან საინტერესოა ორივე ტექსტის ერთი მითითება: ე.წ. „აბღულმესიანში“ არჩილი არის „მოყმე, მხნე, უხვი“ (26,2) და „ნერგი სვიანი, დავითიანი“ (51,1); იგი, ამავე დროს, ასეა წარმოსახული: „გვრიტთა მართვისა თვარ აქვს მართ ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?“ (62,1).

მაშასადამე, არჩილ მეფე სამგზის ნახსენებია, როგორც ახალგაზრდა კაცი, როგორც მოყმე, როგორც ნერგი სვიანი, როგორც გვრიტების (შაჰნავაზისა და მისი მეუღლის)

მართვე, ანუ ბარტყი, რომელიც დასაქორწინებელია და ვისაც აქვს მეუღლეობის წადილი.

ესე იგი, აქ მოცემულია ყველა ის ეპითეტი, რომლებიც არჩილ ბაგრატიონს 1661 წელს შეესატყვისებოდა.

ახლა ამ თვალსაზრისით გავსინჯოთ „გაბაასება“. აქაც არჩილი არის ახალგაზრდა, უცოლშვილო, ახალნერგი. შაჰნავაზის შესახებ თეიმურაზ I ბრძანებს:

„შილი მან მეფედ აკურთხა, მოყმე, ჯერ ახალიანი“.

როგორცა ვხედავთ, აქაც ხაზგასმულია ეპითეტები **მოყმე** და **ჯერ ახალიანი**.

(არჩილ ბაგრატიონი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, 6, „ნაკადული“, თბ., 1989).

ამრიგად, იაკობ შემოქმედელისა და არჩილ ბაგრატიონის პოემებში მკაფიოდ იხატება პორტრეტი 1661 წელს ჯერ კიდევ ნორჩი (14 წლის) ხელმწიფის არჩილ ბაგრატიონისა.

ვახუშტი ღაღიანი და მისი ოჯახი ე.წ.

„აბდულმესიანსა“

და ფეშანგის „შაჰნავაზიანში“

უკვე ვნახეთ, რომ ე.წ. „აბდულმესიანი“ და არჩილ მეფის „გაბაასება“ აირეკლავს 1661 წელს დასავლეთ საქართველოში მომხდარ ამბებს; იგივე ხდება „გაბაასებაზე“ გაცილებით ადრე შეთხზულ „შაჰნავაზიანში“. თუ არჩილის შედეგრი 1681-1682 წლებშია შექმნილი, ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ „შაჰნავაზიანი“ დაწერა 1664 წელს.

მაშასადამე, ფეშანგის პოემა ე.წ. „აბდულმესიანის“, ანუ იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქების“ (1661), შეთხზვისთანავე არის დასრულებული.

ბუნებრივია, იგი 1661 წელს მომხდარ ამბებსაც აღწერს და აღწერს უფრო ვრცლად და დაწვრილებით, ვიდრე – იაკობის ხოტბა და არჩილის შედეგრი.

იდეოლოგია აქაც იგივეა: ვახტანგ V შაჰნავაზი არის საქართველოს გამაერთიანე-

ბელი, გმირი მეფე და თვითმპყრობელი: „მაცნი და გულოანი“ – იგი გმირთა დასადარი; მათსა ხმალსაც ვერ დაუდგამს, კლდეცა იყოს მეტად სალი“; „მეუნებლე მოამდაბლა, მტერნი მისცა ღია სრასა“ (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბილისი, 1935); „მეფე შაჰნავაზ ყაენსა მიაჩანს ძმად და ძმობილად“ (იქვე, გვ. 40); ის არის უხვი, მდიდარი, პატიოსანი და სამართლიანი, სიტყვის კაცი.

სამუქვოდ, სულ სხვაგვარია მისი მოპირისპირე და ქვეგამხედვარი ფეოდალი ვამეყ III დადიანი. როგორც ე.წ. „აბდულმესიანსა“ და არჩილის პოემაში, ისე აქაც მითითებულია ვამეყის ეს უკუღმართი თვისებები:

**ვამეყ დადიანს მოესმა
ლაშქრობა დიდთა მეფეთა;
მოწყენა შექმნა ასეთი,
თუ სთქვა, ლახუართა ეფეთა (იქვე, გვ. 55).**

ფეოდალმა ჯერ პირი შეკრა ვახტანგ მეხუთესთან და აგრე გაურიგდა:

**ჩვენ გავიყოთ საპატრონო,
რადგან ასე ცუდად ძესა;
პირი დავსდუათ მოყურობისა,
ქალი მოვსცა მაგა ძესა (იქვე, გვ. 56).**

მაშასადამე, მიწები გაინაწილეს და დადიანმა თავისი გრძელცხვირა და არცთუ სასიამოვნო შესახედაობის ასული არჩილ მეფის საცოლედ გამოაცხადა. პოემაში მერე ასე წერია:

**მოყურობა შექმნა ლომგულმა, ვინ-ა
შუქ-დაუფარავი (იქვე, გვ. 57).**

ლომგულმა შაჰნავაზმა დადიანის მოყვრობაზე თანხმობა განაცხადაო, მაგრამ მორიელი მორიელობას არ მოიშლის, ძაღლის კუდი არ გასწორდება.

**დადიანი შემოვიდა, გულსა ჰქონდა სხვა დარიგი,
აქუს სიმრუდე, თქმა და რჩევა... (იქვე, გვ. 62).**

მაღე ფეოდალმა ღვთივგვირგვინოსანს პირი შეუშალა, სიტყვა გაუტეხა, უღალატა:

ხანი გამოსხდა, არჩივეს მათ დიდთა ფიცთა
ტეხანი,
არ გაიმართვის კაცთაგან საქმის უკუღმა
გრეხანი (იქვე, გვ. 62).

ასე ხელყო მუხთაღმა დიდი მეფის
ღირსება და პატივი, მაგრამო

ვინ ხელყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვნებს
ისარებს (იქვე, გვ. 63).

ერთი სიტყვით, დიდ ხელმწიფესო

უჭკუოთა ქალი წაართვეს... (იქვე, გვ. 63).

ამის შემდეგ მოდის მთელი სტროფი, სა-
დაც გაშლილია მსჯელობა ვამეყის ვერაგო-
ბაზე:

ვამეყ გატეხა ზენარი, ფიცი, სიმტკიცე სრულია;
ვეზირი უჯდა რეგენი, ჭკვისაგან გარდასულია;
არჩივა ძნელი საქმარი, მით წაიწყმიდა სულია;
მან მოაოხრა ქვეყანა, მოჰგვარა აღსასრულია
(იქვე, გვ. 64).

რაც ამ სტროფშია ნათქვამი, ყველაფერი
ეს უფრო მოკლედ და სხარტად ასახულია
ქ.წ. „აბდულმესიანში“, რომელიც ამ თხზუ-

ლებასთან შედარებით 3-4 წლით ადრეა შეთხზული. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა 32-ე სტროფი:

ვხმობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო ამან ქვეყანით,
აღმოფხვრა სული - ძე და ასული;
რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!
ვნახეთ-ა სერი: მაზედა სერი -
მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისეენით!
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით (5).

პოემაში დაწვრილებით არის აღწერილი ის, რაც ნათქვამია ხოტბაში: ვამეყი შაჰნავაზმა და არჩილმა იავარყვეს, ამა ქვეყნის სიამეს გამოასალმეს, მისი ოჯახი გაანადგურეს და მის მძორზე მხეცები და ფრინველები ახეირესო; პროვინციის მეფედ ამაღლებული უძალო ყვეს და გლახაკს, ძონძებით მოსილს, დაამსგავსესო.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ერთი რამეა: ხოტბაში გაკვრით არის ნახსენები

ვამეყის ოჯახის ორი წევრი - დადიანის ძე და ასული:

ადმოფხვრა სული - ძე და ასული.

ფეშანგის პოემიდან ირკვევა, რომ ვამეყ III დადიანს ჰყოლია ცოლი და ორი შვილი - **ძე და ასული**. აი, როგორაა ეს გადმოცემული: ვახტანგ მეხუთე ბრძანებს: „ვამეყს არ დავარჩენ, თუღა მახსოვს მისგან ქმნული!“ (იქვე, გვ. 72). დამნაშავე სვანეთში გადაიხვეწა: „ვამეყ მთხრელმა ქვეყნისამან გუარი ასრე მოაყივნა“ (იქვე, გვ. 82). მოღალატე არც სვანეთში დაინდეს, მოკლეს და ეს სასიხარულო ამბავი ხელმწიფე შაჰნავაზს ახარეს:

**თქუა: „მოკლესო დადიანი, სუანეთს იყო იგ
მაშინა;**

**ვამეყ წახდა ფიცთა ტეხით, ღვთისგან აროს
შეეშინა,**

ოხრად დაურჩა სამყოფი, უანგარიშო რა მაღი...

აწ ნახეთ მისად სანაცვლოდ ვით ჰპოა

აღსასრულები (გვ. 86).

ყოველივე ეს, როგორც ითქვა, მოკლედ აღწერილია ხოტბის 32-ე სტროფში, მაგრამ საგულისხმოა, რომ პოემაში ამის შემდგომ გამოჩნდება ვამეყის „ძე და ასული“. ხოტბაში რომ ასე მოკლედ წერია „ძე და ასული“, აქ, პოემაში, ეს ამბავი გაშლილია - ვამეყის ცოლი, ძე და ასული მიჰგვარესო შაჰნავაზს:

შუილი მიჰგუარეს შაჰნავაზს, ვამეყთან

გაყოლილია,

შიშს დაებნადა ყმაწვილი, არსად მოსულოდა

ძილია;

გაოხრდა მათი ქონება, სამყოფთათ

გარდავლილია;

დედოფალი და ასული, თან მოჰყავ ვაჟიშვილია

(იქვე, გვ. 86).

სამივე მათგანი – ვამეყის ცოლი, ძე და ასული – შაჰნავაზმა თბილისში გაგზავნა, თავის მეუღლესთან.

მარიამ დედოფალმა მიიღო ტყვეები. ფეშანგი გვიმხელს ვამეყ დადიანის ცოლის სახელსაც – ელენე რქმევია.

ელენემ ნახა სამეფო, იმა დედოფალ ყოფილმან
(იქვე, გვ. 95).

ამრიგად, მივაგენით იმას, რასაც ვეძებ-
დით:

ე.წ. „აბღულმესიანში“, ანუ იაკობ ღუმბა-
ძის „არჩილ მეფის ქებაში“, გაკვრით რომაა
ნახსენები – „აღმოფხვრა სული - ძე და ასუ-
ლი“, ეს ძე და ასული ფართოდ ჩანს ფეშან-
გის პოემაში. ისინი ვამეყ III დადიანისა და
დედოფალ ელენეს შვილები არიან.

მაშასადამე, ფეშანგის პოემა შეიძლება
წარმოვიდგინოთ გაშლილ კომენტარად ხოტ-
ბის 32-ე სტროფისა, სადაც ძალიან ზოგადად
არის მინიშნებული ვამეყის, როგორც ბორო-
ტი ირანელი ვისის მსგავსის, საქმენი „საგმი-
რონია“ და მერე აღწერილია მისი ვისისა-
მებრ ავი აღსასრული: ამან (არჩილმა) იგი
და მისი ოჯახი იავარყო; აღმოფხვრა სული -
ძე და ასული. ესე იგი, თავიანთ სამკვიდროს
მოსწყვიტა და გადაასახლა, ტყვედ ჩაიგდო
ხელში ვამეყის ვაჟი და ასული, ასევე, მისი
ცოლი ელენე. ხოტბის მიხედვით, „რაც უყო,

თქმევად ვის ძალ-უც ენით!“ ისე საშინელ დღეში ჩააგდო, ენაც ვერ გამოთქვამსო; მის მძორს მსეცები და ფრინველები ძიძგნიანო; ოჯახის დანარჩენი წევრები კი „ქმნა უძალოდ“, სამეფო ტანსაცმლის ნაცვლად ძაძებში გამოახვიაო.

ამ ორ ნაწარმოებს შორის იძებნება სხვა პარალელებიც, ოღონდ უმთავრესია შემდეგი: ხოტბაში ნახსენებია ვამეყი, ირანელი ვისის მსგავსი ვერაგი პიროვნება, და მისი ორი შვილი - ძე და ასული.

ეს ამბავიც იმას დასტურყოფს, რომ ე.წ. „აბდულმესიანი“ გახლავთ არა მეთორმეტე საუკუნის მგოსნის შავთელის, არამედ მეჩვიდმეტე ასწლეულის მოღვაწის იაკობ დუმბაძის ნაშრომი და მისი ნამდვილი სახელია „ქება მეფისა არჩილისა“.

არცთუ მეყვისი ვამეყ-ვისი

და მათი საიღუმლო

(წერილი პირველი)

ე.წ. „აბდულმესიანში“, რომელიც იოანე შავთელის აწ დაკარგულ „აბდულმესიად“ მი-
აჩნიათ, ხოლო სინამდვილეში გახლავთ ია-
კობ მიტროპოლიტ-შემოქმედელის „ქება მე-
ფისა არჩილისა“ და ეძღვნება იმერეთის ტახ-
ტზე 1661 წელს დასმულ 14 წლის ჭაბუკ არ-
ჩილ ვახტანგის ძე ბაგრატიონს, დღემდე ბუნ-
დოვან კონტექსტში, ნახსენებია „ართუ მეყვი-
სი ვამეყ-ვისი“, რომელიც თურმე ამან (შაჰნა-
ვაზმა, ვახტანგ მეხუთემ) აღგავა პირისაგან
მიწისა.

ვამეყ-ვისის საკითხი ერთ-ერთი ცენტრა-
ლური საიღუმლოა ლიტერატურულ-სამეცნიე-
რო ჭეშმარიტების ძიების გზაზე.

ე.წ. „აბდულმესიანის“, ანუ იაკობ შემოქ-
მედელის „არჩილ მეფის ქების“, 32-ე სტროფ-
ში გადმოცემულია 1661 წელს იმერეთში
დატრიალებული პოლიტიკური ამბები, კერ-

ძოდ: ვამეყ III დადიანმა (ვამეყ გიორგის ძე ლიპარტიანმა) 1657 წელს ხელთ იგდო დადიანობა (სოსელია ო, ნარკვევები, თბ., 1973, გვ. 312). მან, ოდიშის გარდა, იმერეთ-რაჭის არაერთი ტერიტორიაც მიითვისა. არეული ვითარებისა და აღელვებული ხალხის დასაშოშმინებლად იმერეთში გადავიდა ვახტანგ V შაჰნავაზი (შაჰნავაზი ზედმეტსახელია და „შაჰის მოყვასსა“ ნიშნავს). საქმე ომამდე აღარ მისულა: ვამეყ დადიანმა და ვახტანგ ბაგრატიონმა მიწები გაიყვეს და დაზავდნენ. კიდევ მეტი - დადიანმა შაჰნავაზს სარძლოდ შესთავაზა თავისი გრძელცხვირა ასული. ეს პოლიტიკური დანათესავება მისაღებად მიიჩნია ქართლის პატრონმა. იგი თავის 14 წლის პირმშო არჩილს იმერეთის მეფედ და დადიანის სიძედ ამზადებდა. ამასობაში მოხდა ერთ აუწერელი და გაუგონარი პირის გატეხა: ვამეყ დადიანმა ვაზირის რჩევას დაუჯერა და ქალიშვილი თავის ერთ-ერთ ქვეშევრდომს (ყულის) ბეჟან ღოღობერიძეს მიათხო-

ვა (დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 162).

ამ გაუგონარმა ორპირობამ მთელი ქართლი და დასავლეთი საქართველო ააღაპარა. ამ საშინელ უპირობაზე მსჯელობენ იმ ხანებში დაწერილ თითქმის ყველა ნაწარმოებში. ესენია: ე.წ. „აბდულმესიანი“, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“ – 31-34 სტროფები; „შაჰნავაზიანი“ (იხ. მთელი თავები); „არჩილიანი“; „დიდმოურავიანი“. პირველი დაიწერა 1661, მეორე - 1664, მესამე - 1681, მეოთხე - 1680-იან წლებში; ეს საშინელი დალატი აღწერეს ვახუშტიმ „ქართლის ცხოვრებაში“, ნიკო დადიანმა, ო. სოსელიამ, გ.გაგლოევმა... საზარელი ფაქტი დაგმეს: თეიმურაზ პირველმა, ვახტანგ მეხუთემ, ი. შემოქმედელმა, ფ. ფაშვიბერტყაძემ, არჩილმა, ი. ტფილელმა...

რა მოიმოქმედა შერცხვენილმა ვახტანგ მეხუთემ?

ქართულ-სპარსული ჯარით მიაღვა ქუთაისს; აიღო ქალაქი, მოაკვლევინა ბეჟან დოღობერიძე (ნ. დადიანი, 162); შეიპყრო

ცოლ-შვილი დადიანისა (დედა და ქალიშვილი, ვაჟი მამას გაჰყვა სვანეთში); ფეოდალ ხოსია ლასხიშვილს დაავალა და სვანეთში სიცოცხლეს გამოასალმეს ვამეყი (ნ.დადიანი, 162); ხელში ჩაიგდო ვამეყის მეუღლე ელენე და მისი ქალ-ვაჟი; ტყვე სამეული თბილისში თავის მეუღლესთან გაგზავნა.

ერთი სიტყვით, მოსპო, მიწასთან გაასწორა პროვინციის მეფე და მთელი მისი ოჯახი. ყველაფერი ეს მოკლედ, ზოგჯერ თითო სიტყვითაც კი, ასახულია ხოტბაში, ე.წ. „აბღულმესიანში“, ანუ „არჩილ მეფის ქებაში“. ამ მხრივ საგანგებოდ გამოვყოფთ 32-ე სტროფს. აქ არის ასეთი ტაეპები: **იავარყო ამან** (შაჰნავაზმა) ქვეყანით (მიწისაგან პირისა გაანადგურა, იავარყო); **აღმოფხვრა სული – ძე და ასული** (პირდაპირაა მითითებული, რომ ხელთ ჩაიგდო ვამეყის ძე და ასული); **„რაც უყო თქმევად ვის ძალ-უც ენით!“** (ენით ვერ გადმოიცემა, რაც უყო ვამეყ დადიანის ოჯახსაო); **„ენახეთ ა სერი: მაზედა სერი – მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისევ-**

ნით!“ (ვამეყის გვამზე, მძორზე სერობდნენ მხეცები, ფრინველებიო); „ექმნა უწყალოდ“ (უწყალოდ მოექცა შაჰნავაზი დადიანსო); „თვით ქმნა უძალოდ მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით“ (პროვინციის მეფე ვამეყი, რომელიც თავის ტიტულატურაში თავს მეფეთა მეფედაც კი აცხადებდა, გახდა უძალოდ. ყოფილი მეფე, მდიდრულად ჩაცმული, გლახაკივით ძონძებში გამოახვიაო).

ხოტბაში რომ ორი-სამი სიტყვით არის ნათქვამი, ყველაფერი ეს ფართოდ, გაშლილად არის გამოსატული ფეშანგის „შაჰნავაზიანში“ (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1935). საქმე ისაა, რომ ხოტბა შეკუმშულია, ლირიკული ქმნილებაა, ხოლო ფეშანგის ეპიკურ პოემას მეტი შესაძლებლობა აქვს, ყოველივე ეს ფართოდ ასახოს. მართლაც, ქების ეგ ერთი სტროფი ფეშანგისთან სამ-ოთხ თავად არის წარმოდგენილი.

ვიტყვი მეტსაც: ფეშანგის პოემა ერთგვარი გაშლილი კომენტარია ხოტბის 31, 32, 33,

34 სტროფებისა და ეგ ამბავი ჩვენს მეცნიერებაში არავის შეუმჩნევია.

მომყავს ფემანგის ცალკეული ტაეპები:

„ვინ ხელჰყოს დიდთა ძაგება,
ის მოიპოვნებს ისარებს“ (357, 4);
„თუ არ შმაგმა, ყულზე მეფე
ვინ გასცვალა შენაყმობი?“ (358, 4);
„უჭკუოთა ქალი წაართვეს,
რა იყო დასახიდარი“ (359, 4);
„სასძლო თქვენი გაათხოვა,
ყულსა მისცა დასანთქმარი“ (360, 3);
„დედოფლობა დაუკარგა,
ასულს შერთო ეზომ ქმარი“ (360, 4);
„ვამეყ გატეხა ზენარი,
ფიცი, სიმტკიცე სრულია“ (361,1);
„არჩივა ძნელი საქმარი,
მით წაიწყმიდა სულია;
მან მოაოხრა ქვეყანა,
მოჰგვარა აღსასრულია“ (361, 3-4);
„ვამეყსა მოფჰკლავ, გარდანდეს
რეგენულად მისგან ქნილობა“ (362, 4);
„ვამეყ მიმუხთლა რეგენულად,
არჩია ჩემი მტერობა“ (368,1);
„ფიცა: „ვამეყს არ დავარჩინ,
თულა მახსოვს მისგან ქმნული“ (423,4);

„ბბანა: „ვამეყ დამიჭირეთ,
მისი მინდა გარჯა, ნებით!“ (424,3);
„დედოფალი ხელთა ჰყავსო,
მასთან არი ქალიშვილი“ (453,4).

ვამეყის ცოლი ელენე საკუთარი პირით
აღიარებს:

„მომეგვლინა ზეგარდამო რისხვა
მისი შვიდი თუ რვა;
ტახტ-გვირგვინსა მამაშორვა,
ასრე საკუდად მიმაწურვა;
ღმერთსა ვუნდი დასამხოვლად...“ (455, 3-4);
„ვამეყ მოხრელმა ქეყენისამან
გუარი ასრე მოაყენა“ (482,3);
„ვამეყ წახდა ფიცთა ტენით,
ღვთისგან აროს შეეშინა“ (502,4);
„ოხრად დაურჩა სამყოფი,
უნგარიშო რა მალი“ (503,1);
„აწ ნახეთ მისად სანაცვლოდ
ვით ჰპოა აღსასრულები“ (504,4);
„არ დაინდო საწუთრომა,
რისხვა მაზე მოაყენა,
მან შეიზღო მისად მსგავსად,
რადგან ფიცი არ აყენა“ (505, 1-2);
„შვილი მოჰგვარეს მეფესა,

ვამეყთან გაყოლილია,
შიშს დაებნიდა ყმაწვილი,
არსად მოსვლოდა ძილია.
გაოხრდა მათი ქონება,
სამყოფთად გარდავლილია.
დედოფალი და ასული
თან მოჰყავ ვაჟიშვილია“ (506).
„შემცოდე მოკლა, წაართვა
საჭურჭლე მუნ ცოლ-შვილებით,
ვინ ხელყო ავსა საქმესა,
შეიქმნა გარდაშლილობით“ (510, 3-4);
„ელენემ ნახა სამეფო
იმა დედოფალ-ყოფილმან;
მან გაიხსენა დიდება,
სიცოცხლე გარდაყოფილმან,
შექმნა ზრუნვა და ტირილი,
ძაძასა ხელგაყოფილმან“ (561, 1-3);
„ადარ უჩნდა სამკაული,
შავი ეღვა თავსა რიდე“ (564, 2).

ირანის შაჰი შაჰნავაზს (ვახტანგ მეხუთეს) ასე სწერდა:

„ვამეყ მოგიკლავს მესისხლე,
ვინ იყო ფიცთა ტენითა,
ვით გამართავდა რეგუენი

საქმეს უკუღმა გრეხითა?
ღმერთი გმო, ნაცვლად მიეცა,
წახდა განგების მეხითა“ (604, 1-3);
„წაგირთმეგია ცოლ-შვილი,
მათი მორჯმა და დიდება“ (605, 1).

ხოტბაში ნახსენებია კოლორიტული სიტყვა-თქმა, ვეფხისტყაოსნისეული „სისხლთა მჩქეფეთა“. ფეშანგიც იყენებს ამ თქმას (101, 3) და, რაც ამჟამად ჩემთვის ერთობ საგულისხმოა, ნახმარია ხოტბისეული სიტყვა **მეყვისი**: „გიაჯები, მამეხმარო, ძმა შემექმნა ან მეყვისი“ (436, 2).

მაშ, **მეყვისი** ფეშანგის პოემაშიცაა და ნიშნავს: მეგობარს, ძმასა და ახლობელს, მოყვარეს, მოყვასს, თვისს.

ახლა კი გადავიდეთ „ართუ მეყვისი ვამეყვისის“ საიდუმლოს გახსნაზე.

ამ საიდუმლოს გახსნაშიც ფეშანგის თხზულება დაგვეხმარება.

საძიებელი ტაეპები ხოტბაში ასე გამოიყურება:

„ვენობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო ამან ქვეყანით.

ფეშანგის პოემიდან მკაფიოდ ჩანს: ვამეყ
III დადიანი და მისი ოჯახი მოსპო, იავარყო,
გაანადგურა, მიწის პირისაგან აღგავა შაჰნა-
ვაზმა. მაშ, მეორე ტაეპი გასაგებია!

„ართუ მეყვისი“ ნიშნავს არაამხანაგს,
არამოყვარეს, არანათესავს. ესე იგი, უარყო-
ფითი, ნეგატიური ეპითეტია ვამეყვისისა. ვა-
მეყი რომ იმსახურებს ამ ეპითეტს, გასაგებია,
ოღონდ რას ან ვის წარმოადგენს **ვისი**?

ვისის გაგონებისას ქართველ კაცს ეგრე-
ვე წამოაგონდება სამიჯნურო რომანი სარ-
გის თმოგველისა „ვისრამიანი“, სადაც ლა-
მაზმანი ვისი მამაკაცებს აგიჟებს, ახელებს.

ამიტომაც თუ იყო, რომ ამ „მიზიდულო-
ბას“ თავი ვერ დააღწია თვით ივანე ლო-
ლაშვილმაც და თავის კომენტარებში მიუთი-
თა: „ვის - ი (32.1) ვისრამიანის ერთ-ერთი
მთავარი გმირი, რამინის მიჯნური“ (შემოქმე-
დელი იაკობ, პოეტურ თხზულებათა სრული

კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია, თბ., 2014, გვ. 283).

გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კონტექსტში ყოველად უბადრუკია **ვისის** (ქალის) ხსენება. პროფ. ბორის დარჩია წერდა: „უფრო მისაღებია მურმან თავდიშვილის შეხედულება: „ეგ **ვისიც** „შაჰ-ნამეს“ მამაკაცი პერსონაჟია. ეგ სწორედ ის ვისი გახლავთ, რომელიც უკეთური თურის ფალავანი და ვაზირია. თური კიდევ იმად არის „უკეთური“, რომ საკუთარი ძმა მოკლა ქონების გულისათვის, მიწის გამო. მისი სარდალი ვისი კიდევ ორმაგად უკეთურია, რადგან მის პატრონ თურთან ერთად ხელი გამოიღო ცხებული მეფის ირეჯის წინააღმდეგ. ამგვარი პირი არჩილ მეფის მიმართ ვერ იქნება „მეყვისი“ ისე, როგორც არჩილი ვერ შეეგუება უკეთურების ხელისშემწყობსა და დამცველს, სამფლობელო მიწისათვის ომის ამტეხსა და მოძალადეს, ცხებულ ირეჯ შაჰის წინააღმდეგ ამბოხებულს“ (დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, გვ. 93) (იქვე, გვ. 283).

მაშ, ასე:

კომპოზიტი **ვამეყ-ვისი** გულისხმობს, ერთი მხრივ, ქართველ თავადს, პროვინციის მეფე ვამეყ დადიანს, რომელმაც უღალატა ღვთით ცხებულ ბაგრატიონს, ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზს; მეორე მხრივ, „შაჰნამეს“ უარყოფითი პერსონაჟის, ვამეყივით მოღალატე **უკეთური თურის ვაზირს, მრჩეველს, მამაკაცს, სარდალსა და მეომარს**, რომელსაც ჰქვია ვისი.

მაშასადამე, ხოტბაში გაკიცხულია **ვამეყი** და **მისი მრჩეველი**, რომელიც განზოგადებული სახელით - **ვისი** - გამოხატა იაკობ შემოქმედელმა, „შაჰ-ნამეს“ ბრწყინვალე მცოდნემ.

ახლა ვნახოთ, როგორც **ვამეყსა და მის იავარქმნილ ოჯახზე** მოგვცა უტყუარი ცნობები ფეშანგის პოემამ, ისევე ხომ არ გაგვარკვევინებს **ვისის** საიდუმლოსაც.

ღიას, გაგვარკვევინებს, რამეთუ ფეშანგი ფართოდ და დაუჩინებით საუბრობს იმაზე, რაზეც 1660-იანი წლებში საუბრობდნენ

მთელ საქართველოში. საქმე ისაა, რომ საშინელ პირისგატეხასა და ვერაგობაში მაშინ ბრალსა სდებდნენ არა მარტო **ვამეყ დადიანს**, არამედ მის მრჩეველსაც, ვაზირსაც, ანუ ქართველ **ვისისაც**.

ვინ იყო ეგ ქართველი **ვისი**?

ფეშანგის „შაჰნავაზიანში“ არაერთხელ არის გაკიცხული დადიანის **ავი მრჩეველი, ქართველი ვისი**. ერთგან წერია: ვამეყი დადიანობის უღირსია, არ შეშვენის მას პატრონობა, შეუფერებელი მალე წაიხდენს თავსო. სტროფის ბოლო ტაეპი კი ასეთია:

„არც ვეზირი უვარგია, ყოფილანო კაცი რანი“ (353, 4).

ამრიგად, პირველი საგანგაშო ზარი დარისხებუღია, ვამეყს ვაზირი (ვისი) არ უვარგა.

ამ მხრივ უფრო საინტერესოა 361-ე სტროფი:

**„ვამეყ გატეხა ზენარი,
ფიცი, სიმტკიცე სრულია;
ვეზირი უჯღა რეგენი,**

ჭკვისაგან გარდასულია;
არჩივა ძნელი საქმარი,
მით წაიწყმიდა სულია;
მან მოაოხრა ქვეყანა,
მოჰგვარა აღსასრულია“.

ვხედავთ: ვამეყისა და მისი ოჯახის, ასევე სამთავროს უბედურების წყაროდ დასახელებულია **მრჩეველის** უვარგისობა, ის, რომ ქართველი ვისი ვერ გამოდგა გონიერი.

როცა შაჰნავაზი ძლიერი ჯარით მიადგა, მაშინდა მოვიდა გონს დადიანი, ოღონდ ბრალი მანაც ვაზირს აჰკიდა, თქვა:

„იტყვის: „გავსტეხე ზენარი,
ვინ იყო ჩემად მრჩევაჲად,
ოსრად დამრჩების საჭურჭლე,
რაც მქონდა დასადებაჲად“ (384, 3-4).

ვხედავთ: საგანგებო ყურადღება ექცევა **მრჩეველის, ვეზირის** ვინაობას, რაობას. როდესაც შაჰნავაზმა ახალ დადიანად ლევანი დასვა, მას მიუჩინა კარგი, გამოცდილი მრჩეველი, ჭკვიანი ვისი:

„ლევანს უჩინეს ვეზირად
იგ დეისმამა ჟოლია —
იცის რიგი და გაგება,
არ ცუდად განარბოლია;
საქმისა კარგად შემტყობი,
არ სიტყვა განასროლია“ (488, 1-3).

ახლა ისტორიასაც ჩავხედოთ: „1661 წლიდან ოდიშის სამთავროს ვეზირი იყო **დე-ისმამა ჟოლია**“ (ხორავა ბეჟან, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, 2001, გვ. 9).

ამრიგად, მეორე კომპონენტი კომპოზიტი-სა ვამეყ-ვისი გულისხმობს ვაზირს, მრჩეველს.

ახლა ის არის საინტერესო, ვინ ასრულებდა ვისის, ანუ მრჩეველის, როლს ვამეყის კარზე?

ფეშანგი ამის პასუხსაც არ გვამაძღის.

ვამეყ დადიანის მრჩეველი ყოფილა ბერი ცაგერელი, ეპისკოპოსი. ო. სოსელია მიუთითებს, რომ იმხანად **ცაგერელობა** ნიშნავდა **ეპისკოპოსობას** (სოსელია ო., დას. ნაშრომი, გვ. 315).

კიდევ მეტი: ცაგერელი იყო ეპისკოპოსიც, ვაზირიცა და სარდალიც. ასე ხდებოდა ოდიშში მოგვიანებითაც (ხორავა, გვ. 10).

ვახტანგ მეხუთის წინააღმდეგ ლაშქრის შეყრის თაობაზე ვამეყი სწორედ ცაგერელს ეთათბირება:

„თქვა: „ლაშქარი შევიყართ!“ –
ცაგერელსა ეუბნების“ (383, 1).

ბერი ცაგერელი რომ ვაზირი ყოფილა, ჩანს 386-ე სტროფშიც. აქ ვამეყი პირდაპირ ეუბნება მას: ვეზირი ხარ და ჭკუა და სიდიინჯე გმართებსო:

„ცაგერელს უთხრა: „შიდეგ
სისხლი მეფეთა ძნელია;
თქმულა: ვეზირის სიწყნარე
არ ეგრე უჭკო ხელია,
შენებრ ცქაფი და უშუერი
მიწყი ავისა მქნელია“ (386, 1-3).

აქ საჭიროა შევიხსენოთ „შაჰ-ნამეს“ ვისი: ის გახლდათ უკეთური თურის (ხელმწიფის) მრჩეველიცა და სარდალიც! ეტყობა, ებ

სპარსული წესი ზედმიწევნით სრულდებოდა მე-17 ასწლეულის სამოციანი წლების საქართველოშიც.

ბერი მიხვდა, რა სისულელეც მოუვიდა. ფეშანგი აღწერს მის ფიქრებსა და განცდებს:

„ბერს დაება ენა გრძელი,
ველარ იყო მისებურად...
თქვა: „შევსცოდე შარიერსა,
მით შეიქმნა ჩემზე მღურვად“ (388, 14).

ენაგრძელობას იმად აბრალებს ავტორი, რომ ავი რჩევა მისცა დადიანს. ამით ისიც დაღუპა და თავიც დაიღუპა.

შაჰნავაზს შეპყრობილი ეპისკოპოსი მიჰგვარეს. **ქართველი ვისი** მორჩილად იდგა ბაგრატიონის წინაშე. ხელმწიფემ მას ბრალი წაუყენა:

„მოიყვანეს ხელშეკრული
ცაგერელი მეფის წინა;
უთხრა: „ბერო, შენგან არი,
რაზომ კაცი მოიყვანა!“ (414, 1-2).

ეპისკოპოსი ცდილობდა თავის დაძვრე-
ნას:

„თავს მართლობდა იგი ბერი,
უარობდა მისგან ქმნილსა;
თქვა: „არ ვიცი ეგე საქმე,
გუნებაში განავლილსა;
მონღღმეს, მათის ნებით,
ქალი მისცეს იმ საგზილსა;
ნურას მკითხავთ, არა ვიცი,
ადრიდგანვე გამოყრილსა!“ (461, 1-4).

მე არაფერი მირჩევია, გუნებაშიც კი არ
გამივლია ეგ საქმე. ვამეყმა და მისმა ცოლმა
თვითონ გადაწყვიტეს, ქალიშვილი იმ თავა-
დისთვის მიეცათ. მე მათი სამსახურიდან ად-
რევე გამომავდესო.

ახლა იმაზე ვისაუბროთ, თუ კონკრეტუ-
ლად ვინ იყო 1661 წლის უბედურების უამს
დადიანის ვაზირი, მრჩეველი, ვისი?

ისტორიკოსი გვამცნევს: „XVII ს. 60-იან წლებში ოდიშში დაწინაურდა ლეჩხუმელი აზნაურების - ჩიქვანების ოჯახი. ამ ოჯახის წარმომადგენელი ერთი ძმა - გაბრიელი... ცაგერის ეპარქიას განაგებდა“ (იქვე, გვ. 3).

კიდევ მეტი:

„თავისი ჭკუითა და მოხერხებულობით გაბრიელ ცაგერელმა იმას მიაღწია, რომ ოდიშის მთავრის ვამეყ III დადიანის (1657-1661) უპირველესი მრჩეველი - ვეზირი გახდა“ (იქვე, გვ. 6).

აი, სწორედ ეგ კაცია ფეშანგის მიერ დახატული **ბერი ცაგერელი**. „ქართლის მეფემ 1661 წელს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისას ქუთაისის ციხეში ტყვედ ჩაიგდო გაბრიელ ცაგერელი და შულავერში გადაასახლა“ (იქვე, გვ. 7).

ეგ ამბავი „შაჰნავაზიანშიც“ არის მითითებული (იხ. სტროფი 417).

ქართველი ვისი მთელი სისრულით არის დახატული ეპიკურ პოემაში, რაც ხელს გვიწყობს გავხსნათ ხოტბის **არმეყვის ვამეყ-**

ვისის საიდუმლო: საძიებელ ტაეპში იგულის-
ხმება ვამეყ III დადიანი და მისი მრჩეველი,
ვაზირი – ბერი ცაგერელი, ეპისკოპოსი, იგი-
ვე გაბრიელ ჩიქვანი.

ართუ მეყვისი ვამეყ-ვისის საიდუმლო
გახსნილია.

„არცთუ მეფვისი ვამეფ-ვისი“ და მათი საიღუმლო

(წერილი მეორე)

ე.წ. „აბდულმესიანის“, სინამდვილეში კი „არჩილ მეფის ქების“, 32-ე სტროფის შესახებ ჩვენ განვაავითარეთ ტრადიციული (პროფ. ივანე ლოლაშვილი) და ამ აღმოჩენის ინიციატორის (პროფ. ბორის დარჩიას) რეკოლუციური მოსაზრებებისაგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი. პროფ. ი. ლოლაშვილი და მეცნიერთა ძველი ბრიგადა ზემომითითებულ სტროფში უცხოურ ეგზოტიკურ რეალებსა ხედავდა; პროფ. ბ. დარჩია ამ სადავო სტროფში მხოლოდ მეორე ტაეპის სწორ ინტერპრეტაციას იძლეოდა და იზიარებდა ჩვენს ტექსტოლოგიურ შესწორებას (იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, თბ., 2014, გვ. 133), ოღონდ ამაზე შორს ვეღარ მიდიოდა.

ჩემი აზრით, მითითებულ სტროფში ჩასა-
იდუმლოებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერ-
თი ფრიად უამური ამბავი.

უწინარეს ყოვლისა, მოვიყვანოთ საძიებე-
ლი სტროფის პირველი ორი სტრიქონი ისე,
როგორც წარმოგვიდგინა ივ. ლოლაშვილმა:

**ვგმობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო იამან ქვეყნით.**

(ივანე ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტ-
ბენი, II, თბ., 1964).

აქ ბატონი ივანე ლოლაშვილი და ძველ
მეცნიერთა გუნდი, ასევე მათი ცხარე ოპო-
ნენტი ბორის დარჩია შემდეგსა ხედავდნენ:

ვამეყი ეგონათ სპარსელი პოეტის, მგო-
სანთა მეფედ არჩეული, ფირდოუსის თანა-
მედროვე და ფირდოუსიზე გაცილებით ადრე
სახელგანთქმული ონსორის პერსონაჟი. სი-
ნამდვილეში მართლაც არსებულა ჩვენამდე
არმოდწეული (მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგ-
მენტებია შემორჩენილი) პოემა „ვამეყ და აზ-
რა“ (იქვე).

ვისი კი ეგონათ „ვისრამიანის” ღამაზმანი, რამინის მიჯნური და ბოლოს ცოლი (იქვე).

იამან ქვეყანა წარმოედგინათ იამანეთის მხარედ, ეგზოტიკურ, უცხო ქვეყნად (იქვე).

რაკილა ეგ ტექსტი XII საუკუნის ძეგლი („ვეფხისტყაოსანზე” უფრო ადრინდელი ქმნილება) ეგონათ, ამიტომ მკვლევრები ფეხს მიწაზე აღარ აკარებდნენ და ღრუბელ-ღრუბელ დაცურავდნენ. იქ მსოფლიო შედეგების პერსონაჟები (ვამეყი და ვისი) წარმოისახეს, აქ კიდევ უცხო და ეგზოტიკური მხარე (იამანეთი).

ისე ძლიერი იყო ძველი ინერცია, რომ აქ მათ თვით მათმა ცხარე ოპონენტმა პროფ. ბორის დარჩიამაც ვერ გაუწია წინააღმდეგობა.

არადა, აუცილებელია ეგ ეგზალტირებული მკვლევრები ფანტასმაგორიული მთიდან ძირს ჩამოვიყვანოთ. რა მოხდა, დროდადრო თვით ოლიმპოელი ღმერთებიც კი ჩამოდიოდნენ მიწაზე!

ჯერ ეგზოტიკური ქვეყნით დავიწყოთ.

თვით ივ. ლოლაშვილი სრულიად სამართლიანად აცხადებდა: გულდინჯად შევისწავლეთ ყველა ხელნაწერი და მათ შორის სანდოაო A და B ჯგუფები. ჩვენც შევისწავლეთ ისინი და იმასვე ვადასტურებთ. ბატონი ივანე ცამდე მართალია: A და B ხელნაწერები მართლაც ყველაზე სანდოა! და აი, სწორედ ამ (და სხვა სანდო თუ უნდო) ხელნაწერში წერია არა **იამან ქვეყნით**, არამედ მკაფიოდ გამოხატული ნაცვალსახელი **ამან**.

ჩვენ ბევრი უნდო (არასანდო) ხელნაწერიც გავჩხრიკეთ და ბევრ მათგანშიც სწორედ ეს ფორმა იხილვის – **ამან**.

მაშ, ასე, მეორე ტაეპი გაფორმდება ამგვარად:

როს იავარყო **ამან ქვეყანით**.

(H – 1193; S – 395; A – 656 და სხვ.)

ქვემოთრეულე ჩვენ დავინახავთ, თუ ვინ არის ამოფარებული **ამან** ნაცვალსახელის უკან.

ახლა ვიმსჯელოთ სტროფის საწყისი სიტყვის შესახებ.

ჩემს მოსაზრებას ხელს ვერ უშლიდა ვერც არსებული ფორმა **ვხმობ**, თუმცა მერჩინა აქ წერებუდიყო **ვგმობ**. და გამუდმებით მაწვალებდა ფიქრი, ხომ არ ყოფილა პროტოხელნაწერში არა ვხმობ, არამედ ვგმობ ზმნამეთქი?

და გუმანი არცუდად წამიხდა.

სწორედ ყველაზე სანდო ხელნაწერად მიჩნეულში აღმოვაჩინე ასეთი რამ: ჯერ წერებულა **ვგმობ**, შემდეგ კი გადამწერს რატომღაც ასო **გ** გადაუხაზავს და მის გვერდით ძველი „ხ“ (ვ) დაუწერია. **ხელნაწერში ორივე ასო მკაფიოდ იკითხება!** (H – 1193).

ამ წინასწარი ტექსტოლოგიური სამუშაოს შესრულების შემდეგ წარმოვადგინოთ ავთენტიკური ტაეპები და შემდეგ ისტორიულ-ფილოლოგიური კუთხით განვიხილოთ:

**ვგმობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო ამან ქვეყანით.**

ამ ტაეპების ავტორი მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი ბრძანებს: ვგმობ ვამეყსა და ვისს, რომლებიც არ არიან ვილაცის მეყვისნი (ანუ მოყვარულნი, მეგობარნი, მოყვასნი) და რომლებიც **ამან** მოსპო და გაანადგურა, აღგავა პირისაგან მიწისა. ამ შემთხვევაში **ქვეყანით** ძველი ქართულია და აღნიშნავს მიწას, ნიადაგს, მიწის ზედაპირს, სწორედ იმას, რასაც „შუშანიკის წამებაში“ („დავარდა ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა...“).

ახლა კი დროა, გავხსნათ საიდუმლო.

აღნიშნული 32-ე სტროფით იწყება 1661 წელს საქართველოში მომხდარი ერთი საჩოთირო ამბის ლექსით არცთუ ისე მკაფიოდ გამოსახვა. უნდა ითქვას, რომ აქ შედარებით მოიარებით მოყოლილი ამბავი უფრო პირდაპირ და არავუაღირებულად გამოხატულია ფეშანგის „შაჰნავაზიანში“, თვით არჩილ მეფის „გაბაასებაში“ თეიმურაზ პირველის პირით, ი. თბილელის „დიდმოურავიანსა“ და ბევრ სხვა მაშინდელ თხზულებაში.

ბარემ აქვე ითქვას: 1660-იან წლებში არ შექმნილა რაიმე თხზულება, რომ ეს სამარცხვინო საქციელი ერთ-ერთი მეფე-მთავრისა, არ გაეკიცხოს. და, რაკილა იაკობ დუმბაძე-შემოქმედელის ეგ პოემა 1661 წელს, ანუ იმავე სამარცხვინო წელს, არის შექმნილი, როცა ეს საჩოთირო ამბავი დატრიალდა, ბუნებრივია, მას ავტორი გამოეხმაურებოდა, მით უფრო, რომ ეგ სამწუხარო ამბავი შეემთხვათ სწორედ პოემის სახოტბო გმირ არჩილ მეფესა და მამამისს – ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზს.

ისტორიულ ფაქტს მოკლედ მოგახსენებთ:

1660-იან წლებში იმერეთის ცხოვრება აირია. ვითარებით ისარგებლა იმხანად მოძლიერებულმა ფეოდალმა ვამეყ III დადიანმა, რომლის იმჟამინდელი ტიტულატურა რომ ნახოთ, გაცდებით – იგი თავს უწოდებდა მეფეთმეფეს, ათობით ქვეყნის პატრონს. ფაქტობრივად მან დაიპყრო იმერეთი, ქუთაისიდან ურმებით გაზიდა სამეფო ძვირფასეულო-

ბა. ვითარება დასავლეთში უკიდურესად დაიძაბა. ამით შეექძლო ესარგებლა თურქეთს. ეს არც სპარსეთს აძლევდა ხელს. პატრიოტმა მეფე ვახტანგ მეხუთემ შაჰის სიტყვიერი თანხმობით თავის ხელქვეით მყოფი სპარსული ჯარისა და ქართლელების ლაშქრით იმერეთის საზღვარი გადალახა და წითელ სპარსულ ხალათში გამოსვეული ქუთაისს მიადგა. მთელი დასავლეთი გაისუსა. ვამეყი თვითმპყრობლის წინაშე გამოცხადდა და შეკრეს ზავი: ადმინისტრაციული საზღვრები შეათანხმეს, სხვა სადავო პრობლემებიც გადაწყვიტეს და მორიგება შემდეგნაირად განამტკიცეს – ვამეყ III დადიანს თავისი გრძელცხვირა და საკმაოდ უშნო ქალიშვილი იმერთა 14 წლის ნორჩი მეფის – არჩილისათვის უნდა მიეთხოვებინა. ერთი სიტყვით, მოეწყო ნიშნობა და მხარეები დაიშალნენ. შაჰნავაზი თბილისს დაბრუნდა, დადიანი – ოდიშს; მაგრამ მოხდა უცნაური რამ: ვამეყ დადიანს გამოუჩნდა ავი მრჩეველი, რომელმაც ქალი ერთი მაშინ საჭირო თავადისათ-

ვის მიაცემინა. ასე გატეხეს სიტყვა, ასე მოსჭრეს თავი არა მხოლოდ 14 წლის სასიძოს, იმერეთის ნორჩ ხელმწიფეს, არამედ თვით ვახტანგ მეფეს, იმჟამად მთელ კავკასიაში ყველაზე ძლიერ ფიგურას. ამ თავისმოჭრას შაჰნავაზი არავის აპატიებდა, მით უფრო, რომ ცამდე მართალი იყო და მისი პატრონიც – შაჰიც – ერთობ უკმაყოფილო დარჩა. ეს ამბავი რომ გაუგია, შაჰი გაოგნებულა. მისი ჩუმი დასტურით შაჰნავაზი ისევ დაიძრა ქუთაისისაკენ. ვამეყი თავის დასტურთან ერთად ლაშქარს აგროვებდა, ოღონდ ბოლოს შეშინდა, მიხვდა, ვერას გახდებოდა, ბრძოლაზე უარი განაცხადა და სვანეთს შეაფარა თავი. შაჰნავაზის მომხრეებმა იქაც მიაგნეს და მოკლეს. მთელი მისი ოჯახი განადგურდა, რაკილა ყველაფერი ჩამოართვეს; ცოლი, ძე და ასული ტყვედ აიყვანეს, თბილისში დედოფალს გაუგზავნეს.

ვიმეორებთ, ეგ ამბავი ზედმიწევნით არის ასახული იმავე ხანებში (1664წ.) შეთხზულ „შაჰნავაზიანში“, რაკილა ეს პოემა ვახტანგ

მეხუთეს ეძღვნება. აისახა იგი 1661 წელს შეთხზულ ქმნილებაში „ქება მეფისა არჩილისა“.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ დაიწერა ეგ პოემა 1661 წელს და ისიც სასწრაფოდ.

საქმე ისაა, რომ ნამუსშერცხვენილ, თავლაფდასხმულ ნორჩ მეფეს (14 წლის ყმაწვილკაცს) საჩქაროდ სჭირდებოდა გამხნეება, შელახული ავტორიტეტის აღდგენა. ვისიმე წაქეზებით თუ თავისი ნებით ეგ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმე თავს იდო შემოქმედის მიტროპოლიტმა, გურულმა კაცმა იაკობ ღუმბაძემ. მისი პირველი ვრცელი ხოტბა-პოემა სწორედ ეგ ქმნილებაა. მოგვიანებით გიორგი მეთერთმეტის თხოვნით მან დაწერა პოლემიკურ-რელიგიური გაბაასება ქრისტიანებისა და მაჰმადიანებისა, რომელშიც აქებს ჩვენს რელიგიას და აძაგებს მაჰმადიანობას. „ქება მეფისა არჩილისა“ იაკობმა შეთხზა არსებული კლასიკური ნიმუშის – „თამარიანის“ – კვალობაზე.

პოემის სწორედ 32-ე სტროფიდან იწყება ვამეყ III დადიანის, მისი უბადრუკი ვაზირისა და ვახტანგ V შაჰნავაზის დაპირისპირების ამბავი და გრძელდება 33-ე და 34-ე სტროფებში, ოღონდ აქ ყველაზე იდუმალი სწორედ 32-ე პოეტური აბზაცის პირველი და მეორე ტაეპებია.

ჩვენ მიერ ზემორელე თქმულის ფონზე თუ განვიხილავთ საკამათო ტაეპებს, მაშინ უსაგნო ფანტაზიას ბოლო მოეღება და მიწიერ რეალობას მივადგებით.

შევიხსენოთ საძიებელი ტაეპები:

**გმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო ამან ქვეყანით.**

აქ თითქმის ყველა სიტყვის უკან პიროვნება ან მოვლენა დგას. ჯერ ის გაგშიფროთ, თუ ვისა **გმობს** ავტორი. იგი გმობს **ვამეყსა და ვისს**.

გადაჭრით ვაცხადებთ: **ვამეყი** გახლავთ ვამეყ III, დადიანი, სიტყვისა და ფიცის გამტეხი ფეოდალი, ახალი **პირბოზი** (რუსთვე-

ლის ტერმინია) რამაზ ხატაელი, პროვინციის მეფე, ზუსტად რამაზ ხატაელივით რომ უღალატა მეფეთმეფეს.

პროფ. ივანე ლოლაშვილი კი ძალზე შორს მიდიოდა და აქ სპარსელი მგოსნის ონსორის დაკარგული პოემის „ვამეყ და აზრას“ გმირ მამაკაც **ვამეყს** იგულებდა.

ჯერ ერთი, რა შუაშია?!

მეორეც, როგორცა ვნახეთ, საძაგებელი და დასაგმობია **ვიდაცა უარყოფითი** და არა დადებითი გმირი, ალაღად შეყვარებული ვამეყი. სწორედ ასე საძაგელი და პირისგამტეხია ოდიშის მთავარი ვამეყ III დადიანი.

ახლა **ვისის** ამბავი გამოვიძიოთ.

ვისი ივ. ლოლაშვილს, ძველ მეცნიერებსა და იმათ მკაცრ კრიტიკოსს, ჩემს მეგობარ ბ. დარჩიასაც (კარგა ხანს) ქალი, ლამაზმანი, რამინის სატრფო **ვისი** ეგონათ.

რა შუაშია?!

რა უნდა ამ კონტექსტში ქალს?!

ეგ ყოვლად წარმოუდგენელია!

შეცდომა კიდევ იმად მოუვიდათ პატივცემულ მკვლევარებს, რომ აქ ვერც დაშიფრული დაპირისპირება შენიშნეს და ფირდოუსის „შაჰ-ნამესაც“ კარგად არ იცნობდნენ.

საქმე ისაა, რომ აქ იგულისხმება არა ნაზი ქალბატონი, რამინის სატრფო და ბოლოს ცოლი, არამედ „შაჰ-ნამეს“ ცნობილი პერსონაჟი **მამაკაცი ვისი**.

არ უნდა გვეგონოს, რომ სახელები: **როდამი, ვისი, ალექსანდრე** და სხვები მხოლოდ მამაკაცებს, გინდა მხოლოდ ქალებსა ჰქვია. არა, ეს სახელები, ისე როგორც ვარდანი, შეიძლება ერქვას ორივე სქესის წარმომადგენელს (დღეს – მესამე სქესის წარმომადგენელსაც!).

ვარსკენ პიტიახშის მეუღლეს მოფერებით შეუშანიკს ეძახდნენ. მისი ოფიციალური სახელი კი იყო მამამისის სახელი **ვარდანი**. მაშ, ასე: **ვარდანი მამიკონიანი** და მისი ასული **ვარდანი**, გინდა **ვარდანისი**.

ახლა ისღა ვიკითხოთ, ვინ გახლავთ ეგ მამაკაცი **ვისი**?

„შაჰ-ნამეში“ მამაკაცი ვისი ასრულებს ცუდი ვაზირის, ავი დასტურის, მიუღებელი მრჩევლის როლს.

აი, ვისა გმობს იაკობ ღუმბაძე. იგი აგინებს ვამეყ III დადიანსა და მის ცუდ ვაზირ ვისს. სწორედ ასეა შეგინებული ვისი „შაჰ-ნამესა“ და „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებშიც. და რა გააკეთა მან ასეთი?

ვისი გახლდათ სარდალი და მრჩეველი „უკეთური“ თურისა და უკეთური სალიმისა. ძმებმა სალიმმა და თურმა ჩაიდინეს უმსგავსო საქციელი – სახელმწიფო ხელისუფლების მიტაცებისა და მიწების ხელში ჩაგდების მიზნით მოკლეს თავიანთი ძმა **ერაჯი**. ამიტომაც ამბობს იაკობ შემოქმედელი სხვაგან: „სალიმ და თური, ძლით უკეთური“. აი, სწორედ ამ ბოროტი თურის სარდალი და მრჩეველია ვისი; აი, რატომ შეუწყვილებია ერთურთისათვის იაკობ ღუმბაძეს ვამეყ III დადიანი და ფირდოუსის ავი მრჩეველი ვისი. **ვამეყ-ვისი** დაპირისპირებულია შაჰნავაზთან (მურმან თავდიშვილი, მიგნება-აღმოჩენანი,

2021, გვ. 404). ფეშანგი სწორედ ამ ცუდ მრჩეველზე მიუთითებს: „**ვეზირი უჯდა რეგენი, ჭკვისაგან გარდასულია**” (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1935, გვ. 64).

ახლა ისიც გავარკვიოთ, თუ ირიბულად ვის გულისხმობს **ართუ მეყვისი**.

ართუ მეყვისი, ერთის მხრივ, გულისხმობს ვამეყ III დადიანსა და მის მრჩეველს: ვგმობ ვამეყსა და მის მრჩეველს, რომლებიც არ არიან მეფეთმეფის (ვახტანგ V) **მეყვისი**. **მეყვისი** მე-17 საუკუნის სიტყვაა. დღევანდელი გაგებით, იგივეა, რაც მოყვარე, მოყვარული, მეგობარი, მოტრფიალე, მოყვასი; **ართუ მეყვისი**, მეორე მხრივ, გულისხმობს ვახტანგ მეხუთეს. აქ დაგვჭირდება პატარა განმარტება: ვახტანგ V ტახტზე ავიდა, როგორც სპარსეთის შაჰის მთავარსარდალი. ეგ იყო ქართველ მეფეთა სახელი სპარსეთის სამეფო კარზე. მეორეც, ამ დროს უსათუოდ ანიჭებდნენ ერთგვარ ნესაბს, ზედწოდებას, „კლიჩკას”. ვახტანგ V ცნობილია, როგორც **შაჰნავაზი**. რასა ნიშნავს **შაჰნავაზი**? ესაა

ორი სიტყვა: **შაჰი და ნავაზი**. „ნავაზ“ ნიშნავს **მოყვასს, მოყვარეს, მეგობარს, მოტრფიანს**. მაშ, ასე: ვახტანგ V არის **შაჰის მეყვისი**. და ეგ ფაქტობრივადაც დადასტურდა: ვახტანგ V შაჰნავაზი მისდამი შაჰის დიდი პატივისცემის ნიშნად დაკრძალულია ირანის წმინდა ქალაქ ყუმში (1675).

ბარემ აქვე ითქვას: მის პირმშო არჩილ მეფეს, რაკილა ისიც ირანის მბრძანებლის ხელდასხმით გაამეფეს კახეთში, ნესბად მიეცა ზედწოდება **შაჰნაზარი**, ანუ შაჰის თვალით მხედველი, შაჰის მსგავსი შეხედულებების მქონე.

იაკობის თქმაში: „გმობ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა“ ირიბად ის აზრიც არის გათამაშებული, რომ, როგორც ვახტანგ V არის შაჰის მეყვისი, ისე როდი არიან ვამეყი და ვისი, მათი პატრონის, ვახტანგ მეხუთის, **მეყვისნი**. ერთი სიტყვით, ავტორი გმობს ვამეყსა და ვისს, რომლებიც პატრონის ქვეგამხედვარი ფეოდალები არიან.

ამრიგად, სიტყვაში **მეყვისი** იგულისხმება სპარსული ტერმინიც **ნავაზი**.

შაჰნავაზი მომდევნო ტაეპში აქტიურ პერსონად წარმოგვიდგა:

„როს იავარყო **ამან** ქვეყანით“.

უკვე გასაგებია, რომ ნაცვალსახელს **ამან** ამოჰფარებია ვახტანგ V. **ამან** მიწის პირისაგან აღგავა, იავარყო მის მიმართ არამეყვისი **ვამეყი** და **ვისი**.

ვამეყს რაც დაემართა, ვიცით, ოღონდ რა მოუვიდა ბოროტ მრჩეველ **ვისს**, ანუ ქართველ კაცს, დადიანის უჭკუო მრჩეველ **გაბრიელ ცაგერელს**?

ისიც დაიჭირა ვახტანგ მეხუთემ და ქართლში ტყვედ გააგზავნა; გარდაიცვალა უცხოობაში, შულავერს (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1935, გვ. 71). ფეშანგი პირდაპირ მიუთითებს: მეფემ გააძევა, ხელ-ფეხი შეუკრეს, სომხითს გაგზავნეს და იქ საპყრობილეში ჩააგდესო (იქვე).

ამრიგად, დამარწმუნებლად შეიძლება ვთქვათ: ე.წ. „აბღულმესიანის“, ანუ ი.შემოქ-

მედელის მიერ 1661 წელს ნაჩქარევად დაწერილი „არჩილ მეფის ხოტბის“, 32-ე სტროფის ტაეპები:

**ვგმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო ამან ქვეყანით**

ტექსტოლოგიურად დადგენილია: ადრინდელი „ვგმობ“ შეიცვალა ზმნით „ვგმობ“; „იამან ქვეყნით“ შეიცვალა სიტყვებით „ამან ქვეყანით“.

გაიშიფრა ისტორიული საიდუმლოც: აქ ნაჩვენებია ვამეყ III დადიანისა და მისი რეგენი მრჩევლის ქართველი ვისის დაპირისპირება მეფეთმეფე ვახტანგ V შაჰნავაზთან. კერძოდ, **ვამეყი** თურმე გულისხმობს ვამეყ III დადიანს; **ვისი** გულისხმობს „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟს, ავ მრჩეველ მამაკაც **ვისს**, რომლის როლიც საქართველოში შეასრულა ბერმა გაბრიელ ცაგერელმა; ორივე მათგანი მოსპო და გაანადგურა, იავარყო ვახტანგ შაჰნავაზმა, ანუ, პოემის ენით, – „ამან“.

ართუ მეყვისი გამეყვისი გახლავთ ერთგვარი რეაგენტი ვახტანგ მეხუთის ზედწოდებისა შაჰნავაზი, რაკილა სპარსული ნავაზი ნიშნავს მეყვისს. დაპირისპირების აზრია: თუ შაჰნავაზი არის მეყვისი, ანუ მოყვარული და მოყვასი, თავისი უფროსისა, თავისი პატრონისა, გამეყვისი არ არის მეყვისი, ანუ მოყვარული, თავისი პატრონისა.

მაშასადამე, ე.წ. „აბდულმესიანი“, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“, დაწერილია საჩქაროდ და საგანგებოდ 1661 წელს. აქ მოკლედ და ვუაღიროებულად წარმოსახული იმწლები განდელი ამბები უფრო პირდაპირ და გახსნილად, ასევე ბევრად უფრო ვრცლად წარმოჩენილია 1664 წელს შეთხზულ „შაჰნავაზიანში“.

ფორმა მუამა და „აბდულმესიანი“

ლექსითი ნაწარმოების ერთ-ერთი საინტერესო ილეთია, ხერხია **მუამა**. ეგ გახლავთ სრულიად გასაგებ სალექსო სტროფთა სისტემაში მეტრითა და რიტმით განუსხვავებელი, ოღონდ სრულიად გაუგებარი სიტყვებით გაჯერებული პოეტური აბზაცის შერევა. თვალნათლიობისათვის მოვიყვან ორ ნიმუშს. თავის ერთ-ერთ ფუტურისტულ-ზაუმურ ლირიკულ გნომას ვლადიმერ მაიაკოვსკი ასე წარმოგვიდგენს:

Нет на прорву карантина,

Мандолият из-под стен:

Тара-тина, тара-тина,

Тара-тина,

ten!

მართალია, ეს მომღერალი გიტარის ნამდვილი იმიტაციაა, ოღონდ ვერავინ ვერასოდეს ახსნის აქ მომარჯვებული სიტყვებისა და სინტაგმების აზრს.

მოვიყვანოთ მეორე ნიმუში.

მ. თავდიშვილმა თარგმნა არაბი პოეტის აბდურაჰმან ბაჰის ლირიკული ქმნილება „ქართველი მუსლიმის ლოცვა“. ამ თარგმანის მე-5 სტროფი ასე გამოიყურება:

ჩემი ხორცი ფასობს იმდენს,
რასაც გონით წარმოვიდგენ:
**„სადი ბინდენ, მალო იდენ,
სალამათან ალოიდენ,
ელბიჯ ოლდუმ სალოიდენ,
ჩოხ და იალ განოიდენ!“**

(გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, 2018, №11).

ხაზგასმული სიტყვები არაბულადაც გაუგებარია და ქართულადაც. ამიტომ მთარგმნელმა ისინი უცვლელად გადმოიღო.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ როდის და რატომ გაჩნდა ეს უცნაური ფორმა.

მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ აღნიშნული ფორმა ჩაისახა და განვითარდა XV საუკუნის ირანულ პოეზიაში და მერე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, ოღონდ ამაზე უწინარეს ამ ფორმალისტურ ხერხს არ იცნობდა მსოფლიო. ცნობილი ორიენტა-

ლისტი ევგენი ბერთელსი მიუთითებს: „XV საუკუნეში სპარსული პოეზია ცალმხრივად განვითარდა. ამან გამოიწვია ფორმობრივი ვირეშმაკობანი და სრული სიძულვილი შინა-არსისადმი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, თუ ავტორი მიზნად ისახავს მკითხველის გაოგნებას ტექნიკური ჯამბაზობით, მაშინ იქ შინაარსს არა ესაქმება რა“ (ბერთელსი ე.ე., რჩეული შრომები, ნაგოი და ჯამი, მ., 1965, გვ.125).

ზემორელე რომ ნიმუშები შემოგთავაზეთ, იმათშიც, რა თქმა უნდა, სწორედ ეგაა მთავარი – მკითხველის გაოცება ტექნიკური ოსტატობით, რითმის სასწაულებრივი ერთხმიანობითა და ევფონიით, აგრეთვე მუსიკალური ინსტრუმენტის (ვთქვათ, გიტარის) ზედმიწევნითი აქცერებით.

მაშასადამე, დადგენილია ეპოქა და არეალი ახალი ფორმალისტური ჟანრის შექმნისა: **ესაა XV საუკუნე და სპარსულენოვანი სიტყვაკაზმული მწერლობა.**

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ მივიდა საქმე ამ ფორმალისტური უანრის გაჩენამდე.

სპარსული პოეზია ფირდოუსის, ნიზამისა და სხვა გენიოსთა შემდეგ თითქმის ამოიწურა. ფორმობრივი თვალსაზრისით, მან ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენა. ამან გამოიწვია ახალი გზების ძიების საჭიროება. ამის გამოსობით ძალა მიეცა გადაკვრით ნათქვამებს („ნამიოკებს“); იმგვარი სიტყვის ძიებას, რომელსაც აქვს არაერთი მნიშვნელობა (ბერთელსი, გვ. 89,-90). ამ გზას ბუნებრივად მიყვავართ უკვე არსებული და გამოყენებული რთული ფორმის **მაჯამის** როლის გაძლიერებამდე, ოღონდ ახალ ვითარებაში არც ეგაა საკმარისი. ამჟამად საჭირო ხდება მაჯამის უკიდურესად გართულება. გაჩნდა თეორია: მთავარი ის კი არ არის, **რა ითქვა**, არამედ – **როგორ ითქვა**. ამ ვითარებაში გაიმართა შეჯიბრება – ვინ უფრო რთულად იტყვის, უკეთ შეახამებს ბგერებს, სიტყვებს, გამოთქმებს, რიტმსა და მუსიკას. მაშ, უმთავრესი ყურადღება მიექცა ქმნილების გარეგ-

ნულ მორთვა-მოკაზმვას. მდგომარეობა იმდენად საგანგაშო შეიქმნა, რომ XV საუკუნისათვის მგოსნები ჯამი და ნავოი მსჯელობენ ფორმისა და აზრის ჰარმონიულობის აუცილებლობაზე (ბერთელსი, გვ. 124-125). კიდევ მეტი: იმდენად საჭირო გახდა მუამების გასაღების ძიება, ჯამიმ საგანგებო სახელმძღვანელოც კი შეთხზა მუამების გასაგებად (ბერთელსი, 123). აღნიშნულ პრობლემას ჯამი ამის შემდეგ კიდევ სამჯერ მიუბრუნდა (ბერთელსი, 243).

ბერთელსის მოსაზრება პირწმინდად გაიზიარა ქართულმა მეცნიერებამ. აკად. აღ. ბარამიძე ბრძანებს: „XV-XVIII საუკუნეების რიგმა სპარსელმა მწერალმა უკიდურესად გაართულა პოეტური ენა, მას მისცა რებუსების, შარადებისა და გამოცანების ხასიათი; ქმნიდა ნამდვილ „თავსატეხ ფოკუსებს“, პოეტური ხერხების ადგილს იჭერდა ხრიკები. ასეთ ლექსებში მთავარი ყურადღება ექცეოდა გარეგნულ-ფორმალურ მხარეს, აზრობრივ-შინაარსობრივი მხარე კი იჩრდილებოდა

ან სრულიად უგულვებელყოფილი რჩებოდა. მეტიც, არცთუ იშვიათად პოეტები ლექსებიდან ერეკებოდნენ აზრს, შინაარსს, საგანგებოდ თხზავდნენ რთული და დახლართული სისტემის მქონე „სათარგმანებელ“ და ამოსაცნობ (ამოსაშიფრავ) ტექსტებს. იმდროინდელი სპარსული პოეზიის ბევრი ნიმუში უკიდურესი ფორმალისტური ვარჯიშის შედეგია... ასეთი იყო, მაგალითად, ომონიმური (მაჯამური) ლექსები, ე.წ. **თეჯნისები** და კიდევ უფრო თავსამტკრევი **მუამები**. მუამას ტიპის ლექსების შესახებ ... ე. ბერთელსი ამბობს: „მუამა სრულად გამოხატავს XV საუკუნის ლიტერატურის ძირითად ტენდენციას - ტექნიკის თანდათანობითი გართულების გზით მიაღწიოს ფორმის უკიდურეს სრულყოფასა და შინაარსის ლიკვიდირებას. მუამაში შინაარსი ნულს უტოლდება. აქ უკვე აღარ იხილვის არცა აზრი, არცა გრძნობა; დარჩა მხოლოდ სიტყვათა თამაში, და უფრო მეტიც - სიტყვათა ნაწილებისა და ნაწილაკების გადახმინება. მუამად რომ ყალიბდებო-

და, ლიტერატურა ეწეოდა თვითმკვლევობას, კარგავდა რა სულ მცირე საზოგადოებრივ ღირებულებასაც კი!“ (ბარამიძე აღ., თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. იხ. კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, XII, თბ., 1959, გვ. 167).

ამრიგად, უკვე დადგენილია და არც ერთი ქართველი ან უცხოელი მეცნიერი სადავოდ არ ხდიან იმას, რომ ფორმა **მუამა** წარმოიქმნა XV საუკუნის სპარსულენოვან პოეზიაში. სამაგიეროდ, არც არავის დაუყენებია საკითხი ასე: თუ XV საუკუნემდე მსოფლიომ არ იცოდა **მუამის** ფორმა, მაშინ მისი ნიმუში არ უნდა ჭაჭანებდეს XII საუკუნის მგოსნის შავთელის „აბდულმესიანში“.

სინამდვილე კი სხვაგვარია. ჩვენთა ძველთა მეცნიერთა მიერ „აბდულმესიად“ მიჩნეულ სახოტბო პოემაში ნამდვილად გვაქვს მუამის ნიმუში. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგ 107 სტროფიანი ხოტბა არ გახლავთ XII ს-ის ძველი. მაშასადამე, იგი გამოდის მე-17 საუკუნის ავტორის, სპარსულ მუამებში საკ-

მაოდ გზაგაწაღებული პროექტის მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელის 1661 წელს შენათხზი „ქება მეფისა არჩილისა“.

ახლა უშუალოდ ვნახოთ ეს **მუამური** და ძველთა ჩვენთა მეცნიერთა **უამური** ადგილები საძიებელი ტექსტისა.

ე.წ. „აბდულმესიანში“ არასოდეს არავის გაუხდია საკამათოდ 24-ე სტროფი. მაშ, ტექსტოლოგიურად იგი სადავო არაა და ნამდვილად ეკუთვნის ხოტბის ავტორს.

მითითებული ხანა მუამის მკაფიო ნიმუშია. ეს პროეტური აბზაცი დღემდე ვერავინ გაშიფრა. სწორედ ამაზე მიუთითებენ თვით ქართველი მეცნიერები: „ამ მხრივ დამახასიათებელია „აბდულმესიას“ ერთი სტროფი, ფაქტობრივად დღემდე გაუშიფრავი:

ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:

ელი ამო სით, ეს რომ არა მით?

მასთანა შორად, - ართუა შორად! –

ელია-მოსით, ესრომ - არამით.

ქველად ჭერითა, რისხვით, ჭერითა

ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.

მასარ ა რითა? მას არ არითა,

ელ ია-მოსით, ეს რომ ა, რა მით?“

(ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, გვ. 165).

იმავე წიგნში ასევე მითითებული და ახსნილია ამდაგვარი „რთული“ სტროფების რაობა: „მაჯამური რითმისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ წარმოადგენს ამა თუ იმ ავტორის მთელ პოეტურ კრედოს, კერძოდ, მის მიმართებას აღმოსავლური პოეზიისადმი, რომლის წიაღშიც ლექსის ფუნქცია ხშირად ფორმალური ნიშნებით განისაზღვრებოდა; ლექსი გასართობ, თავსატეხ და თავშესაქცევ სამშვენისად იყო ქცეული“ (იქვე, 165-166).

სწორედ ამდაგვარი თავსატეხი და ფორმალისტური თავშესაქცევია ქართველი ავტორის **ტიპური მუამა**.

აწ კი შევემზადოთ კატეგორიული დასკვნის ჩამოსაყალიბებლად!

რაკილა მსოფლიო ლიტერატურა XV საუკუნემდე არ იცნობს არავითარ მუამას, ბუნებრივია ვთქვათ: მე-12 საუკუნეში შეთხზულ „აბდულმესიაშიც“ შეუძლებელია ყოფილიყო ამ ფორმის პოეტური აბზაცი. მაშასადამე,

ჩვენ წინაშე არსებული 107 სტროფიანი ხოტბა შეთხზულია XV საუკუნის აქეთ, კერძოდ კი - მე-17 საუკუნეში, ანუ **მუამური სტილის** მოძალების, აფეთქების ეპოქაში. ეს ხანა მოიცავს XV- XVII საუკუნეებს. ესე იგი, ხელთა გვაქვს 1661 წელს შეთხზული ლირიკული პოემა „ქება მეფისა არჩილისა“. მისი ავტორია მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი.

ახლა დგას საკითხი:

რაკილა თავის პირველ ვრცელ ნაწარმოებში (1661) გამოიყენა ავტორმა ფორმა **მუამა**, ხომ არ მოუმარჯვებია იმხანად „მოდური“ ეგ ხერხი თავის მეორე, უფრო გვიან (1670-იან წლებში) დაწერილ პოემაში?

თუ ამ ფორმის გამოყენება აქაც დადასტურდა, ეს კიდევ ერთი მძლავრი არგუმენტი იქნება საკითხის საბოლოოდ და უთუმცაოდ გადასაწყვეტად.

საქვეყნოდ ვაცხადებთ:

თავის პირველ ვრცელ ნაწარმოებში რომ ერთხელ და მოკრძალებით გამოუყენებია ეგ „მოდური“ ხერხი ავტორს, მეორე ვრცელ პო-

ლემიკურ პოემაში რამდენიმეჯერ და უფრო თამამად, უფრო დიდოსტატურად მოუმარჯვე-
ბია იგი. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიან-
ნეთ გაბაასება“ წარმოადგენს ბაგრატ ბატონ-
ნიშვილის პოლემიკური პროზაული ტექსტის
„წყობილ მარგალიტად“ ქცეულ ქმნილებას
(ბორის დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი, თბ.,
2011, გვ. 44-45). ბაგრატ ბაგრატიონს არავი-
თარი მუამური ადგილები არ აქვს თავის
ტექსტში. მუამები ნაწარმოებში შეაქვს ტექ-
სტის გამლექსავ იაკობ შემოქმედელს და
ამითაც ეპოქის დამღას ადებს თავის ნამუშა-
კევს. ჯერ განვიხილოთ 42-ე სტროფი. იგი
ერთობ თავისებურია. მოშაირე ყოველ ცალკე
სტრიქონს იწყებს და ამთავრებს ორი სიტ-
ყვით - ელი ელისეს:

**ელი ელისეს მის წილად ხალენს მოსს
ელი ელისეს.**

**ელი ელისეს ცეცხლ-ეტილით ცად მგზავ-
რობს ელი ელისეს,**

**ელი ელისეს ღვთისაგან მადლს მისცემს
ელი ელისეს,**

ელი ელისეს მკურნალად სენტა ჰყოფს ელი ელისეს.

იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, ბორის დარჩიას რედაქცია; წიგნის რედაქტორია მურმან თავდიშვილი, თბ., 2014, გვ. 41-42.

ამგვარი ფორმა პირველად გამოსცა და შემოგვთავაზა ი. შემოქმედელმა. კიდევ უფრო საინტერესოა მომდევნო, 43-ე, პოეტური აბზაცი. ამგვარი მუამა სრულიად „უცხო ხილია“ მსოფლიო პოეზიაში. ხანა სრულდება ავტორის სიამაყის გამომხატველი მითითებით - ეს მუამური ფორმა მე შემოვიღე, მე დავამკვიდრეო:

აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად,
იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად, იაგუნდად,
ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად,
ესე დასად, ესე დასად, შემოვიღე ესე დასად.
(იქვე, გვ. 41-42).

საგულისხმოა, რომ ამ მუამურ პოეტურ ხანას დედანში, ბაგრატ ბატონიშვილის პრო-

ზაულ ტექსტში, არაფერი შეესატყვისება. მაშ, იგი მოიფიქრა და ტექსტში ჩართო თავად შემოქმედელმა.

მუამის შექმნაში აწ უკვე საკმაოდ გაწაფულმა ლირიკოსმა თავის მეორე ვრცელ პოემაში სხვა ნიმუშებიც შეიტანა. ავტორს განსაკუთრებით მოსწონს მუამის ისეთი ფორმა, როცა სტროფში თავრითმა და ბოლორითმა ერთდროულად კეთდება. ამ დროს ფორმალში ზეობს და აზრი ერთგვარად ითრგუნება, ოღონდ რა ბედენაა! ეგ პოეტს ვერ შეაფერხებს. ის თამამად მიდის წინ დასახული მიზნისაკენ. ამ მხრივ საგულისხმოა 101-ე სტროფი:

აბა რა ბის მოვისმინოთ, იგავს ბრძანებს
აგ არაკად,
ა ბარაბის წილ მიცემით თვით დაეფლვის
აგარაკად,
აბ არაბის მეძვის მსგზავსად, თუ გვემს
რისხვით აგარ აკად,
აბარაბის ცოდვის მთხრებლში სვიმონ პოვეს
ვინ პარაკად.
(იქვე, გვ. 59).

აღნიშნული ხერხი მარჯვედ გამოუყენებია ავტორს 111-ე ხანაშიც. აქ თავრითმაა **დავით**, ხოლო ბოლორითმა გახლავთ **ებან-ებანსა**:

დავით მგალობელთ მთავარი ქნარსა სცემს,
ებან-ებანსა,

და ვით სიმდაბლის მუშაკი, ღირსებით **ებანე**
ბანსა!

დავით ბერსაბეს ტრფიალობს, სარკმლით
სჭვრეტს **ე ბანე ბანსა,**

დავით ფსალმუნთ თქმით ტიროდა, მისთვის არ
ებან ებანსა.

(იქვე, გვ. 62).

იაკობ შემოქმედელი ცდილობს, უფრო გაართულოს მუამა და არა ოდენ თავრითმა და ბოლორითმა მოძებნოს, არამედ სტრიქონის მთელი მეორე კარედი ერთიან რითმად და მუსიკალურ ინსტრუმენტად წარმოადგინოს. ეგ საინტერესო ცდა დაფიქსირებულია 123-ე ხანაში:

ნუ უცხოდ გიჩნს სატანასგან **ბელიარსით**
მოაბას რა!

ბრანგვად გარყვნის საძოვარი, **ბელი არსით**
მოაბას რა!

მართლის სისხლი რომ დაღვარა, **ბელი არსით
მოაბასრა,**
ღვთით მოაკლდა მტერთ მახვილსა, **ბელიარსით
მოაბასრა.**
(იქვე, გვ. 67).

ამრიგად, თუ პირველ პოემაში მხოლოდ ერთხელ მიმართა მუამას ჩვენმა ავტორმა, მომდევნო ქმნილებაში ეგ ფორმა უფრო უკეთ, მარჯვედ და ბევრჯერ მოიმარჯვა. კერძოდ, ხუთჯერ გამოუყენებია იგი!

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ: ფორმა მუამა გავრცელდა XV საუკუნის ლიტერატურაში. იგი დიდ ავალას იძენს XV-XVII საუკუნეებში; გაუგებარმა, ბურუსიანმა სტრიქონებმა ლამის წაღვეს ამ დროის ლირიკული ქმნილებანი. ამის გამო თუ იყო, რომ ჯამი და ნაგოი, XV საუკუნის მეორე ნახევრის მგოსნები, აღუშფოთებია ამ ამბავს და დაუწყიათ იმაზე ფიქრი, თუ რითი შეწინააღმდეგებოდნენ ამ ლიტერატურულ ეკვილიბრისტიკას; ჯამის საგანგებო ტრაქტატიც კი შეუდგენია, სადაც

ცდილა, ესწავლებინა მკითხველისათვის მუამის ხიმანკლობათა გამოცნობა; ქართულ მწერლობაში მუამა შემოვიდა XV-XVII საუკუნეებში, უფრო ზუსტად – XVII საუკუნიდან. ამის გამო XII საუკუნის პოემა „აბდულმესიაში“ ეგ ხერხი შეუძლებელია იყოს გამოყენებული. მაშასადამე, ჩვენ წინაშე არსებული 107 სტროფიანი ტექსტი არ გახლავთ XII ასწლეულის შემოქმედებითი პროდუქტი. ის მე-17 საუკუნის მხატვრული მატიანეა და აღწერს არჩილ მეფისა და მამამისის – ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის – მოღვაწეობას. აქ ხოტბაშესხმულია 14 წლის ახალგაზრდა ხელმწიფე არჩილ II ბაგრატიონი. ავტორი ხოტბისა გახლავთ შემოქმედის მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე. ქმნილება შეთხზულია 1661 წელს.

„ქება მეფისა არჩილისა“ და მამუკა ბარათაშვილი

მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ისტორიული პირი და მწერალი მამუკა ბარათაშვილი ვახტანგ მეექვსის ამაღლის აქტიური წევრი გახლდათ. ძირითადად ის ცხოვრობდა ასტრახანსა და მოსკოვში.

ემიგრანტის კალამს ეკუთვნის პირველი ქართული თეორიულ-პოეტიკური გამოკვლევა-სახელმძღვანელო „ჭაშნიკი“, ანუ „ლექსის სწავლის წიგნი“. აქ ავტორი იკვლევს ჩვენი ლექსის ზომას (მეტრს), რიტმს, მარცვალთა და სიტყვათა განლაგების წესს პოეზიაში; ავტორი ფიქრობს, რომ სტრიქონის პოეტურად გასამართავად საჭიროა „დრამატიკისა და რიტორიკის“ დაუფლება, მნიშვნელოვანია „სიტყვის სიმარჯვე“. რაც მთავარია, იგი იზიარებს არჩილის სკოლის რეალიზმის პრიმიტიულ გაგებას: თათრული (სპარსული) გამოგონილი ზღაპრები კი არ უნდა გავლექსოთ, არამედ რეალურად მომხდარი ამბები

და ისტორიული პირები უნდა ვაქოთო. მართალია, აქამდე კი მიდის მამუკას რეალიზმი, ოღონდ ჯერ კიდევ ბევრი უკლია გურამიშვილის მკაცრ რეალიზმამდე: „ვინ არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!“ ამას რომ ვამბობთ, გგულისხმობთ: მამუკა აქებს რეალურ ისტორიულ პირს, ვახტანგ მეექვსის შვილს, ბაქარ მეფეს. მაშ, არავითარ სპარსულ მონაჯორს არ ასახავს, მაგრამ რა ქებისა და ხოტბის ღირსი იყო ბაქარი?! ბაქარი კი არა, უფრო მნიშვნელოვანი ხელმწიფე ვახტანგ მეექვსე არ მიაჩნდა გურამიშვილს ხოტბა-დიდების ღირსად. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ზემორელე მოყვანილი მისი აფორიზმი სწორედ ვახტანგ ბაგრატიონს ეხება.

თემატურად მამუკა ასახავს სიყვარულს, პედაგოგიურ იდეებს (რაკიდა მე-18 ასწლეული განმანათლებელთა ეპოქა იყო), ასევე მძლავრობს მის ლირიკაში ემიგრანტთათვის დამახასიათებელი „სოფლის სამდურავი“. ამავე დროს, როგორც ითქვა, ის გახლავთ

მეხოტბეთა სკოლის ერთ-ერთი წევრი. მის ოდას ეწოდება „ქება მეფის ბაქარისა“ (მ. ბარათაშვილი, თხზ. სრ. კრებული, გივი მიქაძის რედაქცია, 1969, 38).

ერთ წიგნში მითითებულია, რომ აღნიშნული ქების წერისას ავტორმა „გამოიყენა „აბდულმესიანის“ სახოტბო სტილი და ტროპიკა“ (ქართული მწერლობა, I, ლექსიკონი-ცნობარი, „განათლება“, 1984, გვ. 46).

სინამდვილეში მ. ბარათაშვილის დროს XII საუკუნის ძეგლი „აბდულმესიანი“ დაკარგული იყო და მასზე წარმოდგენა არავისა ჰქონია. მათ შორის, არც მამუკას. მაშასადამე, ჩვენი მეხოტბე ჰბაძავდა და იყენებდა მისი წინამორბედის, XVII საუკუნის მგოსნის იაკობ შემოქმედელის, შესხმას „ქება მეფისა არჩილისა“. მას წინ ედო ი.მიტროპოლიტის ეგ შედევრი, რომელიც, სხვათა შორის, ერთგვარი წაბაძვაა გრიგოლ ჩახრუხაძის „თამარიანისა“.

ყოველივე ეს იცის მამუკა ბარათაშვილ-
მა და თავის „ხუტაბაში“ ამის თაობაზე კი-
დევაც მიუთითებს:

იაკობ მბაძეს და ჩახრუხაძეს
ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწებად -
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ,
დავრჩი ბაქარის მე მონა მქებად.
(მ. ბარათაშვილის თხზულებანი, გვ. 41)

გავშიფროთ ეგ მითითება: იაკობ შემოქ-
მედელი არის **მბაძე**, ანუ მიმბაძეველი. ვის წა-
ბაძა? რა თქმა უნდა, გრ. ჩახრუხაძეს. ჩახრუ-
ხადის ლექს-ხოტბის საზომით, რიტმითა და
რითმითა წყობით გააწყო თავისი ქება იაკობ-
მა. ამიტომაც არის იგი „მბაძე“. მერე თანა-
მიმდევრულად და ლოგიკურად მიდის მსჯე-
ლობა: იაკობ მბაძემ აქო არჩილი, ხოლო
ჩახრუხაძემო – თამარი. მესამე მეხოტბის ად-
გილს იჭერს თავად ავტორი: „დავრჩი ბაქა-
რის მე მონა მქებად“.

აქვე შევნიშნავთ: არ შეიძლება, არაფ-
რით არ შეიძლება, ბარათაშვილი „იაკობ
მბაძის“ ქებად გულისხმობდეს ერთსტროფიან

ტექსტს, რომელიც ასევე იაკობმა შეთხზა და რომელშიც შექმნილია არჩილ ბაგრატიონი.

და რატომ არ შეიძლება ამ ერთსტროფიან ქებას გულისხმობდეს მამუკა?

აი, თუ რატომ:

აქ ერთურთს ეჯიბრება სამი მეხოტბე ავტორი. მათ შორის, ჩახრუხადემ შეთხზა დაახლოებით 107-111 სტროფიანი ლირიკული სახოტბო ტექსტი; თვით მამუკამ შეძლო ბაქარის სახოტბოდ შეექმნა იმავე წყობისა და სტილის 63 სტროფიანი ლირიკული პოემა. ნუთუ ამ „უზარმაზარი“ ტექსტების საპირისწონედ გამოდგებოდა იაკობ დუმბაძის ერთსტროფიანი შექება?

რა თქმა უნდა, არა!

მაშ, აქ მამუკა გულისხმობს ი. შემოქმედელ-დუმბაძის 107 სტროფიან ლირიკულ პოემას.

ეს საკითხი გარკვეულია.

ახლა გადავიდეთ მეორეზე: რა საჭიროა ამგვარი ქება-დიდება პატრონებისა?

მამუკას ამ საკითხზე თავისი პასუხი მოეპოვება და ეგ პასუხი სრულად ეთანხმება არჩილის სკოლის წარმომადგენელთა (არჩილი, ი. შემოქმედელი...) მოსაზრებას: წინაპართა სასახელო საქმეები ჩირაღდანივით უნათებს გზასავალს თანამედროვე ქართველებს. ზუსტად ამასვე ბრძანებს მ. ბარათაშვილი ზემორე განხილული სტროფის მომდევნო პოეტურ აბზაცში:

**ძველთა მეფეთა, ძლიერთა მხნეთა,
პირად-პირადთა სიყვარულებად
განჰსწავლეს მართლად, გვინათლებს სანთლად,
წინარე გვიძევეს არ ნაკლულებად.**

ახლა გავარკვიოთ მესამე საკითხიც: თუ მამუკას თვალწინ ედო იაკობ შემოქმედელის თხზულება და ყოველმხრივ ჰბაძავდა მას, მაშინ შეუძლებელია, „არჩილ მეფის ქების” ტექსტიდან რაიმე არ აელო, რომელიმე ფრაზა არ ჩარჩენოდა გონებაში და მისი რევერბერაცია არ წარმოედგინა თავის ტექსტში. ასეც არის: „ბაქარის ქებაში” რამდენიმე ასე-

თი მომენტი შევნიშნეთ. აქვე დაგსძენთ: ბარათაშვილის ტექსტში სრულიად არ ჩანს ჩახრუხადის ტექსტის ზეგავლენა, რეციდივი!

ჩემს ერთ-ერთ გამოკვლევაში დადგენილია: თურქული სიტყვა „ბოლუქი” პირველად გამოიყენა სერაპიონ საბაშვილ-კედელაურმა „როსტომიანის” გალექსვისას მე-16 საუკუნეში. ამრიგად, **ბოლუქი** სიტყვიდან წარმოებული სიტყვები და გვარი – **ბოლქვი, ბოლქვაძე** – შეუძლებელია XVII საუკუნეზე ადრე შეგვხვდეს სადმე. მერე, ეგ სიტყვა **ბოლუქი** მეორედ მოიმარჯვა სწორედ ი. შემოქმედელმა 1661 წ. შეთხზულ „არჩილ მეფის ქებაში” (მ. თავდიშვილი, დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, 2010, გვ. 56). საგულისხმოა, რომ შემოქმედელმა ეს თურქული სიტყვა-ნეოლოგიზმი რითმად შეუწყვილა მეორე ასევე კოლორიტულ ცნებას **სალუქი, სასალუქო**:

ბოლუქ – ბოლუქად, მყის სასალუქად
ბრძენი რიტორებს მისთვის სამოთხით.

ორივე ეგ სიტყვა ყურში ჩარჩენია მამუკა ბარათაშვილს და თავისი პოემის დასაწყისშივე, მე-2 სტროფში, იყენებს: **წყალობა ბუქად – ვარ სასალუქად.**

ვხედავთ: **ბოლუქ - ბოლუქად** მამუკას ხელში იქცა მარტივ სიტყვა **ბუქად**, თუმცა შინაარსი იგივეა: დასტა-დასტად, ბლომად, მრავლად, ხვავრიელად.

ეჭვიც არ გვეპარება, სესხება აშკარაა, თანაც იგი თვალისმიერია.

ი. შემოქმედელი თავისი ხოტბის საგანს, არჩილ მეფეს, მიუყენებს სამართლიან მეტაფორა-ჰიპერბოლას: არჩილი არისო „სიბრძნის ზღვა“.

ისტორიკოსები მიუთითებენ: საქართველოს ისტორიაში არც ერთ მეფეს ისე ძლიერი განათლება არ მიუციაო შვილებისათვის, როგორც ვახტანგ V შაჰნავაზს. ამ მხრივ კი საგანგებოდ გამოყოფენ შაჰნავაზის ორ ძეს: არჩილსა და გიორგი მეთერთმეტეს. ამიტომაც ი. შემოქმედელი არაფერს აჭარბებს, როცა არჩილს სიბრძნის ზღვას უწოდებს,

ოღონდ რომელი სიბრძნის ზღვა გინდა ტბა
ბრძანდებოდა სრულიად გამოურჩეველი და
ნაცრისფერი ისტორიული პირი ბაქარ ვახ-
ტანგ მეექვსის ძე? ამ ვითარებას ვეღარ
უწევს ანგარიშს მამუკა და იაკობის მიბაძ-
ვით მექანიკურად იმეორებს წინამორბედი მე-
სიტყვის მეტაფორა-ჰიპერბოლას:

**სიბრძნის ზღვა არსად,
მისებრ სხვა არსად
დაბადა ღმერთმან მისი სახენი.
(მ. ბარათაშვილი, 38).**

ცნობილი ამბავია: არჩილს ჰყავდა მო-
სისხლე მტერ-დუშმანი ოდიშის მთავრის ვა-
მიყ III დადიანის სახით. 1661 წელს არჩილმა
და მამამისმა სასტიკად შერისხეს და პირისა-
გან მიწისა აღგავეს ხელმწიფის ქვეგამხედვა-
რი ფეოდალი და მისი მომხრეები. ამიტომ,
როცა ი. შემოქმედელი წერს:

**ვისცა შეჭრისხდა, ნამდვილვე მიჰხვდა
მას საღმობანი სიკვდილისანი (23 სტროფი)**

ეს ყველაფერი სწორია, მართალია და რეალურად ასეც მოხდა, მაგრამ ამგვარი ფორმულა სრულიად უადგილოა ბაქარის შემთხვევაში. არადა იაკობის ტექსტის ზეგაფლენით ამ ფორმულას იმეორებს მამუკაც:

**ვისცა შერისხნა, დადნა ვით ცვილი
(6 სტროფი).**

„ცვილის“ მეტაფორაც იაკობის ქმნილებაშია უფრო ადრე ნახმარი:

მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი (30, I).

იაკობი საგანგებოდ აღნიშნავს არჩილის მხედრულ სიჩაუქეს, რომ ის ასპარეზზე ხშირად გამოდის და სპორტულ ნავარდობას არის დაჩვეული. აქ ცენტრალური სიტყვაა **ასპარეზი**:

**რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი,
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი (4 სტროფი).**
მამუკა იმეორებს:
ასპარეზ რებით, მქნელ უცხო რებით...
(10 სტროფი).

იაკობი 24-ე პოეტურ აბზაცში იძლევა მხატვრულ ფორმას მუამა. აქ გათამაშებულია ბიბლიური **ელიას** ამბავი. ცენტრალური ტაეპი ასეთია:

ელი ამო სით; ელია მოსით.

მამუკა მარტივად და თანაც ბუნდოვნად იმეორებს:

**ელისეთ რაზდონ, მენოსელთა რაზდონ
სუნად ელიად მე ჩემეულად (57, IV).**

სურათი ნათელია: მამუკა ბარათაშვილი ნამდვილად იყენებს ნიმუშად იაკობის თხზულებას და არა ოდენ სტილითა და ფორმით ჰბაძავს წინამორბედს, არამედ ცალკეულ სახე-გამოთქმებსაც სესხულობს მისგან. მარტო აქედანაც ცხადია, იაკობ შემოქმედელის ღირიკულ პოემას რომ გულისხმობს იგი სამი პოეტის ქებათა ხსენებისას.

რად უეიცივალა
აზრი დავით რექტორმა?
(„აბდულმესიანის“ პრობლემის გასაღები)

ე.წ. „აბდულმესიანის“, 107 სტროფიანი ლირიკული პოემის, ხელნაწერთა გადამწერები 1822 წლამდე ერთპირ აცხადებდნენ: ხოტბა ეძღვნება არჩილ მეფეს, ხოლო მისი ავტორი იაკობ შემოქმედელი (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, თბ., 2009, გვ. 160-164).

თვითონ დავით რექტორმა, შესანიშნავმა კალიგრაფმა, სანამ თავის ახალ, უცნაურ თვალსაზრისს შეიმუშავებდა, საკუთარი ხელით ორჯერ გადაწერა ტექსტი. ჯერ 1818 (E), შემდგომ 1821 წელს (F), ორივეჯერ აღიარა იგი არჩილის ხოტბად: „მეფის არჩილის ქება დავითიან-ბაგრატოვანისა“ (იქვე, გვ. 162).

იმავე კალიგრაფმა 1822 წელს ისევ გადაწერა ეგვევ ტექსტი (K ნუსხა). აქ კი მოულოდნელად შეცვალა თავისი ძველი მოსაზრება, რაიც წინა ხელნაწერთა მონაცემებს

ემყარებოდა, და განავითარა სრულიად სხვაგვარი აზრი: ეს ძეგლი XVII საუკუნისა კი არა, XII ასწლეულისააო.

ამრიგად, ტექსტი მთელი 5 საუკუნით დააძველა!

რა იყო ერთობ განათლებული მოღვაწის, პოეტის, მწიგნობრის, პედაგოგის (თელავის სემინარიის რექტორი) ამგვარი უცნაური შემობრუნების მიზეზი?

ამის შესახებ მკვლევრები დამაჯერებელს ვერაფერს ამბობენ. პროფ. ივანე ლოლაშვილი ლიტონ განცხადებას დასჯერდა, როცა დავით რექტორზე ბრძანა:

„1822 წ. მან ნაწილობრივ ამოიციო აბდულმესიანის საიდუმლოება: პოემის შინაარსობრივი ანალიზისას ის მიხვდა, რომ „არჩილ მეფის ქების“ სახელით ცნობილი თხზულება არ წარმოადგენს XVII საუკუნის პოეტური აზროვნების ნაყოფს, არამედ ის არის თამარის ეპოქის ძეგლი, რომელშიც შექმნილი არიან გვირგვინოსანი ცოლ-ქმარი – თამარი და დავითი. ამიტომ მან პოემას სათაუ-

რი შეუცვალა, ტექსტიდან არჩილის სახელი ამოიღო და მის ნაცვლად ჩასვა ზოგან „თამარი“, ზოგან - „დავითი“, იმისდა მიხედვით, თუ რა კონტექსტს რომელი სახელი შეეფერებოდა. მან იცოდა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ცნობა „აბდულმესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“, და, ბოლოს, მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოდწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ, რომელთაც აფიქრებინეს დავითს, რომ მას ძეგლის ავტორად იოანე შავთელი მიეჩნია” (ივანე ლოლაშვილი, ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 33).

გამოჩენილი პროფესორის ეგ მსჯელობა რამდენიმე მკაცრ შენიშვნას იმსახურებს.

1. ივანე ლოლაშვილს არ მოჰყავს **არავითარი საბუთი**, თუ საიდან აკეთებს შესაბამის დასკვნას დავით რექტორი. **„შინაარსობრივი ანალიზისას ის მიხვდა”** ვერაფერი საბუთია. სწორედ შინაარსობრივი ანალიზი ვერ მოახერხეს დავით რექტორმა და მისმა მიმდე-

ვარმა ლოლაშივილი. როგორც ზემორე ვუჩენეთ, ტექსტში 1661 წელს დატრიალებული ამბებია ასარკული; ქება გატენილია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების (1600 წ.) ლექსიკით და ა.შ.

2. ივ. ლოლაშივილი ბრძანებს: **„მან იცოდა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ცნობა „აბდულმესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“.**

ესეც ლიტონი სიტყვებია. ეს ვერ ამტკიცებს იმას, რომ რექტორის ხელთ არსებული ტექსტი მაინცდამაინც ეს თხზულებაა. მეორეც, ადრე რომ ორჯერ გადაწერა, განა მაშინ არ იცოდა კალიგრაფმა, თუ რა ეწერა „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში?

3. „მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოდწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ“.

ესეც ბავშვური განცხადებაა. **„უნდა ყოფილიყო“** ვერაფერი ბედენა მტკიცებაა! სახელდობრ რა საბუთი ჰქონდა?

ამაზე ივ. ლოლაშვილი დუმს.

მაშ, დავით რექტორს არავითარი დოკუმენტი ხელში არა სჭერია. ამასთანავე, განა 1818 და 1821 წლებში არა ჰქონდა ეს დოკუმენტი?!

4. ახლა ყველაზე მთავარი, ივ. ლოლაშვილის მოსაზრების დამანგრეველი შენიშვნა.

ბატონი პროფესორი დავით რექტორს უწონებს ყალბისმქმნელობას. ივ. ლოლაშვილი თამამად ბრძანებს: „ამიტომ მან პოემას სათაური შეუცვალა, ტექსტიდან არჩილის სახელი ამოიღო და მის ნაცვლად ჩასვა ზოგან „თამარი“, ზოგან - „დავითი“, იმისდა მიხედვით, თუ რა კონტექსტს რომელი სახელი შეეფერებოდა“.

მაშ, მკვლევარი კალიგრაფს უქებს აფიორას, ტექსტის უსაბუთოდ ჩასწორებას, ყალბისმქმნელობას.

ამრიგად, პროფესორი ვერანაირ საბუთსა და მტკიცებას ვერ იძლევა, რომელიც ოდნავ მაინც სარწმუნო იქნებოდა.

დავით რექტორის მოულოდნელი ფერიცვალების ახსნას ღამობს პროფ. ბორის დარჩია. მისი მოსაზრება უფრო მეცნიერული და საბუთიანი, ოღონდ მეტად მძიმე და ჩახლართულია (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, გვ. 155-165). მკვლევარი სწორია, რომ ხელთა გვაქვს არა XII, არამედ XVII საუკუნის ძეგლი; იმასაც მართებულად ადგენს, რომ ტექსტი XVII ასწლეულს ეკუთვნის და მისი ავტორია იაკობ მიტროპოლიტი; იმაზეც მსჯელობს, თუ რად მოუვიდა ეს შეცდომა დავით რექტორს, ოღონდ სიმართლე სულ სხვაგანაა საძიებელი.

ეს რომ დაუადგინოთ, აუცილებელია ხელნაწერულ მემკვიდრეობას, ვიწრო საარქივო მონაცემებს წამიერად თვალი მოვსწყვიტოთ, ფართოდ შევხედოთ იმ ეპოქას და შევათვალიეროთ ის ვითარება, რაც 1810-1820-იან წლებში სუფევდა რუსეთის იმპერიასა და მის შემადგენლობაში შესულ ივერიაში.

საამისოდ, ეგების, გამოგვადგეს მურმან თავდიშვილის ნაშრომი, რომელიც ჯერ კი-

დეკ 1975 წელს დაიბეჭდა, ანუ მაშინ, როცა ქართულ მეცნიერებაში „აბდულმესიანის“ პრობლემა არც კი ჭაჭანებდა. აი, ეგ გამოკვლევაც: „**ალექსანდრე სულაკაძე და რუსული პრერომანტიზმი**“, „მნათობი“, №4, 1975.

ახლა ვნახოთ, რა არის დასაბუთებული და ნაჩვენები ამ ვრცელ სტატიაში.

გამოკვლევაში გამოყენებულია რუს ავტორთა მოსაზრებები, მითითებულია სათანადო ფაქტებზე და დადგენილია:

1800-იანი და 1810-იანი წლების რუსეთის იმპერია ტოტალურად მოიცვა წინარერომანტიკულმა (პრერომანტიკულმა) განწყობილებამ. ყველა – დიდი თუ პატარა — შეიპყრო „ჭაღარა რუსული წარსულის“ გაშმაგებული ძიების წყურვილმა. სიძველის მოყვარულები, ანტიკვარული ნივთების მაძიებლები რომანტიკულმა პატრიოტიზმმა მოიცვა. გასაგებია, რომ რომანტიზმში უმთავრესია წარსულის გაიდება, წარსულომანია. მთელი რუსეთის იმპერია და მასში შემავალი ქვეყნები და ხალხები ერთიანად აიტანა ამ ალტკინე-

ბულმა პათოსმა; ადამიანები გაფართოებული თვალებით უცქერდნენ სულ უმნიშვნელო ანტიკურ ნივთსაც კი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ისტორიკოსები და მწერლები. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ვ. ჟუკოვსკი წერს წარსულის განმადიდებელ ლირიკულ პოემას „მომღერალი (პოეტი) რუს მხედართა ბანაკში“, რომლის ისტორიული ყალიბიც იმავე განცდებით დამუხტულმა გრ. ორბელიანმა მაშინვე გამოიყენა თავისი ლირიკული პოემის „სადღეგრძელოს“ საფუძველად.

ეპოქის პათოსის გასაგებად უფრო საინტერესოა სხვა ამბავი: პეტერბურგში საქმიანობდა ანტიკვარი და ბუკინისტი ალექსანდრე სულაკაძე. მან მყისვე აულო ალლო შექმნილ ვითარებას და იგი სათავისოდ გამოიყენა — საკუთარ ანტიკვარულ მაღაზია-მუზეუმში გამოფინა „მის მიერ აღმოჩენილი“ სენსაციური რუნები. ეს იყო უძველესი ლექსები, რომლებშიც მოქმედებდნენ ვოლხვები, ზლოგორები და სხვა მითოლოგიური პერსონაჟები. სინამ-

დვილემში თადლით სულაკაძეს არც არაფერი აღმოუჩენია. მან ძველსლავური ტექსტების წაბაძვით, უძველესი მეტყველების კოლორიტის დაცვით, შეთხზა საკუთარი ნაწარმოებები, მოძებნა ძველი საწერი ეტრატები და დაწერა მათზე ეს ლექსები. ასე შექმნა სენსაცია. მისტიფიკატორის „მუზეუმს“ მიაწვდა დიდძალი ხალხი: მნახველები, მყიდველები, „სიძველისადმი გრძნობა-პატივით“ აღვსილი პატრიოტები.

სხვებსავით მოტყუვდა უგანათლებულესი ინტელიგენტი, მკვლევარი და პოეტი გავრილ დერჟავინი, სწორედ ის სიტყვის ოსტატი, ვისზეც მოგვიანებით პუშკინი იტყვის: „ველიკიი დერჟავინ ნას ბლაგასლავილ!“

პატრიოტმა მგოსანმა ორჯერ მოინახულა სულაკაძის ფარდული და დიდხანს უკირკიტა სენსაციურ ძველსლავურ ლექსებს. კაცმა არ იცის, რამდენი გადაუხადა ანტიკვარს, რომელიც ესოდენ ფაქიზად ეპყრობოდა „ჭადარა რუსულ სიძველეებს“ და ბრძანა: ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანია სწორედ ამგვარი მასა-

ლები მოვიპოვოთ და გამოვაქვეყნოთ და ებ
მაშინაც კი, ეს მასალები ნამდვილიც რომ
არ იყოსო! მან წაიღო სულაკაძის „შედევრე-
ბი“ და თავის ხელნაწერ ჟურნალში „ბესედა
ლიუბიტელეი რუსკოგო სლოვა“ დიდის ამ-
ბით გამოაქვეყნა, ხოლო თავად ამ ტექსტე-
ბის დიდი ზეგავლენა განიცადა და ბევრ მის
ქმნილებას კიდევაც ატყვია აღ. სულაკაძის
შენათხზის კვალი.

აქ ყურადღებას იქცევს გ. დერჟავინის
იდეა: **წარსულის ამსახველი ებ მასალა მაში-
ნაც კი დიდმნიშვნელოვანია, ნაყალბევიც
რომ იყოსო.**

აი, რაოდენ მძლავრად მოსდებოდა იმპე-
რიას „წარსულისადმი გრძნობა-პატივი“.

ეჭვი არაა, ეს სულისკვეთება ბობოქრობ-
და საქართველოში, მით უფრო, რომ ივერი-
ელთ უფრო დიდი და ხანგრძლივი ისტორია
ჰქონდათ. აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ
ჯერ კიდევ ერეკლე მეფე მოუწოდებდა თავის
სწავლულ კაცებს: მოეძებნათ დაკარგული
წიგნები და, თუ ვერ იპოვნინდნენ, მაშინ

აღედგინათ ისინი, ანუ ხელახლა დაეწერათ. სწორედ ამისი გამოძახილია, თავიდან რომ დაწერეს დაკარგული „დილარგეთიანი“, სხვა ქმნილებები. ეპოქის საერთო ფარვატერში უნდა მდგარიყო რუსეთში განათლებამიღებულნი დავით რექტორიც. მასაც, რა თქმა უნდა, დიახაც ეწადა, ხელი შეეშველებინა მამეული ლიტერატურისათვის და „ჭაღარა ქართული წარსული“ ესახელებინა. ვფიქრობ, სწორედ ამ სულისკვეთებამ სძლია მას 1822 წელს, როცა მოულოდნელად განაცხადა: ეს ტექსტი შავთელის „აბდულმესია“ მგონიაო. ასე გადაუსვა ხაზი მან, ისტორიულ-პატრიოტული პათოსით გათანგულმა, საკუთარ წარსულ საქმიანობას, როცა 1818 და 1821 წლებშიც გადაწერა იგივე ტექსტი და სავსებით სწორად მიიჩნია იგი XVII საუკუნის ძეგლად.

აი, რამ გამოიწვია კალიგრაფის უცაბედი და მოულოდნელი შემობრუნება 1822 წელს მთელი ას ოთხმოცი გრადუსით. ასე გადმოგვიგდო ამ მოღვაწემ დიდი თავსატეხი, რომელსაც თავი და ბოლო ვერ გაუგეს ნ. მარ-

მა, ექვთ. თაყაიშვილმა, ივ. ლოლაშვილმა და ბევრმა სხვამ.

და დღეს, 2022 წელს, ზუსტად ორასი წლის თავზე, „აბდულმესიანის“ საიდუმლო გახსნილია, საბოლოო წერტილი დასმულია.

როდის არის შეთხზული „არჩილ მეფის ქება“?

ბორის დარჩიას აზრით, „გაბაასება“ დაწერილია 1676-1680 წლებში ან ცოტათი ადრე (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, გვ. 144), ხოლო ე. წ. „აბდულმესიანი“ – 1681 წლამდე – 1670 წელს პლუს-მინუს 5 წელი (გვ. 405).

გასარკვევია, რომელია უფრო ადრე შეთხზული.

ზემორე წარმოდგენილი სტატიებისდაკვალობაზე მკითხველი, ალბათ, მიხვდებოდა, რომ „ქება“ შეთხზულია „გაბაასების“ უწინარეს. ამაზე, გარდა ზემომოყვანილი ურთიერთმიმართების ნიმუშებისა, ბევრი სხვა რამეც მეტყველებს.

პირველი, არჩილი იმერეთში მეფედ დაჯდა 1661 წელს, ხოლო 1663 წელს სხვადასხვა მიზეზისა გამო მამამისმა იგი უკან გაიწვია. ახალგაზრდა მმართველს, „უცხო“ მხარეში გამეფებულს, სჭირდებოდა გამხნევება, თანადგომა და, რაც მთავარია, იდეოლოგიურ-

პოლიტიკური მხარდაჭერა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ე. წ. „აბღულმესიანი“.

ამავე დროს, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება.

სოტბაში ქების საგანს ავტორი ასე მიმართავს: „გვრიტთა მართვისა თვარ აქვს მართ ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა“ (62,1).

აქ პირდაპირ არის მითითებული ორი რამ: ა) ქების საგანი ჯერჯერობით მხოლოდ „გვრიტის მართვეა“, ესე იგი, ახალგაზრდაა, ჭაბუკია, ყმაწვილკაცია. სხვათა შორის, სიტყვების გ ვ რ ი ტ ი ს ა და მ ა რ თ ვ ე ს ხსენება უყვარს იაკობ შემოქმედელს. მის უდავო „გაბაასებაში“ დაახლოებით ექვსჯერ მაინც გვხვდება ეგ სიტყვები. მაგალითად, ერთგან ასეც კი ამბობს: მაჰმადიანიო „გვრიტს არ ბაძავს“ (22,3). ეგ ფორმულა იმის პოეტური ანტონიმია, ანტიპოდი, რაც ქებაშია ჩამოყალიბებული: გ ვ რ ი ტ ს ა ჰ ბ ა ძ ა ვ ო .

მარტო ეგ მიგნებაც კი კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ე. წ. „აბღულმესიანი“

იაკობ შემოქმედელისაა; ბ) ქების საგანი „გვრიტის მართვია“. ამიტომაც ჯერ დაუქორწინებელია, ოღონდ აქვს „სურვილი მეუღლობისა“. ესეც იმაზე მითითებაა, რომ არჩილ მეფე ამ დროს 14-15 წლის ყმაწვილკაცია და დაუოჯახებელია. სწორედ 1661-1663 წლებშია შაჰნავაზის პირმშო ძე უცოლო და საქორწილოდ გამზადებული, რომელსაც აქვს „სურვილი მეუღლობისა“.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ „ქება“ დაწერილია 1666 წლამდე. სწორედ ამ დროს დაქორწინდა არჩილ მეფე პირველად.

ბორის დარჩია ბრძანებს: ქებაში კონკრეტული არაფერია ნათქვამი არჩილის საგანგებო სახელმწიფო მიღწევებზე, რადგან ამ დროს 14-16 წლის ყრმას ისეთი არც არაფერი გაუკეთებია (მე დავუმატებდი, ჯერჯერობით – არც პოეზიაში).

ეს ფაქტიც უფრო 1661-1663 წლებისკენ მიგვახედებს.

მაშ, მკაცრი მიდგომით, ქება შეთხზულია 1661-1666 წლებში, უფრო მობოშებული გამოთვლით, – 1661-1663 წლებში.

მეორეც, ქმნილება 1661 წლისა (რიონის ლიმონას აღება, ვამიყ III დადიანის შეორგულება და სიკვდილი) და 1660-იანი წლების დამდეგის ვითარებას აშკარად აღწერს. მესამეც, გიორგი XI რატომ დაავალებდა იაკობ დუმბაძეს თავისი პაპის პაპის ბაგრატ ბატონიშვილის ანტიმაჰმადიანური ტრაქტატის გალექსვას, თუ არ ჰქონდა წანაკითხი და მოწონებული „არჩილ მეფის ქება“? დარწმუნებული ვარ, ორი-სამი სხვა მცირე ყალიბის ლექსი (ზოგი ერთსტროფიანიც) კულტურულ, განათლებულ, გემოვნებიან გიორგი ბაგრატიონზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ვერ იქონიებდა. სხვა კი იმ დროს იაკობს რაღა რჩებოდა, თუ „არჩილ მეფის ქებას“ გამოვრიცხავთ?

ამგვარსავე აზრს ავითარებს ბ. დარჩია თავისი მონოგრაფიის 416-ე გვერდზე.

მეოთხეც, გიორგი XI ქვეშევრდომს „გაბაასების“ წყობილ მარგალიტად ქცევას დაავალებდა გამეფების შემდგომ. ის კი ქართლის პატრონად მოგვევლინა 1676 წელს. ამ დროისათვის, ეჭვი არ არის, „არჩილ მეფის ქება“ მთელი 13 წელიწადია, კულტურულ საზოგადოებაში ქუსს და მისი ავტორიც დიდად სახელოვანი მწერალია. სწორედ ამიტომაც დაავალა ახალგაზრდა მონარქმა „გაბაასების“ გალექსვა.

მეხუთე, როგორც ბ. დარჩიამ გაარკვია, არჩილის პოემა „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება“ დაწერილია 1681 წლამდე. აქ იაკობი უკვე არა შემოქმედელად, არამედ სამეხედად არის წოდებული. სამეხედის მიტროპოლიტი კი იგი შემოქმედის მიტროპოლიტობის შემდეგ გახდა. არჩილი ბრძანებს:

**აწ სამეხელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი
(33,1).**

აქ „აწ“ არ ნიშნავს „ახლა ვახსენო“, არამედ – „ახლა რომ სამეხელია“.

მაშასადამე, 1681 წელს იაკობი სამებე-
ლია.

სამებელს უკვე შეთხზული აქვს „არჩილ
მეფის ქება“, რის გამოც არჩილი უფრო ნაკ-
ლებ შეფასებას აძლევს „მბაძეს“, რადგან
თავმოყვარეობა „მისივე მკობარის“ ბოლომ-
დე, სრულად, დახასიათების ნებას არ აძ-
ლევს.

**სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი
მკობარი (33,4).**

მეექვსე, „გაბაასების“ პროლოგიდან აშ-
კარად ჩანს, იაკობს უკვე დაწერილი აქვს
„არჩილის ქება“ და ის უკვე ეჭვშეუტანელი
ავტორიტეტია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუ-
გებარი დარჩებოდა ის თავდაჯერებულობა,
რასაც თავად ავტორი ამჟღავნებს. იგი ამა-
ყად და წელში გამართული ბრძანებს:

**ვრიტორებ სიბრძნის ებგური, შემოქმედელი
იაკობ,
მიცნობენ საღმთოდ, გარეშედ ვნარნარებ,
ტკბილად ვმუსიკობ,**

ბრძენთ სიტყვას კარგად მოვისმენ, არ დავემობ,
თვით მე შეუმეობ.

(9, I-III).

ფაქტობრივად აქ იმხელა სიამაყეა გამო-
ხატული, როგორც რუსთველის ნათქვამში –
„მე, რუსთველი...“

წარმოუდგენელია, ავტორმა თქვას, „ერი-
ტორებ სიბრძნის დარაჯიო“, თუ მას წინ არ
უდევს უკვე ხალხში გასული „არჩილის ქე-
ბა“, რის გამოც დაავალეს კიდევ ახალი
თხზულების შექმნა. აქვე შევნიშნავ: ამ
დროს, „გაბაასების“ წერისას, იგი, მართა-
ლია, ს ა მ ე ბ ე ლ ი ა, მაგრამ თვითონვე
მიუთითებს, იაკობ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი
გახლავართო. როგორ ავხსნათ ეს?

ძალიან ადვილად.

როცა მოღვაწე ერთ ადგილას განსაკუთ-
რებით გამოიჩინდა თავს, იმ ადგილის სა-
ხელ-ზედწოდება სიცოცხლის ბოლომდე რჩე-
ბოდა. მაშ, შესაძლებელი იყო, ერთი წოდე-
ბის მქონე კაცს სხვა ეკლესიაშიც ძველი წო-
დებითვე ეღვაწა. მაგალითად, „ანტონ მაწყვე-

რელს“ (აწყურის ეპისკოპოსს) გელათის კათედრა ეკავა 1565 წლიდან“ (იხ. ბ. ლომინაძე, გელათი, 1959, გვ. 30), მაგრამ აქაც იწოდებოდა მაწყვერელად.

მითითებულ სტროფში ვხედავთ არჩილის „გაბაასების“ მომავალ ფიგურასაც. არჩილი იაკობის შესახებ დასძენს: „ხუცურის ენით მელექსობს“. მე პირადად ამ გამოთქმის პროტოფრაზას ვხედავ იაკობის „გაბაასებაში“: „მიცნობენ საღმთოდ... ტკბილად ვმუსიკობ“.

ამ თვალთახედვით კიდევ უფრო მტკიცე და თავდაჯერებულია ავტორი წინა სტროფის მიხედვით. აქ თვითონვე ადგენს მგოსნების „რანგთა ტაბელს“ (სხვათა შორის, ძალიან ზუსტად და ობიექტურად):

რუსთველი ვთქვა თავს მელექსედ, მზედ,
კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ,
თეიმურაზ, არჩილ მეფე, – ორივე მისად
მეჯუფთარედ;
თვით ცისკრისა მთიებად ვსჩან, სანთლად
მათთვის წინ მდებარედ,
სხვა შეყრილნი მელექსენი – ცუდ
ვარსკვლავად, მოუხმარედ (8).

მკაცრი, ოღონდ ობიექტური შეფასებაა!

მართლაც, იმ დროისათვის, როცა ეპროლოგი იწერებოდა, იაკობის „არჩილ მეფის ქების“ წინ შეიძლებოდა დაგეყენებინათ რუსთველის, თეიმურაზის, არჩილის ნაშრომები. თანამედროვეთაგან წაქეზებულ იაკობს „თამარიანი“, რომელსაც თავად გაეჯიბრა და წაბაძა, უკვე აღარ მიაჩნდა „არჩილ მეფის ხოტბაზე“ ძლიერ ქმნილებად, მით უფრო, რომ მისი ლიტერატურული სკოლის მეთაურმა უკვე ასეთი პოეტური დივიდენდი მისცა: „ამჟამად მას მეცნიერი არსად არა ჰყავს უბარი“. ამ თვალსაზრისით (და არა პოეტურტექნიკური თვალთახედვით) მას მართლაც ვერ შეედრება ჩახრუხაძე. საღვთო წიგნებისა და სხვა ლიტერატურის ცოდნით ი. დუმბაძე ჩახრუხაძეს დიდად აჭარბებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი პოეზიის ცის კაბადონზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილან ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი, ბესიკი...

იქვე ავტორი დაურიდებლად დასძენს: „ენარნარებ, ტკბილად ვმუსიკობ“ და ამის შესანიშნავ ნიმუშს წინარე, მეშვიდე, სტროფში იძლევა, სადაც ოსტატურად არის სარიტმოდ სიტყვად ხუთგზის ახმიანებული **გ ა ნ ი მ ა რ ტ ო ს**; **გ ა ნ ი** აქლერებულია ექვსჯერ, ხოლო **გ ა ნ** ბგერათკომპლექსი – ათჯერ; „რ ტ“ აბგერწერებულია ექვსჯერ. მაშ, გვაქვს სასწაულებრივი ალიტერაცია:

ვინც სხვას მოძღვრის სიბრძნის სიტყვას,
სჯობს თვით პირველ
გ ა ნ ი მ ა რ ტ ო ს,
განიწმინდოს ზამთრის ჟანგი, არ ივლისი
გ ა ნ ი მ ა რ ტ ო ს:
ნოეს ტრედმან რად მიართვა, – გამოსცნობდენ,
– **გ ა ნ ი მ ა რ ტ ო ს**.
არას არგებს **გ ა ნ ი მ ა რ ტ ო ს**, ან გრძლად
ხმობდეს **გ ა ნ ი მ ა რ ტ ო ს**.

ამრიგად, ჯერ დაწერილია (1661-1663 წ.) „არჩილ მეფის ქება“, ხოლო შემდეგ (1676-1681 წ.) – „გაბაასება“.

ნურავის გაუკვირდება, თუ მე „უკუღმა“
ვამუშავებდი ამ ორი ქმნილების ურთიერთმი-
მართების პრობლემას. ამას აქვს ახსნა: „არ-
ჩილ მეფის ქება“ მოაქჟამამდე სადავო ნაწარ-
მოები იყო და საკითხის კვლევისას იაკობის
„უდავო“ ტექსტიდან ამოვდიოდი.

„საიდუმლო ყოველი უცებ ბაჰვეყნიერდა“

თუ ყურადღებით წავიკითხავთ, ჯეროვნად გავიაზრებთ და სათანადოდ განვსჯით იაკობ მიტროპოლიტის მთელ შემოქმედებას, მაშინ ზედმეტად სულაც აღარ მოგვეჩვენება ის მაღალი შეფასება, რასაც „მბაძეს“ მისი თანამედროვენი აძლევენ. მიტროპოლიტი იოსებ თბილელი მას ბრენკაცსა და საღვთო წიგნების გამომძიებელს ეძახდა; მამუკა ბართათაშვილი – არჩილ მეფის შესანიშნავ მუხობეს და ამ საქმეში ჩახრუხაძეს უტოლებდა; არჩილ მეფე, ენციკლოპედისტ-განმანათლებელი და მთელი სალიტერატურო სკოლის მეთაური, თანამედროვე კალმოსნებში იაკობზე მაღლა არავის აყენებდა, თან ბოდიშს იხდიდა: ჩემი „მკობარი“ რომ იყო, ამის გამო სრულად ვერ დავახასიათე, რა ქებასაც იმსახურებდა, ბოლომდე ვერა ვთქვიო; ანტონ კათალიკოსი მას მოციქულთა თანაბარს ეძახდა. ყველაზე უცნაური კი, თითქოსდა, ის

არის, რომ ამ შეფასებას არ უარყოფდა, პირიქით, იზიარებდა და კიდევაც ადასტურებდა თვითონ ღირსი მამა. იგი გამოტეხილად აცხადებდა:

**რუსთველი ვთქვა თავს მელექსედ, მზედ,
კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ,
თეიმურაზ, არჩილ მეფე – ორივ მისად
მეჯუფთარედ;
თვით ცისკრისა მთიებად ვსჩან, სანთლად
მათვის წინ მდებარედ,
სხვა შეყრილნი მელექსენი – ცუდ
ვარსკვლავად, მოუხმარედ.
(„გაბაასება“, 8, I-4).**

უცნაური კია, ოღონდ აქ იაკობისდროინდელი სამწერლობო ვითარება სააფთიაქო სასწორზეა აწონილი. 1650-1670-იან წლებში, ზოგადად XVII საუკუნის შუა ხანებში, არსებული ვითარება აქ ზედმიწევნით ზუსტად და პატიოსნად არის წარმოდგენილი: ყველაზე დიდ მოშაირედ, პირველწოდებულ მესიტყვედ, შერაცხულია რუსთველი; რუსთველის შემდეგ მეორე პოეტად თეიმურაზ პირველი სა-

მართლიანად არის შესახებელი; მართლაც მესამეა და დიდად როდი ჩამოუვარდება თეიმურაზს არჩილ მეფე; მაშინდელ დანარჩენ მოშაირეთა შორის, უდავოა, იაკობ შემოქმედელი ცისკრის ვარსკვლავით ანათებს, როგორც წვრილ-წვრილ უსახურ სანთლებში ანთებული კერეონი.

ეს შედარება მართებულია. იგი გადაჭარბებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იაკობ შემოქმედელის ნაღვაწად არ მივიჩნევდით ე. წ. „აბდულმესიანს“, ანუ მიტროპოლიტის უმთავრეს, უმძლავრეს, მხატვრულად ყველაზე ღირებულ „არჩილ მეფის ქებას“. უამპოემოდ როგორც გარეშეთა ხოტბა, ისე მისივე თვითდახასიათება მკრეხელობა და ნარცისიზმი გამოვიდოდა.

აქვე შევნიშნავ:

დავადგინე სენსაციური ფაქტი – **იყო დრო, იაკობ დუმბაძე ქართულ პოეზიაში მესამე პოზიციაზე გადიოდა.** 1660-1670-იან წლებში, ესე იგი მანამ, ვიდრე ასპარეზზე არჩილი გამოვიდოდა, იაკობი რუსთველისა

და თეიმურაზ პირველის შემდეგ უდიდესი პოეტი გახლდათ.

ქართული პოეზიის შედეგრი „არჩილ მეფის ქება“ კი სასწორის პინაზე დადებული ის ვერცხლის ზოდია, რომელიც ბრწყინვალეებას არასოდეს დაკარგავს და მისი ავტორის უკვდავებას უზრუნველყოფს. და, სხვათა შორის, ამართლებს მაღალ თვითდახასიათებასაც.

ე. წ. „აბულმესიანის“ საიდუმლო გახსნილია.

ეს დასკვნითი წერილი კი მინდა იმამ ხომეინის უკვდავი ტაეპით დავაბოლოო:

„საიდუმლო ყოველი უცებ გაქვეყნიერდა“.

ღვაწლი დოქტორ ბორის დარჩიასი

წლების მანძილზე ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას ბრმად სჯეროდა, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ რუსთველის ეპოქის მწერალ შავთელს ეკუთვნოდა, ხოლო მიტროპოლიტმა იაკობ დუმბაძემ ჩაიდინა პლაგიატობა – თამარ მეფისა და მისი ქმრის სახელები ამოშალა, მათ ნაცვლად ტექსტში ჩაწერა არჩილი და ასე მიაღწია თავის პატრონსო. ეს იყო სრული აბსურდი. ქართული ფილოლოგიის ეს სამარცხვინო ჩავარდნა გამოასწორა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბორის დარჩიამ, რომელიც ამ საკითხზე ფიქრობდა 1960 წლიდან, ხოლო მასალებს ბეჭდავდა 1997 წლიდან; 2009 წელს კი გამოვიდა მეცნიერის 575 გვერდიანი მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელი“. ფაქტობრივად მკვლევარმა არა მარტო დიდი აღმოჩენა გააკეთა, არამედ დიდი სირცხვილისაგან იხსნა ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება, ხოლო წმინდა კაცს, მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძეს, ჩამორეცხა ის

ჩირქი, რაც მას მოსცხეს, ვითომცდა პლაგიატობა ჩაედინოს; ჩირქი ჩამოერეცხა თვით არჩილ მეფესაც, რაკილა ისე გამოდიოდა, თითქოსდა მას არ ესმოდა, თუ რა „დანაელთა საჩუქარიც“ უძღვნეს ან ყური წაუყრუა, რომ მას ქებად მიართვეს გადაკეთებული სხვისი ნაშრომი.

ამრიგად, ბორის დარჩიამ მთელი ერთი ინსტიტუტის საქმე გააკეთა, გმირულად გაისარჯა, ქართულ მეცნიერებას შერცხვენილი პირი მოსწმინდა, მომავლის პასუხისმგებლობის წინაშე გაგვამართლა და იმის მაგივრად, რომ პრემიებით, წოდებებით, ხარისხებით გაენებიერებინათ, თავჩაუხრელი გმირული შრომა არ დაუფასეს – დაბალხელფასიანი სამსახურიდანაც კი გამოაძევეს. თუ რატომ? – ამაზე ნათლად მოგვითხრობს მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელი“, ხოლო, თუ როგორ? – წიგნი „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“.

სამაგიეროდ, ზეიმობენ ნეობოლშევიკ-ნაციონალისტთა მიერ ხელდასმული ირმა რატიანი და დამქაშნი მისნი.

ქართული მარაზმი გრძელდება.

არადა, ვის შეეჩივლო, რუსთველი ხომ მკვდარია?!

ერთადერთი მსაჯული მომავალია და მეც მის წინაშე ვჩივი.

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?

სტატიათა რიგი

1. მწყემსი მოციქულებრი.....3
2. უკუღმართი პარალელები12
3. დავით რექტორის „იაღლიში“ და ქართული მეცნიერების ფიასკო24
4. სად გაქრა ლაშა-გიორგი?.....28
5. დიდი საიდუმლოს გასაღები66
6. „ვეფხისტყაოსნის“ სახეები იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში“ 73
7. კოლორიტული სიტყვა „ბოლუქ-ბოლუქი“ და ე.წ. „აბდულმესიანის“ პრობლემა..... 106
8. „მაჰნამეს“ ვერსიების კვალი იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში“ 144
9. „მაკროტ-ლაგროტი“ და ე. წ. „აბდულმესიანი“.. 154
10. ფარი და ზურგი..... 159
11. თეიმურაზ პირველის შემოქმედების კვალი.....164
12. წაუკითხავს თუ არა იაკობ დუმბაძეს „ხელმწიფის კარის გარიგება“?..... 172
13. „ომინიანის“ ანარეკლი ე.წ. „აბდულმესიანში“.. 173
14. იაკობ შემოქმედელის მხატვრული ფიგურა ე. წ. „აბდულმესიანში“181
15. ამბავი მეზღაპრე ფელამბარისა 187
16. „იმონა კიდე ლიმონა“203
17. ვინ არის პირმშო?..... 218
18. ვის ვგონებ მაქსიმედ?.....226
19. „ერთა სტოლანი“232


20.	რა საიდუმლოს გვიმხელს რითმა?.....	238
21.	აკაკის მკვახე შეძახილი.....	257
22.	მინორატისა და მაიორატის პრობლემა ე.წ. „აბღულმესიანში“	262
23.	რად გაქრა „თამარიანი“	275
24.	სეფქა-ისარი და ე.წ. „აბღულმესიანი“	288
25.	მეტყველი ლექსიკა.....	298
26.	ე.წ. „აბღულმესიანში“ ჩამორიგებული ავანსის შესახებ	316
27.	ვამეყ დადიანის სახე ე.წ. „აბღულმესიანსა“ და არჩილის „გაბაასებაში“	329
28.	ვამეყ დადიანი და მისი ოჯახი ე.წ. „აბღულ- მესიანსა“ და ფეშანგის „შაჰნავაზიანში“	343
29.	არცთუ მეყვისი ვამეყ-ვისი და მათი საიდუმლო (წერილი პირველი).....	352
30.	არცთუ მეყვისი ვამეყ-ვისი და მათი საიდუმლო (წერილი მეორე).....	372
31.	ფორმა „მუამა“ და „აბღულმესიანი“.....	391
32.	„ქება მეფისა არჩილისა“ და მამუკა ბარათაშვილი.....	407
33.	რად შეიცვალა აზრი დავით რექტორმა?.....	418
34.	როდის არის შეთხზული „არჩილ მეფის ქება“?.....	430
35.	„საიდუმლო ყოველი უცებ გაქვეყნიერდა“.....	441
36.	ღვაწლი დოქტორ ბორის დარჩიასი	445
37.	სტატიათა რიგი.....	448



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. სოლიტაოვსკაიის №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



მურმან თავლიშვილი

წარმართი. მხატვარი – აკადემიკოსი მამუკა ჯიჯია

ლილი რიკი ქართულ ლიტერატურაში

მურმან
თავლიშვილი



ISBN 978-9941-3-389-7